ლია გამოყვანა ჯოანშირისა მეომრის კაცისა ორი ათას ხუთასისა, და სომეხნიცა გამოვლენ ოთხი ათას ხუთასი. ძვეს საშუალ აღმოხსნა და სამხრეთისა ქვეყანა ესე და უჭირავსთ ამათ საზღურამდე უარადაღისა და განჯისა, და არს საშუალ შირვანისა და ნახჩევანისა, განჯისა და უარადაღისა. კაცნი ამ ხმისისანი არიან, რომელსა ნიც რომ სომეხნი არიან, დიდად მამაცნი, მეომარნი და შემბედავნი, და ამ მედიქციების ერთმანერთში შურისა და მტერობის ჩამოვარდნამ ჯოანშირების ხელში შეყარნა ესე სომეხნი.

აღწერა ეუბისა. ეუბახანი, რომელიც რომ არის ერთის მდარის ადგილის მებატონე; მაგრამ ამ ეუბახანმან დაღისტანის ლეკის ძალითა დაიჭირა დარუბანდი, ბაქო და სალიანი, და მისი გარეშემო ადგილები, და ამ ადგილების დასტერით ამ ახლოხანებში არსი მიჭსწერა ხვანთქარსა იმ ძალით, როგორც წინათ სულხავს შირვანი ეჭირა, რომელიც ჭერანის ერთი საბეკლარბეგო ადგილია და ხვანთრისაგენ იყო, ამხანაც ისე მოინდომა, და იმ არზის ჰასუხად ფარვანი და ბძანება მოუვიდა ხვანთქარისაგან, რომელიც ჩვენ ვსცანით ესრეთ: შენ მანდუდან იმ ზღვის პირები გაამაგრო, წამოდუგ მანდუდამ და შირვანი დაიჭირო, როგორც სულხავს ეჭირაო. ადგა წამოვიდა დაღისტანის ჯარითა და შირვანი დაიჭირა, იქიდაშ შაქის ხანზედ მოვიდა და დაამარცხა. ეს საქმე რომ ჩვენთან განცხადებული შეიქნა, ამ უმად ჩვენ შაქის ხანს ჯარით შევეწიენით და ამ ჩუზნის შეწევნის გამო ეუბახანს თავისი წადილი დაუხსნა და შეკრიგება მოინდომა, და შემოარიდა.

აღწერა გუმუხისა. გუმუხის მთავარი ქურდულად გუმტერობენ. ამ გუმუხის ბატონს სანამდის მამა ცოცხალი ჭყვანდა ხვანთქარი ხაზინასაც უგზავნიდა, ძალსაც აძლევდა და კიდევ ელაპარაკებოდა, და შირვანიც ეჭირა, და ახლა ამისი შვილებიც ნიადგ ხვანთქარს ელაპარაკებოან, და მუდამად მიდიან და მოდიან, და ახლაც იქ არის; ამ უმად ერთი სულხავს შვილი ხვანთქართან მივიდოდა, უირიმშიკი მივიდა, იქ იყო და ამ ამბებში რა იქნა და რა არა - აღარ ვიცით რა. და ესეც ითქვა, რომ ხვანთქარს ვითამ ჯარის თაობა მიეტერ იმისთვის. და სულ ქვეყანაზედ განცხადებულია თუ როგორ გულსმოდგინებით გუმტერობენ ან გუმუხის კაცნი, ან უტემისა, და მის კაცნი, და ან მამხალის კაცნი, და ან რომელნიმე დაღისტანის ადგილები, და ზოგნი ლეკნი კიდევ შემოგვიერთდნენ რომელთამე მიზეციებითა.

აღწერა შაქისა. შაქის ხანი, რომლის პაპას ჭაჯი ჩალაბი ერქვა და ამ ჭაჯი ჩალაბის მამა. სომხის ხუტესი იყო, და თვითონ ჭაჯი ჩალაბი გარდაქტეული იყო მაჭმადიანობასა ზედა, და ოსტატობითა. რითმე დაიჭირა ის ადგილი ჭაჯი ჩალაბმან. ძველად ეს ადგილი კახეთის სამეფოს ნაწილი ყოფილა და ძალით წართმევიათ მაჭმადიანთაგან დროთა შესაბაზ არარკელისა, სპარსეთის გელმწიფისათა. ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანენი სომეხნი ცხადად და ქროველნიც ფარულად, მოჭმადიანთა შიშითა. ძვეს ქვეყანა ესე შირვანის შემოდევსებით იაღბუჩის კალთის ქვეშე და კახეთის დასწორებით მიდევსებითა. მთად იაღბუჩი

აქუს და ბარცა აქუს, და არს კახეთსე აღმოსავალით კერძო. შემძლებელი არის თაფისაჲ ქვეყანაში საშის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა. დღევანდელამდის ჩვენსა და იმათში დიდი მტკრობა იყო ხანდახან, და ოდესმე მშვიდობა და შერიგება იყო.

აღწეკა აღის სულტნისა. აღის სულტანი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სულტნად სახელდებულ, და დროთა შესაბამის პირველისათა გაჭმამადიანებული, და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან, და ესეცა აღმოსავალით ძევს კახეთსე.

აღწეკა ჭარის ხეობისა, ჯინისისა, თაღისა და ბელაქნისა. თაღის ხეობა, ჯინის ხეობა, ჭარის ხეობა და ბელაქნის ხეობა. ესენი უბატონონი არიან და ამათი ხალხი ვაგის რაითი თარაქამა, რომელშიაც იპოებიან მტირეღნი ქრისტიანენი, ზოგნი მართლმადიდებელნი ფარულად და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად. ძველად ეს ადგილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსახურიათ კახეთის მეპატრონეთაფის, და ეს ადგილები მოახრებულა შესაბამის პირველისა დროთა, და ამ მოახრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თვითონ დაუსახლებია შესაბამის და ზოგნი ლეკნი თვითონ გარდმოსახლებულს და დასუნებულს. ამათ დაღისტანის იალბუზზედ უყუდიათ ზურგი და ძალიც იმათგანა აქუსთ. შიგა და შიგის ქვეყნები ხან შემოერიგებულნი არიან ჩვერთან და ხან აშლილნი. შამახიდან ბელაქნამდის მრავალჯერ ჩვენს მტკრობასზედ ერთნი ყოფილან; და დაღისტანის ძალს გარდა შეუძლია ამ ძირდახასა მეომრის კაცის გამოყვანა ხუთის-ექუსის ათასისა: ესენი სულ კახეთის მიწაში სახლობენ და ქისიუის ასე ახლოს მეზობელნი არიან, რომ სოფლით სოფლადმდე ზოგი ოცდათი ვერსი არის და ზოგი ოცდახუთისა, და არს ქვეყანა ესე ძნელად შესასულელი, ტყიანი, მრავალწელიანი და მაგარი.

აღწეკა ხუნძახისა. ხუნძახის მთავარი, რომელიც არის ავარი, დაღისტანში, და არს ქვეყანა ამისი მთის ადგილი; თაფისი ემა მეომარი გამოეუა ათას ხუთასი, და რადესაც მოინდომებს დაღისტანში იმუნის თხუთმეტს-თექუსმეტს ათასს კაცს, და არს კახეთსე აღმოსავლსა და ჩრდილს საშუალ. ძველად კახეთის მეფის ერთთაფი ყოფილა; ჟამთა ფითარებისაგან და მოჭამადიანთ ძალისაგან სხუა ადგილებიც მრავალი ჩამოერთმევიან კახეთსა და ესეც მიღებიათ. ესენი წინა ხანებში ხან შემოერიგებულნი იყო ჩვენთანა და ხან არა; მასუგან დიდი მტკრობა მოინდომა ჩვენსედა, დაღისტანის ჯარით მოვიდა უეცრად და ქართლში ერთს ციხეს შემოადგა; შევებენით და დიდად დამარცხდა ჩვენგან, ძალითა დგთისათა, და მრავალნი ამოსწედნენ. მეორეს წელიწადზედ კიდევ შური იძია ჩვენსედა და მეორედ წამოვიდა კიდევ დაღისტანის ოცდაორი ათასის ლეკითა, და რაც კახეთის მეზობლები იყუნენ შირვანს ზეით, ანუ განჯელნი, ამათაც ძალი მოსცეს, ჭაჯი ჩალაბი შვილი და აღის სულტანი თვითონ იყუნენ, ჭარელნი, თალაღენი და სულ იმ ძირობის კაცნი, — ესენიც იქნებოდნენ ათათასი კაცი, და კახეთის ერთს ციხეს შემოადგნენ; სანამ

დის ჩვენ ჯარს შემოვიყრიდით, ჩვენს მისულამდის, წინათვე ჯარი მივაშველეთ და ცინილამ მრავალი კაცი ამოუწვდათ და სირცხვილეულნი გაბრუნდნენ. მასუკან ჩვენთან შემოხრიტება მოინდომა, ჩვენც შევრიგდით და მცირეს რასმე ჯამაგირს ვაძლევთ. კახეთის საზღვრიდან ოთხის დღის სავალი გზა არის. თუმცა ეს ხუნძახის მთავარი შემოხრიტებული არის, მაგრამ იმას რაც კაცი ყავს ისინი კი ქურდულად გუმტეობენ ჩვენს ქვეყანაში.

აღწერა დიდოქის ტისა, დღიდგო-ზურსუკისა, თუმცა შავს-ხევსურისა და გეგვისა. კიდევ კახეთის სასიუგოს ნაწილი, რომელნიც კახეთზედ ჩრდილოდ კერძო არიან ოთხნი თემნი,—დიდოეთი, ქისტი, დღილვი და ზურსუკი ლეკთაგან მიგუხმიან და გაჭუმამდიანებიათ. ახლა ცდილობენ და სურსთ, რომ თუშეთი და ხევსურთაშავი და გევი, რომელიც რუსეთის საგელმწიფოაჲს და საქართველოს შემოსავალი და გასავალი გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებაზედ შეიზიდონ, და იმათი ჭასრი ეს არის: რომელიც ნათესავნი არიან ოსნი, და ანუ სხუა გვარნი ნათესავნი ამ მთებში იმყოფებიან — ესენი ფირიამდის სულ გაჭამა-მადიანონ, და ამ მთას შინა არა მცირედნი არიან ახლად მიქცეულნი იმათს სარწმუნოებაზედ და ნიადაგაც აქცევენ.

აღწერა გადმოხსავალისა გზისა. და ეს გზა რომ დაგვიწერია — ეგების რუსეთის საგელმწიფოში ასე განცხადებული იყოს, რომ ასეთი რამ იყოს ვითომ გაკეთებაზედ ბევრი სარჩული მოუხდეს,—ამის გაკეთება ჩვენგან ადვილად შეიძლება. და ამ გზაზედ ჩიში არის, რომელიც საზღვარი არის, იქიდან მოკიდებული. რაც მთა არის ორმოცი ვერსი იქნება, და ამ ორმოცს ვერს იქით და აქეთ სულ ვაკე არის, და ამ ორმოცის ვერსის მთის გზაზედ შიგ და შიგ გაყავებული გზა ბევრი არის.

აღწერა ქერიმხანისა. ქერიმხან, რომელიც არის დღეს აღმდგარი და შირაზსა წის, და სზარსეთი, რომელიც ოთხს ნაწილად გაყოფილი არის—ადრბეჟანად, არაყად, ქარსისტანად და ხვარასანად, და კიდ ქონას ადგილებიც სხუანი გილანისა, მახანდარისა და ამაღანისა, ამ სზარსეთის ოთხის ნაწილისაგან ადრბეჟანში უჭირავს მცირედი რამე, არაყი სრულებით უჭირავს, ხვარასანში სულ არა უჭირავს რა, ქარსისისტანი, რომელიც არის შირაზი, უჭირავს; ესენი, რაც რომ უჭირავს, რომელიც ოდესმე მოჩილ არიან და ოდესმე უჩინნი; გილან-მაჰანდარელნი და ამაღანელნი—ესენი კი ემსახურებიან; ამან მრავალი გამოცდილება მიიღო გამარჯვებულსა და დამარცხებაში, და ახლა რომ იმის საქმესა და განზრახვასი სჩანს—შირაზს გარეთ გამოხვლას აღარსად ნებავეს, ჰხვენთან მეგობრობას იჩემებს, კაცსა და წიგნს გვიგზავნის, მაგიერს კაცსა და წიგნს ჩვენც უგზავნით.

აღწერა ასურთა. სირიელნი, რომელნიცა იმყოფებიან საშუალ სზარსეთისა და ოთმანისანთა, და არიან ერნი მრავალნი, მქონებელნი მთისანი, თუ ბარისანი, სარწმუნოებით სრულად ქრისტიანენი, ვითარცა ოდესნიმე მილიონნი, და უფროსნი ერთი გამოცდილნი ბრძოლათა შინა. ერთი წელიწადი არის, რომ მრავალჯერ მოგვივლინეს კაცნი ვედრებისანი სამღუდელონი, ეპისკოპოსნი და მღუდელნიც

ანუ თუ შთაფართოვანნი, გვეყვდრენ და გვეყვდრებინა იქიდას აყრასა და ჩვენს ქვეყანაში მოსულასა. ამათგანნი ზოგნი ჩვენსედ დიდად შორიელნი არიან და ზოგნი მახლობელნი; ჩვენც აღმხედრებას ვაპირებდით, და რომელთაც მახლობელებს სირიელთ ჩვენი ხელი მისწვდებოდა იმათს მოყვანას ვაპირებთ და შორიელთაც ზედა სხუაგვარ კელის მიტყემას, როგორც ჩვენგან შეიძლებოდა, და ამ განაზრახვას შინა რა ვიფიქროთ, მაშინ წარმოგვიდგას ღვთის განგებული აღჩვენოს ესე მისის დიდებულებისა ედ მოწყალის კელმწიფისა—მოხედვას საზოგადოდ ყოველთა ქრისტიანეთა ზედა, და ჩვენ დიდებულებისა მისისა სამსახურისა ღონისძიებაში შევედით და ვართ, და ოდეს ედ მოწყალის ხელმწიფის მზის თულისსასე შუქი გამოუბრწყინდებათ ჩვენის მხრის ქრისტიანეთა და მისის დიდებულების ხელი დაგვეფარება, მაშინ ამ სირიელთა ერისა და ადგილისაგან ძალსა არა მტირედსა მოვირთხამთ ჩვენს მახლობელთაზედ და ბარის კაცთაზედ, რომელსაც ადგილზედ ხელი მიგვიწვდება იმათ ჩვენს ქვეყანაში მოვიყვანთ და აქედამ მოვირთავთ იმათ ძალსა, და შორიელთა, რომელნიცა შთათა და სიმაგრეთა შინა არიან, და რაც ერთის მხრის მაჰამადიანთ ეგ უნდათ, რომ არას ემოჩნილებინ, —ამათ თავიანთ ადგილიდამ შემოვიერთებთ, და ქრისტიანობის მტკრთზედ აღმხედრებინ, და აღვამხედრებთ.

ეს ინსტრუქცია მ. ბ. კანცელარიისად მიერთებულად კეთილ შესაბამობით ვრაცხეთ, — ამისთვის აქაურნი საქმენი და გარემოებათა ჩვენთანი მ. ბ. იუწყოს.

7. Д. VIII. 4 Сентября 1769 г. Представление царя Ираклия имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 202.

მისის იმპერატორების დიდებულებისა წინაშე განცხადებულ იქმნას ესე, რომელიც უფლისა იანაწალ მადონის ტოტლებენის ზეპირ დაბარებულობით ჩემ, მდაბლის მონისთვს, მოწყალეებით გუბრძანათ, რათა ხონთქრისა სამოფლობელისა, რომელიც ჩუჭნგან შეიძლებოდას საქართუჭლეს ნაპირებიდამ მტკრობად განვეწყუენეთ და თქუჭნისა ყოვლად დიდებულებისაგან ჯარითა და სხუას შეწყვიტით ჩუჭნ, მდაბალი მონანი, დაფარული ვიქმნენეთ, ამას ზედა თქუჭნს ყოვლად მოწყალეებას დიდისა სიმაბლობითა ვმადლობთ და ვსასოებთცა თქუჭნის დიდებულებისაგან, რომ შეძგომად ამისსა დაუგდებლად დაგვიცუნე.

აწინდელისა ამის თქუჭნისა უდიდებულესობის და უუმაღლესის ბრძანებისა წინათვე ჩუჭნ, რომელიც მისს ბრწყინებულებას ღრავს მინისტრს მეფის სოლომონისა და მოეწერეს, იმ წიგნისა გამო ამ კეთილისა აზრისა ღთისა მადლობით და მხიარულებით მიმდებელაჲიქმენით, რომლისთვრცა უუმაღლესსა კარსა დამორჩილებით თქუჭნის დიდებულებისა სურვილით სამსახურისა ზედა განმზადებულებას მოვასხენეთ. და კუალადაც ამ სასოებისა მომხსენებელნი თქუჭნისა დიდებულებისანი

ვიკადნიერებთ, რათა როდესაც თქუნი უმაღლესი განზრახვა ხვანტიქრისა მიმართ ბრძოლისა ნებისა ბრძანებდეს—ჩუნი იმ თქუნი დიდებულების ნებისა და ბრძანებისა თანშეკრულნი ვიყუნეთ; დითისა და თქუნი საგ მოწყალებით რადენ ძალ გუნიდვას უმეტესსა მტკრობას ვახუნიებდეთ, და როდესაც კუნიად მუიიდობას ინებებდეს თქუნი ყოვლად მოწყალება—ჩუნი მუიიდობით თანდაცულნი ვიყუნეთ სუკუნოდ, და შემდგომად, რომელნიცა სრულებით ჩუნი მოსახსენებელნი გვას ქუნიდეს მისი ბრწინებულებისა ვრუნილის მიხისტრისთჳს კუნიად განგვიცხადებოეს და კუნიადცა ჩუნი ყოველნი გარემოანი საქმენი უფლისა იანაწალ შიარის ტოტლებუნისგან უუმაღლესობისა თქუნისა კარსა მოხსენება.

8. Д. VIII. 4 Сентября 1769 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину.

მ. დ. ბ. ესეცა განცუხადეს: თხუთმეტი ვალკი ჯარი რომ მოგვიხსენებოეს, ამ თხუთმეტის ვალკისგან ხუთი ვალკი ჯარი ახლა გუიბოძეს, ამ ზამთრამდისვე. ამიტომ, რომ თუმცა ამისმა დ. ბ. ათას ხუთასი კაცი ადგილითქა მალაღს კარს მოუგსენებლად, მაგრამ ესე არა კმა არს; და ეს ხუთი ვალკი ჯარი ამაღ გვსენებოს ზამთრამდის და ამისთჳს მაგახსენებთ და გთხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩუნი სასლურადმდე არ მოწყუელა, ჩუნი იმ ჯარის შეკუნიით, რომელნიცა რომ არა რატის მთის გარეშემო, ანუ ახლცინისა და ანუ ყარსისა გარემო ქრისტიანისი არიან, და იგინი ოსმალთა მონებასა ქუნი შეიყოფებიან, და კუნიად, რომელნიცა შავის ზღვის გარემო ჩვენ კერძო ადგილისი უჭირავს, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღოთ, და ათი ვალკი განაიხულებს, რადესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მასის გვიბოძეთ. ღვთითა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის ბედნიერებით ვგუიხებთ, რომ მ. დ. სხუას ჯარებისგან ჩუნი კერძო ნაკლები ბრძოლა არ ვახუნიოთ და სამსახური.

სხუას ჩვენგან თ. დ. ბ. განსაცხადებულს ზეპირს სიტუეს უფალი შიარნი რატევე მოახსენებს.

9. Д. VХ. 1769 — 1770 г. Письмо Ахалцихскаго Паши Наами къ царю Ираклию.

მალაღ დანიშნულა მეფეო!

სასურველო, მართლებრო და გულით შეერთებულა, შექმლებულა მესო ბელო ჩვენო და მეტობარო—შეს კეთილ ნახეკდი ვირველი და უკანსგნელი, და სი მართლის შესწორებული და საკადრო მოკითხვა კარგად ყოფნისა უცხოს მოკითხვით მოკითხვით, და შენის მეფობის ხათრის ჭამბორ კითხვის უკან ჩვენის

მეგობრობის ჩვენება ეს არის, — რომ რამდენითავე დღითა ამის უწინ ჩვენგან მოჭთაბარის ოჯახიანის ჩინებულის კაცებისაგან თქვენს სიმაღლესთან გამოგზავნა ნიღბი კაცები თქვენკენ წარმოგიგზავნა. იმათის მოსვლის დროს თქვენი დიდებულება უარსის მხრისაკენ ბძანებულ იყო; იმ კაცების როგორ ურიგოდ დაბრუნება ისევე უკანვე თქვენს სიმაღლესთან ცნობილი იქნება; ახლა ზოგი ერთის მიხედვით ეს არის, რომ მაჭმად ალა გამოგიგზავნა ზოგი ერთის სალაშქაროს საქმიანსათვის. ჩვენის მეგობრობის მხრივად ახალის კაცის გამოგზავნის მიხედვით ეს არის, რომ მაჭმად ალა გამოგიგზავნა. მაღალ დოვლათიანის და საუკუნოსა პირველიდგანვე, დროთავე ნადირ მაჭმასთან ფრიად შეკრული და შემტკიცებული მშვიდობიანი შერიგება, ორის დოვლათიანის მტკიცედება და სასლფრების პირობის დადება და ფიცი საუკუნოდ, — ამ აღთქმების წაყვანა, როგორც რომ საკადრისი იყო, ისე დატულ იყო დოსტობის ბედის გაცხელებაზედ, და აღძრვა სულ შორს ყოფილ იყო ჭკრანის სასლფრებზედ ერთის კაცის წყენის და შეძლებებისაგან — დიდ შორსა ვართ და ვყოფილვართ. ამ დიდს საქმესედა მუდამ დიდდითა დიდნი ვეხირები და უფროსთა უფროსნი და სხვათა ლაშქართა უდიდესნი, და სასლფართა უხუცესნი ძლიერად მომხრიალნი ყოფილან; ვითარ განთიადის მისი მარაგანდელი განცხადებულ არის, ისე ეს განცხადებულ არის, რომ მომხრიალნი არიან. მისის დიდებულების სიმაღლისაგან ხოს რომ მათს ფეხთა მიწასა ჩლდირის ვეხირობა მებოძა მასუკან თქვენის მაღლის მხრისაკენ ჩვენი ასე ახკარა იყო და საუკუნო მეგობრობა დამტკიცებული იყო, რომ ერთი რამ წყენა არა მომხდარა არც თქვენიდამ ჩვენთან და არც ჩვენიდამ კვალად თქვენთან, ნიადაგ მეგობრობა გამოცხადებულ ყოფილა, და საუკუნოს მეგობრობისათვის გვეჭვრიტა და იმ დოსტობის სიმაგრის მიწასედა ფეხით დამტკიცებული ვყოფილვართ. შეივე სოლომონი, ბოლო დატვიფნული, ამასუწინ თავგამწიფრობითა თავის გზიდამ გასულ იყო, ამისთვის იმასედა რისსვა გაცოცხლა დიდის ქვეყნის მშურობელისა, დიდ მარაგანდიანისა, ძლიერისა ძალისა სვიანისა და ქალაქებთა მჭირაგისა მისის ბედნიერობით იმ დანიშნულს სოლომონის პატრიუს მიტემისათვის. ჩვენ იმისის გარდახდევინების ფარმანი მოგვივიდა, და ფარმანის მოსვლის დროს ის მოვიდა და ჩვენ შემოგვეხვეწა შინებისა და სამსახურის ვაჭვის ყელმოდებითა და პირობის დადებითა. ჩვენ, საბრალოსა, შეწუხებულისა, ახრებულისა, უხელაგისოსა და გათავებულის ხალხის სიწყალულსა და სიბრალულისათვის მაღალსა და აღმატებულს ხელმწიფეს არსი უყავით, და ამ არსის მერთმევაზე, და ჭეშმარიტმან და ზეციერმან მეუბეგმან და მარაგანდედიანმან ძლიერმან მოწყალეებამან მაღალმან კელმწიფემან და ქვეყნის მოსამართმან ის დიდებით ყოფნა სოფლის დასასრულამდე უვნებელად და განუსაჯელად მისტეს. კელმწიფობის ტახტზედ და სუფეგაზედ საუკუნოდ აკოს, იმისი ავმდომის მტრების თავი თავქვე იყოს! მან ჩვენი ვედრება შეისმინა, და როგორც ყოფილ იყო წყალობა უყო და მაღალი ფარვანი უბოძა ჩვენის საყვარელის ქეჭიას ხელით გაგვსავნეთ. ხალათი ჩაეცმეგინა, რამდენსავე თვეს იმერეთიც

დამშვიდებაში შესულ იყო; იმ დანიშნულის სოლომონისათვის რამედნი ფერად ფერადი იმედი იყო წყალობისა და შეწყენარებისა; მაგრამ ესენი დაივიწყა და გულში ჩადებული ორგულობა, სიაფე, სიფინთე, დაღატი, მუხანათობა და ჭარბმზადობა გას მოატყდა. მოსკოვს უსჯულაობთან; დიქტომან იმათი ბოლო დააქციოს, სოლომონს კაცი გაეგზავნა იმ უსჯულაობთან და რამდენიმე ასი კაცი მოუყვანინებია, რომ თქვენ ორისავე დოვლათსაგან მართლსაწმუნოდ და მისხნოდ დიდ გვარობას უკედ ცნობილ ხართ, თქვენის მიწიდამ რომ ის უსჯულაობი თქვენს შეუტყობრად და უნებურად გარდმოსულ იყუნენ—ეს ხომ არ იეჭვება, ხუთსა ან ათს დღესა თქვენს ქვეყანაში უფლიათ, ამასუკან იმერეთს გარდასუღან, კელმწიფის ციხეებისაგან შარაპის სხელდობით ციხეს რამდენსაჲ დღეს შემოდგომოდენს, ღვთის წყალობით და კელმწიფის ბედნიერობით, ვერ ექნათ და ხელი ვერასეუდ მისწდომოდათ, რჯულის მოდალატის და სიწუწვის სსომის მქონებელის სოლომონის ვითარება შეეტყუათ და ისევე უკანვე დაბრუნებულ იყვნენ თავისავე საძაგელის მიწისაკენ. უკან დაბრუნებაში ახლა თქვენს მიწაში დამდგარან, და გვიგვირს ამისთანა საქნელი საქმე, — გასინჯეთ საჭარათების დიდ დიდებას და უფროსების გულის შეტულა, შეძრვა და ამღურევა. არ იქნება ახლა ეს განცხადებული და გამოპირული საქმე და ეს განსაცდელეები საჭარათის ბეგებმა, ან ერანის მიწაში მყოფმა თათრებმა რომ შეიტყუონ—ეს დიდი ნასკე თავიანთს გულში ავის ფიქრით ყოფილა. ამ საქმის ქნითა თქვენის სისწორის გზისა, თქვენის ორისავე დოვლათის კეთილმეგობრობისა, და იმდენის სიკეთის გაფუჭება—არ იქნება ეს საქმე. სწორედ მაღლის დავლათის მხრიდამ ერთი შიში და ზარბი ის მეგობრობა საუკუნედ დადგრომიდა ამასეუდ ერთი დაუმშვიდებელი საქმე თქვენს გულში ან შემოსული, ან შემოხდომილიყოს. ჩვენის საჭარათების ვეზირებისაგან თქვენ ჭერანის საჭარათებისაგან ერთი მეგობრობა, ან განსხვავებულ შემეგობრობა იქნეს ერთმანერთის გატანა, როგორც მეგობრობას და ძმათ მოყვარებას შევინს, და მეგობრობის ბელოს უჯობდეს, და კარგი იყოს, იმისი მიხედვა და გარიგება ჭკუისაგან და დიდის საქმისაგან არ იქნება, მაგრამ მაგ უსჯულაობის თქვენს ქვეყანაში ყოფნა და დგომა მაღლის საუკუნოდ მყოფის კელმწიფის დოვლათისათვის და ჭერანის დოვლათისათვის სხვა და სხვა ფიქრი და თქვენის სისწორისა და მეგობრობის ყოფილის ვითარებისა დიდი ზარალი და დასაკლისი არ იქნება ჩვენსა და თქვენში ამისთანა მტკიცე საბლის საკრეველი რომ არის? და უმეტესად ამ ორს წელიწადში განცხადებულად და საჩინოდ ხილულია მეგობრობასეუდ. თქვენის მეგობრობის ხათრისათვის ეს ერთობის წიგნი დაიწერა, იმ შემოწერილის აღის კელით გამოიგზავნა წინაჲ. დიდება ღთსა, რომ თქვენს სამსახურში მოიწევა ამ წიგნის ვითარებას და ძალს რომ სცნობ და შეიტყობთ, განცხადებულ იქნება თქვენის მხრისაკენ რაც გამოჩენილი ნიშნები არის და შეხდომილი მომხდარი ვითარებანი იყუნენ— ჩვენის მხრისაკენ მოიწერეთ, და ის შემოწერილი აღა უკანვე გამოაბრუნეთ ჩვენთანავე და ჩვენც თქვენის მეფობის გონებდამ არ დაგვიფიყოთ თქვენის მეფობა

ფობის გონებიდამ ითხოება და ივედრება თქვენგან ჩვენი დაუფიქებლობა, ნიას-
დავ თქვენს მეგობრობის სისწორეზედ იუხნეთ.

გულწმიდა ნაჭამან, ვალი ჩლდირისა.

**10. Д. XV. 24 Сентября 1769 г. Письмо царицы Даред-
жани (Даріи) къ кн. Ант. Моуравову.**

ბრწუენვალეს კნიაზს ანტონი რომანიის მოურავს,
ჩვენს ძმისაღვს საგულეგებელს.

რადგან თქვენი ბრწუენვალება ჩვენის ქვეყნისა ბძანდება და მისის სიმაღლის
შეფის ერთგული და კეთილისმყოფელი ხართ, ჩვენც ძმის აღვას გვეგულებით,
და ვიცით, რომ ჩვენის სამშობლოს საქმეზე კეთილად გაიჩვენებით, და ამისთვის
მოგასხსენებთ: რომელიც სიტყვა ირანაღს (ტოტლებეს) ებძანა, ჩვენ იმ საქმეზე.
ჩვენს ძმას დადიანთან ერთი კნიაზი მამუკა სიდიბეგიშვილი გავგზავნეთ, ან
თვითონ სახავს ირანაღს, (ან) ძმას ახლებს. თქვენის ძმობისაგან მოველით რადენ
შესაძლებელ იყოს ჩვენის სამშობლოს საქმეზე ბეჯითი ბძანდებოდეთ. ზოგი ჩვენი
სიტყვა ამ ჩვენის თავადის მამუკასათვის დაგვიბარებია—ეს მოგასხსენებს. რაც
სეპირი გამოგებ ვაფნა, მოგვიფიდა, მადლობა მოგვიხსენებია.

დედოფალი ქართლისა და კახეთისა დარია.

**11. Епископы въ Карталиніи и Кахетіи въ 70-хъ годахъ XVIII
вѣка.**

ქდ სამღუდელონი მღუდელო-მთავარნი ქართლისა და კახეთისანი.

კახეთისა:

ქართლისა:

ჩვენონ არქიეპისკოპოსი ალავერდელი.
დავით მიტროპოლიტი ქისიუისა.
საბა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი.
ზოსიმე არქიეპისკოპოსი რუსთველი.
დოსითეოს ეპისკოპოსი ნეკრესელი.

ბესარიონ მიტროპოლიტი სამთავრო.მ.სა
და გორისა.
ქრისტეფორე მიტროპოლიტი.
გერმასე ეპისკოპოსი მრლველი.
იოსებ ეპისკოპოსი ურბნელი.
დავით ეპისკოპოსი ნიქოზელი.
ეპისკოპოსი სამთავრელი, ჯეორჯი ტახტა-
სებელი.

დაცლილნი აოხრებისაგან:

- | | |
|-------------------------|--------------------------|
| საეპისკოპოსო სამებისა. | სამიტროპოლიტო ასტაღისა. |
| საეპისკოპოსო გიშისა. | საეპისკოპოსო მანგლისისა. |
| საეპისკოპოსო ჭყვინძისა. | საეპისკოპოსო წილკანისა. |
| საეპისკოპოსო ხარჭიშოსი. | საეპისკოპოსო წაღვისა. |
| | საეპისკოპოსო ბოლნისისა. |
| | საეპისკოპოსო წინწყაროსი. |
| | საეპისკოპოსო დმანისისა. |

12. Д. VIII. 1770 г. Рапортъ царю Ираклію отъ арагвскаго Мюравы (губернатора) Каихосро Андроникашвили.

ქ. ღთხ ბედნიერის კელმწიფის ჭირი არაგვის მოურავს ქაინოსრის მოსტეს: რაც ჩემი საქონელი გრათუმა ააკლებინა, რაც თქვენის ბძანებით მოგვბარდა პოლეოფნიკისა და ღვარდიის კაპიტანის ხელით ჩემი უაბზი უჭირავსთ, და რომელიც მაკლია და არ მომტემია ამას ქვემოთ უწერია. ამის მოხსენებას ამისთვის ვაგვიანებდი — თქვენის სიმაღლისა და მათის ბრწყინვალების იანარაღის ერთად შეყრას ველოდი; შე ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზედ და ბარგის გარდმოსწიდვით გამისტუმრეთ, თორემ იანარაღს იმერეთს გარდაგუგებოდი და გრათეს იქ ჩემს საქონელს ვითხოვდი; მანამ აქ ამ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურს ადვასრულებდი, მანამ გრათეი გაისტუმრეს და ჩემი საქონელი და დავა გრათთან დარჩა, და ახლას სამართალს ვითხოვ.

რაც მაკლია:

- ქ. ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობა: ოქროს სხათი აღმასრით გაწყობილი.
- ქ. შეორე სხათი ვერცხლისა.
 - ქ. ვერცხლის ტაშტი და ალთაფა.
 - ქ. ვერცხლის სინი. ექვსის ფიალით, ნალბაქით და კოფსით.
 - ქ. სამოცი ფულური ფინდილი.
 - ქ. ათი თუმანი ქალაქის თეთრი.
 - ქ. სამი ვერცხლის თასი.
 - ქ. მაუდის ქათიბი კვერნით სავსე გიღნის ღილით.
 - ქ. ოთხი ოქროს ბეჭედი: ამაში ორი იაგუნდით იყო, ერთი ლაღი და ერთი სურმუხტი.

- ქ. ორი დიდი: ამაში ერთი მინაქარა იყო, ერთი მარჯალიტისა.
- ქ. ქაღის საკაბე ყალამქრისა.
- ქ. ერთი თავსედ დასახურავი ყალამქარი.
- ქ. ორი ჩადრი ყალამქრისა: ერთი შეკერილი, მეორე შეუკერავი.
- ქ. ერთი ყუთი წამლებისა ოთხის თუმნისა.
- ქ. სწოლის იარაღი ორასი ნაჭერი, ჩინი, ქაშანური და მინა.
- ქ. სზილენძის იარაღი: ჯამი, თეფში, ნალბაქი, ფსუხი, ჩამადანი, ფანარ-ტაშტი, ალთაბა, მსხვილი და წვრილი სამასი ნაჭერი.
- ქ. ოთხი ხალიჩა, სამი ფარდაგი, ორი ყინილბაშის ქეჩა, ორი თაქნაბადი.
- ქ. ექვსი ცხენი თავის უნაგირებით.
- ქ. სამი ჯორი.
- ქ. შვიდი თოფი, ხმალი და იარაღი.
- ქ. ერთი დაბახჩა ფრანგული კარგათ გაწეობილი.
- ქ. ერთი ჩემი შვილურად გაზდილი თავადისშვილი იოსებ ამ ჩემს აკლებს დღეს მომიკლეს.
- ქ. ერთი ჩემი კაციცამ დღესვე აიკლეს, ოცი თუმნის მეტი საქონელი [წასრ-თვეს].

13. Д. VIII. 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

თ. მ. დ. ბ. მოსახსენებლად ესენიც საჭიროდ ვგონეთ, რომელთაც მოგახსენებთ: ღრ. ტოტლებენი მ. დიდებულებისაგან წარმოგზავნილთა შტაფთა და ოფიცართა არესტის უშვრება, რომელთა ბრალი არა არს განცხადებულ. ამით იჭერს, ხმალსა ჭერის და უკანვე აბრუნებს, რომელთაგანი ერთი არს კნიაზ რატიევი, პოდპოლკოვნიკი, რომელიც დრაფმა, შემდგომად აწუროთ გამოჰპარვისა, მოინდომა არესტის საქნელად, და რატიევი, რადგან საქმენი დრაფისანი ჭსტსა, არ დამოწმილა და, მე მაცნობა თვისი მოსულა და ჩვენ მ. დიდებულების სამსახურისთვის ესრეთ ვამჯობინეთ აქ მოგვეყვანა, დაფიბარეთ და მოვიყვანეთ თავისთან მოყოლილის ჯარით.

კუხლად, პოდპოლკოვნიკი ნაუმ ნიკოლაიჩი ჩოდლოკოვი, რომელიც ჩვენს ნებას არ იყო, ჩვენდა მოვიდა და დრაფმა, პირველ აწუროს წასვლისა, არესტი უყო და პეტერბურსს გამოისტუმრა, და ჩუწნ რომ მტრის ქვეყნიდამ მოვედით ტიფისის; და ცნა ჩოდლოკოვმა მოსულა ჩვენი, გამოჰქტეოდით და აქ მოვიდა. არ ვიცით არ ამას რა დანაშაული აქუს და ან იარაღი რას ბრალს ადებს, რომელიც წარმოვალს უმაღლესსა კარსა, და თუ რაიმე ბრალი აქუს, თვით გასცეს პასუხი. დეკრალი, რომელი პირველ ახალციხეს წასულისა ჩვენისა, რომელსაც ამბობენ სიტყვით მუსაიდუმედ მისსა (ტოტლებენისა) და თვითცა ესრეთ ასე ამბობს, და ეს გაკუშვან ოფიშეტით (პოხოტით?), წყალობით და ჩინის მომატებით, და მე მითხრა ბრწყინ-

ვალემ ღრბაზე, რომ ჩემი და ჩემის ქვეყნისა მრავალი ძვირი მოკვროს ამ დეგრა-
ლის რუსეთში და იმას არესტი ექნას და გაეგდოს, — ამ საქმისათვის მე ასე მარწ-
მუნა ღრბაზე. და რომდესაც ჩვენ ტოფილის მოვედით და ჩვენი მოსვლა შეეტყო
დეგრადს, ისიც გამოპარულიყო გზიდან და ჩოღლუკოვთან ჩვენთან მოვიდა, და
ეს დეგრადი ამას წერილით მოწმობს: არა თუ თვით ამას თავისის ნებით დაქვე-
როს, არამედ ღრბის ბრძანებით დაქვეროს ჩემი და ჩემის ქვეყნის ძვირები, და
რომელიც ღრბის ისტრუქცია ჰქონებოდა, ყოველითურთ მის წინააღმდეგად ემოქმე-
დოს. დელრადი ასე სწერს თავისის კვლით, რომელიც მოუცია ჩემთვის.

თქვენს ბრწვინვალებასთან ამისთანა საქმეების გამოცხადება დიად მუხარება
ტკუშმარტად და ვითხოვ თქვენის ღრბობის ბრწ. ბოდიშს, რომ თავი არ შეგწ-
ყინდესთ, მაგრამ საქმისაგან დამჭირსო შეკვიქენ, რომ უნდა მომხესენებინა. ეს დე-
გრადი ჩვენგან გაშვებულია და რომდესაც უნდა წარმოვადოს.

ამ სამთავისევე იარანალ მაიორს მანიტესტი გაქვეროს ჩვენს ქვეყანაში, რომე-
ლიც იყო ჩვენდა მომართ შიშველ აღსახეხელი და ავი, რომლისაც, მანიტესტის შირი,
თ. დ. ბ. მოკრთმევა.

და თვითონ იარანალ მაიორი უკან გამობრუნებული მივიდა, და სდაც რომ
საქართველოთგან რუსეთის გზის კარია, ესე იგი ანახური, იქ მივიდა თავისის ვა-
რით და იქ დადგა, რომელიც სხვათაგან ავით დასანახავი იყო, და ესრეთ საგონე-
ბელი არს, რომ რომელიც აქ პოლკოვნიკი კლავერს არის მომავალი, ვგონებთ
ისიც თავის გამანდაში მიიყუანოს, და არ ვიცით თუ რა ეკუთვების ყოფად შემდ-
გამად.

ამსცა გუჯადად მოგახსენებთ: ღრბა იანარალ მაიორმა ტოტლებენმა პად-
პოლკოვნიკს სიმეონ ჩოღლუკოვს რომ არესტი უყო და წარმოგზავნა, — მაგისი
დანაშაული არა ჩანს რა; თუ საკემწიფოა დანაშაული არა ჰქონდეს რა თ. მ. დ. ბ.
ვითხოვ, რომ ყოვლადმოწყალის კელმწიფის წყალობით აქვე გამოიგზავნოს
სამსახურზედ, და ამას დიდ წყალობად ჩავიგებ.

14. Д. VIII. 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

შირველ ამისსა უმაღლესსა კარსა ჩვენშიერ მოხსენდა: ნამ ნიკოლაინი
ჩოღლუკოვი, რომელსაც იარანალ მაიორმა უწინარეს ამის არესტი უყო, რომელი-
საც ვერ შევიტყევეთ თუ რომლის დანაშაულის თანამდებობა ჰქონდა, — ეს, ღრბა
ტოტლებენის ისაულებების გამოქცეული, მოვიდა ჩვენთან; რადგან ჩვენგანაც მოხ-
სენებული იყო ეს კადნიერება — ამის გამო თქვენს მადალს ღრბობის ბრწვინვა-
ლებასთან მივიდევით და გვალად მოვანსენეთ, რომ ვინათგან უმაღლესს კარს უნდა
წამოსულ იყო, აწ ამა დროსა ჩვენგან წარმოვიდინა ეს ჩოღლუკოვი; უკეთუ თქვე-
ნის მ. დ. ბ. სება ჰქონდეს, აქაური ამბავი მოგახსენოს.

15. Д. VII. 11 Февраля 1770 г. Представленіе царя Соломона имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 35.

მათის უუყოფლად დიდებულის მონაწილეობისა და წყალობის შანაგანდებით მიიქნევილი მეფე აფხაზ-იმერეთა სოლომონს კედ მოსახსენებელსა ამას შევრდომითითა განკრძალვითა მოვასხენებთ: ოდეს უდ დიდებულისა იმპერატორობისა მათისა წე წარმოიფლნა ჩვენ შრ ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე, და მკურნალითა გონებითა, ვედრებითა მრავლითა საიმპერიოდ და სამფლობელოდ მივართავით საუკუნოდ თავნი ჩვენნი და სამეფო ჩვენი, ს უცხო თესლთა, ოსმანთაგან, ჩვენს და დადებული მიღებად შეუწყალებელნი ჭინჩი და ტუფეობანი ამისავე ხელითა მართა მუღსა არსასა შა უდ უემონაწილესისა კელმწიფისა წე თითოეულად გამოვაცხადეთ, და რომელისა ვედრება ფრიად უმეტეს სატროფოსწადელ ჩვენდა იყო წყალობად, იგი მიითვალა დმერთებსა გონებსა ყოვლად მონაწილისა კელმწიფისა საუკუნოდ საჩუქრად მათდა აღრაცხვა და შერთვა ვრცელისა სამფლობელისა თვისისა ჩვენს და სამეფოც ჩვენიც სათნო ეყო, ს დედობრივითა თანაღმობითა სკნოდ შეწევნისა, წყალობისა და მოვარულობისა უქაზი ეწყალობა და უდ ძლიერი კელი დაედა ჩვენს და ჯარიცა მისის განწყობით ებოძა, და მრავლითა სხიერებითა ესრეთ შეწყალებულ ვიყვენით. ოდეს მოწია მხედართმთავარი მათითა მკედრობითურთ სასღვარსა თემისა ჩვენისასა, მრავლად მოხარულნი წინ მივეკებენით, და აღმოვიგითხეთ რა ბრძანება და წერილი გამოგხნისა და შეწყალებისა ჩვენისა, მუკლდადგმით მადლობა შევწირეთ და მივართვით უდ ღთსა და მერმე უდ მონაწილეს კელმწიფესა, და სოგად ვინარეთ გარდაჩეულითა სინარულითა სამღვდელთა და საეროთა, დიდთა და მცირეთა, და ულმან საკსებამან ქენისა ჩვენისამან ესრეთ განიხარა ვა ეგვიპტით მოსებისგან გამოგხნილთა ისრაილთა, და მუის თანა თაყვანისმცემელ, მლოცველ, მმადლობელ ვიქმნენით უნივე მათის უდ ძლიერის იმპერატორობის დიდებულებისა, რომელმან ემანოელისაებრი გამოგხნისა და შეწყალების შანაგანდელი მოგვიფინა. შორაზანის ციხესა, რომელიცა ოსმანთა აქვდათ გამაგრებული, მამინვე დაუყოვნებულად მათი ბედნიერი ჯარი და ჩვენც ერთობით შემოვადეკით. ამას უამსა ერთი თავადი ჩვენი დადიანი, ულთვის ოსმანთა მიმდგომი და მტერი ქანობისა, შეგვიორტულდა, თათრის ჯარი და თავისი შემოიყარა და ჩვენი წინაგანწყობა და ამ კეთილის საქმეების დარღვევა მოინდომა, ამის გამო ჩემის ჯარით თათრის ჯარსა და დადიანსე საომრად წაველ და უდ მონაწილის კელმწიფის ბედნიერი ჯარი შორაზანის ციხეს შემოვადეკენ; ჩვენ მაგიერად ჩვენი ძმა იოსებ კათოლიკოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე და სხვანიც ერთგულნი ჩემნი გვერდს მოუყენენ. ქეს ცხოველის მყოფელის ჯვარის შეწევნითა, უდ მონაწილის ხელმწიფის სახელით, თათრის ჯარსა და დადიანს შევებით,

მასწავლებელი, მწიგნობარი, მრავალი ცოცხალი და მკუდარი დავინარჩუნეთ. ბუკის ციხე ეპურათ თათართა, ისიც ავიღეთ და დაუაქციეთ, მისი ჯახახანსაც ჩვენ დაგვრჩა. და ამ საქმეებში რომ ვფიქრობთ, შოროშანის ციხეს რომ უნდა დიდებულის კელმწიფის მკვლაცრითადაც ადგა, იმავე მეორე დღეს წასვლა მოენდომებინა, ჩვენი ძმა კათალიკოსი და სხვანაცა დიდად შეხვეწნოდნენ: „მოიცადე, აგერ ჩემი ძმა, მეფეც, მალე მოგეშველება და ღთობ ამ ციხეებსაც მალე აიღებთო“. — მითაც არ დაეშალა. მეორე დღეს ჩვენდა შეუტეობრად, დაუგითხავად გაბრუნებულ იყო და ქართლშიდ გარდასრულიყო. და ამისა შიშით მრავალგზის ვევედრე ჩვენს ქვეყანაში მოსვლასა, უნდა მოწყალის კელმწიფის ბრძანება ასე გაქვსთმეთქი, მაგრამ არას გზით არ ინებეს [მოსვლა]. აწამას მუკლდადგომით და მრავალგზის შევრდომით მოვასხუნებთ ვედრებითა მკურნალთა მათს იმპერატორობის უნდა დიდებულებასა: ვინათგან დედობრივის მოწყალებით, სახიერებით მოხედვას ჭეო ჩვენ ზედა და საუკუნოდ დაფარვისა და თვისთა მოხათა თანა აღრიცხვას და შეტვის წყალობა და უქასი გვიბოძა, ესეოდენტა მართლმადიდებელთ ქრისტიანთა გულნი სინარულით აღავსო, იმათი უნდა დიდებულება რომანო ტყვეთ სულარ მიგვტყმს, ნუ დაგვაგდებს, და მტერთ გულისად ნუ გაგვხდის: შირველადცა მოგვიცხენების და აწცა მასვე მტრით დედ და შეურყეველად მოვასხუნებთ: ჩვენ და ჩვენი სამეფო რაც შეძლება გვაქვს განმჩადებულნი ვართ უნდა მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე სისხლის დათხევად; და სადაც ინებებს, მათს წინაღმდეგებს შევეხატებით. სხვა ჩვენი ვედრების სიტყვას ვინაჲს დავითის შირით მოვასხუნდეს.

თებერვალს ია, წელსა ჩღმი.

16. 10 Февраля 1770 г. Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 35.

მეფე აფხაზიშვილთა სოლომონ მივართმევ დიდთა ვედრებითა წინაშე მათსა სავედრებელსა ამას არსასა: ოდეს წარმოიფინა ჩვენ მიერ ქუთაისის მიტორობა რომელიცა მასწავლებელად უნდა დიდებულისა იმპერატორობისა მათისა წინაშე, და სამიშვილად და სამიფლობელად მათდა მრავლითა ვედრებითა მივართვით თაჲნი ჩვენნი და სამეფო ჩვენი, და უცხო თესლთა რომანთაგან მრავალ ჟამ დაუდებული ტყვეობა და ოკრობრიფითა თანაღმობითა, რომელიცა უმეტეს გვსურდა, მით შეწყალებულ ვიფიქრებთ; წყალობა და ჯარი თაჲნი განწყობითა, და სამიშვილად და სამიფლობელად მათდა დადებად უნდა ძლიერისა კელისა და საუკუნოდ დაფარვისა და შეწყვნისა უქასი ეწყალობა ჩვენთაჲნი. სოლო ოდეს მოიწივნეს საამეფოსა ჩვენსა, მდიდარნი და გლახაკნი სინარულით მივეკებენით და, რა აღმოვიპოთიხეთ ბრძანება და წერილი გამოგხსნისა და შეწყალებისა ჩვენი, ეოკლენიკა

ერთბამად მშადღობელ, თაყვანისმცემელ ვიქმენით ღვთისა და ედ მოწყალეს
სისა კელმწიფისა. მასვე უამსა დაუყოვნებელად კელმწიფის უძლეველი ჯარი და
ჩვენცა შორაზნის ციხეს შემოვადგით, — ოსმანთ ქონდათ გამაგრებული. მასინ
ღმერთმან ცათმან საკვირველი შიშის სახრი დასცათ ოსმანთა, ციხეებიდამ ერთმანს
ერთს კაცს აპარებდნენ: რუსეთის ჯარი მოეშველათ ჯაბახანითა, შიგ ცუცხლით
დაგვწვენო, გაფიპარნეთო! ამა უამს, ერთი თავადი არის ჩვენი დადიანი, ყოველთვის
თათრების მიმდგომი იყო და ქრისტიანების მტერი, ეს შეგვიორგულდა, თათრის
ჯარი შემოიყარა და თავისი, და ჩვენი წინაგანწყობა მოინდომა. ამის გამო ჩემის
ჯარით თათრის ჯარსე და დადიანსე წაველი, და ედ მოწყალის კელმწიფის ჯარი
შორაზნის ციხეს შემოვადგენე, ჩემი ძმა კათალიკოსი და სხვანი ერთგულნი ჩემნი
გვერდს მოუყენე. იესო ქრისტეს შექვენითა, ედ მოწყალის ბედნიერს უღურსედ, შე-
გებენით, თათრის ჯარი და დადიანისა ამოვსწყვიტეთ, გავაქციეთ, მრავალი ცოცხალი
და მკვდარი დავინარჩუნეთ. სანამდის ომიდამ გამოვბრუნდებოდი, ჩემ შეუკითხავად და
შეუტეობრად, მერვე დღეს, კელმწიფის მკედართმთავარსა ქართლში გარდასულიყო;
ჩემი ძმა კათალიკოსი და სხვანიც მრავალს ხეყწოდენ დიდის ვედრებითა, მაგრამ
არას გზით არ მოეცადა. ამასუგან კიდევ მრავალი ვევედრე: ჩემსავ ქვეყანაში გარდ-
მოხდადით, ედ მოწყალის კელმწიფის ბრძანებას ასე გაქვსთ შეთქი, — არას გზით
აღარ ინებეს. თურემ ეს საშთარი აქ მოეცადათ; ღვთისა და ყოვლად დიდებულის
კელმწიფის ძალმან ასეთი შიშის სახრი დასდვა ოსმანთა — რაც იმათი ციხეები
იყო აქ სრულ ავიღებდით ამ სამთრობითა. თქვენის მძალის ბრწყინვალეების წინაშე,
ღვთის ჭკუშმარტობით და ღვთის დაუძინებელი თვალი მხედველ არს, რომ ჭკუ-
შმარტოს მოვასხენებთ: ჩვენ ედ ძლიერის ხემწიფის მკედართმთავარისათვის არა
შეგვიცოდებია რა, არცარა გვიწყენია; ჩვენის ცოდვისაგან ასე მოხდა, რომ ედ
მოწყალის კელმწიფის წყალობა და ჯარი ჩვენის ქვეყნიდამ გაგვეცადა. რაც პირ-
ველს არსაში პირობა მომისხენებია, — ჭკუშმარტობამ იცის, სრულის გონებითა და
ანთებულის გულითა განმსადებული ვარ, რომ ედ დიდებულის კელმწიფის ბედ-
ნიერს უღურსედა ქრისტიანობისათვის ჩემი სისხლი დავთხო, და მეცა და ჩემი
სამეფოცა კელმწიფის მტერს შეგვიკაცნეთ. ახლა თქვენს აღმატებულს სიმაღლესა
და ღვთის მოყვარე გონებასა დიდის ვედრებით და ქენებითა მოვასხენებთ, რომ
ედ მოწყალეს კელმწიფესთან მეოხად აღდგეთ ჩვენთვის და ესეოდნთა ქრისტიან-
თათვის, და შეგვაბრალეთ: ვინათგან ისება და ღმერთებრი მოწყალება და სხნიე-
რება მოგვფინა და თვისთა მოსათათანს აღგვრაცხნა, ნუღარ დაგვაგდებს, შეგინე-
ბულთა ოსმანთა ტყვედ ნუღარ მიგვცემს, მტერთ გულისად ნუ გაგვადის, და მას-
თის ედ დიდებულის იმპერატორობის საუკუნოდ მოხანი, თაყვანისმცემელნი და
მშადღობელ-მლოცველნი გვამყოფოს. სხვას ჩვენს სიტყვას სავედრებულსა ეს
ჩვენი განაზი და ვით [გვინიხიძე] მოვასხენებთ.

თებერვალს ი, წელსა ხდამი.

17. Д. XV. 8 Апрелья 1770 г. Письмо католикоса Антонія I къ кн. А. Р. Моурову.

ბრწეინგალო კნისო უფალო ანტონ რომანისო,
ჩემო სარწმუნო მეგობარო!

ქეს ცხოვრების მომცემელისა ჩუქნდა ყოვლად ბრწეინგალოს ადღომისა დღესასწაულსა მოგილოცავ და მეგობრობითითა შეკრულებითა ვიკითხავ თქუქნისა ბრწეინგალებისა ვითარყოფასა, რომლისა სიმრთელესა შევჭრატს ჩემდა ბედნიერებად. ვითხოვ შენისაგან ბრწეინგალებისა, რომ მომწერო: მინდა ღრავს ნიკიტა ივანოვისს წიგნი მიგჭსწერო, რომ იმის დიდებულებას ზანადის ბოძების მადლობა ჩემი იმისგან მოხსენდეს, და ტიტლო მომწერე ღრავისა, წიგნი დასაწერიცა და ჰაკეტზედ დასაწერიცა, და მანდ იმის სიმაღლეს მეფეს მოგართიე იმ წიგნს, ასე რომ ჰაკეტზედ ჩემი ბეჭედი ივადეს, მაგრა ერთი პირი შეუკრავი იყოს, და ჩემი ღრავ ნიკიტა ივანოვისთან მიწერილი წიგნი თქუქნს ჭსთარგმნე რუსულად, და იმ ჰაკეტში ჩადე და ისე წარიგზავნოს.

რომელიც სათქმელი იყოს რუსული ამბავი — ვითხოვ რომ მომწეროთ, და ან დაცლილს არქივების საუდრებზედ ვინ განწესებულან — ისიც მომწერეთ.

თქუქნის ბრწეინგალების მარად კეთილის მეწადე ანტონ კათალიკოსი. დაიწერა ქალაქს ტფილისს, აპრილის 8 დღეს, წელს 1770.

18. Д. VIII. 2 Мая 1770 г. Письмо поручика Дегралии къ царю Ираклию. Пер. т. I. № 209.

ქ. მის სიმაღლეს უგანათლებულეს მეფეს;
ჩემს კელმწიფეს ირაკლის.

რადგან იარანადის ტოტლებენისაგან გასტუმრებული ვიყავ იმ მიზეზით, რომ გორც მოგხსენებიათ, რომ მე დამიწერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის კელმწიფის სახიანო და უმეტესად კელმწიფის ირაკლის წინაღმდეგ იყო, — გავსტერდი, რომ ღრავს თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე დასასული მქონდეს, დავეჭირო და გავეგდო, ის წიგნები ჩემის სუბით დამეწეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდე და ჩემი თავი გავიმართლო. მართალია, რომ ის წიგნები დამიწერია, მაგრამ იარანადის ბძანებით: პირველი დამიწერია ადრეს მინდრო-

ში, სადაც მისი სიმაღლე ირანალს შეეყარა, მეორე წიგნი—როდესაც იმეკეთიდან გარდმოვედით; კიდევ დამიწერია საქართველოს გასინჯულობა—მუდამ ირანალის ბძანებით; მესამე წიგნი დამიწერია სამთარში, მოსდოქს რომ წავედით, — ტფილისის ქალაქის გასინჯულობა, და სულ ეს წიგნები ყოველი სიმატლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დაწერილი ყოფილა ირანალის ბძანებით, როგორც იპოებს კოპია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის ლაგირიდან ღრთი მოვიდა და თავის ოფიცრებს თან დამბეზდა, რომ მე ამისთანა წიგნები დამიწერია. მე რე მე მაგ ირანალს მოავახსენე: შენ ხომ იცი, — ეს წიგნები შენის ბძანებისაებრ დამიწერია. როცა ირანალმა შეიტყო, რომ იმ საიდუმლოს შენახვა მე არ მინდოდა, მიბძანა, რომ პეტერბურგს გაგისტუმრებ კანის პატრიოთ, და მანუქა შვიდი ველენდიზის ოქრო და მოამატა სახელი—ზორუნიკობა, ამ იმედით წავედით; მაგრამ შემიტყვია, რომ თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე გამაგდო ერთის ზვის გაცისავით და საქართველოს წინააღმდეგსავით; ვერ მოვითმინე ამისთანა დაბეზლება, რადგან მუდამ ერთგული ვყოფილვარ ამაღლებულის ჩემის კელმწიფის წინაშე და თქვენის სიმაღლის წინაშე, და თქვენგან დიდის ვედრებით ვითხოვ მფარველობას. ირანალის ოქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინსტრუქციისა და ჩვენის კელმწიფის ბძანებისა, და მუდამ მოატყუა რუსის პირველი მინისტრები: ბევრჯელ მიუწერია ირანალ ჩერნიშოვთან და ირანალ პანინთან, რომ ერთი ქაში დაიხელოს და საქართველო დაიჭიროს თავის იმპერატრიცის სახელით, რომელი ქვეყნაც მეფის ერეკლეს საბძანებელს ქვეშ არის. ეს გც მისწერა: რუსეთს აბაზი მოსტრანს, აქ გამოგზავნონ და, თუ იმ აბაზებს მეფე ირაკლი არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებს. კიდევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დაწერილი ირანალის ბძანებით, რომელიც თქვენის სიმაღლის წინააღმდეგია და სრულიად სასიანოდ არიან. ფრიად გვეედრები, რომ ეს დაიჭირო: გაჭირვებულმა დავსწერე. ახლა თქვენ გვეუდრები, რომ არ დამბეზდოთ ამაღლებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატრიცის, და თქვენის სიმაღლის მუდამ ერთგული და დიდის სიმდაბლით ვიყავ და ვიქნები.

ჩემო უგანათლებულესო ბატონო კელმწიფე, ფრიად მდაბალი და ფრიად მოწინილი მოსამსახურე კარლო დეგრალი და პოდპორუნიკი.

ქ. კარლო დეგრალისგან ჩემთან მოწერილის წიგნის პირი არის.

ირაკლი.

ტფილისი. მაისის 2, წელსა ჩლო.

19. Д. III. 6 Мая 1770 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. Р. Муравову. Пер. т. I. № 42.

ღრთუი ტოტლებენი აწუურის ციხიდაჲ თუ ზოგორის სჷქმით: წამოვიდა და გამოიჴარა— ამის თვითმისხაფნი ხარო და დამსწრენი და კარგათ იტით. ჩვენ რომ ღრთუის ყოფნა, თუ სად იყო, რომ არ ვიცოდით, რა რომ მტრის ქვეყნიდაჲ ამ სჷქმით დაბრუნდა; მასუკან ჰოდზოლკოფნიკი რატიევი, რომელიც ხელის ჯარით გარდმოხრულიყო, აქ ტფილისს მოუწოდეთ, რომ იმ ჯარის სურსათისათვის გვეზრუნა, და კელიც მოუმათეთ, და კიდეც, რადგან უდ მოწყალის კელმწიფის იმპერატრიცის სტაფაფიცარია, უნდა გამოგვეცხადებინა თუ რას მიზესებით მოგვდით ამ ღრთუებში მისის დიდებულების სამსახურს; და ამასობაში გრათისაგ სავანებოდ კაცი გაუგზავნეთ და აქ, ტფილისს, მოვიწვიეთ, რომ რაც რომ დღეს იმას ჯარი ყვანდა მოგვესვენებინა, კანს ადგილს დაგვეყენებინა, სავანო სურსათი ეშოფნათ, მომავლის ჯარისთვისაც რიგი მიგვეცა და მასუკან ისევ უდ მოწყალის კელმწიფის სამსახურისად აღვძრულ ვიყავით ჩვენ და ისინი საზოგადოდ მტერსუდ. არათუ მოვიდა, ჰასუხიც არ მომსვლია იმ ჩემის წიგნისა, და თვითონვე იწერება ჰოდზოლკოფნიკი რატიევისას, ჩოღლუკოფისას და დეკრალისას, ეს მეორე დღეს მოეწერა,— ესენი დამეჭირა და იმასთან გამეგზავნა; ჯერ ამის თავის მოწერილის წიგნის ჰასუხიც არ მოიცადა ჩვენგან, და დღეს ტფილისს და უდ ჩემს ქვეყნებში წიგნები და კატები გაუგზავნა, და შემოუთვლია: ვინც იმათ ცოცხალს მომგურისათას ფლურს მივსტემო, და ვინც მეუდარს მომიტანსო ასს თუმანსაო, — და ეს თქვენ გასინჯეთ თუ რა ბოროტი და მოსაყვირებელი კმა გავა ამგვარის სჷქმების დაჭურითა ჩვენს ქვეყნებში. უდ მოწყალის რუსეთის კელმწიფის ტახტისა ასეთი სსოება აქუსთ ყოფელს ჩვენის ქვეყნის კაცთა დიდთა და მცირეთა და მოჩილებს, არათუ დიდის კელმწიფის სარდალს, ერთს დაბალს სალდათსაც გაუგორებენ ამგვარს სიტყვას, თუმცა ბოროტია, მაგრამ ასე მოჩილებით შეკრულნი არიან ამ ძალით. დღეს რომ ესენი ქნა, სვალ უბოროტესებს მოინდომებს, და ამითი რაც ჩემის უდ მოწყალის კელმწიფის სსოებით აღთქმული წყალობა მაქუს წიგნითა, თუ სჷქმითა, სავანებელია, რომ სუყველს ბოროტად გარდაცვლას ეტლება. თანაჲ მდებობა არ ქონდა ჩემს უკითხვად ჩემს ხალხთან ამისთანას წერილის მოწერისა. ამ მიზესებით მე მაგას ჩემს ქვეყნებში ვერ გაუძლებ და ჩემის მოწყალის კელმწიფის სამსახურისად მომადგენს. თუ ამისთანა უდ ბოროტს კაცს მომამოჩებთ, რაც აქ კელმწიფის ჯარები არის იმათთვის სურსათისა და კეთილ გამოზრდის სჷქმედ თავსმიდვია და მტრის მტერობაცა—წინაშე ღთისა და წინაშე ჩემის უდ მოწყალის კელმწიფის ავღუსტას წინაშე, და ჰასუხის მიმცემიც ვიქნები, და სჷქმის წარმართება ნება დვთისა არს.

ტფილისს. წელსა 1770, მაისის 6 დღესა.

20. 10 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ вице-канцлеру А. М. Голицыну.

ვინაჲდგან წყალობითა ზეგარდამოჲთა ყოველთა საქართველთა, დიდთა და მცირეთა, სურვილისაშებნისა, კეთილი დრო გუწმნია და მ. დ. მოწყაღეს ბით სასოგადოდ აქეთა მუროფთა ქრისტიანეთა ყოველსა დროსა მფარველობით, სასოება ადთქმით, უმაღლესსა ედ მოწყაღესა ადვისტასა ებძანა, უკეთუ ჩვენ მ. დ. ქრისტიანეთა მტკრთა ოსმანთა ზედა მტკრობა ვანგენოთ, და აწ ამა უმაღლესისა ბძანებისა ედ დამოწმებულთა სინაწულით მივიღეთ ბძანება ესე და იანანაღ მაიოწმ ორგზის და სამგზის კაცნი წარგზავნეთ და დიდის ვედრებით—ან მუხრანს და ან ჩვენს ქალაქს მოვიდეს ტფილისს, და ან გორის ქალაქის სოფლების მახლობლად ჩვენ იმასთან მივიღეთ, და მტკრზედ მისვლა წოგოწმ სათანადო აქმსებოდა, კვალადცა სურსათი რა ერთი მოუწოდებოდა, და ან რომელი გზა უმჯობესი იყო—ეს გამოგვეჩინა, მაგრამ არ ინება: არც ჩვენთან მოვიდა და არც ჩვენ მიგვიწოდა, და უკმარნი მიზეუსნი დასდუნა, და პირველ ვიდრე ამისა და შემდგომადცა ითხოვდა ჩემგან, რათამცა მიმეცა სამასი, ასუ ათასი კაცი, რომლისა მეცნიერმან ვიცოდე მცირედითა ჯარითა მტკრს ვნებას ვეწას მისცემდა, და უფრო თვსთანა, რომელი კიდევ ადვასრულე, რადენს შეძლება ჩვენი იყო ყოველითურთ.

ტოტლებენს სურამს ლაგინსა თვსა შევეყარებით მარტის იზ და იქიდამი მიერთის მეფეს სოლომონთან კაცის გაგზავნით, ასუ თუ წიგნის მიწერით ჩვენთან მტკრზედ სამტკროდ შემოსაერთებულად; რომლისაც გვანითაც ვეცადენით, უეჭვო არს, ვითარცა თანამდებობა აქვს სადგომნი სოვეტნიკს კნ. ასტონ მოურავოვს, რათა უმაღლესსა კაცსა მოახსენოს. და როდესაც ჩვენ და იანანაღ მაიოწმ სურამიდამი ქვიშხეთს ავედით და ზეგარდამოებნი წყალობა მ. დ. ბოძებული წმ. მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა ორდენი მივიღეთ ღვანდიის ოფიცრისაგან, რომლისაც მადლობა უმაღლესსა კაცსა უფრცველესად მოხსენდება; როდესაც ქვიშხეთიდამი მტკრზედ განვუმსადენითა რაც სურსათი მთხოვა დრამა ჰური და ქერი უმოგნეთ, ასე რომ სურამშიაც მრავალი დააგდო, და საკლავიც უმოგნეთ, ამების ზოგის ფასი არცკი მიუცია. რადგან ჩვენი ჯარი დიდხნის გამოსული იყო თავის ადგილთაგან, ვისაც ჰური და ქერი შემოაკლდა, იმის (ტოტლებენის) მესურსათისაგან ივიდეს; თვითონ შე, რადენისაშე ჩვენის ჯარის კაცისათვს მეც ვივიდე ჰური და ქერი—რაც რომ მთის კაცნი შორიელნი გვანდენ იმ ჯარისთვის, რადგანაც მალე გუწმგონს მტკრზედ მისვლა და დავაგვიანდით, ეს იყო მიზეზი ჩვენი ჯარის სურსათის სყიდვისა; და სადღესვალად აგდებდა მტკრზედ მისვლასა და მიზეზობდა მიზეზთა უძღურთა, რადგანაც გონებაში ეს ედვა, და თვითონაც რაცა მოუწდის ურმის ხარებიდამი გლქხვანს

აბთმევედა, უგოცდა და ნახეგარს ფასს არ აძლევდა, მაგრამ მ. დ. სამსახურის სურს
ვილი აქნესთ აქაურთ დიდთა და მტრეთა, რომელნიც გონების მქონებელნი არიან,
თუ მ. დ. გონების განსწავლის წარსამართლებელი იქნება, როგორც თავის სისხლს
ახლა ამ დროს არ დაზოგავს და ეგრეთუწ უსესთაესსა საქმესა არა ჰბრძობენ.

ვინაშთგან მძესნელ იყო მიზეზისა, რათამცა ეპოვნეს მიზეზი მტერთა სედა
მიუსვლელობისა, ამისთვის განაგრძებულა დროთა, მაგრამ რადეც შემძლებელ ვიყავ
ვით აღმასრულებელ ვიქმენით მიზეზებთა მათ მისთა, და სადგურის ციხეს მისე
ვლასა, იქილამ მტრის ციხე და სოფელაქალაქი, რომელი იყო აწუური; ამას ჰქონდა
გზა მისასრულელი ორი, ერთკერძოაზა გზისა სიგრძე იყო ვერსი ორმოცი, რა-
მელსა სედა არტილერიის გაიფლიდა, და მეორისა კერძოაზა გზისა სიგრძე იყო
ვერსი ოცდა ოთხი, რომელსა სედა თავისის რიგით არტილერიის დაუშლელად არ
გაიტარებოდა. უგრძესსა გზასა რვა წარბაზანი ჩვენ მოგვიყარა თავისის განწყო-
ბილობით და უგრძესსა გზასა სედა ჩვენ გამოგვიჩინა წარსვლაჲ, და გვარწმუნა
ჩვენ ერთისა წარბაზნის დაგდება სადგურის ციხეში სამოციის კაციით; და მე რომ
პირობა მომცა და გამოგვაცვილა, იმაჲ დამეს იქავ სადგურს დადგა, და მეორეს დღეს
ექვსი წარბაზანი თავისის გაწეობილობით და ოთხასსე მეტი ჯარის კაცი ბარგითა,
და რაც კარავი ჰქონდა იქ სადგურს დაეგლო და თვითან უმოკლესსა გზასედა მსუ-
ბუქის ჯარით წამოსულიყო, რომელსაც მტრის ციხეს საკირე ჰქვიან, და უწინარესვე
ჩვენი ასი კაცი დაგვეყენებინა, იქ შემოგვეყარა, და ქვიშეთილამ აყრასი ათას სუთასი
კაცი გამოგვართვა თავისის არტილერიისათვის, თავისი ბარგიც იმათ ასიფლისა,
რომლისთვისაც არც ერთი კოპიკი გასვლია და, მე თვით ავსა, ჩემს გარჯასა მ. დ.
სამსახურისთვის ჩემდა ბედნიერებად ვრაცნდი.

თთუჭსა აზრილსა 17, შუადღისას, მივსრულვართ აწუურს და იქ ჩუჭნმა ჯარმა
და ღრავის კამანდის ქუჭმუ განწესებულმა ჯარმა პირუტყვი მრავალი იმოყეს, პური
და ქერი, აგრეთვე მეორეს დღეს; მაგრამ აწუურის ციხის შემოდგომას ჩემი ნება არ
იყო, ამისთვის რომ რადგან მტრის მამულში ვიყავით უმჯობესად ეს აღმოჩნდა:
მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებით სურსათი აქნუნდათ, სულ ჩუჭნ მოგვე-
გრებინა და შემდგომად მისსა, უკეთუ უმჯობეს იქმნებოდა, მივსრულვით ახალს
ციხესედა, და თუ არა, ან მასვე აწუურსა, და ან სხუათა რომელთაჲ ციხეთა და ქალაქ-
თა მტერთასა შემოდგომოდით, მაგრამ ესე არა ჰყო დრ. ტოტლებენმან, და ესე
ვითარი პირობა დაჭსდჳა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართყო, და ესე ვერ
შევიტყუეთ— ვერ შეიძლო, თუ არ ინება, და ჩუჭნდა მომართ მიზეზებთა წინადას-
ლებდა; მეორეს დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდჳა, მაგრამ მისნი საქმენი სიმართ-
ლით და სისწორით ვეროდეს ვსახეთ. ამასვე თვესა 18 რადეცნიმე კაცი და რამ-
დენიმე ჯარი თხოვით გამომართვა, რაც წარბაზანი და თოფხანი დაეგლო იმაჲბის
მოსატანად ვათხოეთ, და მას რაც თავისი მტრე რამ ბარგი თან ჰქონდა ის იმ ჯო-
რებისათვის იმ დამეს მალვით უკან გაედევნებინა, და რომელნიმე ჯარის კაცნიც;
ამასვე დღესა ლეკნი და ოსმანნი მიეშველენ აწუურს 19 აზრილს, რომელთაჲ

ლეკთა ჩუქნი შემოწიგება მოინდომეს, მძევლებიც გვაძლიფეს, მაგრამ ზოგი ლეკთა და ოსმანთ არ გამოუშვეს შესარიგებულად. ამასვე დღეს აიყარა ტოტლეუბენი, და ჩვენთჳს მიიყიდა ეს შემოეთვალა: მტერს და მტრის ციხეს სხვას მკრით ზარბაზანს ვესწრო. შევიტყუებით, რომ უკან დაბრუნებას აზირებდა, და მსწრაფად თვით მე გამოუდგებ და მიველ ღრადთან, ვნახე გზაზედ მიმავალი, ჯარი წინ გაესტუმრებისა და თითონ რადენითაჲმე ზარბაზნით და მცირედის კაცით უკან მივიდოდა. გზაზედ, რომელსაც იმის კაცს მივეწიე და ვკითხვადი—თუ რა ამბავი არის ესე,—იგინი მომივარნი იუჴნენ ამ გუარის სქმისა ურიგოსა ტოტლეუბენისგან ქმნილისა. მე მიველ და ღრადს დიდად ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი ეგრეთ კამანდაში ვაძლიე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ. ამ სქმისათვთ ღვარდიის ოფიცარი და სხვანი მრავალნი ჯარის კაცნი რუსნი და ქართველნი დამსწრებ არიან და მოწამე. იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთს მადალს გორასზედ აიტანა, რომელიც დიდად შორევედა მტერზედ, მუნითგან ოთხი სუთი ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა, და აღმითქვა, რომ აქავ ახლო ერთს ბაღასიანს ადგილს ჩამოგვადებო, და ამ სხით გამოიპარა. ეს გამოიპარვა იარანლისა ჩვენმა ჯარმა რა ჰესცა, დიდსა და გამოუთქმელსა დრტინვასა მიეტნეს, და მტერთა, რა იხილეს და სცნეს, დიდად განისარეს და სიმკნე მიიღეს. ამას უოველსა ამისი ბრწყინვალეობა ეს. ანტონი რომანიჩი მოურავოვი, ვითა თვითხილველი, უმაღლესსა კარსა კეთილად მოახსენებს იქ ჩვენის მტრისა მიმართ ომსა, და ან ვითარ შეგრეკეთ ციხესა და სოფელში. ჩვენ წარმოვედით ახალციხის მხრისაკენ და აწუურის ციხეს ორს ვერსზედ დაუდგით. მაშინვე დრ. ტოტლეუბენს კაცი გაუგზავნეთ და ჩვენთან მოვიწვიეთ; კიდევ მას დღეს და მეორეს დღეს დიდხანს მუნ ველოდით, ტოტლეუბენი აღარ მოვიდა, მაშინვე ქართლში სურამისკენ წარსრულიყო. ჩვენი იქ დგომა 3 — ტოტლეუბენის მოცდა იყო, და მეორედ — ამისი შიში, რომ კელმწიფის ჯარს მტერთ ჯარი არ გამოსდგომოდა უკან ვიწროსა და აფს გზებზედ, რომელსედაც არტილერია შეუძლებელ იყო მოხმარებად, და ჩვენ თუ იქ არ დაგვეყოფნა იმ დღეს, ჩვენ მიერ ჰერობილნი ახალციხელნი ტყვენი ჰსწამებენ, რომ ღრადის უკანდეგა ჰსწადებიათ, და თუ ასე იქმნებოდა უეჭველად დიადს განსაცდელს მიეტემოდენ. ჩუქნი მუნითცა ავიყარენით და რადენ შეიძლებოდა მტერთ სოფლების წახდესს ვეცადენით, და რომელიც მტკვარს გამოდმა სოფლები იყო, იმას მივმართეთ, რომ იქითგან რაც მტერობა შეგვეძლო გვემოქმედებინა. იქ რა ვიუვენით, ახალციხის ოქმას რაც ჯარი ჰყოლოდა ოსმანისა, თუ ლეკისა სულ აწუურს გამოეგზავნა და იქიდგან წამოსრულიყვნენ, რაც ახალქალაქს და სერთვისს ათას ხუთასი ლევანდი უდგათ ისიც დაებარებინათ, ამ ჯარს უნდა შემოჰყროდათ; დვთის მოწყალეობით და მ. დ. ბენიერობით მოგხუდით და გაგვემარჯვა იმ ლევანდებზედ, ასეთს ძლეულებს მიეტნენ, რომ ნახევარი მათი არ გასულა, — ზოგნი მტეჴარში მოიშთუნენ გაქცეულნი და ზოგნი კლმითა მოისრენენ. ასე მცირეს ხანს, რომ ჯერ მტრის დევნისგან არ გამოვბრუნებულ ვიყავით, აწუურითგან ოთხი

ათასი კაცი ოსმანი და ლეკი, ფაშისგან გამოგზავნილნი, მოვიდნენ ჩვენსკედ. რადგან ღვთის მოწყალეობით სსსოება გვაქმნდა მათსკედ ძლევისა, ხიდი უწინვე წაუხდინეთ, რამი მოგვივიდა ურთიერთთ მიმართ ძლიერი და ფიცხელი; მტირეს დროს ირინიც იძლივნენ და მიისწრაფეს მსსოებელთა ხიდისათა ხიდისა მიმართ, და ხიდი წამხდარი დახვდათ, და ვსდევნიდით რა, მიისწრაფეს მდინარესკედ, რომელ არს შტკვარი, და ესრეთ ამოსწყდეს კრმლით და მოიშთუნეს წყლით, რომელ თვით თვალითა ჩვენითა ვხედვით ოცნი, გინა ოცდა ხუთნიდა გასერსენ—ესრეთ აღიგოცნეს, და რომელნიც ახალციხესა შინა პირველნი, ანუ ჩინებული კაცნი იუენეს, ფაშანი, ანუ ბეგნი სრულიად მოსწყუდნენ, და ეგრეთვე დაღისტანის ჩინებულნი და თავნი, რომელნიც მუნ იყოფოდნენ ირინიც აღიგოცნეს. კვდ ამისა. მტრის მამულში ჯარი გაუსივყო და მრავალი პირუტყვი და სხლის ავეჯულობა იშოვეს. და მუნით წარმოსრულნი ტფილისს მივედით, ამ მიხესითა, რომ მ. დ. ბძანებით ჯარი მოსსოვლელი იყო, და ღრათისა ან ვიცოდით იმ დროს სად იყო, და რადგანც ეს სსქემნი ასე გვეგულებოდა, ამისთჳს მოვედით ქალაქად ჩვენდა, რათა მივსრეთ ამით რიგი დგომისა, სურსათისა და აღლასქრებისა.

ვინათგან ჩემდა თანამდებობად ვიცოდი თ. ბ. ამ ამბისა მოხსენება, ამისთჳს მოვსწერე ბრ. თ. და რომელიცა ფრიად სსსურველად ვიცი ჩემ მიერ თქვენდაში წიგნის მოწმეება და ვსსოებ ღვთისაგან, და მოვედით თ. ბ. რათა დაუფიწყებულნი ვიუენეთ. დაიწერა ქალაქს ტფილისს. მისის 10 დღესა, 1770 წელსა.

21. Д. VIII. 10 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Гр. Орлову (по содержанию почти тождественное съ письмомъ Ираклия къ Панину и Голицыну №№ 20 и 22).

ვინათგან წყალობითა ზეგარდამოათა ყოველთა სსქართულთა . . . (ეს წერილი შინაარსით იგივეა, რაც წერილი „უბრწვინვალეს თავდას აღიქმს სსანდრე მისაილოფინს“; ბოლო მხოლოდ სხვა აქვს,— ამგვარად). . . ეგების ასე გაგრძელებულს და შეუგუანებულად შეწყობილისა წიგნისთჳს თავი შეგწყინადესთ, მაგრამ მიხესი ეს არის, რომ მტრის ქვეყნითგან ახალი მობრუნებული ვიყავით და სსქაროდ კაცი რომ გამოვისტუმრეთ, და მრავალნი სსქემნიც გვექონდეს, და წიგნის მოწმეებასს ესევე მოწმეება უმჯობესად ვრატყეთ, და უფრო ამისთჳს გავბედეთ, რომ თქვენს მ. დ. ბ. ჩუჭნის კნ. ანტონ ანდრონიკოვისთჳს ებძანა, რომ თქვენ წიგნს მოგართმევდე და ჩვენს ამბავს მოგახსენებდე, რომლისაც თანამდებობა გვაქვს—და ჩუჭნს თქუჭნის ღრათობის ბრწყინვალეებისაგან ამისი მთხროველი ვართ, რომ მოგოცნებისგან ან დაგვაგდოთ, და რომელიც სსმსხერი გქნებოთ, გვიბძანებდეთ. დაიწერა ქალაქს ტფილისს.

22. Д. VIII. 12 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину. Пер. т. 1. № 211.

(დასაწყისი იგივეა, რაც წემოთ № 20. მოსკენებაში: წერილი „უბრწინვა-
ლესს თავადთან ალექსანდრე მიხაილოვიჩთან“, შემდეგ მომატებულია ასე):

...მოკუდა [ასპინძის ომში]: არტანუბეი ბეკირბეგ, რომელიც იყო სხალციხის
ჩინებულთაგანი — ყოველთა ზედა თავი, მოკუდა გოლაფანა, მოკუდა შავშეთის ბეგი,
ორი არტანუბეის ძმისწული — ემინბეგ, ქისკან ბეგი, ნარიმანის ბეგი, არტაჭნის ყალაი
ბეგი, თაოსკარის მუსაფიმი რაჯაბადა, სხალციხის გუმრეჭი ჭამადადა, ლევანდის
ბაშადა, ფანის სალამადასი, საჭყალადასი ფაშისა, ბანლი უსუფადა, ბაშდელი ბელუქ-
ბაში, დაღისტნის ჩინებულნი და თავნი კაცნი, კუმუხის მთავრის შვილი, რომელს
თვით ხვანთქარმა ფაშობა მისცა, აჯი გაჭრაი, და ამისი სიკუდილი უფრო ჩანს, ვიდრე
სიცოცხლე, ამ მიზეზით, [რომ] მისი ცხენი ადვანშიული ჩვენ მოგვართვას, და ჩვენი
კაცი სხალციხეს აღარ დაფანტვობის მიზეზით, და ზოგნი სიცოცხლესაც ამბობენ;
შალაჩილა, რომელი იყო დაღისტნის პირველი და ჩინებული ბელადი, ყოფა ბელადი,
უსუფ ბელადი, ჭაჯიმაშე ბელადი, მუსა ბელადი — ესენი და სხვანი მრავალნი ჩინე-
ბელანი კაცნი ოსმანთა და დაღისტნისანი, რომელთა [გან] დაგვრჩა ტყვე, დროშა,
ცხენი და იარაღი, და სხვანიც მრავალი, რომელთაგანსა რაოდენსავე ცოცხლთა
ტყვეთა, დროშათა და იარაღთა მათთა შემდგომად ათისა დღისა გამოგვჩაფინით
უმაღლესსა კარსედ და ჩინებულის კაცის გვლით მოვართმევთ.

ამას უკან სხალქალაქი, რომელიც რომ მტრის ადგილშია, ყასაბხა ჩინებული
და ციხე მაგარი, ამათ კაცი და წიგნი მიუფლინეთ და შემოიკებხარ ვაწვიეთ, მაგრამ,
რადგან რომ რამდენიმე ოსმანთა ჯარის კაცნი შიგ ციხესა და ქალაქში უდგათ, ჩვენ-
თან მოსულა ვეღარ შეიძლებს. მასუკან ჩვენ ჯარები გაუსიეთ, სხალქალაქი და იმისი
გარეშე სოფლები მოვარბევინეთ და მრავალი პირუტყვი და ეგრეთვე სურს-
ათი კმასაყოფელი, და სახლის ავეჯულებს იშოვნა ჩვენსა ჯარმა, და ჩვენ, რადგანც
აქედამ არტილერიას სამის წარბაზნის მეტი არ წაგვეღო და იარაღის სადყოფს
ნაც არ ვიცოდით, და უკან მომავალის ჯარების მოსულის ამბავიც მოგვივიდა, და
იმ ჯარების კეთილ დაუქნებისა და სურსათის ზრუნვაც გვეთანამდებებოდა, ამ მიზე-
ზებით იქიდან კაცი და წიგნი მიუფლინეთ და დავიბარეთ, რომ ჯარებისათვის ად-
გილიც გამოგვეჩინა და სურსათის რიგიც მიგვეცა. და კიდევ მომავალის ჯარე-
ბისათვის სახმარისი და საჭიროანი ნივთნი გვეუფიქრა, და მტერსედ მისულისა დრო
და ჰაემანიც გამოგვეჩინა, მაგრამ ვასუხი არა მოგვცა, რა ჩემის წიგნისა, რომელმაც
მტერსედ წარვლის უწინარეს მრავალნი ბოროტნი იმეჭმედა ჩვენს ქვეყანაში ჩემს
თავადებსედ და ასწარებებსედ, და ჩემს გლეხკაცებსედ, და თვით ჩემსედაც, მრავ-
ლის წამებით ჩემი სული შეაწყის, მაგრამ ყოველივე დაუთმე, რადგან მ. დ. იარა-

ნაღ მათი იყო; არა უკითხიანაჲ აქამომდე. ახლა რომ ეს ორგულება აღსრულა უდ მოწყალის კელმწიფისა, რომ მტრის ადგილიდამ გაუჭირებლად გამოქცევით გამოგვეპარა, მე რომ თავისი ამხანაგი ვიყავ, მე გამიშვა, და ახლა მანიფესტიც გააკეთა, რომლისა მოქმედებისაგან მრავალნი რუსეთის და საქართველოს კაცნი ყოფლითურთ განცვიფრებულნი არიან, რომლისა სქემისი ღვთით უმადლესსა კარსა მოხსენდება, ვითხოვ თ. მ. ჯ. ბ. რომელიც ამ ქვეყანაში მ. დ. სამსახურის თანამდებობისაებრ მსახურობს, ეს იანაწალ მათი იქმსე ისეთის რიგით მოა იქცა, მ. დ. სამსახურსუდ და ხემს ამხანაგობასუდ, რომ უმადლესს კარს ამისთანა მოხსენება გავბედა და თქვენ ხემს მსახურველს ბრწვინვალეს თავს ბეგრის ღაპარაკით შეგაწყენ.

ჩვენი ჩვეულება არის მრავალ გზის დადისტრუქციონი ლეკნი შემოტრეკებულნი გუყოლიან რომელისავე მიხეცებთა—ზოგი ჩვენის ქვეყნის დატვისათვის და ზოგი მტერსუდ მოხმარებისათვის, და ერთი ამისთანა შემძლებელი კაცი შევანდა შემოტრეკებულნი, რომლისავე მიხეცით დადისტრუქციონი მრავალნი კაცნი ჩვენთან შემოტრეკებულნი იყვნენ, და ამით ოსმანთ ქვეყნის ნატუყენავი და საქონელი ჭეუჭანდათ, რომ ოსმანთა ქვეყანას არბეგდნენ,—ამისთანა ჩვენთან შემოტრეკებულს კაცს და ჩვენის ქვეყნის შესამატს კაცს მიუხდა სოფელსა ქარელს და ამოსწევიტა იმ სოფლის კაცნი; ეგედრენ ამ საქმის ესრეთ არ ყოფასა, მაგრა არც მოსმისა მათი ვედრება და არც ღაიშალა, და ამ მიხეცით იმდენი კაცი აგვიშალა და მშვიდობიდამ დაგვიკარგა, და მტრად გაგვისადა; ის ლეკნი ცამეტის კაცის მტრნი არა ყოფილან, ცამეტი მოკლა, და იანაწალ მათი ოცდა ორი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს იმ ლეკთა. ჭამბაკი, რომელიც რომ ჩვენის ქვეყნის სამთავროს ბრძანდოს ერთი ნაწილი არის, ოსმალთა ჯარი მოხდომიდა ჩვენს ისევ მტრის ქვეყანასა ყოფასი და ჩვენგან იქ დადგინებულთ კაცსა და იმ ქვეყნის კაცთაც სხელოფანი ძეგვა მიუღოთ კმასაყოფელი. და ოდეს ჩვენ მტრის ადგილებიდამ ჩვენს ქალაქში შემოყვლით სამსა და ოთხს ზიწად მარბიელს უსუფთ მტრის ქვეყნებში და ვცდილობთ, რომ რიგისა ნად უმტეროთ.

დასასრულ ამისა, ამით დავამტკიცებ ერთგულებასა ხემსა და ხემის ქვეყნისა სამსა მ. ი. დ. რომ ეს სრულიად უდ დიდებულს რუსეთის იმპერიაში მრავალჯერ არს განცხადებელი და თ. მ. ჯ. ბ. გამოწყულიღვით უნდა იტოდეს—თუ წინაპარნი, ჩვენი, მოადგილენი, მშობელნი ჩვენნი და ქვეყანა ჩვენი მრავლის წლითგან ცდილობდენ და მრავალნი კიდეც გარდაიცვალნენ უმადლესსა კარსა ამ დღისათვის, რომ მ. ი. დ. საფარველი დაგვდებოდა და ჩვენს ქვეყანაში მათი ჯარი გვენსა, და ამას რა ვედიჩსენით ჩვენ ღვთისა მიმართ სათხოველს, თუ როგორ მივეტებენით ღრავს ადოს მინდორში და როგორ სურვილით მივიდეთ, და ესრეთ ჩვენს ქვეყანასა შინა გარდმოუქებით, და რადეს ჩვენგან შეიძლებოდასა მსახურს ვეცადენით, და, ბრძანებისაებრ უდ მოწყალის კელმწიფისა, მიერ დღითგან მტერსა უარსსა და ბაიასეთისა ზედა რა ვაჩვენეთ ძლიერი მტერობა, და ამს საქმისა მოქმედებითა ჩვენი

გარემონი წარმართნი, ჩვენდამო დაგებულნი, რაგვარა მტრად გავიხადეთ, და კვალადცა
ახლა კიდევ უფროსად ახალციხის ქვეყანაში, ახზინძას, ესოდენისა ოსმანისა და
დაღისტნელთ სისხლის დაღვრასეუდ თუ როგორ მესისხლედ გვხადიან, და ეს მ. ი. დ.
სამსახურისათვის, ჩვენდა სსსურველი საქმე არს, — მაგრა ღრთვი ტოტლებენი თვის
სისა ერთგულებისა საქმესა სადიდგან დაგვიმტკიცებენ?!

და ამას ვითხოვ თ. მ. დ. ბ. ესოდენის მოსხეებისათვის არ შეგწყინდეს
და თ. ბ. დაუგდებელ ვიყუნეთ.

მ. ი. დ. ბედნიერობით და ღვთისა მიერ შეწევნით, მტერთა სედა გაფიშარ-
ფხვით რა, წარმოიგზავნა ჩვენ მიერ მსახრობელი უმაღლესსა კარსა კნიაზ გრიგოლ
სწაბულაფი და გიორგი ნათანაილაფი, ახსნაური, რომელიც ბრძოლასში დამსწრები
არის, და ამის მიერ მოგხსენდებათ ბრძოლის ამბავი, უკეთუ ისებებს მ. დ. ბ. თ.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. მაისის 12 დღესა, 1770 წელსა.

**23. Д. VIII. 12 Мая 1770 г. Письмо католикаса Антонія къ
гр. Н. И. Панину.**

განადგილებს გონებსა ჩემსა თქუბნისადმი მადლისა ღრთობის ბრწყინუბ-
ლებისად აწინდელი გარემოებაჲ, და უდიდესად ესე, რამეთუ მისი იგი დიდებულე-
ბაჲ, გონიერი მსე, აფლურტა ჩუბნი გამოუტყეებს რა შარავანდედთა წყალობისათა
სიმსწრაფლისამებრ უგრძეს და უშორეს განტყეებასა, ამსაგავსებს მოძრავობასა
და შორსმიმწომელობასა მსიურთა შარავანდედთასა, ხოლო ყოველსავე სოგად
მიჭტუნს წყალობისა შარავანდედთა მსხლობელთა სედა და შორიელთა.

ესე გუბარით ამით განიყნითა წყალობისათა მეცა უდიდსი წყალობასა ნიჭე-
ბულ ვიქმენ მ. დ. უბუბად შვილთადმი შესაბამთა წყალობისა დინებითაგან, რომელ
მივიდე მჭსგავსებაჲ საცხოფრებელისა მის ჩუბნისა საღმრთოჲსა განტებულებისა,
რომლითაცა შექქმნა ღმერთმან ცხოფრებაჲ შორის ქუბუბანისა, ვინაჲცა ვინათგან
სამღუდეღმთაფროჲთა ვით ჰსადალითა წყალობით ნიჭებულ ვიქმენ სავღუდე-
ლოჲსაგან. იმჰ. მ. წინაშე სავურთხეველისა მდგომარე ვჭმადლობ მ. დ. ჩემდამო
ესე გუბარისათჳს წყალობისა. ხოლო საქართუბლოჲსა მომართ ესე გუბარ შეწყუ-
ლებისა და ძეთა შორის თჳსთა აღრიცხჳსათჳს ჩუბნისა მ. დ., რამეთუ განიღჳძა
მძინარემან სურვილმან ჩუბნმან და წინაჰართა ჩუბნთმან, უგალობ გვითა მადლო-
ბისათა მადიდებულსა აფლურტაჲსა ჩუბნისსა და ვიტყვი: ღმერთი უფალი და გამო-
გვინდა ჩუბნ, განმსადეთ დღესასწაული ჟამსა ყოველთასა ვიდრე რქათამდე სს-
კურთხეველისათა; ჩუბნთანა არს ღმერთი, ჭსტანო წარმართთა და იძლიენით!

ესოდენისა კეთილშემთხუბუბასა ჩუბნისა შემდგომად მივიღეთცა უბედურე-
ბაჲ, — რომელ ღრთვი ტოტლებენი, ღესერადი გარდამავალი ივიცისა თჳსისა და ღესე-

რადღი თვნიერ ყოფლისა ჭირისა მღვტოლჲსკე ბრძოლითგან, არა მცირედათ მოქმედებს ძვრთა. სოლოჲ ამათ ყოფელთა მიერთთ გარემოებათაგან უცალოჲ ჩემი ძმა მეფეჲ ირაკლი, მტერთა მიმართ მოქმედი, დიდისა ბრძოლისა და ჩინებულისა ძლევისა მომგები, დააყენა მტერთა მიმართ ბრძოლისაგან, ამაღ ზომიელ ღესერადი რუსეთისა იფლტვს და არა მისცემს ღაშქართა რუსეთისათა ნებასა მტერთა მიმართ ბრძოლისა, და ჭსცაფს ძლიერად არტილერიასა, რათა არაფინ წარიღოს მტერთა მიმართ ბრძოლისა სხმარად, — ამათ მიერ დგას აღუსრულებელ მსახურებაჲ მ. ი. დ.

ფთხრგ თ. მ. დ. ბ. რათა ძმაჲ ჩემი მეფეჲ ირაკლი სსმეფოღთურთ თვსით აქუნდეს ბრწყინუალებასა თქუჭნსა მფარჭუჭლობასა ქუჭუჭე, არათუ ამისთვს, ზომიელ შესფერი თ. ბ. მიიღოთ ნაცუაღი, არამედ ფითარცა ქრისტისეთათვს იღუწიღეთ ამათთვს თქუჭნს — კეთილ მსახურებისთვს თქუჭნისა ჭრწმუნებულისა მ. დ. ყოფლისა ზრისისა უზირჭუჭლესისა მინისტრობისა.

შემდგომად ამისა შეფეფდრებ თავსაცა ჩემისა მფარჭუჭლობასა თქუჭნისა მადლის დ. ბ.

თ. მ. დ. ბ. მარად ღფთისადმი მღვტუჭლი და უქუჭმესი მოსამსახურე სანტონი არჩიუპისკოპოსი (ღ) კათალიკოსი ყოფლისა საქართუჭლოღსა. დაიწკრა ქალაქს ტფილისს. მაისის 12 დღესა, 1770 წელსა.

24. Д. XV. 13 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ кн. А. Р. Моуравову.

თქვენ ბწყინუალებას ჩვენთვის ზომ ჩხევაები მოეწერა — იმის ჰასუნად ეს იუწეჲ: განცხადებით იცი მე ღრთუ ტოტლებენტან მტრობის მიწყისი არ მსჭვს, ამის მეტი, ზომიელიც აწყურიღამ იმ სხით გამობრუნდა, ჩემის თავით და ქვეყნით აღსასზობელად მტერს მიგვცა, ჩვენი ყოფლითურთი იმედი მისის დიდებულების ჯარი მოიტაცა, ანანურს მიიფვანა, ზომლისაც ფეფლას გვეგონა სწორეთ რუსეთსავე წასვლა, — ეს მეორეთ ჩვენის ქვეყნის წახდენა იყო. ფეფლას თვით მისის დიდებულების სწყენი გვეგონა, და ჩვენს გონებაში ამ ზემოთქმულებით ღრთუი ტოტლებენი ყოფლად მოწყალის კელმწიფის ორგულად აღმოჩნდა. რადგან დაჟინებით გირჩევიან არესტის უქსელობა და კლავერის ჩვენთან მოუსფლელობა, მერე ახლაც კაცი მოგვიფიდა, — ღრთუი რუსეთად აღარ წასულა. ამ საქმისათვის დიდათ მადრიკელი ვართ, ზომ კაი ჩხევა მოგვიფიდა: რადგან აღარ წაფიდა ღრთუი რუსეთს, არესტის აღარ დამტკიცდა შენის ჩხევისაებრ, და კლავერიც აღარ დაფიბარეთ მეორეთ.

მაისის იგ, ხლო წელსა.

25. Д. VIII. 13 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину.

კნ. ანტონი მოურავოვისა დამარწმუნა [ტოტლებენმა]: იმერეთში რომ იყო—
კამისია ჭქონიაო, იქიდავ რომ მოვიდაო საქმე და ვალდებულობა ადარა აქვს რაო
საქართველოშიო, მეტყე ასე თქვა—შვიონი, თუ ჯამეში არისო, და იმისგან ყოველ
ფერში საქმეებში მათგანთხილებდა საიდუმლოთ, და მეუბნებოდა, რომ ხმაელ ყურილი
არისო, ამისთჳს, იმ ღრათის ტოტლებენის სიტყვითა [სიტყვათ გამო], თითქმის
დიდი ეჭვი მქონდა; და ახლა 30 აპრილს მ. ი. დ. და თ. მ. დ. ბ. წიგნები რომ მომი-
ვიდა იმათის ძალით ცხადად ჭსჩანს, რომ ამასიაც მოტყუებას ცდილობდა. ამასაც
მოგახსენებ: თითონაც, მოურავოვმა, მეონია იცოდა, რომ ტოტლებენი ავის თვა-
ლით უყურებდა, მაგრამ თავისი ვალდებულება მ. დ. სამსახურზედ არ დაუკლია, და
ასე გვახალისებდა ჩვენც მ. დ. სამსახურზედ და იმედს გვაძლევდა მ. დ. მოწყალებისას,
როგორც უერთგულესს მ. ი. დ. მონას ეკადრება და ვალი ჭსძევს, და ეს ამისთანა
ერთგულება კიდევ საქმიანაც აღსარულა ჩვენთან ყოფითა, სპინძის ომში გაუყრე-
ლად დასწრებითა. თუმცა თითონ ღრ. ტოტლებენისგან ამ მოურავოვისა ზემო
წერილი ამბები გვესმოდა, მაგრამ თითონ ისე ჰატეოსხნად იმყოფებოდა ჩვენთანა,
რომ ჩვენ და ყოველნი ჩვენნი ყმანი დიდად მადრიელნი ვართ, და ამისთვის თ.
მ. დ. ბ. მოგახსენებთ, რომ ეს მოურავოვი მ. ი. დ. ერთგულებისათჳს და სამსა-
ხურისა ღირსი გახლავსო, რომ წმიდის გიორგის ორდენის წყალობა დაემართოს
და თ. მ. დ. ბ. მოწყალებით მიიღოს ამისთანა კაცი, რომელმაც მტრის პირდა-
პირაც ყოფნით მრავალჯერ კარგი და სსარგებელო რჩევები მოგვითხრა.

ტფილისს. მაისის 13, წელს 1770.

26. Д. VIII. 25 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 95.

რომელიც რატევისთვის და მასთან მოსრულის ჯარისთვის თ. მ. დ. ბ.
უწინვე განუცხადეთ, ის მოგხსენდებათ, და როდესაც ამ სხნით დაბრუნებულმა ღრათმა
იანარაღ მაიორმა ჩამოიარა ქართლი უსმართლობით, და ორჯერ წიგნი მივსწერეთ
და შეუკრა მოვინდომეთ, ურთიერთა მიმართ მისლვა და ჰასუხი, არც ერთისა მოგვა-
ცა, და მივიდა დუშეთად—იქ ციხის ზარბაზნები მოგვტაცა და ანანურს გარდვიდა,
რომელიც უფრო სამარადისო გზა არის რუსეთის იმპერიისა და საქართველოსი,
გვეტონა რუსეთად წარმოხლვა მისი და, ჩვენ ამის მხილველთა, რუსნი და ქართ-
ველნი აქ მეოფნი შემოვიკრიბენით, და რადგანცა ღრათისა რუსეთად წარმოხლვა

თავისის კამანდით ჩვენის ქვეყნისა დიდი სავსებელი იყო და მ. ი. დ. სამსახურის უკან დასარჩომად ვხედავდით, და მტერთ სიხარულის, და გათამამების მიტემას, და მიხეზად, ამისთვის ჩვენთან ერთგობითა საზოგადოთა არესტი დაფამტვიცეთ ღრთ ტოტლებენისა და კრმლის შემოხსნა, და ზოდზოფკოფინიკი, რომელიც რომ აქ ჩვენთან მოვიყვასეთ თავისის სეპითა, იმას წიგნი გვთხოვა და გამოგვართვა ღრთ ტოტლებენის არესტისა და დადგა ჩვენთანა; მასუკან შევიტყეთ, რომ მ. ბ. ღრ. ტოტლებენი ანანურიდამ რუსეთის იმპერიისაკენ აღარ წარმოსრულიყო და ანანურს იდგა, ამისთვის ღრთის არესტი დაფშაღეთ და დაფტადეთ, და ეს საქმე მ. ი. დ. სეპს მიფანღეთ ყოფლითურთ, და კინაზ რატეფს, ჩვენ რომ წიგნი გამოგვართვა, რომელიც ღრ. ტოტლებენის არესტი ეწერა, ის წიგნი მაღალს კარზედ გამოუგზავნისა, რომელსაც, ჩვენის გამინჯულობით, არღარა ჰქონდა ამ არესტის წიგნის გამოგზავნის თანამდებობა, ამისთვის რომ ყოფლითურთ უკმარად აღმოჩენილი იყო ის წიგნი არესტისა. ამ საქმემ ასე გაიარა და ამისთვის მოფახსენეთ. თ. მ. ღ. ბ. რომ ამისის მოგსენების თანამდებობა გვაქვსდა.

გვალად უჭემშარიტესად მოგსენდეს მ. ღ. ბ.—იანარალ მადორის არესტი ორმა საქმემ გამოგვარჩევისა: ზირველად, აწუერიდამ მისმა გამოზარგით წარმოსლვამ და, მეორედ, ანანურს მისვლამ,—(ეს ხომ) ოსმალისა და დღისტნის გზით უგუნს ქტევა არის, და რადგან ზირველიცა ისტორია მისი გვსმენოდა. ამასაც ვარწმუნებ თ. მ. ღ. ბ. რომ ვინც ყოფლად მოწყალის რუსეთის გელმწიფის ჯარს ამ ქვეყნიდამ წაიყვანდა, მე იმასედ ჩემს თავს დავსდებდი და სიტოტხლეს, და არ გაუმვებდი, მანამ მ. ი. დ. ბრძანება მომივიდოდა, ამისთვის რომ ჩემი და ჩემის ქვეყნის გაოკრება იქნებოდა, და არც ყოფლად მოწყალის გელმწიფის ნება ვიტოვდით.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. მასის 25, წელს 1770.

27. Д. III. 25 Мая 1770 г. Письмо царя Ираклия къ кн. А. Р. Моуравову.

რაც აქნობამდის საქმეებმა გაიარა ხომ ყოველივე ზედმიწევნით უწყის შენმან ბრწყინ. ღრთი რომ ამისთანას საქმეებს მოქმედობს ჩვენს ქვეყნებში: გზებს მიტერს, ჩვენს ტიხეებს იტერს, ოცი-ოცდაათობით კაცს უსევს და ადგილებს მიტერს და ქვეყანას მიწუებს, დუშეთიდან წარბანსები დაუტანისა და წაუღია და ანანურის ტიხეში შეუტანისა, და თითონაც შიგ დამდგარა. და გასინჯეთ ესენი თუ რა უჯეროდ და უწყსოდ მოქტევა არის ჩვენთან, და მიხეზის მიტემას ტდილობს ჩვენგან ამაების მოქმედებით, ვითამ ჩვენგან მიხეზი რამ მიეტეს: ან ჩვენმა მთის კაცმა, და გამსინჯულობის არა მქონებელმან კაცმან, ან ერთმან უბრალომ კაცმან ერთი მიხეზი მისტეს რამე, რომ თავისი ღრგუდ ნამოქმედნი საქმეები

ამითი განმარტლეს—ამს ეძიებს. აწ შენს ბრწყ. თანამდებობა აქუს ამ უწესოდ ქტევისა და საქმეებისა დანახეებისა, რომ დანახო და კიდეტ მისწერო, რომ ის ადგილი ერთის ჯარის დასადგომი ალაგი არ არის, არც ბალახი იშლება და არც საყოფი სურსათი იშლება ჯარის კმასაყოფელი; სადაც ინებოს მისმა ბრწყინვალეუბამ ამ ჩვენის ქალაქის სიახლოეს, ან დიდვამს, ან ლილორკედ, ან კოჯორსკედ, ან ავჭალას, ანუ თუ მუხრანს, სადაც ბალახი და წყალი მოეწონოს—თვითონაც იქ დადგეს და ჯარიც იქ დააყენოს. იქ იმისი დგომა და ყოფა მტრისგანაც ავად დასასახავია და სხვათაგანაც. მეც წიგნს მივწერ და ეგების დაგიჯეროსთ, რადგანაც მ. დიდ. სება და ბრძანება ამისი ჩვენთან ყოფა, უნდა ჩვენთან იყოს.

წელსა 1770, მაისის 25 თთვესა. ქალაქსა ტფილისს.

28. Д. III. 3 Июня 1770 г. Письмо царя Ираклия къ кн. А. Р. Муравову.

ბრწყინვალეო კნიაზო ანტონი მოურავოვო,

ჩემო კეთილსაწმუნო მეგობარო!

შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა—მ. დიდ—ბის ოქრო და ვეტხლი როგორ იხარჯება გამომიტხადეო. ჩვენ ასე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალეებისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ. ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად; რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრსკედ, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოფლად მოწყალის გელმწიფის სამსახურისათვის, რომ უნამეტნავესადაც გასულიყო ოქროც და ვეტხლიცა, მაგრამ რადგანაც გარეშემო მერობლებში მეტად არ დანახარჯება, ამისთვის ვაჭარო წიანს გაუფთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდეს.

შენის სიკეთის მარადის წადიერი

მეფე ქართლისა და კახეთისა

ი რ ა კ ლ ი.

წელსა ჩლო, ივნისის გ.

29. Д. XV. 3 Июня 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Тотлебену.

თ. ბ. ვგონებ იტლდეს კნიაზ ანტონის ანდრონიკოვის მოტანილის მათის ო. დ. უკანში როგორ მტკიცე ბრძანება არის, რომ რაც თქვენი მოყვანილი ჯარი

არი და ან ახლანდელ რუსეთიდან მოსულა ჩვენთან უნდა ბრძანდებოდეთ შემწედ და ძლიერებად ჩვენის ჯარისა, და თუ მე მიწყენინებია რამე თქვენთვის, ჩემი სვინიადისი, რომელსაც რომ მე არ მამხილებს, და მგონია, რომ არას დროს რამე თ. ბ. მინახამს ცოტა და მრავალი არა დამიშავებია რა. თუ თქვენ მიწყენს მიღებთ რასმე, ვიცი რუსეთის მოხარხისათვის მოგისვენებია და მოუცადე მ. ი. დ. ბრძანებას, და უიჭვო არის, რომ ყველასი ამას უნდა დაფუძრდეთ, და ამისთვის ერთმანეთს ნუ შემოვწყობით, და იმისგან უფრო მე, და თქვენს სამდურავსედ მტერს ნუ გავახრებთ, და ყოფლად. მ. გ. კრდგულს ჯარსა და ამ ქვეყნებს ნუ შევასწურებთ, რომელითაც საქმით იქნებოდეს ისევ მ. ი. დ. ბრძანების მოსვლადმდე ერთმანეთს გულდაფაჟროთ, და როგორათაც მტერსედ ბრძანება გვექონდეს შეძლებისაებრ ჩვენისა ვეცადნეთ, და ნუ წარვსწყემდეთ ამ კეთილს დროებას. პატრიოტურისი გვიანდება და კინაზს ზაზა ამირაჯობი და სხვას ჩვენს სიტყვას ესენი მოგასწენებენ.

ტფილისი. ივნისის 3 დღესა, წელსა 1770.

30. Д. VIII. 4 ЮНЯ 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину.

ღვარდიის კაპიტან-პორუჩიკმან, რომელმაც მ. ი. დ. ჩვენთვის უღიროსი მაღალი წყალობა მოგვიტანა, მართებული იყო ჩვენგან ჯეროვანის პატივისცემით და ყოფლითურთ შემსგავსებულის სიამოვნით მოვქცეოდით, და გვეამებინა რამე: ახალციხის ქვეყნიდან რომ მოვბრუნდით ის ღრაფთან იმყოფებოდა, სამჯერ და ვიბარეთ და სიტყვაც გვინდოდა უმაღლესს კარს მოსახსენებელი, რომ მისის პირით განცხადებულ იყო, მაგრამ არ გამოუშვა იანაჩაღ შაიოჩმა, თუ თითონ არ ინება ჩვენთან მოსვლა, სწორე ვერა შევიტყუევით, და ამისთანა წიგნი მოგვწერა, რომელიც ჩემთვის ყოფლითურთ სათაკილო საქმე არის. ეს არ ეგონოს თ. მ. დ. ბ. რომ მე ამ წიგნში რითაც შეურაცხებით რომ მომპყრობოდეს — მე ის ჩემთვის საწყენად და სათაკილოდ მიმანდეს: ეს არის ჩემი საჩივარი და გასაკვირვებელი — მაგისგან ჩემი შეურაცხება და მტერობა. მე ჩემს სვნიდისს რომ ვიცნობ და სჩანს ღვთით მ. ი. დ. სრული ერთგულება, — იმაზედ რა დავაშავე? ამას მწერს და თავის წერილში ცდილობს, რომ მე რუსეთის მოხარხის საქმეში და მისის ჯარის სამსახურში ცრუდ აღმომაჩინოს და, მსგავსად ღრაფისგან ნამოქმედარის საქმეებისა, როგულად დამდვას, — ამაზედ ყოფლითურთ გაკვირვებული ვარ; ვსასოებ ჩემის შემოქმედისაგან და მათის ი. დ. სიმართლით მსაჯულებისაგან, რომ ამაზედ სწორე განხილვა მოხდეს — საორგულო საქმენი ვისგანაც მოქმედებულან ამ დროებში და ანუ უწინარეს — სრულებით აღმოჩნდეს. მე თუ უერთგულესი მოსამსახურე არ ვიყავ მ. ი. დ. როდესაც ღრაფი კავკასიის მთებში მოვიდა — ჩემის თავით და ძმით და

შვილით, და ჩემის თავადებით რად მივეტებე? თუ მე რუსეთის მონარხის სიმართლით მონების მწადნელი არ ვიყავ ამ ერთს წამთარს მ. დ. ჯარს ჩემს ქვეყანაში რად დავაყენებდი, რომ სრულიად ჩემნი მეზობელნი, წარმართნი, თვსად მესისხლედ ამ საქმით მხედვენ? თუ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ერთგულობის სრული სინათლე ჩემს გონებაში არ იყო—ყარსის და ბაიაზეთის სოფლები, და ელები რად დავარბიე? და კიდევ თუ ჭეშმარიტი ერთგულება ჩემს გონებაში არ იყო, ღრიავი რომ სუთასს კაცსა მოხვდა, მე ჩემის შვილით და ჯარით შემოვეყარე; თუ კიდევ სისწორით მ. დ. სამსახური არ მინდოდა, იანარაღ-მანიერი აწუურდიდამ რომ წამოვიდა, როდესაც შევატყევე, მეც რატომ იმსახვით უკან არ გამოვბრუნდი? და მტერსე უფრო წინ წამაყენა ღმერთმან და მ. დ. ბედნიერებამ ამისთანა ჩემგან შეუძლებელი ძღვევები მოგვცა? თუ კიდევ ჩემს გონებაში ჭეშმარიტებით რუსეთის ყოვლად მ. დ. ერთგულობის სურვილი და მათგან სიყარველის მარადის დიდად წადიერი არ ვყოფილავიყავ, ღრიალმა ქრცხინვალსა და ქართლის ყოფაში რომ ყოვლითურთ თავისი ბრძანება აძლია და მე სრულგებით აღარა მკითხარა, და თვთ მოქმედებდა კაცთ-ჭერიით და გალახვით, და რთმევით, და თუ კიდევაც უმძლავრესი ძალა და შეურაცხება მიეღო ჩემსედ, მაშინაც სრულით მოთმინებით უეჭვოდ დაუთმენდი მანამდის ამისთანას მოქმედებას ვნახევიდი, მაგრამ ახლა რომელიც თ. მ. დ. ბ. რომ მისნი ნამოქმედნი საქმენი მომივსენებია, და ამისთანას საქმეებში დავაკელე, ვეღარ დავფარე და ყველა სწორებით განვატანადე ჩემის მიკდომისაებრ. ვეცადე მ. დ. სამსახურისათვს და ვცდილობ, რომ ყოვლითურთ ჭეშმარიტებით მოვიქცე. და ეს ნურავის ეგონება საქართველოს დიდის და მტერის კაცისაგან, რომ საქართველოსი, თუ საბოლოოდ გება და ქრისტიანობა უნდა, ამისთანამ კაცმა მტერე ანუ დიდი რუსეთის ყოვლად დიდებულის მონარხის სარგულად იმოქმედოს რამე, ამისთვს რომ რუსეთის სიყარველის მოშორებება და საქართველოს არარად ქცევა ერთს დროს აქნება, და უვროსად ამ ერთს წელიწადში რაც საქმეები მოკდა ამ მიზეზებით, და თუ მე ქრისტიანე ვარ, რუსეთის მონარხის ერთგული მოსამსახურე უნდა ვიყო. მე შარშანდლითგან, როდესაც თ. მ. დ. ბ. იმერეთის მეფეს სოლომონს წიგნი და იმედი მოუწვია, იმ დროს აქეთ აქამომდე მე და ჩემს ქვეყანას მ. ი. დ. სამსახურისათვს და ამ მიზეზებისათვს რამდენის ათასის თუმნისა ჩვენ დავგვანარჯოდეს, რომ თვთ რუსნიც მრავალნი მოწამედ გვეყანან ამასედ, და კიდევ სხვანიცა, რომელთაც ყველას ზედმიწევნით ვჭტონებთ მოგხსენდესთ, და ახლა ამ ჯარით მტერსედ წასვლაში რა ხარჯი მოგვინდებოდა ი. ბ. კარგა გაშინა ჯავს ამას, და ეს ჩემ მიერი მოკსენებული თუ ჭეშმარიტ არს, მაშ თურმე უერთგულესი მონა ვყოფილვარ მ. ი. დ.-სა. ნიფთის დახარჯვა მ. ი. დ. სამსახურსედ როგორ უნდა კაცის პირმა დაიქადოს, რომ ჩვენი ცხოვრებაც უშურველია მათის ყოვლად მოწყალეების სისიამოვნოდ, მაგრამ ამისთანას გარემოებას რომ მივეცენით, ამან გაგვაბედვინა; და კიდევ ეს უფრო ჩემი და ჩემის ქვეყნის კაცთ ერთგულობისა უმეტესი დამტკიცება მგონია, რომ ხვანთქრისაგან და მისის სამთვლობე-

ლოსკან, და დადისტინისკან, და აგრეთვე სპარსთაკან, რომელნიც ჩვენ მტრად მოგვწყვდებიან, სრულიად სიძაგლად, სიმესისხლოდ საყურებელნი შექმნილ ვართ, და მათსა შუასედად მყოფთა, ყოფლად ძლიერის ღვთის გარდა, რუსეთის და რუსეთის დიდებულის მონარხის მეტი სასოება ვიხილა გვექნება, და რომელის საქმით უნდა ამათებრთა კაცთაკან ჩვენ ამისთანა მოუთმენელი გზა, ესე იგი რუსეთის მონარხის ორგულება გვეყვებინებოდეს?!

კვალად უსურსათობის მიზეზს იწერება კაპიტან-პორუჩიკი, რომელიც ყოფლითურთ დასაჯებელი და შესაწყინებელი არ არის; ვგონებთ, რომ თავისის ნებით არ იწერებოდეს. ამის მაგიერი სიტუფისგება უწინარესსა წიგნსა მოგახსენებთ, რომ რადგანაც ყოფლისავე უსაჭიროესი საქმე არის სურსათი,—იანაწლ მანოჩს ეს უნდა ამ მიზეზით განიმართლოს თავი,—თვარა ქვიშეთის ღაგირსა შინა ყოფასა ჩვენსა ჩემმა ჯარმა ჰური და ქერი მრავალი იუიდეს მისი ჯარისკაცან, და მტერსედად წარსვლასში ქერი კიდევ მრავალი დაადლო, და თვით მეც რომელიმე კაცთა შორიელთათვს იმავე აურასში გაშომცხვარი ჰური ბევრი ვიუიდე მისის ჯარის კაცთაკან; და აწურს მისვლასში ღრათის ჯარმა და ჩვენმა ძროხა მრავალი იშოეს, მარტო უახსებობისაკან ასამდის ძროხა იმ ერთს დღეს გვინახავს მოყვანილი, და სურსათიც კიდევ იშოეს, და მეც კიდევ ნაშოვნის სურსათითგან რამდენიმე დღე ვიარე, და თუ სურსათი არ ჰქონდა, რად გაუჭირვა გელმწიფის ჯარს საქმე და არ მოიცადა, მეორეს დღეს ხომ მრავალს იშოვიდა და კიდევ მოუტანდით, მაგრან სულ მიზეზობდა და ახლაც მიზეზობს, თვარემ მოგხსენდებთ და აღმოჩნდება.

იანაწლ მანოჩი თავის მოწერილს წიგნებში მრავალჯერ იწერება მ. დ. ერთგულებას და მტერსედად მისლფის სურვილს, მაგრან ყოველნა ასე ვხედავთ, რომ ცარიელის სიტუკით იქადის, და ეს ერთი წელიწადია, რომ მტირედი რამე საქმით მოქმედებული არ გვინახავს რა ამის მეტი. ერთგულების მაგიერა ცდილობს, რომ ერთგულნიც შორს დააყენოს მ. დ. სამსახურისაკან, და რომელიც ბრძანებულ არს მტერსედად მისლფა — უფროსად და სად დააგვიანოს.

თ. მ. დ. ბ. ეს კეთილად მოკსენდეს და მოწყალებით გაშინჯეთ: მე ღრათ იანაწლ მანოჩთან რა მიზეზი მადღევს მტერობისა და რასათვს უნდა მტერი ვიყო, რომ ამავებს მოვასხენებ თ. მ. დ. ბ.? მაგრან ასეთი გარემოება მომეცა — ყველას უნდა მოგხსენდეს, და უწინარეს ამისაც მოგახსენებთ ღრათ იანაწლ მანოჩი მტერის ქვეყნითგან რომ გამოობრუნდა ასეთს დროს, რომ ის გამოობრუნება ღრათისა თვით მ. ი. დ. ორგულებად გამოგვანდა, და რუსეთის ჯარისა და ჩვენი განსაცდელში მიცემა იყო, მაგრან დმერთმან ავი არ ინება ჩვენსედად; მასუკან მუნით წარმოსრული ანანურად მივიდა, რუსეთის ყოფლად მოწყალის გელმწიფის ჯარი მოიტაცა საქართველოთგან და რუსეთის იმპერიის სამზღვარსედად მიიყვანა, ყველამ ასე ვჭტონეთ, რომ ამ ქვეყნითგან წამომსვლელი შეიქნა. ეს ამბავი მ. ი. დ. ორგულებად აღმოგვიჩნდა და ჩვენის ქვეყნისა სრული ოკრება იყო. მართალია მე ღრათსედად ეს ვიმოქმედე — აქ მოფონი იმ უამს რუსნი, ქართველნი და კასნი. შემოგვკრი-

ბენ და გამოვარჩიეთ გრათის არესტი და რუსეთის ჯარისა მ. დ. უბრძანებულად წამოუსვლელობა, ჩვენს ქვეყანაში ყოფა, ისევ მტერთ ბრძოლა, და არც მიგვიწერია და არც კაცის პირით შეგვითვლია, რომ არესტი გვიქნია ღრათისათვისაო. მართალი არის კნაის რატივეს ერთი იმ გვარი ღრათის არესტის წიგნი და თაჲ ვისთან თანმოყოლილის ჯარის ჩვენთანა ყოფისა მივეციო, მაგრა იმაჲ დღეს ამბავი მოგვივიდა ღრათისა ანანურსავე დგომისა, და მაშინვე მოვშალეთ მისი არესტი და მივანდევიოთ მ. ი. დ. ნებსა, და ის წიგნი რატივეთან დარჩა დავიწყებით, და იმან ჩვენდა შეუტუობრად უმაღლესს კარს გამოგზავნა, და თვით ყოფილთა ღრათთან ოფიცართაც მისწერა, რომელისასაც ვჭკობნებოთ, რომ თანამდებობა აღარა ჰქონია.

თ. მ. დ. ბ. ჭეშმარიტებით მოიკსენოს, რომ ამ სიგძეს თქვენს თავისწყენას დიდად ვსწუხვარ, მაგრამ ამისთანა საქმეებმა და მწუხარებამ გამაბედვინა: მე ჩემის ქვეყნით რომ მ. დ. მცირეს სამსახურისაც ნაკლებად დამდვას კაცმა, ჩემთვის მოუთმენელი გულისტანჯვა არის, არამც თუ ორგული დამიძახოს. კეთილ მოწყალებით გაშინჯოს თ. მ. დ. ბ. რა დიდი შესაწუხებელი საქმე იქნება ჩემთვის და ჩემის ქვეყნისთვის; მ. ი. დ. ხომ ასე გრძლად თავისწყენას ვერ გაუბედავდით და მას ვისთვის გვეწყინა თავი, რომ თქვენთვის არ მოგვესხენებინა?

დაიწერა ტვილისს. იუნისის 4, წელსა 1770.

31. Д. XV. 1 Июля 1770 г. Письмо царя Ираклия къ кн. А. Р. Муравову.

თქვენმა ბრწყინვალეებამ ზედმიწევნით იცის თუ რა ფრიადის მწუხარებით შეწუხებულ ვარ ჩემის ყოვლადმოწყალის კელმწიფის მ. დ. ბრძანებისაებრ, რომ ახლა მტრის ქვეყანაში არ ვიმოქმედებ, რომელიც მტრობა შემიძლია, და მიწეზნი ამისნი ვამჯობინეო, რომ წერილით გამოგიცხადოთ, და მეც უმაღლესს კარსა თანამდებობა მაქუს, რომ უნდა მოვასხენო: თვით თქვენ ხართ ამისნი მეტნიერნი დალისტნიდამ ვითარცა ჯარის ყრილობის ჭამბავი მოგუდის, და თვით ყიზლარის კამედანტს თქვენთან და ჩვენთან რაც მოეწერა დალისტნელთაგან მსადება, და ამ ჭამბის მსმენელი ტოტლებენი თუ როგორც სსსრწარგვეთილებაში მაგდებს მე და ჩემს ქვეყანას, რომ გუწერს წერილითაც და ზეპირ დაბარებულებითაც; წერილით ესრეთ, რომელ «ვერ შეგაწვევო თქვენ სპარსეთში და ვერც საქართველთაშიმო»; და ზეპირ კაცის პირით ესრეთ, რომ ოსმალთ ქვეყანაში ებრეთ შეგაწვიო როგორც რომ ნახეთ.

მოურედ მიწეზნი დაბრკოლებისა ესევე იარანალ მაიორი მექმნა, და ამა ყოფი

დღითურთ ჩემ მიერ სსს-ურველისა საქმისაგან მ. დ. ბძანებით ოსმალო მტერობისაგან ჩემის თავით დამაცადა და დამაუფონა, და ასე უოფლისგზით საქმე გამიჭირა: ცხიკები წამართვა სამი და ოთხი ქართლში, უოველი სამღუდელო და თავადები ზოგნი დააფიცა და ზოგი ფიცით დაჰატოჟა, ასე რიგად აფიცებდა და სიტუვითაც ასწავლიდა და საქმითაც ახედვებდა, — საქმეში იჭვი არ იყო, რომ ქართლი ჩემთვის უნდა წაერთმევიანა, — და ეს რომ თქვენს მშერობელობას და შეუობრივს საქმეს ვნება შემოაქოს რამეო. და ამდროებში გორის ცხიკეშიც კაცნი გამოგზავნა, ორჯელ და სამჯერ ძალით შესვლა მოინდომეს, მაგრამ ჩემგან იქ დაუენებულმა ცხის მტველებმა ჩემის ბრძანებით არ შეუშვეს; ამისთვის რომ მ. დ. არ ვგონებთ, რომ ბრძანება ქონდეს ამისთანას საქმეების მოქმედებისა, და ღუთით ჩემი თავიც უდ მოწყალის იმპერატრიცის და მათის უმაღლესობის ცესარევისის უერთგულესი მოსამსახურე მგონია ვიდრე ტოტლებენ ღრაფისა, და ამის გარდა რამდენს კაცებს მიჭერდა, რამდენს თავადებს აქეთ და იქით კაცებს ადევნებდა, და ტყეში ემაღებოდნენ ისინი, რომ შიშით ახლავს ვერ მიუდგენს, და რამდენს თავადების ხაჩებს იტაცებდა და ართმევდა თავისის ბრძანებით, და რამდენს შესაწუხებელს საქმეებს სოფლებში შვრებოდა, და ვინიცის რამდენს შესაწუხებელს საქმეებს ჰატოუებდა იმ სოფლებს? ჩვენ განათუ ან ჩვენს ქვეყანას ვრიდებთ და ან თვით ჩვენს თავს მ. დ. სამსახურისათვის, და ჩვენ ჩვენი გასჯა და ჩვენის ქვეყნისა სიხარულადც მიმაჩნია, მაგრამ მე კი ზოგს ქართლში აღარა მიგითხარა, და ამისთვის გასინჯოს თ. ბ. თუ ჩვენთვის რა შესაწუხებელი საქმეა; და რამდენაც კაცს უგზავნიდით, და ან კიდევ წიგნსა ვწერდით, რომ სანამდის მ. დ. ბძანება მოვიდეს რამე დამეხსნას და სუ შოკათავს, ერთმანეთს ფიცით უდ მოწყალის სამსახურსედ შევერთდეთ, და რადეუსაც იმისის მოხსენებულის და ჩემის მოხსენებულის რეზოლუცია უმაღლესის კარიდამ მოგვივიდოდეს — დატებით ვუხსნო; მაგრამ იმან ჩემი სიტუვა არათუ მიიღო, არამედ უფროსი მტერობაც გამომიცხადა სიტუვით, საქმით და წერილით. იმან ბძანება აქუს მ. დ. ჩემდამო ბოძებულს წყალობის უგაზში უდ მოწყალის იმპერატრიცისაგან უნდა მტერსედ ჩემთან იქოს ჩემის ჯარის განსაძლიერებელად და განსამტვიცებელად, და შეძლებისაებრ უნდა ვცდილ ვიყავით ოსმალო მტერობასედ, და ღრაფი არათუ ოსმალო მტერობას აჩვენებს, ეს ერთი წელიწადია მოსულა ჩვენს ქვეყანაში, უფროსდა ჩემსედ მტერობას ცდილობს და ჩემის ერთგულის კაცის აკლებსა, დაჭერასა და სიკუდილსა.

ახლა ესეც იმოქმედა: რადგან ბრძანება ჰქონდა მტერსედ ჩემთან ერთად უოფლისა და ჩემსედ წყალობად ბოძებულის მ. ი. ჯარისა, — ეს ჯარი მომტაცა და იპერეთად წაიფანა. ეს დიად ნათლად საცნობი არის: არასდროს ხვანთქრის მამულსედ და ჯარსედ ჩვენგან მტერობა არ შეიძლებოდა, მაგრამ მ. დ. საფარვლის მინდობითა და მათგან წყალობის ჯარისა და ძალისა ბოძებითა, ჩვენ უოფლის სისრულის შებედეით გაგვიბედავს ხვანთქრის მამულსედ და ჯარსედ მტერობა, და რადეუს ძალგვედავა ამავედროს არ ვაცადებთ და ნიადაც ვესავთ დმერის, რომ

შეიდგომადაც არა ვწიდით და მ. ი. დ. ბრძანებისაებრ ვეცადნეთ საქმისა წარმართებასა.

ესეც იუწყოს თ. ბ. რომ იარანალ მათონს ესეც უქნია: რომელიც ავად მყოფი კაცი ყოფილა, ორასსედე მეტი, ამ ცხიებში დაუგდია, და ჩვენთვისაც მოეწერა იარანალ მათონს, რომ ჯარი დამიგდია თქვენის ქვეყნის მოფარველად; და მეორეს წიგნში ამის წინაღმდეგსა მწერს, რომ ყოფლითურთ თქვენს ქვეყანაში ჩემგან შემწეობის მოცემა არ იქნება. და რა ჯარი იქნებოდა ორასამდის ავად მყოფის მომვლელი კაცი?! და იქიდან ბრძანებასა მწერს, რომ მტერსეც წადიო; რომელიც რომ არ მეჭირვება მე იმისგან მტერსეც მისულის წვევა. შენმა ბრწყინვალებამ იცის, რომ მსახველიც ხარ და გაგონილიც გაქუს, რომ ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანასა სტემს და აოსრებს; არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის ახალქალაქის, შორაგალისა, აწყურისა და ხერთვისის გარდა, და ესენიც არტილერიით არიან გამაგრებულნი; და ეს რომელიც თ. ბ. მოვსწერეთ საქმემ გვაიძულა, და უეჭველად უწუოდეს თ. ბ. მე ღრთეს ამისთანას მტერობაებს არ დაუთმობდი, ამისთვის ვიცით ღრთისაგან უსამართლოდ ჩემი და ჩემის ქვეყნის გამწარება მ. ი. დ. ნება არ იქნებოდა, მაგრამ ამისთვის დაუთმე, რომ მათის ყოფლად მოწყალეებისა მოხიდებითა; და მეორე მისეუნი კიდევ ეს იყო, რომ ჩემს და ღრთეს შუა სხვის სარწმუნოების კაცთა და წარმართთა მჭამდიანთა ჩემსა და იმის შუა სამღერავი და ავი სხელი არა შეეტყოთ რა, რომელ აწყურით იმის ასე გამოქცევას უფარავდი გარკემოთა წარმართთა, და რამდენსაც იმასთან დამშვიდებას და შეერთებას ვეცადე, სანამდის უმადლესის კარიდამ ბძანება მოგვივიდოდა რამე, მაშინაც არ ინება დამშვიდება, და მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის და მ. დ. სანისათვის, და მრწამს, რომ როგორათაც ჩემის წმიდის სარწმუნოებისათვის და ყოფლად მოწყალის დიდებულის რუსეთის მოწარმისათვის ტეშმარტი ერთგულება მაქუს — იმითი ჩემი საქმე და სამსახური. ზოგი ხომ გამოჩნდა და ზოგი უმეტესად გამოჩნდება.

კიდევ შენმა ბრწყინვალებამ ესეც იუწყოს: მ. დ. რომ ბძანება გვაქუს მეივის სოლომონის და დადიანის შერიგებასეც ვეცადნეთ თვით ჩვენგანაც უმადლესს კარს მოხსენდა, ჩვენ კურიელები რომ გავგზავნეთ პეტრებუხს, და რომ ამაზედ ან მე, ან ჩემი ძმა, და ან შვილი წავიდეთ, და რაოდენ შეიძლებაოდეს მათს შერიგებას ვეცადნეთ. შენვე მეცნიერი ბრძანდება რამდენს ვეცადე იმათს შერიგებას, მაგრამ მეუბნე სოლომონ არ ინება და არც ჩემი სიტყვა მიიღო, და არც დადიანის კაცი ჩემთან გამოუშვა; და თვით დადიანი, მ. ი. დ. ბრძანება რომ მოვიდა შარშან აქეთთა მყოფთა ქრისტიანეთა სედა, რომ ჩვენ ყოველნი შევერთდეთ და ოსმალთ ვებრძოლოთ, ბრძანებისაებრ ედ მოწყალის იმპერატორისა, დადიანმა მაშინვე ჩვენთან მოსულა მონღოლმა, მაგრამ მეუბნე სოლომონ გზა არ მისცა, და არც სხუა გზა აქუს, თუ იმერეთსეც და რაჭასეც არ მოვიდა. ასპინძის გამარჯვების მეოთხეს დღეს დადიანთან ერთი ჩემი კნიაზი გავგზავნე, და ჩემი ჭამბაფი და ეს გამარჯვება

გება მივსწერე, და ეგრეთვე მეფეს სოლომონს მივსწერე; დადიანს უკანის კოპია გაუგზავნე და ჩემი ჭამბაფი და ეს გამარჯვება მივსწერე, და ეგრეთვე მეფეს სოლომონს მივსწერე. დადიანს იმ უკანის კოპია გაუგზავნე მ. ი. დ., რომელიც ქვიშ-სეთის ლაგირში ჩვენ და იარანალ მაიორის ერთად ყოფნაში მოგვივიდა, მაგრამ არც ეს გაუშვა სოლომონ მეფემ და იმისმა ძმამ უწმიდესმა, რომლისაც წიგნი თქვენ გინახამსო თავის ძმას არჩილს რომ სწერს ჩემის კაცის გაუშვებლობას დადიანთან, და ამისთანას საქმეს მოქმედებენ, რომ ჩემსედ მიხედა ამისთანაების სულ არა აქუსთარა; მაგრამ მეფეს სოლომონს გონებაში სხვა რამ აქუს და საქმიე-ბისაგანაც აჩენს, რაგორადაც მ. დ. ბძანებული იყო, რომ ჩვენ და იარანალ მაიორს უნდა შემოგვეერთებოდა, და რამდენს ვესხვეწენით ორნივე ჩვენთან ერთად ახალციხესედ მისულისა, და რაც ჰასუხი იმისგან გამოვიდა ვგონებ ღრთვისაგანაც მოხ-სენდა უმაღლესს კარსა, და მე ჩემგან მოხსენება მაჭთებული არ მეგონა; და უწმიდესი და იმერეთის კნიაზი რომ სურამს მოვიდა მე მეფის სოლომონის კაი ყმა და მახლობელი სულ ამას მეუბნებოდა, რომ ასე ცოტას კაცს რუსის ჯარს რატომ აჭევეითო, შენგან გვიგვირსო, ხომ იცოდითო ხვანთქრის შეძლებაო, ერთი დიდი ჯარი რომ გამოგისიოსთო, მეტი ხომ არ გინდათო? ისინი ამისთანას ოქრობში იუუნენ და აღარც მტერსედ მოკუენენ, და მეჩემ თეთრის მიუცემლობის სამდუ-რავსაც ამბობდენ, და კიდევ მეფის სოლომონის ჩემსედ ნამოქმედარნი, თუ სხვათა ზედა, კიდევ უმაღლესს კარს ჩემგან მოხსენდება.

წელს 1770, იულისის 1.

32. Д. VIII. 4 Июля 1770 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 99.

პირველ რაოდენისამე დღისა წარმოიგზავნა ჩვენ მიერ გურიელი კნიაზ გრიგორ ხვაბულაფი და ახნაური იაკობ ნათანაილაფი, და ყოველივე ჩვენ მიერ და ღრთვ ტოტლებენისგან ქმნილი მტერთა ზედა ალლაშქრებისა და ახალციხისა მკარესა ზედა ბრძოლად წარსდგისა ამბავნი, და მუნითგან ღრთვ ტოტლებენისა, თხნიერ ერთისაგა საჭიროებისა და თხნიერ მდევარისა, ლტოლუა და უკუმობრუნება ყოველის თავის კამანდით, და ჩვენი უშინავეთესსა მტრის ქვეყანასა შინა შესდგა, და შეწევნითა ღთისათა და ბედნიერობითა მ. ი. დ. თუ ვითარი ძლევა ვახვენეთ, და მოსწედენ ყოველნი თავნი და ჩინებულნი ახალციხისა ქვეყანათა და დაღისტნელთა ბელადნი, თავნი და ჩინებულნი კაცნი მუნ მყოფნი — ესე ყოველივე განვაცხადეთ უწინდელსა წიგნსა შინა ჩვენ მიერ მორთმეულსა.

აწ ამას განვაცხადებთ თქვენისა მაღლის ღრ. ბ. მომართ: ღრთვ იანარალ მაიორმა, ჩამოვლა რა ქართლი უსამართლობითა, მისრულმან დუშეთად, წარიტანსა

ზარბაზანნი, დუშეთის ციხეში კაცნი შეიყვანნა და ჩვენგან დაუენებულნი კაცნიკი გამოჭყარნა, და თანიერ შემოკითხვსა ჩვენისა მბრძანებლობს და რაცა ჭნუბავს მას ჭყოფს: ჯარი გამოუსივა ანანურითგან არაგვის მოურავს კნიაზ ქაინოსროს, რომელიც დიდად სამსახურად აღმოჩენილ არის მ. ი. დ. ჯარის გარდმოსღვასკედ სურსათის მიცემით, არტილერიის გარდმოტანით, ზამთრის სიფიცხის გარდაკლით და მრავლის კაცის ფერკების დაზრობით, და აგრევე მრავლის კაცის დაწრობით, ამიტომ რომ რუსეთის იმპერიას მახლობელი რომელიმე ჩვენის ქვეყნის სამსღაფრები და გზები მას ახარია; მოურავი სულ აიკლო, და მოურავი გაქცეული იფლტოდა ცოლ-შვილით. მოურავთან ერთი კნიაზი იყო, იესე შალიკოვი, მოურავის აკლუბაში ის მოკლეს ჯარის კაცთა, ჩვენი დასაკლისი და მკედრობაში მრავალჯერ გამოცდილი.

მრავალჯერ მოგჭსწერეთ ღრატ ტოტლებენს წიგნი და აქეთ დავიბარეთ, რომ სადაც მ. ი. დ. სამსახურის კეთილ წარსამართლებელია იქ დავაყენოთ, მაგრამ არ ინება, ანანურს დგას ესოდენი ხანია და იმის იქ ყოფას ურიგოდ ხედვენ, და ჩვენც ასე გვგონია; კნიაზ რატიევი ჩვენთან რომ შეოფობდა თანმოყოლილის ჯარით, იმ სახით როგორცდაც თ. მ. დ. ბ. კურიელისა გამოგზავნასა სედა მოვასხენეთ, ესრეთ შეწადდა, რომ რადგან ამ ჯარის ანანურს გაბრუნებას აქურნი ერნი ურიგოდ დაინახევენ, იანარალ შაიოჩი აქ ჩამოსულ იყო ჩვენს სიახლოვეს და ეს რატიევის თანმოყოლილი ჯარი იქ მიგვებატებინა, და თვით რატიევი, რადგანაც იმ სახეებით ტოტლებენისაგან არესტ ნაქნარი იყო, თვით უმალესს კარს წამოსულ იყო, მაგრამ იანარალ შაიოჩმა რომ არ ინება ჩვენს სიახლოვეს მოსლვა და ნიადაგ ამ ჯარსა გვთხოვდა, კნიაზ რატიევი თავისის კამანდით გაუგზავნეთ სადგოარნის სოვეტნიკის კნიაზ მოურავოვის რხევითა, და თვით კნიაზ რატიევის მოწადუბითა.

ამასაც მოვასხენებ თ. მ. დ. ბ. რომ იმერეთის მოვლობელთა ურთიერთადმი დაგება ებრძანეს მ. ი. დ. და აგრეთვე თქვენ მოგეწერათ ჩვენთა, რომ მათის დაგებისათვის ვიღვასწოთ და გავისარჯუნეთ. ჩვენგან ეს ჭეშმარიტებით მოგხსენადესთ, რომ ყოფლის ჩემის გულსმოდგინებით ამ კეთილს საქმესკედ გავრჯილვარ და გვიჩვენია წიგნით, თუ კაცის გაგზავნით, და აწცა, თუ მოცალება მივიღეთ, მ. ი. დ. უგაზსაც მიუტანთ და გამოუცხადებთ, და რომელითაც სახით შეიძლება მათი ურთიერთის დაგება ყოფლითურთ ცდას არ დავაკლებთ, რომ ურთიერთს დაეგნენ და მათის ჩვენთან შემოერთებით მტერს ვბრძოთ, და თუ ჩვენ უცალყო ვიქმნებით, უწმიდესს ჩემს ძმას კათოლიკოს-პატრიარქსს, ჩემს ძეს და რამდენთავე ყოფლად სამღვდელთა და კნიაზთა წარუგზავნით და მათით ვეცდებით, და რასაც იქმენ იგიცა მოგხსენდებათ.

კვალად ესეცა ეუწყოს თ. მ. დ. ბ. — უწინარეს ამისა განგვიცხადებთეს საქმე ესე ღრ. დენარალ შაიოჩისთვის და კნ. ანტონ მოურავოვისთვის, და ვჭგონებ, რომ თ. მ. დ. ბ. მოხსენებოდეს ეს ამბავი: ნუცალი, რომელიც არის დაღისტანში ერთი

უფროსი მებატონე შთამომავლობით, რომელსაც შეუძლია დაღისტანში ბევრის ჯარის შეერა და კიდევ უსმენენ დაღისტანელნი, ამას, უწინარეს ამისა, ჩემთვის წიგნი მოეწერა, რომ ოსმანთაგან კაცი მოსულადა და დაეპატიუნათ ბრძოლად და აღეთქვათ საზინა მიტყმად, რომელმაც, რადგან ჩვენთან შემოკრიგებული იყო, ეს ამბავი მუის მაცნობა, და ჩემთვის ჩხევა ეკითხა წასვლისა და შეერთებისა მასთანა და (ან) არ შეერთებისა, და ჩვენ მ. ი. დ. სამსახურის წარსამატებლად მრავლის გარკეზობით უჩივიეთ არ შეერთება და არ წარსვლა მათთანა, და უქადეთ ჩვენგან ნივითა მიერ მოხადლება და მ. ი. დ. წყალობა აღუთქვით; და შემდგომად ამის კვალად წიგნი მოეწერა და კაცი გამოეგზავნა, რომლისაც წიგნი მოგართვი თ. მ. დ. ბ. უწინარეს ამისა, და აწცა თ. მ. დ. ბ. გვაწვევს მტერთა ბრძოლასა ზედა; რომელიც ღვთითა და ბედნიერებით მ. ი. დ. შევიძელით, ვეცადებით, და კვალად რომლისაცა მიზეზითა დავბრუნდით მოკსენებულ არს უმადლესსა კარსა, და უკეთუ აქამომდე ჩვენ და იანარაღ მართრი მტრის ქვეყანაში ვყოფილიყავით, საიჭვოდ არა ვჭტონებთ, რომ ბედნიერობით დ. მ. დიდ დიდნი სამსახურნი წარემართებოდენ. ჩვენ, ბრძანებისაებს თქვენისა, კვალადცა არა ვაწადებთ მტერობად ქვეყანასა ხალციხისა და ყარსისა, და მარადის მსუბუქს ჯარს გვგზავნით, და რომელსაც მტერობას შეიძლება — რბევითა და წარმოტყვევებით შეცადინებენ. სარწმუნოდ ბრძანებოდეს თ. მ. დ. ბ. რომ ჩვენ მიერ უმადლესსა კარსა და ამა მცირესა დროსა შემდგომად, უკეთუ ბრძანებისაებრ დ. მ. იანარაღ მართრი იმედად ჩვენდა იქმნება და ან კიდევ იმერეთის მფლობელნი ჩვენდამო ერთობასა ახვენებენ მ. ი. დ. სამსახურისათვის, და ესეცა მოკსენდეს თ. მ. დ. ბ. უკეთუ არცა იმერთა მფლობელთა ინგობოს ჩვენთანა თავის კამანდით შემოერთება, რომელიც ღვთით ჩვენგან შეიძლება მ. ი. დ. ბედნიერობით თუ როგორ მოვინდომებთ მტერობას ოსმანთა მიმართ, ყოველივე მოკსენდება უმადლესსა კარსა, და წარმმართებელი საქმის ყოვლად ძლიერი დმერთი არს.

თ. მ. დ. ბ. მოკვლად ჩვენს ჩემთვის უმადლესნი მოწყალებანი ყოვლად მოწყალების კელმშითვის იმპერატრიცასნი, რომელიც ებოძეს წმიდისა მცტიქელისა ანდრია პირველ წოდებულისა ორდენი, რომლისთვის მდაბლისა და განცხრომილისა გულითა მმადლობელნი მათსა ყოვლად მოწყალებასა სრულისა მადლობითა ვმადლობთ, და ეგრეთვე გმადლობთ თქვენცა სრულისა ერთგულებითა.

ხოლო ვინათგან ჩვეულება არს ამისებრითა ბედნიერ შემთხვეულებითა ძლევათ შინა, რათამცა თვისსა ყოვლად მოწყალებასა კელმშითვეს მძღენი ნიშანთა ძლევისათა მიაერთმიდენ, ამისთვის წარმოიფლინა ჩვენ მიერ ტყვენი ბრძოლათა მათ შინა ჰერომილნი — ოსმანი ორი და ლეკი ერთი, რომელიც გზის სიშორისთვის კმასაყოფლად აღგვიჩნდა, და აგრევე ბრძოლისა საჭურველნი და დროშანი მათნი; რომელნიც მოერთმის უმადლესსა კარსა კნიაზ სვალ ორბელიანის კელით, რომელიც თვით ბრძოლათა შინა დამსწრე არს და მკნედ გარჯილ. დასასრულ ამის ვითხროვ თ. მ. დ. ბ. რომ ჩვენგან მართმეულის წიგნებისა, რომელიც კნ. გრი-

გორი ხვაბულაფისგან და ახნაურის იაკორ სათანაილაფისგან მოგერთმისთ, და ანუ რომელი ან მოგართუთ ამათი ჰასუსი მალე გვებოძოს, რომ ჩვენი ყოფლად სასურვი მ. ი. დ. ყოფლად მაღალი ბრძანება მტერთა მიმართ ბრძოლა (ისა) არ დაეცადოს ამისგან უფრო.

დაიწესა ქალაქსა ტფილისს. იულისის 4 დღესა, წელსა 1770.

33. Д. VIII. 14 Июля 1770 г. Представление отъ царя Соломона имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 67.

მათის იმჰ. დიდ-მოწყალებისა განმარტებულსა ფრთესა საზოგადოთ ეთა მართლ-მორწმუნეთათვის შეფარებული და ედ განძლიერებულთა და მტერთა ჭეშმარიტებისათა დამამკობელთა კელთა შევრდომით თაყვანის-მცემელი, და მათის ბრძანების და წამისყოფის მადლობით, სინარულით და თაყვანისცემით სისხლათამდე მღწეული და აღმასრულებელი, და მათის ამაღლებულის და კეთილად წარმართებულის რასიის იმჰკრიასათანა შეერთებულ-აღრაცხილი — სრულიად საიმერეთოს მეფე სოლომონ I აღექსანდრესი ედ მოწყალესა დედასა ქრისტინეთა ერთასა და ჩვენი სამეფოსა ხსნისა და მაცხოვრებისა მათის უაღ—ბის კელმწიფობასა მსებებელსა მრავალგზით თაყვანისცემით მადლობასა და ქებასა შევსწირავთ.

რა თქვენი დიდ—ის უკელ—ბის მზისა უბრწ—სი შარვანდედი დახეულ-ბულსა ქვეყანასა ჩვენსა მოეფინა, სინარულისა და ბრწ—ბისა ჰორსიერი შემოსა, და მიერიდგან დუმნა მაჰმადიანთა აღზავებულება და საცთურინანი სილადისა რქა მათი შეიმუსრა. მანამდის ბრწყ. ღრთვი და ახოვანი მხედართ-მთავარი ძლევა შემოსილის და სამამცო სხეობით სრულქმნილის ჯარით იმერეთს ჩამობრძანდებოდა, მინამდის დიდად ვიღვაწე და ცუცხვათის ციხე 1770 წელსა, ხოლო თთვესა მისისა 15, და ამისა შემდგომად ქუთაისისა ქალაქიცა მიუღე მტერთა მაცხოვრისა ქრისტესთა ბილწთა ოსმანთა და მათშინა მეფისნი, რომელიც იძულებით გამოვიყვანეთ, რომელთაცა ქრისტინაობა ინებეს, განთავისუფლდენ სრულიად, და რომელთა აჩა, ვითა მათის დიდ—ბის იმჰ—ისა მიერ გვებრძანა ეგრეთ განვაცეთ. და რა ბრწყ. გრთვი იმერეთის ქვეყანას მოიწია უძლეველის ჯარითა, მაშინვე წინ მივეკებენით და ბაღდადის ციხეზე მივიყვანეთ; და მისვლასავეთანა ყოველივე მათი ძლიერება შეიმუსრა, და მათის ციხის სიმყარე დაეცა, და მუისვე დავიმორჩილეთ, მაჩა ბრწყ. ღრთვისა, რომელიცა მათის დიდ—ბის იმჰ—ბის უკაზითა გვებრძანა უაღრესად და უწარმატებულესად სახელაფანად გამობრწინდა და მისი მკედართ მთავრობისა ძლიერება სახელაფანად წარმოაჩინა. შემდგომად ამისისა მოფედით ქუთაისის დაწაშეთენსა ციხესა და მოვადგით, და შორაჰასს ჩემი

ჰარნი ადრიდგანვე ადგა, და მათი მოუძღურება ვისმინე, წავეღ სწრაფათ მხოლოდ ჩემის ჰარით და იგიცა დაუყოვნებელად ავიღე, და აწ ქუთაისს ვადგივართ თქვენის დიდ. იმჰ. დატულნი და წარმატებულნი; და ორისა, გინა სამისა დღისა გაძლება არც ამათ ძალუტთ, ხოლო ჩვენს, რომელიცა უყოვლადმოწყალესის ბრძანებით გვებრძანა და გამოგვეცხადა — უჟამიერო და საუკუნო წყალაბა, — ვითხოვთ ჩვენის თხემისაგან აღუხდელობასა და მათის უდიდ — ის უკელმწიფესობისაგან საუკუნოდ დატულობასა, და მათის დიდ — ბის იმჰ — ბის წარმატებისა და ერთგულებისა წეღთისა იგიცით დამამტკიცებელნი და კელისმოწერით აღმარსულებელნი უგალობთ და განვადიდებთ მათსა უდიდ — ბით დატულებსა უკელმწიფესობისა მათისასა უკუნისამდე.

ადიწკრა ქალაქსა ქუთაისისასა. 1770 წელსა, ხოლო თთვესა იულისსა 14.

34. Д. VII. 14 Июля 1770 г. Письмо царя Соломона къ гр. Н. И. Панину.

ყოვლისა საიმერთოსა მეფე სოლომონ ალექსანდრესი მოწლითა და აღტყინებულისა გულით საუკუნოსა დაუფიწებლობასა და ჩვენ შორისა სიყვარულისა დღითი დღე უმჯობესად წარმატებულობასა ვითხოვ. რა მათი დ. ი. შარავანდედნი მოეფინა წარმართთა მიერ დაბნელებულსა ქვეყანასა ჩვენსა, მიერიდგან განიყარა ნისლი უღთობისა მათისა და იწყეს აღფხურად ქალაქთა და ციხეთა მათთა, და ვითა ძალგვედგა ვიდვასწით მათის ი. დ. ბრძანებითა და შეწევნითა. და მანამ ბრწყინსა ვალე ღრბი იმერეთს მოვიდოდა ტუტხვათის ციხე ავიღეთ, შორაზანს ჰარნი შემოავაყენეთ და ჩვენ უჩხუელესის ჰარითა ქუთაისის ქალაქს მოვადეგით, და ქალაქსა უოჟელიფე, გარდა ციხისა, ავიღევით, და მრავალნი სულნი გამოვიფანეთ; და რა შელთაცა ქრისტიანობა აღიჩინეს — ნება მივეცით და რომელნიმე, ვითა მათი ი. დ. უკაჩით გვებრძანა, ეგრეთ ჯეროვნად განვაგეთ. ჰარის ბრწყინსა ვალე შეკდართ მთავარი ღრბი იმერეთის საზღვარზე მოიწია რჩეულისა და სამკედრო მეცნიერების წურთილითა და კელოვანის ჰარითა, ჩვენ აქედამ მხიარულითა გულითა წინმივეუტებენით, განვიზრახეთ და ბაღდადის ციხეს [შემოვადეგით], და მათი ძლიერება და აღზვებულებისა რქა მაღიად შეიმუსრა და ციხისა სიმყარე მუის მოუძღურდა, დაუყოვნებელად და დაუხანებელად ავიღევით, და, ვითა მათი ი. დ. უკაჩით გვებრძანა, მისი შეკდართ მთავრობის სიქველე უმკნესად და უწარჩინებულესად გამობრწყინდა; და განსწავლულის ჰარის სიმხნესიამაყემან ოსმანთ განლაღებული გული ცვილებრ და აღნო და მიწისაებრ დაამდაბლა. წამოვედით მუნით ძლევისა გალობისა მეტუველნი და ქუთაისის ქალაქისა დანაშთენსა ციხესა მოვადეგით, და შორაზანს, რომელი ჩემი ჰარისა მიერ ადრიდგან მოტულ იყო, გამოჩხუელის ჩემის კაცით წავეღ და იგიცა

მისვლასავე ჩემსა ავიდე. და აწ ქუთაისს ვიმყოფებით მაგრად ციხისა შემოზღუდულნი და მათის ი. დ. ტეშარიტის ბრძანების და საუკუნოს აღთქმის მარადმხედველნი, და საუკუნოდ მათის უდიდებ. ხელმწ. განსძლიერებისა და ერთგულობისა წინაშე ღვთის ფიცითა მტკიცითა და ხელისწარწერითა ვიდრე სისხლთადმდე მღვწელნი, და განვადიდებთ მათს უფოვლად უმოწყალებობასა უკუნისამდე.

აღიწერა ქალაქსა ქუთაისისასა. 1770 წ., ხოლო თთვესა იულისსა 14.

უფლისა საიმერეთოსა მეფე

სოლომონ ალექსანდრესი.

35. Д. VII. 1 Августа 1770 г. Письмо Арагвскаго Моурава Каих. Чолокашвили къ царю Ираклію.

ჩემს უფლად მოწყალებ კელმწიფეს მეფეს ქართლის და კახეთისას ირაკლის უმდაბლესად მოვასენებ.

თქვენს სიმაღლეს კეთილად მოქსენება ღწაფი იანაწალ მაიორი ტოტლეუბნი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო უფლის ფრით რაჭვი მქონდა, და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაჭ თქვენი წყალობა ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვეცხლი, ან სახლის მოფეუნლობა, ან ტანი, ან ფეხი, და ან ცხენი და იარაღი მქონდა და მეფანდა ჩემის სახლობისა აღაწაფერი დამჩნომიარა, და ეს ვედრება მაქვს კელმწიფესთან, რომ ამისი წამალი დამედვას რაშე: რა რომ მათის ი. დ. უფლად მოწყალის კელმწიფის იმპერატრიცას ბრძანება მოსულა და თქვენის სიმაღლისაგან იმათი ერთგულება გამოცხადებულა, მას აქეთ, თქვენის ბრძანებით, მათი და მათის ი. დ. ჯარის ერთგული და დიდად გარჯილი მოსამსახურე ვყოფილვარ.

თქვენს უმაღლესობის უმარჩილებულესი მოსამსახურე მოურავი არაგვისა ქაიხოსრო ჩოლოყი.

აღიწერა აგვისტოს 1, წელსა 1770.

36. Д. VII. 7 Августа 1770 г. Письмо царя Ираклія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 216.

ჩვენგან გამოგზავნილნი კურიელები მ. ი. დ. უმაღლესს კარს რომ წარმოივლინენ, ვინაჲთგან იანაწალ მაიორისაგან ჩემზედ მტეობა გამოცხადებული იყო, მაშინ წერილებითა და საქმითა ზოგი ციხეები წართმეული მქონდა იმისგან

და სოკი მასუკან წამართო, ზარბაზნები დამიმტვრია და რაც წამალი მქონდა ანა-
ნურის ციხეში სრულიად გაიტანა ვიდრე ორას ფუთამდე, ამასგარდა იმ ქვეყნის
კაცნი თუ სადაც ქართლში მივიდა, თავადები და იმ ქვეყნის კაცნი სოკნი რომელ-
ნიმე დააფიცნა; და იმ ციხეების წართმევის უკან მასუკან გოჩის ციხესაც მართ-
მევედა, მაგრა, ვინათგან მ. დ. ბრძანება არ ჰქონდა, იმ ოთხის ციხის წართმევა კი
დაუთმე, და გოჩის ციხე კი აღარ დავანებე; თუმცა ის ფიცი და ჩემს ციხეებში
მ. დ. ჯარის დადგომა ჩემი სისიამოვნოც იყო და ჩემი სისხლიც მ. ი. დ. სამსა-
ხურზედ დასადებლად და სასურველად მაქუს, მაგრამ რადგან ჩემი ერთგულება
მ. დ. მიმართ ბრწყინვალედ აღმოჩენილ იყო, ჩემ მეზობელთა წარმართთა ამაზედ
რომ ნიშნი მომიგეს და ჩემს ქვეყნის კაცთაც ვათ დაინახეს,—ამისთვის წუხს ჩემი
გონება. ამ საქმეებს რომ მოქმედებდა იანაქლალ შაირი მე კიდევ ჩემი თანამდებობა
ეს მეგონა და დიდი წადიერება მქონდა, რადგან ორთავე კურთხელები უმადლეს
კარსა გვეყვანდა გამოგზავნილი და ჩვენი საქმეები მოგსენებული გვექონდა, და
მ. დ. ი. რასაც გვიბძანებდა, ის სრულიადის დამორჩილებით მიგვედო, და მანამ-
დის ერთმანერთი ფიცის სიმტკიცით დაგვემტკიცებინა; და ბრძანებისაებრ მ. დ.
არ დაიჯერა, არამედ უმეტეს მტერობაც გამომიცხადა, და რომელიც ყოფლად მოწ-
ყალის კელმწიფის ჩემზედ ჯარი და წყალობა იყო ბოძებული, ისიც მიმტაცა და
იმერეთად წაიყვანა.

გვალად ამასაც მწერს, რომ შენ საქართველოში შეწევნას ვერ მოგცემ და
არც მოგეხმარებიო, თუ არ ოსმალთ ქვეყანაშიო. ეს ჩემის ქვეყნის კაცთათვის
დიად ავი გასაცონია და სასოწარკვეთილებას მისაცემი უიმედობა არის, თუმცა
ღვთისაგან და ყოფლად მოწყალის კელმწ. არათუ სიტყვისაებრ იანაქლალ შაირისა
მოველით, არამედ უმეტეს მოწყალეებსაც ვისარებთ ღვთისაგან და მ. ი. დ. და
იმის სიტყვას უმადლესი კარი უმჯობესად გასინჯავს.

და ეს ჭკუშმარტი მოგსენება არის: თუ დიდებული რუსეთის კელმწ. ჯარისა
და ძალისა სასოება არ გვექონდა და ან არა გვექონდეს საბოლოოდ, ჩვენგან ხვან-
თქრის ჯარისა და ქვეყნების ბრძოლა და მტერობა შეუძლებელ იყო, რადგან ამის-
თანას შიგონის მიმცა და მომადინა ჩემს სასურველს მ. დ. სამსახურს რამდენ-
სამე ხანსა; რადგან შეძლება ჰქონდა ჩემს ქვეყნებს ოსმალთ მტერობისა კიდევ
ვეცადე, რომლისა თვითმხილველ და გამგონე არს კნიაზ მოურავოვი სოვეტნიკი,
და ამ დროსაც ღვთით მსაძება გვაქუს ოსმალთ სამტროდ აგრიადის მოსწრა-
ფებით. და რამდენსამე დღეში ყოზღარის კამენდანტის წიგნები მოგვივიდა: დაღესტ-
ნელნი ემზადებიანო. თუ ესენი წამოვიდნენ, ჩვენის გასინჯულობით, ან იმერეთსედ
წავლენ, ან ახალციხის შესაწევნელად მივლენ და ან ჩვენსედ მოვლენ, და ამ ცოტას
ხანობით იმათის საქმის მაყურებელნი ვართ; თუ მოვლენ, შეძლებისაებრ ღვთით
იმათს მტერობას ვეცდებით, და თუ არ მოვიდნენ ღვთით დაუყოვნებლად ჩვენ
მტერზედ წავალთ.

თ. მ. დ. ბ. ეს მოხსენდეს: თუ თანამდები არ შევიქნები ამ გვარის საქმისა

ჩემის სვინიდისით, დიდად შეხარება თქვენი თავის წყენა, მ. ი. დ. უბრძანებია, რომ ეს მეორე წელი მიდის აქეთის მჭხრის ქრისტიანული ჭეშმარიტის შეერთებით შევერთდეთ და ოსმალთსედა მტერობა და ბრძალა აღვადგინოთ, და თვით ჩვენსედა ბრძანებულ აჩის და იანარალ მაიორ ტოტლებენსედა და ნადგორნის სოა ვეტნიკს კნიაზ მოურაფაფსედა, რომ იმერეთის მიფლობელნი ამ კეთილს დროს ვეცადნეთ, რომ შევარიგოთ: და შარშანდელთაგან აქამომდე მ. დ. უკაზით ბრძანებოსაებრ მრავალჯერა და მრავალჯის ვეცადენით შეთვის სოლომონთან, რომ დადიანს შერიგებოდა, და არ ინება მეფემ სოლომონ, მიზეზი ეს იყო, რომ მამულები უნდოდა მეფე სოლომონს დადიანისთვის წასარათმეველად და ერთმანერთთან სხვა ძველი მტერობაც ჭქონდათ. შარშან, მ. დ. ბრძანების შემდგომად, ჩემთან მოვიდოდა, რომ თავისი ძმა უმადლეს კარს გამოეკვანას, მაგრამ რამდენიც ეცადა, გზა არ დაანება და არ გამოუშვა მეფემ სოლომონ ჩემთანა, და არც იმისი კაცი და წიგნი გამოუშვა ჩემთანა. მტრის ქვეყანაში ასპინძის ჩვენგან ოსმალსე და დადის ტონელთსედა გამარჯვების მეოთხეს დღეს დადიანთან ერთი ჩემი კნიაზი გავგვანა და მ. დ. უკაზის პირიც თანგაგატანე, რომელიც რომ ოთხს იმერეთის მიფლობელთათნა მიწერილი იყო, და არც ის გაუშვა; და იმისის ძმის უწმიდესისაგან მიწერილი წიგნი, რომელსაც რომ თავის ძმას არჩილს სწერს, ისიც მოგვიერთმეგია. და მე გაგვირგებულ ვარ ამასედა, რომ მე შეზობელი ვარ და ჩემი კაცი და წიგნი არ გაუშვა, და ეს მტირე საქმე აჩის ჩვენდა მომართ, მაგრამ მ. დ. უკაზს როგორ ჭკადრს და ბრუნება! კვალად მე შარშან დადიანისათვის მიმაცემინა და შეურიგდა, ის ჩემგან მოცემული საფიცრის წიგნი რომ მიქონდა, მათ შორის მიცემული, ის მრავალჯერ გამიტებს; დიად ფრიადის ვედრებით ვევედრე, რომ ის მშვიდობა იმათ შუა არ დაეკრღვია, მაგრამ სრულიად არა მიეღო ჩემი სიტყვა. ეს სიმაართლით მოხსენება აჩის: თუ ორნი მიზეზნი არ მაყენებდენ, ერთი—ქრისტიანების დაკოცა და სისხლის დაღვრა და, მეორედ, მ. ი. დ. ბრძანება, რადგან გვაქუს, რომ ოსმალთ უნდა ვებრძოლოთ, და ესოდენს წყალობასაც აღგვითქუამს თვისის ი. დ. უკაზში, და მე რომ ეს ბრძანება გამეშვა და ქრისტიანების სისხლი დამეღვარა და დამეტუეეკებინა, — უსვინიდისობა მეკონა ჩემგან; ვიცი მ. დ. საწყინო იქნებოდა, თვარამ, როგორც რომ ზეით სიტყუაში მომხსენებია, მე ამას იმას არ დაუთმომდი. მეფე სოლომონს, განცხადებუღია, რომ დადიანი დასახარავად და წასაკდენელად უნდა, რომ მადლის კარიდამ დაჭკარგოს, და რომლისაც თანამდებიც აჩის — მართლმადიდებელს რუსეთის მონარხის სამსახურის მაგიერად ყოფლად მოწყალეს კელმს წიფეზედა ორგულად დახანარჩინოს, მაგრამ ჩემის ჭეშმარიტის ერთგულობის გასინჯულობით უმჯობესად ამას ვგონებ, რომ მადლის კარიდამ დადიანს ყოველთვის სამსახური განთვისებით ებრძანოს—ან ძმა დაიბაროთ იმისი და ან ერთი რჩეული იმისის კნიაზებიდამ, რომ რაც ჭეშმარიტი და სიმაართლით მოხსენება ბელი რამ ჭქონდეს უმადლესმა კარმა ყველა მიწეგნით მოხსენოს, და მასუკან ნებისაებრ მ. დ. განგოს.

არაგვის მოურავი ქაინოსრო თუ ვითარის სახით აიკლო იანაძალ მაინმა, და ან იმის აკლებასი ერთი კნიაზი მოკლა, რომელიცა უწინარეს ამისსა მოფახსენეთ თ. ლ. ბ. რომელისაც მოხსენება წერილით არაგვის მოურავისგან აწ წარმოგვივლენია უმაღლესსა კარსა და ფრიად მთხოველიცა ფართ თ. მ. ლ. ბ. რომ დიდი გარჯილი და ნამსახური არის მ. ლ. ჯარსედ, და მოიკითხოს მ. ლ. იმისი ამ სახით წახდენა, და ვითხოვთ, რომ რაც წაჭკდენოდეს ისევე მიეტყოს. ჩემგან კნიაზ არაგვის მოურავს ქაინოსროსთან რამდენიმე მიწერილი წიგნები იმის აკლებასი რომ უბოგნია იანაძალ მაინოს და უმაღლესს კარს გაუგზავნია, რომელისაც პირები გარდაეწერა და ჩემთვის გამოგზავნა, და ესენი არიან რომელნიც რომ უმაღლესს კარს მიერთების ჩემგან, და ჩემგან მასვე არაგვის მოურავთან სხვა წიგნებიც იყო მოწერილი ამ წიგნების წინათ და უკან, — ისიც უნდა მოერთმევიო იანაძალ მაინოს, მაგრამ რადგან მე შემტყრება, თავისის გასინჯულებით ცდილობს, რომ ვითამ ერთს სიმტყუფნეზედ დამდვას მე. და ესე გასინჯეთ ესე: როდესაც ღრატ ტოტოლებენი აწუჭრიდამ იმ სახით რმიდამ გამოგვიბრუნდა მე ყოფლითურთ მ. ლ. დამნაშავედ მგონია ჩემის და ჩემის ჯარის მტრის კელში მიმტყმლად, რადგანც ღვთით და მ. ლ. ბედნიერობით მტრის ქვეყნებში გამარჯვება მოგვეცა, და იმისი არ ვიცოდით — თუ რას იმოქმედებდა, და ჩვენ არაგვის მოურავს მივსწერეთ, რომ ჩვენს უკითხავად არაგვის გზაზედ არავინ გაეშკა, და მისთვის შევანახვინეთ გზა: არც იმისი კაცი და არც სხვა არ გამოვამეგობინეთ — ტყუილი ჭამბავი და ავი არავის წამოეღო, და რთხს და ხუთს დღეს უკან ბძანება მივეცით, რომ იმისი კაციც გაეშვათ და სხვა მგზავრიც. შოგლუკოვისა რომ სწერია ამავე წიგნში — მართალია გამოქცეულ იყო და ჩვენთან მოვიდა, და ის ფრიადის ვედრებით შემოგვედრებდა, რომ იმისი საქონელი ჩამოგვეტანინებინა, და ღრაფი რადგანც რომ სამტყროდ იყო აღძრული, ამისთვის შოგლუკოვის ბარგის საიდუმლოდ წამოღება მივწერეთ მოურავს, რომ ჩემს და ღრაფის კაცებსა ჩხუბი არ გამოეყოდათ. გვეწადა, რომ თავის საქონლით უმაღლესს კარს გამოგვეგზავნა, ვითაც ალვასრულეთ და გამოგვგზავნეთცა. ვჭკონებთ ღვთის მოწყალებით, რომ ამ ჩემს წიგნებს ბრალი არა და ედვის რა.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. აგვისტოს 7 დღესა, 1770 წელსა.

37. Д. XV. 27 Августа 1770 г. Письмо царя Ираклия кн. А. Р. Моуравову. Пер. т. I. № 67.

უწყის უბრწყინვალესობამან მადლისა დრატობისა თქვენისამან—მრავალი წელიწადი არის საქართველოს აქვს ვედრება და მიმართება რუსეთის დიდის ხელმწიფისა, რათამცა ძალითა და სთვარველითა მოწყალეებისა თვისისათა შემოზღუდოს და დაიფაროს, და განცხადებულად ყველასთან აღმოჩნდეს, რათამცა მიღებულ ვიქმნეთ მოწყალეებასა ქვეშე დიდებულებისა მისისა, და რადენ გვაქვს შეძლება სამსახურისა, და ვითარებაცა მისი ალექსიითა გამოგვიცხადებია, და კვლად აგრეთვე თხოვნა-ვედრებაცა ჩვენი მოგვისხენებია ცალკე წერილით თვითოეულად თქვენის მადლ დრატობის ბრწყინვალეებასთან, რომელსაც მოგართმევენ თვით ჩემი ძმა უწმიდესი და ძე ჩემი ლეონ, და ვითარცა თქვენის ჩემდამი საწმუნოს წყალობისა გონებისაგან, რათამცა ღვთისათვის და მართლისა საწმუნოებისათვის წინაშე ყოფლად დიდებულისა მონარხისა მეოხად აღიძრათ ამათ მოერთმეულისა მოხსენებულისა ჭაჭრისა ჩვენისა, და აღგვისრულდეს შეწევნითა თქვენისა მადლ დრატობის ბრწყინვალეებისათა წადილთ-სათხოვნელნი იგი ჩვენნი, და დაგვადვათ ვადი ჩვენ და ჩვენსა სამეფოსა თქვენის სამსახურისა.

მეათექვსმეტე თვე არის, რომ უმადლეს კაცს ჩვენი აზნაურშვილი გამოგვგზავნეთ და ჯერ ვერ შეგვიტყვიან—დასტური ბოძებია, თუ არა.

54. Д. IX. 1771 г. Письмо царя Ираклія къ Ст. Сов. Петру Васильевичу (?).

მადლშობილს და მადლ პატივცემულს უფალს სტატსკი სოფეტნიკს; ჩემს კეთილ საიმედო მეგობარს პეტრე ვასილიჩს.

მარადის თანამდებად ჩვენდა უწყით, რათამცა მათის იმპ. დ. უმადლესს კაცსა მოსახსენებელი ნუყდა გვაქმნდეს რა, თქვენს მადლშობილებას კეთილ მეგობრობისა სანით გამოუცხადოთ, და რადენ პატიოსნებასა და ყოფლად მოწყალის კვლამ

წიფისა თქვენსა ერთგულობასა შეენიღეს, ეგრედ შეწევს ჭყოთ ჩვენთვის, ვინათ-
გან ქრისტიანენი ვართ და უერთგულესნი მონანი უოვლად დიდებულისა მონარხის-
სანი.

აქაურნი საქმენი რომ უოველივე მახსენებული გაქვსთ; და აწ წარმოიგ-
ზაფნეს ჩვენ მიერ უმაღლესსა კარსა მათის ი. დ. უოვლად მოწყალის კელმწიფისა
თაყუანისსაცემელად ძმა ჩემი, ამისი უწმიდესობა, და ძე ჩემი ლეონ, და ჩვენმიერნი
სათხოველნი და ვედრებანი ამით მიერ უოველივე განგეტყუდებთ; და კვლად ამას
ვითხოვთ მაღალშობილებისგან, წათა ვითა ჭშევენის ღთის მსახურსა გონებასა,
ეგრეთ შეგვეწიფნეთ, ჩვენის სათხოველისა კეთილ-წარმართებისა ეცადნეთ და ჩვენ
და ჩვენს ქვეყანას დიდი ვალი დაგვსდვათ და გვიმსახუროთ. სხვა რომელნიც ჩემნი
აზრნი დაჭბარებოდეს თქვენს მაღალ კეთილშობილებისადმი ჩემს ძმასა და ძესა
ჩემსა—ის კეთილად მოისმინეთ, და ამას დიად გვეედრები; და ჩემი ახლას ამ დროს
ებში უოველი საქმენი მომინდვია თქვენთვის.

**55. Д. VII. 27 Октября 1771 г. Письмо царя Соломона къ
имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 138.**

მათის ცაებრამაღლებულის იმზ — ის დიდ—ბის მონა, მეფე იმერთას სოლო-
მონ დავითიანი მრავალგზის სიმდაბლით თაყუანისცემასა და ჭება-მაღლობასა შევს-
წირავ! აწ ამას მოვასხენებ მათ დიდ—ის იმზ—ს დიდის მოკრძალებით და გამკაც-
რებით: რა იარანაღმა ალექსი სუხატინიმ ქართლით იმერთად გარდმოსვლას გამო-
მიცხადა, წაველ სწრაფით მხიარულ ქმნილი, და რომელიც შეწევსა შემეძლო ხა-
რითა, ანუ ცხენითა დაუბრკოლებლად და უგნებელად ჩვენს ქვეყანაში გადმოვი-
უვანე; მერეთ, რადენისაჲე უამისა შემდეგ ინება ფოთით წასვლას, და მე დიდის
ქენებით და ხვეწნით მოუშალე და ვაუწყე: ზაფხული არის და ფოთი დიდათ დამც-
დელი და საშმიანი ადგილი არის, როდესაც დრო იქნება და სნულები უამი დასც-
ხრება, გაუწყებ, მეც თანგამოგყვები, მივიდეთ, მოვადგეთ და რისაც ღონის-
ძიებით იუოს ავიღოთ მეთქი. მას ასრე მიზასუხა: შენ რაც ცხენი და ხარი, ან
იარაღი დაგვჭირდეს მოგვეც, და სურსათით კელი მოგვიმართე, და მე იმასედ
შეწევსას არავის გეხვეწები, და არც სიტყესა და ხაშმს დავეცი, სამს, ანუ შვიდს
დღეს დავდგებიო. რადგან ჩვენის დაშლით და ხვეწნით აღაროერი გაეწეო, რაც
გვთხოვას ცხენი, ან ხარი, ანუ სხვა საჭირო ნივთები კელი მოუმართეთ და სრუ-
ლებით მივეცით, და ჩვენც ჩვენის ჯარით ხსმანთ მოსასვლელს გზასედ დავდუ-
გით, და დაუმტკიცეთ, რომ თუ ოსმანნი თქვენზედ წამოვიდენ, ჩვენც მაშინათვე
მოგეშველებით და თქვენთან მოვსწყდებით მეთქი. წავიდა, მოადგა ფოთს და მრავ-
ალი ჯარი მოსწყვიდა გაუსინჯავად; დაუჭერებლობით; და როდეს მისი უკუმოქცევა
ვსტან, მეც დიდად ავად ვიყავი, და ჩვენც გამოვბრუნდით. მარა ჩვენი სიტყვებს შე-

უწყნარებლობა და ჩვენი თანგაყოფა ამისთვის არ ინება, ვგონებ, რომ მხოლოდ
 თავის სახელის განდიდება უნდოდა, და უღ დიდ—ს კელმწიფის ჯარისა და საზინი-
 სათვის არაფერი ეძება. რა ვქნა, არ ვიცი ჭ ტუდ? ძლიერს დმერთს ვფიცავ და დიდუ-
 ბულს კელმწიფეს, რომ დიდად მრცხვენინან, რომ ამდენი ხანი არის ამისთანა საკვირ-
 ველი ჯარი აქ არის და, ჩემის უბედურებით, ერთი კელმწიფესთან გამოასხენი
 საქმე ვერაფერი ვქმენით; მარა თუ მათ დდბის იმპ—ს უკაზის ბრძანებას არ ისმე-
 ნენ, და რომელიც უმჯობესის გზების ჩვენება და მისვლა გვბრძანებია არ დაგვი-
 ჯერებენ,—რა ვქნათ? ჩვენი ბრალი აღარ იქნება; თუ უღ მოწყალის უკაზის ბრძა-
 ნებას არ ისმენენ, ჩვენ ვილა დაგვიჯერებს? მარა ეს უფროსად მიკვირს, რომ
 ბრალს ისევ ჩვენ გვდებენ და საგინებელსაუფედრებელ წიგნებს ჩვენვე გვწერენ!
 რადგან მათის ამალგებულის კელმწიფისაგან მეფედ გამოილი ვარ,—ესე უსამართ-
 ლოდ გინება არა ხამს, თვარაწნება კელმწიფისაა. სხვას ამას ვევედრები უღ მოწყა-
 ლეს კელმწიფეს დიდის ვედრებით და ღმობიერის ქენებით, რომ წყალაბა ჭყოს
 და ტყვისა და წამლის ბოძება ინებოს: თუ ავიღე ფოთი ჩემის ქვეყნის კაცით,—
 საქმე შემძლება და ხელმწიფის ერთგული ვყოფილვარ სრულის გონებით და არა
 ცრულ მოლაპარაკე, და თუ ვერ ავიღე, ჩემი სიტყვა შესაწყნარებელი აღარ იქნება,
 და ვითა გენებოსთ, ეგრეთ ჭყავთ. ეს თხოვნა იარანალსაც გამოუცხადე, მაგრამ
 დამაბრკოლა და არ ინება, და ახლა უღ დიდ—ს კელმწიფისთვის მოგვინსენებია,
 და ნება მათი იყავნ ყოველსა შინა. და სხვას ჩვენს სიტყვას ყოველსავე მათის
 დიდ—ს იმპ—ს წინაშე ჩვენი აზნაურშვილი იოსებ გამოაცხადებს.

აზის ბეჭედი წარწერით:
 სოლომონ, დავითის ნორჩი,
 ჯვარით მტერს მოვგრჩი.

ოკდომბერს 27, წელსა 1771.

56. Д. VII. 1771 г. Договоръ, заключенный владѣтельнымъ
 кн. Гуріи Маміей и его подданными съ царемъ Соломономъ. Пер. т. I.
 № 125.

ქ. თავად დაუსაბამოსა ღთსა და შთა სათნოთა ღთსათა თავდებობითა ესე
 უხერხო, უტყუელი, შეუცვალბელი წიგნი ფიცი და საფიცარი მოგართვით თქვენს,
 ჩვენს კელმწიფეს, ბატონს მეფეს სოლომონს ჩვენ გურიელმან მამიამ და შე-
 მოქმედელ მიტროპოლიტმან ნიკოლოზს, ერისთავმან დავით, თავდგირიძემ
 მამუკამ, მაჭუტაძემ იოსანემ, ნაკაშიძემ გიორგიმ, თანდარუს საყვარელმა,
 გუგუნავამ, ჩითან შალიკაშვილმა, როსტომ და კიდევ როსტომ, და ერთო-
 ბით ყოვლანამ, და ჭყონიამ ერთობით, ჯაყელმა ზაალ, და ერთობით ლესეურს

ლებმა, ერთობით ასკანელებმა, ერთობით ჩხატლებმა, და ერთობით გურულელებმა, — ასე და ამა პირსა ზედა, რომე დიდებულის ედ მოწყალის კელმწიფის ჯარსედ უსჯულანნი აჯარინნი საბრძოლად წამოვიდნენ, თქვენც ჩვენ ქვეყანაშიდ აჯარინთ საომრათ: ჯარითა მობრძნდით და ჩვენი ქვეყანა დიად უთავდარიგოთ ნსეთ, ამაზედ გაგვიწყერთ და დაგვიძეველეთ, და ყველანი დიდებულის ედ მოწყალის კელმწიფის ერთგულებაზედ შეგვიფიცეთ: ასე პირება მოგვიერთივეთ: თუ წმინდის გულის თქვენი ერთგული არ ვიქნეთ, უსჯულან მტერსედაც რაც შეგვეძლოს არ ვემტერეთ, თუ ვერ შევიძლოთ, თქვენ არ მოგახსენოთ, ედ მოწყალის კელმწიფის და მისის ჯარის რაც შეგვეძლოს არ ვქნათ, — შესვენებული ვიყოთ წმიდის სამებისაგან, შვიდის კრებისაგან, ოთხის პატრიარქისაგან და თორს მეტო მოციქულთაგან, ჯერ ედ მოწყალის კელმწიფის დალატად მან კელმწიფი მოგვიითხოს და მერმეთ თქვენად სიკვდილად თქვენის რისხვით გაგვიკითხეთ.

გურიელი მამია, და ათამდინ ჯვარი უზის.

57. Д. VIII. 1771 г. Представление отъ царя Ираклія имп. Екаторинѣ II.

თქვენის ედ დიდებულებისა ჩემზე უღირსი ზეკარდამოებრი წყალობა—არა დენი წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველ-წოდებულისა ბრილიანტისა ყოვლად მადლობით მივიღეთ, თუმიცაჲ შესაბამ ვერ შესაძლებელ არს ჩუზნდა მადლობაჲ, ვინაჲდგან ესოდენ მადალ არს საიდუმლოჲ მოწყალებისა ედ დ. ი. თ. რომელ მსხლობელთა და შორიელთა სწორადრე განუყოფს შიფენასა ღვთაებრთა შარავან-დელოსა, და ამისადავი იწრო არს გონებაჲ შესაფერ მადლობად, ვინაჲცა ვმადლობთ სიტყვით და გონებით, და, რადგენსაც ვერ შემძლებელ ვარ თქმად, ღუმილთ ვმადლობთ საიდუმლოსა მას მოწყალებისა ღვთაებრისასა, რომელ ყოვლად აღსცალდების გონებასა ძალი საიდუმლოჲსა მოწყალებისა ედ დ. ი. თ.

და ვინაჲდგან ბრძანებულ არს თ. ი. დ. რათამცა იმერეთის მეფისა და დადიანისა და სხვათა ურთიერთას დაგებად, და ქრისტიანეთა მტერთა ზედა ერთგობით მტერობად, — რადგენ ჩვენგან შეიძლებოდა, ვეცადენით დაგებად და განმტკიცებად მის მათდა, მაგრარ ინებეს დაგებად: კვალად ღენარალ მაიორისა და ჩვენისა სურამს ერთად ყოფასა შინა უწმიდესი კათოლ. იმერეთისა მოვიდა. მისის სიტყვისა და საქმისა გვარს, და იმერეთისა ჭამბავს სრულებით, რომელნიც თანამდებნი იყვნენ მოსხენებისა თქვენისა, უმადლესსა კარსა მოახსენებდნენ, და კვალადცა შეძლებსაებრ ურთიერთდა მიმართ მათსა დაგებას თ. დ. სამსახურსა ზედა.

და კუალად ჩვენ და იარსნალ მაიორი რაგვარდაც მტერსედ წავედით, და რაგვარიც მგზავრობა გვაქუნდა, და ან მტრის ციხეს აწყურს რომლის სახითაც ვებრძოლეთ, და ან იარსნალ მაიორი რა დროს გამოგვეპარა ჩვენს შეუტყობრად,

და ან, ღვთით და თ. დ. ბედნიერობითა, როგორც მივედით მტრის ქვეყანაში — ესე უოველივე ვრცლად პირველს მინისტრის წიგნში განგვიცხადებია, რომლის დამსწრე არის თავადი მოურავოვი და რამდენიმე რუსნი, და ყასახნი თვით თვალთა თვისითა არიან მხილველნი, და ესე არა თუ ძალითა ჩვენითა იქმნა, არამედ ღვთის საგან და დიდებულებისა თქვენისა ბედნიერობისაგან.

თ. ი. დ. შარქსანდელიდგან რამდენჯერმე აქეთმხრისა მყოფთა ქრისტიანთა გებრძანა მატყაღიანთა, ოსმანთა, მტერობა, რომელიც ჩემთვის სატროფიალად სსქმე არს: რომელიც შეძლება მაქჟნ სიმატლით მოგახსენებ კარსა, რომ არც თქუწნის დიდებულების სამსახურისათვის ჩემი თავი და ქვეყანა დამიცავს, და არც შედ ვრიდებ თავსა ჩემსა თქვენს ყოვლად სახალისოსა სამსახურსა ზედა, და რამდენჯერმე მტერსა ზედა ყარსისაკენ ყოვლითურთ სრულად მტერობა გამოვანინე, და ახლა რაც ახალციხის ქუჩუყანაში ღვთით რაც მოხმადიანთ სისხლი დაიქცა ჩვენგან ამ საქმეებით, რომელნიც ჩვენნი მეზობელნი ჩვენგან ზოგნი კეთილის მოქმედებით და ზოგნი ძალით ჩვენთან დაგებულნი იყუნენ, და როდესაც თქვენი უმაღლესი ბრძანება მოგვივიდა მოკმადიანთა ზედა მტერობისა ღვთითა და თ. დ. ბედნიერობით სსქმით აღვასრულეთ, და მათზედ ჩვენ ყველასზედ გელი ავიღევით, და ყოველნი ამ საქმეების შემდგომად მესისხლედ თვისად გუხადიან, და აღარივინ გვეგულება ჩვენდა კეთილისმოქმედად ყდ ძლიერისა ღვთისა და თ. დ. კიდე, და კმასყოფელია ეს სასოება ჩვენდა, და უიჭველად გუჩუწამს თ. ი. დ. ბრძანება, რომელნიც ყდ მოწყალებითა თქვენითა ჩვენდა სასოება გიბრძანებიათ, რომ მას რადის დაუგდებელნი ვიქმნებით ყოველსა დროსა.

58. Д. VIII. 19 Декабря 1771 г. Письмо царя Иранлія къ гр. Н. И. Панину.

თქუნს მ. დ. ბ. მოჭხსენდეს თანამდებად ჩემდა მგონიერ, რათამცა დროსა შესდომასა სსქმისასა აქაურნი ჭამბავნი უმაღლესსა კარსა, რომელნიცა სათანადუ ბოდ ჩემდა აღმოჩნდებოდეს, მოხსენება ვჭყო: ხლთა წელსა, ივნისში იაზიკოვი რომ წარმოვიდა იანარაღ მაიორის სუხოტინისაგან, აქაურნი და ჩვენნი სსქმენი სრულებით უმაღლესს კარს მაშინ უეჭველად მოჭხსენდა, და ამა ზემოხსენებულს პოლკოვნიერს მ. ი. დ. ჩუჭსგან მოხსენება და ი. მ. დ. ბ. წიგნი გამოვატანეთ, მაგრამ ველარ მოჭსწეოდა, და მასუკან მოზდოვის უფროსისაგან გამოგზავნილ იქმნა უმაღლესსა კარსა. და აწ ახლანდელი ჭამბავი ეს მოგხსენდესთ: ამავე წელს, ოკტომბერში, სერთვისის ციხისა და ქალაქის ალება როგორც მოჭკადა და იქაურნი ერნი როგორადაც წაკდნენ ჩვენის ჭარისაგან, ღვთითა და ყოვლად დიდებულისა და ყოვლად მოწყვლის გელმწიფის ბედნიერობით, ეს მოკლედ ივან ლუოვის წიგუნის პირით მდაბლად გუუწებათ. და ვინათგან ჩემის სიყრმითგან მსუროდა ყოფ

ლად დიდებულის რუსეთის დიდის მონარხის თაყვანისცემა და ჩემი და ჩემი სამეფოებისა შემოვადრება საფარულს შინა დიდებულებისა მათისა, მაგრამ ჩუქნის ქუჭუნის ვითარება და შესობლებისა ჩემისა ზოგისა რომელისავე სიავემ და მიზეზმა ამისი თავისუფლება არ მომცა, ჩემად ვაგვირად წარმოვგზავნე ძმა ჩემი უწმიდესი და ძე ჩემი ლეონ, ყოვლად დიდებულისა მონარხისა მონანი, და ყოველნი აქაურნი და ამა მკრის საქმენი, და წიგნიცა იგი, რომელიცა მოაგუტა ლეონმა კაპიტანმა, ყოველივე მოერთმის უმაღლესსა კარსა დიდებულებისა მათისა, და ვითხოვ თქვენის ქრისტანის სიმათლის მოყვარებისა და ჭეშმად რიტისა განმსჯელობითისა გონებისაგან, რომ მოწყალებით ზედმიწევნით გასინჯოთ ყოველნივე ჩემნი და აქაურნი საქმენი.

და ამავე დროსა წარმოვგზავნეთ ბეგიცა, ხერთვისის ციხის და ქალაქის ჩვენდა მომცემი, ვინაღან თვითცა ინება სურვილით თაყვანისცემა უმაღლესისა კარისა, ლეონს ძესა ჩემსა გამოჭეფუა.

თქუჭუნის მ. დ. ბ. თუმცა უმსახურონი ვართ, მაგრამ თქუჭუნის ყოვლითურს თის მართლმადიდებლობითის შემსგავსებულის მოქმედებისაგან ვითხოვ, რომ როდესაც შემდგომად ჩვენი გურიერი, ან წიგნი წარმოვიდოდეს, გზებზე დაუყოფნებლად თავისუფლება ჰქონდეს უმაღლესსა კარსა მალე მოწყვისა.

დაიწერა ქალაქსა ტფილისს. 1771 წელსა, დეკემბერს 19 დღესა.

59. Д. VIII. 29 Декабря 1771 г. Список подарковъ отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 141.

მისის იმპერატორების დიდებულების მისართმევი:

1. ინდის გელმწიფის მოღულის ნაქონი საცურე.
2. უნაგირი ოქროსი, მინაქარი, სპარსეთის გელმწიფისაგან ჩემთვის ნაბოძები.
3. რახტი ოქროსი, მინანქარი, — ესეც სპარსეთის გელმწიფისაგან ჩემთვის ნაბოძები.

ესენი მ. ი. დ. წინაშე დია მცირე და კინი მისართმევი არს, და ძნად გასაბედავი, მაგრამ, რადგან გელმწიფეთაგან ნაქონი იყო, მისთვის უმაღლესის გაბედვით მოფართვით.

60. Д. VIII. 29 Декабря 1771 г. Списокъ подарковъ отъ царя Ираклія гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 141.

თქუჭნის მადლის ღრადობის ბრწყინვალებას ამა ღროსა დიდის ბოდიშით მოკრთმის ჩუჭნმიერ კნიაზ არტემონ ანდრონიკოვის კელით: ორი ისპანის დიბა—აზიის ადგი თერთმეტი, რომ თითო სუთსუთ ადლიანი და ნახევარი იქნება, და ორიც რახტი ვეცხლისა, ოქროთ დაფერილი, თავდაბეჭდილი ჩუჭნის ჰატარის ბეჭდით. მცირის მოსართმევისთვის გულს ნუ დაიკლებენ, ესენი სსჩქაროდ გამოიგზავნენ, და ამასიქით თქუჭნის მადლის ღრადობის ბრწყინვალებისა მარადის თანამდებნი ვართ.

61. Д. VIII. 30 Декабря 1771 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I № 144.

უმწუერვალესის სიმდაბლით მოვასენებ, რომელიც აწ მოფოსა ღროსა გვეუგულების კადნიერება აზრისა ჩუჭნისა მოხსენებად წინაშე დიდებულებისა თქვენისა:

არა თუ სსმსსურსა ჯეროვანსა თანამდებსა, ან ყოვლად მოწყალებისა თქუჭნისა განგრცელებულისა სსკელმწიფოსა დიდსა შესამატსა რასმე ვსჩვენებდეთ, გარნა ოდენ მართლმადიდებელის მონაწისისა ქრისტიანობისათჯს გაუბედავო ყოვლად მოწყალებსა თქვენსა.

ვისაადგან დედა ხარ ყოველთა ქრისტიანეთა, და ვედრებისა კმითა და უერთო გულისითა გულისთა, და დამდაბლებულისა სულისთა ვითსოვ, ყოვლად მოწყალო კელმწიფო, რომელიც წინაჰართა ჩამომავლობათა ჩუჭნთა სუროდა, ვინადაგან ვიმყოფებით იმ ღროსა შინა, რომელიცა აქვს ყოველთა სსჩქართუელსა გამოხსნისა ღირსად დიდებითგსენებულთა დიდთა კელმწიფეთაგან მოცემული იძედი, და ჩუჭნცა უახლესი ბრძანება თქუჭნის დიდებულებისაგან უკაზითსრული სსსოება გა მოხსნისა, — აჰა წარმოივლინენ ჩემგან დიდებულებისა თქუჭნისა ჩემი ძმა კათალიკოზი და ძე ჩემი ლეონ, რათამცა მოართვან დიდებულებსა თქუჭნსა წერილით, რომელნიც ჩემგან და ჩემისა სამეფოს ქვეყნისაგან შეიძლება სსმსსურისა აღთქმა, და ეგრეთვე თქუჭნის იმპერატორების დიდებულებისაგან ითხოონ წყალობა, რომელიცა მომისსენებიეს ჩემისა კელწერილისა წერილთა.

ისმინე, ისმინე, მოწყალო კელმწიფო, უმაღლესისა დიდებულებისა თქუჭნისა დღეთა სიგრძისათვის, და უკეთუ, ეგრეობისა და აზიურისა ჩვეულებისა სსფა და სსფაობისაგამო, შეუტყობარნი რაძმე ჩვენგან—დიდი, თუ მცირე დიდებულებსა

თქუენსა არა სათნოსიენოდეს, ის ავასხე ყოვლადღიერსა ღთისა და ყოვლად მოწყალებასა დიდებულებისა თქუენისასა: ვითხოვთ ყოვლითურთისა ვედრებითა, ვითარცა ბრძანებული არს თქუენისა იმპერატორებისა დიდებულების უკაცუებით, აწვე ასეთის საფარველით დაგვიფაროს მოწყალებასან დიდებულების თქუენისამან, რომ თვით მეც დიდებულის რუსეთის საკელმწიფოსა კაცში აღრაცხილად დამინახონ მეგობართა და მტერთა, და ეგრეთვე სამეფოცა ჩემი რუსეთის საკელმწიფოდ გამოჩნდეს, ვითარცა განმიცხადებეს მდაბლად უმაღლესისა კარისათვის.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. დეკემბერს 30, წელსა 1771.

**62. Д. VIII. 1771 г. Представление отъ царя Ираклія имп. Ека-
теринѣ II. Пер. т. I. № 142.**

თქვენისა დიდებულებისა უკაცუ გვებოძა, რათამცა საქართველოებში გამოაგზავნილი ჯარნი წარმოვიდეს რუსეთადვე და გზასა ზედა შევეწიფოთ, რომელი აღვასრულეთ, და ჯარიც წარმოვიდა ბრძანებისაებრ დიდებულებისა თქვენისა. უბრძანებეს კელმწიფობასა თქვენსა — რომელიც შეუერთებულა და საზოგადოსა მტერსა ზედა განუმკედრებლობამა, და უმოქმედობამ კარდავლო, და ერთმანერთს მტერობით, ბრძანებისაებრ თ. დ., ამ წინამდებარეს საქმეებში სიმართლით არაფინ განისარჯა, — და ამ მიზეზთათვის საჯარო ამ ჯარის დაბარება დ. თ. თ. უგანთლებულესობისა და ყოვლად მ. კ. ბრძანება ჭეშმარიტი არს, მაგრამ ჩემ მდაბალის მონის თქვენისაგანაც მოწყალებით ისმინე ყოვლად მ. კ.

ჩემი აწინდელი კადნიერება მწუხარებისაგან არის, — დღეს ჩვენსუდ იმისი მსაგავსი დღე მოწყენულ არს ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის, როგორცადაც სული და ხორცი განიწვალების: აქედამ ი. დ. კორპუსის წარმოსვლით იმისთანას სიმწარეს მივსტევიფვართ, და არ გვაქვს თავისუფლების შეძლება, ვითარცა დავიდუმეთ. რაიცა ამასუწინდელნი უნაყოფო საქართველოებში მოჭხდა თ. დ. ჯარის შეუერთებლობით დრ. ტოტლებენის დროს, ის ხომ თ. კ. ბრძანებით ჩატარებულ იქმნა, და ვგონებ, რომ პოლეოგნიკის ნიკოლა დანიილიჩის აქაური იმ საქმეების განხილვით მე უბრალოდ ვიყო აღმოჩენილი. და ახლის იანარაღ მანიარის სუბოტინის მოსვლა ესრეთ იქმნა: მოსვლაში გზის ან ხარჯი, ან ბარჯის გადმოტანა და ან სხვა სამსახური დაგვდვა, და კიდევ რაც მტერზე მტერობა გვირჩია სწორეთ და ჩვენის შეძლებით ეგრეთ აღვასრულეთ, და, რადგანც მგზავრათ გამოიარა და ფოთის მივიდოდა, ჩვენ მაშინაც ყოვლითურთ ჩვენის შეძლებით ვცდილვართ უმჯობეს რჩევასაც და თქვენის კორპუსის შეერთებისაც, და არ მოკდა, და ვგონებ, რომ თვით სუბოტინს უმაღლესის კარისათვის მაშინ ჩემი კეთილი მოეხსენებინოს.

მოქსენება ი. დ. თ. იმერეთს სოლომონ მეფისათვის და სხვათა მოფლად ბელთათვის რჩევიდა და კაცის გზაფნითა შეერთებისა მათისათვის უნაქტნაფისა გარჯითა ვცადა, მაგრამ ჩემი რჩევა და მშვიდობითი სიტყვა არ მიიღეს და ძალით რადგანც თ. დ. ბრძანება არ მქონდა, ძალს სომ ველარ ვიკმარებდი.

ახლა ამადროს ამ ვედრებას ვყოფ წინაშე დ. თ.—რაცა უწესონი საქმენი და შეურიგებლობანი მოკდა, რომლითაც სახითა და რომლისა გვამისაგანაც, უოველივე ახატივე შესსა შემეფარებულსა ქრისტესა, რომელმანცა გადიდა შეს, და ნუ მიგვცემ მოუთმენელსა მწუხარებასა და ქვეყნის აოკრებასა, და შესის საფარველი დამ ნუ წარსწემედ მართალსა დამნაშაფისათანა დღეთა სიგძრძისა თქვენისათვის, და მოგვეც წყალობა, ვითარცა მომიხსენებიეს ჩემის ძმისა და ძის გამოტანებულისა არსებით, და ეგრეთვე დაბარებულობითა.

ვითხოვ უოვლად მ. კ. რათა კანდიერებისათვის ფრიადისა უგანთლებულესი გონება დ. თ. არ წყენილ იქმნას, არამედ მიიღოთ მოხსენებული ჩემი.

63. Д. IX. 30 Декабря 1771 г. Письмо царя Ираклия къ вице-канцлеру кн. Голицыну.

თქვენის ბრწინალებისა მშვიდობის ამბის სმენა მარად გვსურს და გწადს საცა, რათა გვესმოდეს თქვენის ბედნიერად ყოფისა და უჭირველად ცხოვრების ამბავნი. თუ თქვენი ბრწინალება აქეთმკრის ამბავს იკითხავთ, რომელიმე, ვჭგონებთ, მოხსენებული გექმნებათ და რომელნიმე აწ მოგხსენდებათ: ჩვენ აწ დროსა ამას ამისი უწმიდესობა ჩვენნი ძმა და ძე ჩემი ღეონ წარმოვაფლინეთ უმაღლესს კარს უოვლად მოწყალის კელმწიფის თაყუანისსაცემელად, და ჩვენნი ვედრნი, რანიცა გუქაქნდეს, უოველივე წერილითა და რეპირ დაბარებულებით ამათგან განგეცხადებათ.

და ვითხოვ თქვენისაგან ბრწინალებისა, რათა რომელნიც სათხოველნი იუქნენ ჩვენნი და ამათგან განგეცხადოსთ, ამაებზედ შეგვეწიკნეთ, არათუ ჩვენგან რომლისაჲმე სარგებელისათვის, არამედ უფროსდა ქრისტესთვის, ვინათგან ქრისტანენი ვართ, და ჩვენ ჩვენი ქვეყანა მარად თქვენის ბრწინალების სამსახურის თანამდებად იცოდეთ და გვიმსახუროთ.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. დეკემბერს 30 დღეს, წელსა 1771.

64. Д. XV. 30 Декабря 1771 г. Представление отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II объ условіяхъ, на какихъ онъ желалъ бы поступить подъ покровительство Россіи. Пер. т. I. № 143.

ყოფლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა კელმწიფესა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნას, თვამპყრობელსა სრულიად რუსეთისსა, ყოფლად უმოწყალესსა კელმწიფესა.

რომელიც არის უკანებისა ყოფლად მოწყალითა კელმწიფობისა თქვენისა ბრძანებული მოწყალებით თ. დ. მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებულად ჯარის ბრძობა საქართველოებში—ამ შემოხსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოგვიყვანოს მოწყალებამან დ. თ. წარმართთაგან:

და გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი განსწავლებული, და, თუ სულ განსწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი განსწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩვენგანდა არა აქვს მოცალეობა, და ვინც ჯარის თავი იქნება ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

კვლად, ვითარცა ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თ. დ. მოწყალებისაგანა ეგრეთვე საუკუნოდ უცვალელებლად ეგოს მორჩილებასა ქუჩსუ დიდ—სა თქვ—სა იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემოთ აღიწერება.

მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.

ვინაფთვან ღვთითა და ბედნიერებითა თ. დ. ყირიმშიდამ კოდენნი ჩუქნის ქვეყნის კაცნი გამოიხსენს, წყალობას ვითხოვთ ყოფლად დ. თ. რათამცა იმათ თავისუფლება მიეტყოსთ თავიანთი ქვეყანაში მოსულისა.

და როდესაც თ. ი. დ. ჯარი ამ ქვეყანაში მოვა, და ჩვენ და ისინი საერთოდ მტერს წაერთმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ,—რაც კორპუსზედ ხაზინა დაიხარჯება ამ დაჭერილს ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ უნდა ხაზინაში მოგართვათ; დაღათუ ამასზედ თავისწყენისათვის მოვერიდებით ყოფლად დ. კ. თ., მაგრამ რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეერა მოგვისდა, ჩვენთვის კმასაყოფელი ხარჯები დაგვემართა, და კიდევ გზებზედ ჯარისა და ბარჯის გარდამოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგუჭირდეს, რაერთიც ვითხოვთ ვედრებით, რომ ხაზინიდან სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევე მიიწოდვას ყოფლად დ. თ.

და ამ წყალობებისათვის, რომელიც შემორე აღიწერა, მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოფლად დ. კ. და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის, და ან გამოჩნდება, იქიდანმ სარგებელი მოიპოვება — ნახევარი თ. დ. საზინას მიერთებულდეს; და კიდევ რაც ჩვენს მოჩინებების ქვეშ კაცნი არიან ყოველწლივ ამათგან გვამლზედ თოთხმეტი შაური საკელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ. რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება — თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დ. თ. მიერთებულდეს.

როდესაც სპარსთ რომ ვეჭირებით მძლავრებით, და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართმევენენ ცხრას ტყვეს და გვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც იმ ტყვეების მოსახმარებელის ხარჯისა თვის; და კიდემ ორმოცდა ათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თვით წაიღებდენ საკელმწიფოთ, და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, უიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ საკელმწიფოთა.

როდესაც დ. გ. ჯარი მოვა ჩვენს ქვეყანაში იმათის შემწეობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის ქვეყნებიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემოხსენებულნი ალექსანდრის (?) მივართკამთ უდიდებულესსა კელმწიფობასა თქვენსა, და როდესაც სხვებს ქვეყნებს დაპყრობით თ. დ. ძალით, მაშინ იმ ადგილებიდან როგორც ქვემოცე მოიხსენება, იმსახით ვამსახურებთ.

როდესაც ძალითა და შეწევნითა თ. დ. კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ ბედნიერებითა თ. დ. ამასაც, როგორც ზემოცე დაგვიწერია, იმსახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრაშუმს ორას ფუტსა იმ ქვეყნებიდან, და, თუ მეტი შევიძლებთ, მეტს მოვართმევთ დ. თ.

გულად ვედრებით მოვასხენებ თქვენს ყოვლად მოწყალეებსა; რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თ. დ. სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდა გან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქესთ, და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუნიც ახლნი გარდაქცეულნი არიან მაჭმადიანობაზედ.

როდესაც დ. გ. ბედნიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც მოვართმევთ თ. ი. დ. რაც რუსეთის იმპერიაში სულს ზედ სალდათი აძევს — ჩვენ იმედენს გვამლზედ მივართმევთ სალდათს თ. დ.

უკეთუ ღვითთა და ბედნიერობითა თქვენითა — რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თ. დ. კორპუსის ძალით დაპყრობათ, იმისი სრულიადი ნება თ. დ. არის.

ჩვენ რაც რამ სამსახურის ალექსა შეგვეძლო და წყალობის ვედრება გვეჭირებოდა — ის მოვასხენეთ თ. ი. დ. და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის კელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალეებითა განაგოს ყოვლად მოწყალეობამან დ. თ.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. დეკემბერს 30 დღეს, წელსა 1771.

65. Д. VIII. 21 Апрель 1772 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 151.

თქუწნის მ. დ. ბ. წიგნი ჩუწნის აზნაურშვილის შახოვისაგან მივიღე, რომელმანცა მრავლის ნუგეშინისცემით აღავსო გონება ჩემი, ამისგამო ვმადლობ თქუწნს მადალ ღრ. ბოწყინგალებას.

ამაზედ ქრისტიანობრივ დაგაჯერებთ, რომელიც ახლა გებრძანეს, რათამცა იანარაღ მაიორს სუხოტინს შევერთდეთ, და რომელიც გვირჩიოს, დაუჯეროთ, რომელიც, თქუწნის ბრძანებისაებრ, ყოველთვის ცდა არ დაგვიკლია და დამიჯერებია. თვით აქაურნი საქმენი ყოველივე სუხოტინს იანარაღსავე უმადლესის კარის სათვის მოესხენებინა. ამაზედ აღარ გავაგრძელებ, რომ თქვენ თავი არ შეგწყინდესთ, მტირედი მოხსენეთ: რა პირველად მეფეს სოლომონს თქვენის მ. დ. ბ. წიგნი მოუვიდა და ჩემი სახელიც იმ წიგნში თქვენგან ნახსენები იყო, იმავე დროს ჩემის გონების შეძლება მოქმედებით ასეთის ჭეშმარიტის ერთგულების სიმტკიცესა ზედა დამიმყარებია და დამიმტკიცებია, ვითარცა შუწნის თავისისა სარწმუნოებისა ერთგულსა და ეგრეთვე თავისის სარწმუნოების კელმწიფის სიმართლით მონებრ სამსახურის მქონებელს გუჟამსა, და რომლისაც შემძლებელი ვიყავ მე და ჩემი ქვეყანა—შემწეობა არ დაგვიზოგავს. და ახლა ჩემი ძმა და შვილიც ხომ მ. ი. დ. და ყოვლად უგუნათლ. კელმწიფას წინაშე წარმოგზავნე, და ჩემის საქმეების ყოველი ნება ყოვლად მოწყალე კელმწიფეს მივანდე. ახლა ამ გორზუსში [ბრძანება] მოვიდა, რომ სახელმწიფოს ბრძანებით ესენი რომელიც საქართველოებში განწესებული არიან, რათამცა რუსეთსავე უკუმობრუნდნენ, და ეს საქმე, ყოვლის წინადადებით, საქართველოს აღმაკრებელია და ჩვენში ქრისტიანობის სახელის აღმომფხვრელია. ამაზედ შეგაწყენთ თავსა, რადგანც სარწმუნო ვართ, რომ ჩემი სრულიად მოწყალეობით ბრძანდებით: თუ მე დანაშაული მაქუც რამე საკელმწიფოს საქმეებში, უწინ ჩემს ნათესავთაც ხომ მოურთმევიათ თავიანთი თავი და ქვეყანა რუსეთის ნეტარკსენებულთ დიდთა კელმწიფეთათვის და ახლა მეც უნამეტნავისად ჩემი თავი რუსეთის დიდის მონარხისათვის ყოვლითურთ დამორჩილებით მომირთმევია, მე გარდამედეს, რომლისათვისცა მადლობით მიმადლებელ ვიქმნები, როგორცადაც მ. ი. დ. ნება ჭქონდეს, და ამდენს მრავალ სათას ქრისტიანებს ამ საქმიო ნუ გაჭყრის თავისის საფარველიდამ და მოწყალეობიდამ, რომ სრულიად წარმართთაგან მიმოსატაცნელნი და ამოსაწყვეტნი არ შეიქნენ.

ეს ასეთი უამი წარმოდგომილა, რომ დუმილის დრო აღარ გვაქუს, წინაშე ყოვლად ძლიერის შემოქმედისა ღვთისა და წინაშე მ. ი. დ. სიმართლით ვიკადნიერებთ და ვიტყვით ამას: სანამდის მ. ი. დ. ბრძანება მოგვივიდოდა თურქთ მტკრობისათვის—დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანთქართან შერიგებულნი

და დაწყნარებულნი; და სპარსეთის მიუღობელს ხანებთან ასეთის საქმით ვიყავით—
 ზოგნი შეშინებულნი გვეყვანდენ და ხარკს გვაძლევდენ, და ზოგნი მეგობრობით
 დაზავებულნი გვეყვანდენ, და ზოგის შეშინებას ვცდილობდით, და ზოგნი ლეკნი
 მათის შეძლებით გემტყრობდენ და ქვეყნებს გვიკედენდენ, მაგრამ რამდენსავე
 წელიწადში ჩვენის ქვეყნის საქმეები ღვთით წარმატებაში მიგვეყენდა, — და ახლა ამ
 საქმეებითა და ამისთანას წინადადებათაგან, რომელიც ზემოთ დავგვიწერია, სა-
 ქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულებით აღოკრდების, თუ ეს კორა-
 ჰუსი აქეთგან უკუშობრუხდების.

იუწყოს თ. მ. დ. ბ. — ღვთის და ყოვლად მოწყალეს კელმწიფეს ჩამოდმა ჩემი
 თავი და ქვეყანა ყოვლითურთ თქვენთვის შემომიყვადრებია, ღვთისთვის და ყოვ-
 ლად მოწყალის კელმწიფის დღეთა სიგრიძისათვის ამაზედ მეოხად და შუამდგო-
 მელად აღიძარით თქვენის მადლად მხედველობით, და წინაშე ყოვლად დიდებულის
 კელმწიფის რომელიც გვიჯობდეს და ან მოგვეხსენებინოს—ამის წარმართებაზედ
 ეცადებით, თქვენი ყოვლითურთ ქრისტიანობრივი კეთილი ამდენს ქრისტიანებ-
 ზედ გამაძცხადე და დმერთთან და კაცთან თქვენი სიკეთე ადიდე, და მე, როგორც
 გეპრინებოდეს, ეგრე მიმსახურე. და მე იმ პირობას მოვართმევ ყოვლად დ. კ.,
 რომელიც ჩემის ძმის კათოლიკოსისათვის და ჩემის ძის ლეონისათვის მომი-
 წერია, ეგრეთ ვჭეო, რომელიც წერილი ყოვლად მოწყალის კელმწიფის წინაშე
 უნდა მიართვან.

დაიწერა ქალაქს ტფილისს. აპრილს 21, წელსა 1772.

66. Д. VIII. 2 Июня 1772 г. Письмо царя Ираклия къ гр. З. Г. Орлову.

თ. მ. დ. ბ. ამ დროს ეს მოკესენდეს ჩვენგან: როგორადაც მ. ი. დ. ბრძანება
 მოვიდა, აქ მუდმივი კორპუსი ეგრეთ წარმოვიდა, — ამისთვის ვაწყენით თავს თქვენ მ.
 დ. ბ. ვინადგან ეს ამ ქვეყნის უმეტესის ახსრებისა ნიშანი არის. თუმცა ჩვენ
 თქვენი უმსახურონი ვართ და კადნიერება არ გვაქვს თქვენის თავისუფლებისა;
 მაგრამ ვინადგან უღ დიდებულის და მართლმადიდებელისა კელმწიფისა წინაშე
 მეოხება ძალგიცხთ, და ჩვენც მართლმადიდებელი ქრისტიანი ვართ, და ჩვენი
 თავი და ქვეყანა ყოვლითურთ უღ მოწყალის კელმწიფის საფარველში ვართ შემო-
 ვედრებულნი, ამისთვის გავიბედავთ:

აწ ვინადგან ამ კორპუსის წამოსვლით ამ სასოწარკვეთილებასა შინა არს
 მიწევნილი ყოვლითურთ საქმე ჩვენი, რომ მისის ყოვლად დიდებულის საფარველს
 დამ განვრდომა არის, გვედრებით, რათა ჰყოთ შუამდგომელობა წინაშე დიდებუ-
 ლისა და ყოვლად-მადლისა მონარხისა, და ჰყოთ წყალობა დედობრივი, და რომე-

დიცა ძმისა ჩემისა და ძისა ჩემისა წარმოფლენსა მომესხენებინოს ვედრებანი, ისმინოს ყოვლად დიდებულებაჲს და ყოვლად მოწყალებაჲს მისჲს, და ამ მოწყალეობისა და წარმართთაგან ნიადაგ ოკრებისა, და ახლანდელის კორპუსის წარმოწოდებისთვის ყვედრებისაგან გამოგვიხსნას, რომ ამაღროს უნამეტნავესისა სიხარულითა და საცინელისა საქმითა გვაყვედრიან და გვეუბნებიან: ვისგანაც სასოება გქონდათ — მიგეთვართ და ნუღარა [ხართ] სასოებით მათგანაო, — ამისებრითა სიტყვითა ნიშნს გვიგებს წარმართნი; და ამისთვის იღვასოს ბრწყინვალეებაჲს მ. დ. თ. ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის.

გვალად შეგვედრებ უწმინდესსა ძმასა ჩემსა და ძესა ჩემსა, რათა მოწყალეობით ჭფარავდეთ ყოველსა შინა საქმეთა მათთა.

წელსა ჩლობ, ბენისის ბ.

67. Д. X. 13 ЮНЯ 1772 г. Письмо царя Ираклия къ капитану Ив. Лавр. Львову.

ვინათგან აქედამ კორპუსის წაუსვლელობისთვის უწინვე ჩემს ძმისა და ჩემის შვილისათვის ასეთი წიგნი მიმიწერია, რომ თვით მათის დიდებ-ის მოხსენებათ უნდა მოახსენონ და თავი აწეონ, და ეგრეთვე უბრწყინვალესს ღრთებულსა შეეხვეწენ და გასინჯონ აქაური საქმენი, და ახლა ეს არის თქვენს მალაღმსვლელობას უცხადებ ჩემს და ჩემის ქვეყნის საქმეს, რადგანც მისის დიდებულობისაგან ამ ქვეყანაში ვექილად რწმუნებული ბძანდები, თვითვე მოგესხენება და იცი, რომ როგორის გულის ტკივილით გმართობო ამდენის სულის შეწუხებულის და დადონებულის ქრისტიანების შეწყვეტა; უეჭველია, თუ არ ყოვლის შემძლებელის და ყოვლად ძლიერისა ღთისაგან, თვარემ, რა ეს კორპუსი აქედამ რუსეთად წავა, და ან მაგიერი არ მოვა, საქართველოები, ჭკუის დანახვით, აოკრებული არ დაჩნება, და გაფიცებთ ღმერთსა და კელმწიფეს, რომ რაც შეგეძლოს, ჩვენს უმსახურობას ნუ მიხედავ, და გაისარჯე, და რომელიც ქვემოთ დაიწერება ამასვედ შეგვეწოე, თვარემ სხვა წამალი ჩვეის დიდის ხნის სნეულებას არა არაგებს რა ხომ ხედავს მალაღმობილება ჩვენის ქვეყნის შეწუხებას და გლოვას, რას მოწყურებით ვიმყოფებით და როგორი მუცოთი და ვაების კმა არის განთენილი. ჰირველად ესე, როგორადაც ჩემის ძმის და ჩემის შვილისათვის გამიტანებია მოხსენებანი მისის დიდებულობის მიმართ, რომ უმად დაგვიჭიროს და დაგვაფაროს საფარველი თვისი, როგორადაც მოგვიხსენებია, და ეს იქნება ჩვენი სრულიად დაფარვა, და მაშინ ვიქმნებით ყოვლითურთ გამოხსნილი მტერთაგან. მალაღმობილებამან შენმან ესრეთ სცნას: რაც ეს ჩვენი სავედრებელი დაიწერება, ჩვენ ყოვლად დიდებულის და ყოვლად მალღის მონარჩის ნებისებრ, ვითრ

ხოფთ, და არც ჩვენ ვიკადრებთ ამ თხოვილის კადნიერებას, თუ არ ამისთვის, რომ ჩვენც სამსახური თანამდებობისაებრ ჩვენისა როგორცდაც მოგვიხსენებია, იმ სახით არ გვედვას, და კიდევაც თუ უმეტესი შეიძლებოდეს, იმისიტ აღმასრულებელნი არ ვიფუნეთ, მის დიდებულობას აღარ გაუბედავდით, მაგრამ მოხსენებულისა ჩვენისა და ფიცისაებრ ჩვენისა ყოფლითურთ ღვთით ვართ აღმასრულებელნი.

წელსა 1772, ივნისის 13 დღეს.

68. Д. IX. 24 Октября 1772 г. Письмо царевича Леона и католикоса Антонія къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 160.

კადნიერ ვიქმნენით კუხლად შეწუხებად თქუძნისა მ. ღ. ბ. მიზეზითა, რომელსაცა ქუძმო განვაცხადებთ:

წარმოსრულნი საქართველოეთ წელიწადსა 1772, იანუარსა 5 წინაჲ მ. ი. დ. წარმოგზავნითა საქართველოეთსა და კახეთისა მეფის ირაკლისაგან სარგებელი სათვს როსსიის მონარხისა და საჭიროებათათვის რომელთამე თვსთა—მოგვდით ასტრახანს მარტს 6, და აქამომდე აქა მეოფნი არა მცირედსა შინა მწუხარებასა და სიმწარესა, რომელ ვითარცა ტყუძნი ვიყოფებით დაკლებულნი მამულისაგან ჩუძნისა და ვერ მიწოთმილნი სრულყოფად კომისიისა, რომელიც გვრწმუნებიეს მეფისა ირაკლისაგან, მრავალნი საქმენი თანანადებნი ჩუძნნი მამულსა შინა ჩუძნსა განსაკლებლნი ჩუძნგან, რომელიცა საჭიროდ თანაგუძის, მდგომარებენ ვერ მიწევნითა დასასრულისათა, და აქა ჩუძნ ყოფლითურთ მოცლილნი, უქმად მეოფნი მიფიცემულ ვართ, ჭკერისა სიმძიმითა ვერ შემწუნარებლნი უცხოჲსა კლიმატისანი, სწეულებათა განგრძობილთა, რომელთაგამო იჭუძმდე სიკუდილისა ზედმოსულისაცა გულის-ვისიტყუჯთ,—ამისთვის თ. მ. ღ. ბ. ცრემლთამდე ვედრებით ვთხოვთ, რათა განვთავისუფლდეთ ჩუძნ აქათგან და ღირს ვიქმნეთ წინაჲ მ. ი. დ. წარდგომად,—არა რამესა შეწუხენისა და წინააღმდეგობებისა სათხოვარისა მქონებლნი, თვნიერ მ. ი. დ. შესამატისა და როსსიის იმპერიის სასარგებლოჲსა, და რომელთამე საჭიროთა მეფის ირაკლისათა თხოვათა.

ვიციით, რომელ თ. ბ. თავისწყენის მრავალ კადნიერებაჲ არა გვივის ჩუძნ, მაგრამ ვინმე იუოსმცა გარდა თ. მ. ღ. ბ. სხვაჲ შემწე და ნუგეშინისმცემელი ჭირთა ამათ შინა ჩუძნთა, ანუ სხვაჲ ვინმე, რომელისადმცა თანაგუძლუა მოკესუნებად საქმენი ჩუძნნი? და მესამედ, ვიციით, რომელ მეფესა ჩუძნსა აქუს მ. ღ. ბ. მოწყალებისაგან იმედი სრული შესაბამთა საქმეთა თვსთა წარმართებისა, ამისთვის სიმდაბლით თხოვან ესე ჩუძნნი მიღებულ იქმნას თ. მ. ღ. ბ. კეთილმსახურებრ; რომელ საჭიროებისა ამისგან განგუთავისუფლენ ყოფლად უმადლესისა მიმართ მონარხინაჲსა შუამდგომლობითა, რათა რომელიცა ნებასა შინა მ. ი. დ. არს,

რომლისადა ღირს ვართ, ეკე ვითარი თავისუფლებითი რეზოლუციის მივიღოთ არ გვიანად.

და ჩუქს უმწესრესისა მმადლობეყოფისა თქუქსნისადმი მ. ღ. ბ. თანამადებ ვიქმნეთ მარადის გებუნნი ერთგულებასა შინა თქუქსნისა ბრწყინებადებისა.

ანტონ კათალიკოსი. მეფის ძე ლეონ.

ოკტომბერსა 24 დღესა, წელსა 1772.

69. Д. VIII. 16 Марта 1773 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину.

გაძნიერება ესე თქვენდამო მიზალებინა უმეტესმან მწუხარებამან, ვინადაც მას ჩემი კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი ლეონ უმადლესსა კარს ედ უმდაბლესად ვაახელ, რომლისა სასურველისა ჩემის მოხსენებულის უდიდებულესისა და ყოვლად უგანათლებულესისა, და სრულიად აღუსტას ჩემის მოწყალის კელმწიფისად სავედრებელისა საქმისათვის,—და აქამომდესაც ვერ მივემთხვივე მოწყალების რეზოლუციისა, რომელისათვისცა გვალად მარადის ვარ მავედრებელი არა მე მხოლოდ, არამედ სრულიად ესე ჩვენი საქმისტიანო ქვეყანა წინაშე თქვენის მადლის დრაფობის ბრწყინვალეებისა დაუგვიანელობისათვის უმადლესისა ბრძანებისა.

თუმცა ამის მალად კეთილშობილებას და ვეჭილს საკელმწიფოსს საქმესა შინა ივანე ღვთავს ვკითხავთ ხოლმე,—ეკების ამას უმადლესისა კარისაგან მოწყალებით მოსტემოდეს რამე რეზოლუცია, მაგრამ ვასრეს მადლევს, რომ ჯერ არაფერი მოხსენებულისა, თქვენის ბრწყინვალეებისათვის ბრძანება არა მომსვლია რა,—და არც უიშინოა, რომ სწუხს. ამ ყამებში ანტონისაგან დამ მასა ჩემსა კათალიკოსს ანტონის და ძესა ჩემსა ლეონს ჩემთან თავისი კაცი გამოეკზავნათ, და როდესაც გამოსულიყო სამზღერას ამა ქვეყანასა—არ მოეცადა თანწამოსაყოფნი კაცნი, რათა წარმოეყვანათ ფთხილათ და მშვიდობით, თავის თავათ საჩქაროდ წამოსულიყო ჩემთან, და გზასე დახვედროდნენ ახალციხიდან თავის საქმისთვის წარგზავნილნი დაღისტანში მცირე რაიმე ქურდნი ლეკნი და დაეჭირათ, და შთავარდა მტრის კელში თავისის ყოვლის წიგნებით, და აწცა არვიცით მართლად საითკენ წაუყვანათ; და მხოლოდ ესე ვცანით იმ ქვეყნის კაცთაგან, რომელიც იმას ჩვენი ქვეყანა გამოეკვლო, რომ ჩვენთან მომავალბულიყო ის ჩემის ძმისა და ძის კაცი იმ ამბავით და წიგნებით, რომ ვითამ უმადლესის კარიდან მოსვლიყოთ მოწყალების ბრძანება, რათა ანტონისაგან ეკენი თვით შეტერბურხს ჩემს ედ მოწყალეს და სრულიად აღუსტას კელმწიფეს უმდაბლესად ხლებოდენ, და ჯერაც არ ვიცით მართლი იმ კაცის მოუწევნელობისათვის, თუ სად იმყოფებიან ეკენი.

გვალად, რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა სრულიად, უმადლესს: რუსეთის ტახტს და ჩემს ყოვლად მოწყალეს, და სრულიად აღუსტას კელმწიფეს

შევედრებ თავს ჩემსა და ამ ქრისტიანეთა ქვეყანასაც, რათა მოწყალებით მიიღოს, და თქვენი უმაღლესი ღრთობის ბრწყინვალეობა საქმეს შინა უსამდგომელ გვექმნას, რომელს ჭეშმარიტად უეჭველად კიდევ ვსასოებით დაუგდებლობსა უოველსა კეთილსა საქმესა შინა თქვენგან, და ვგონებთ არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ უამითი უამად გვემატების ბარბაროზთა თესლთაგანნი ქრისტიანეთა ნათესაობის მტერნი და მარადის გვავედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი, მესობელნი ჩვენნი, რომ დაგდებულნი ვიქმნებით რომელი ანათებს უოველსა ქვეყანასა რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამოდისაც ასტრახანს და შეწენარებულიცა არ იქმნებიანო — ერთბაშათ ხედვენ ვითამ ეგ იყო მის ნიშანი.

ეგრეთვე აქაურნი ამბავნი, ჩვენ და ლეკთ, და ახალციხელთაგან ურთიერთადმი მტრობა და ჩვენის ქვეყნის შეწუხება, და თუჩამ აქაურნი მოსახსენებელნი საქმენი არიან, ვგონებ უოველითა უფალ ლეიბ ღვარდიის კაპიტანი იოანე ლვოვის მიერ წიგნით წვლილად უმდაბლესად მოგხსენდესთ.

სხვა კვალადცა უმეტესის სიმდაბლის ვედრებით თავს გაწყენთ ჩვენის მოსახსენებულის წარმართებას: თქვენი მაღალი ღრთობის ბრწ. ნებისაებრ უდ დიდებულის და ჩემის სრულიად აღუსტას მოწყალის კელმწიფისას ეცადოს, ჩვენ და ჩვენის ქვეყნის ამდენი სულნი ქრისტიანენი ბარბაროზთ უღლისაგან გამოიხსნას, და გვამყოფოს უმდაბლესი ყმა და მოსამსახურე, მოსახსენებულისა მოწყალებით რეზოლუცია დაგვმართოს, და რომელიც წარმოგზავნილნი ძმა და ძე ჩემი არიან, ეგენი მიიღოთ, და რაც მაგათაც ჩვენი დაბარებული საქმე ჰქონდესთ მოწყალებით ჩამოართოთ და მიიღოთ.

16 მარტის დღეს, ჩლოვ წელიწადს. ტფილისის ქალაქი.

70. Д. IX. 27 Апрелья 1773 г. Представленные гр. Н. И. Панину царевичемъ Леономъ и катол. Антоніемъ условія, на какихъ царь Ираклій желалъ поступить подъ покровительство Россіи. Пер. т. I. № 143.

ბრძანებული ჩვენდა მეფისა ჩვენისა ირაკლისაგან მოხსენებად თქვენის მაღლის ღრთობის ბრწყინვალეობისა მიმართ, რომელიცა ქვემოწერილთა ამათ ზურგითა შინა ცხად იქმნების:

მისის იმპერატორობის დიდებულებისგან უდ უქვემოქსად ითხოვს მეფე ჩვენი, რომელ განვთავისუფლდეთ აწვე წარმართთაგან, და როგორც უკაზით ებრძანა მეფესა ჩვენსა საქართველესი მფარველობასა შინა თვისისა დიდებულეობისა მიღება, რომ ბრძანებული ესე აღუსრულდეს.

მოეტყოს ჯარი კაცი რიცხვით ოთხი ათასი. რეგულარნი და, თუ სულ რეგუ-

ლარნი არ იქნებოდეს, ნახევარი რეგულარნი და ნახევარი ურეგულარ, საკუთრად ჩვენს მხარეზედ, რათა ებრძოდენ ესენი და მეფე ჩვენი ზოგად ჩვენის მხრიდამ ოსმალთა, და როგორც მეფე ჩვენი ისმენდეს ამა თქმულის გორბუსის გამანდირი-სას, ეგრევე გორბუსის გამანდირიც ისმენდეს ჩვენის მეფისას, ვითარცა იქაურთა საქმეთა გამოცდილისასა.

რათა ეგოს მეფობაჲ ქართლისა და კახეთისა უცვალებელად, ვითარცა პირველ ყოფილა და აწ არს, მაგრამ მორჩილებასა ქვეშე და მსახურებასა მისის იმპერატორობის დ. რუსეოს მონარხისასა — ესე ვითარისა მსახურებითა, რომელიცა ქვემო აღიწერება.

ეგრეთ კათოლიკოზიცა ეგოს განწესებასავე შინა თვისსა უცვალებელად.

რადგან შეწევნითა ღთისათა და ბედნიერებითა მ. დ. ეგოდენ ტყვენი განთავისუფლდნენ ყირიმიტგან ქართველნი, რომელ იმათ თავისუფლებაჲ მიეტეს საქართველოდვე წარსვლისა.

როდესაც მისის დ. გორბუსი, საქართველოში მისული, და მეფე ჩვენი ზოგად ბრძოლობით მტერს ჩვენის სამეფოს ნაწილს. რომელიც დღეს წართმეულია, კვალად წაართმევენ; რაც გორბუსზე ხაზინა დაიხარჯება ამ დაჭერილის ქვეყანიდამ რამდენსავე წელიწადს უკან ისევ საკელმწიფოს ხაზინაში უკუიზღვის.

თუმცა მ. დ. თავისწევის ვერ კადნიერ იქმნების მეფე ჩვენი, მაგრამ გორბუსის გარდმოსვლაში, ჯარის ბარგისა და არტილერიის გადმოტანაში თეთრი იხარჯებოდა, და თვითონ ჯარების შეერაში ჩვენს მეფეს კმასაყოფელი ხარჯები დაემატოა, თუ რომ ახლა დაგვჭირდეს, როდესაც გორბუსი ჩვენს ქვეყანაში გარდა მოვა; ამისთვის ხაზინიდან თეთრი მიეტეს სესხათ, და ჩვენის ჯარისთვისაც სესხადვე, და ისევ ხაზინისა მიმართ უკუიზღვიოს მეფისაგან ჩვენისა.

ესე ვითარისა წყალობებისა ჩვენებისათვის, ნიშნად მადლობისა, მორთმევეს დიდებულებასა მისსა მეფე ჩვენი ძესა თვისსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენთამე კნიაზთა, და აზნაურთა შეძლებისაებრ მისისა.

რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არის და ან ამიერიტგან იზოგება, და იქამდამ სარგებელი მოიპოვება — ნახევარი მისისა დიდებულების ხაზინას მიერთმის.

რაოდენიცა ჩვენს ქვეყანაში შცხავრებელნი არიან ყოველს წელიწადს ამათგან თითოთს კომლზე თოთხმეტი შაური იმის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

რაოდენიცა ჩვენს ქვეყანაში რჩეული ცხენი იზოგება — ათოთხმეტი ცხენი ყოველს წელიწადს იმის დიდ — ებას მიერთმეოდეს.

როდესაც მძლავრებით სპარსნი ფლობდეს საქართველოსა ზედა, ორს წელიწადში ერთჯერ, ცხრას ტყვეს წაართმევდიან და გლეხის თითოთს კომლზე ათოთხმეტს შაურს მოჭკრეოდან ამავე ტყვეების სახმარისათვის, და კვალად ორმოც და ათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავიანთის ხარჯით წაიღებდნენ საკელმწიფოდ, და ახლა ჩვენ რიცხვით ორიათას ვედრას ჩვენის ქვეყნის რჩეულს ღვინოს უიზღარს საკელმწიფოდ ყოველს წელიწადს ჩვენის ხარჯით მოვიტანთ.

როდესაც იმისი დიდებულების გორბუსი გარდმოვა ჩვენს ქვეყანაში და იმათის შეწევნით სხვის ადგილების დაპყრობამდენ [ესე იგი ოსმალთაგან წართმეულის ჩვენის სამეფოს ნაწილების], რომელსაც დღეს ქვეყანასა ზედა უფლობს [შეფე ერეკლე] აქათგან თქმული აღთქმულნი მიერთვას მ. იმპ. დ., და როდესაც წართმეულს ადგილებს დაიპყრობს ძალითა მისის დიდებულებისათა, იქიდგან ქვემოწერილისაებრ ჰმსახუროს მისსა დიდებულებასა: შემდგომად დაპყრობისა ოსმალთაგან ჩვენის წართმეულის ადგილებისა იმ სხალ დაპყრობილთა ადგილთაგან მიერთმეოდეს ხარკი საკელმწიფოდ რაოდენსაც რუსეთში სოფლების პატრონების გლეხნი აძლევენ—იმის ნახევარი.

თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს, დაიპყრობს ბედნიერებითა დიდებულებისა მისისათა, იმათგანაც თქმულისაებრ თვითოს გლეხის სხსლითგან ათოთხმეტი შაური საკელმწიფოდ მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს, და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი; და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მოერთმის. კვალად დიდის უქვემოცის ვედრებით ითხოვს იმის დიდებულებისაგან, რომ არ დაშთეს ამის უფრო გრძლად დაუპყრობელად ქვეყანაჲ სხალცინისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო, და თუ შერიგება იქნება, მაშინაც თურქის საკელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მახმადინად მრავალს გარდაქცევენ.

როდესაც მისის დიდ. ბედნიერებით ჩვენი ქვეყანა წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება, მაშინ ჩვენის მამულიდამ, ქონებულისა და სხალ დაპყრობილიდამ, მიაერთვამს იმის დიდებულებას გლეხის სხსელზედ სალდათს რაოდენსაც სულზე რუსეთი აძლევეს.

თუ შეწევნითა ღვთისათა და ძლიერითა საჭურველითა მისის დიდებულებისათა სხვა და სხვა მტრის მამული დაიჭირება მისის დიდებულების გორბუსის და ზოგად ჩვენის მეფის ბრძოლითა,—ის დაპყრობილი ადგილები ნებასა შინა მისის დიდებულებისსა იქნების.

ან ტ ო ნ კ ა რ ო ლ ი კ ო ს ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ს ა .

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მე ფ ის ი რ ა კ ლ ის ძ ე ლ ო ნ .

ჩ ლ ო გ წ ე ლ ს ა , ა შ რ ი ლ ის კ ზ რ ი ც ხ ს ა .

71. Д. VIII. 23 Юня 1773 г. Письмо царя Ираклия къ гр. Н. И. Панину. Пер. т. I. № 162.

მე თქვენი გრძელად წერილით მარადის თავისწევნა უნამეტნავესად მესურება, მაგრამ საქმენი მაიძულებენ, და რაც საქართველოების უწინდელნი და სხლანს

დელნი გარემოებანი მოქმედებენ, და ცხადად ჩანან, ესენი თქვენდამი მოკსენებისა თანამდებობასა მადლევენ, და ესე არს მიზეზი.

აწ მოიხსენოს თქვენმა მად. ღრ. ბრწ., რომ რასაც დროს მათის ყოვლად დიდებ. დიდის აღვისტოს ნებისებრ ბძანება თქვენის პირველის წერილით გამოაგვეცხადა, რომელიცა ყოვლთა საქართველოთა მეპატრონეთა სახეთა მომართ გებძანათ წვევა მტერობისა თურქთა მიმართ, ვგონებთ, რომ, თუ ჩემს უბედურებას არ უმოქმედებია და ჩემს მტერს ვისმე სხუებრ არ გაუსინჯებიათ თქუჩნთვის, რომ ყარვად მოკსენებული გქონდესთ, მასაქეთ თუ ვითარი მტერობა არს ჩვენსა და თურქთა და დაღისტნელთა ლეკთა შორის. იუწყოს თქუჩნმან მად. ღრ. ბრწ. ესენი უწინარეს ამისა, რომ ჩემდამო მტერნი იყუნენ, მაგრამ თურქთა, თუ არ სპარსეთის აშლის მიზეზით, ჩვენთან მტერობა არა ჭქონებიათ მოქმედებითა, თუ არ გონებიათ. რა შანადირმა ისინი საქართველოდამ ძალითა გაყარა, ეგების რომ ჩვენთვის ლეკებს ტყვე მოეტაცოს ქურდობით მცირეს კაცისა და ის სახლციხეს გაეყიდნოს, ისიც დაფარვითა, თვარემ სხვა მტერობა არ გამოუჩენიათ ჩვენდა მომართ; მაგრამ ახლა განცხადებით და ყოვლისფრით გამოჩენით, თავიანთ სარწმუნოებისა და შჯულის შურით, გუმტერობენ, და ეგრეთვე ჩვენც ვმტერობთ, და რაც შეძლება გვაქუს ვაწუხებთ; და ამ ჩვენის წუხებით აქეთის მკარისა თურქის სულთანის შემწედ ბევრი კაცი აღარვინ მიდის, და რომ იბარებენ აქეთს კაცს მისაშველებლად, მიზეზად ჩვენ გუდებენ, და უმრავლესნი ამ მიზეზით აქეთვე ჩხებიან; თუ რომ ისინი როგორც იბარებენ აქეთის მკარის ჯარსა სრულებით მიდიოდენ, უმეტეს მტერობას ვახველებდით.

ეგრეთვე დაღისტნელნი ლეკნიცა რისაც შემძლებელნი არიან, უმეტეს შეძლებისა შეწვენას და ძალს აძლევენ თურქთა, და ჩვენ რომ იმ დაღისტნელს ლეკებს თან ზოგთან დაუნარჯავად გუქონდა შერიგება, და ზოგთან დახარჯვითა, და ზოგთან, რომელთა მიმართ გუჩქუნდა მტერობის რიგი, თუმცა მრავალნი იყუნენ იგინი, მაგრამ რითაც იყო ჩვენის საქმის წარმართების ვცდილობდით, და რომელიც საქმის დაწყობილება გვაქუნდა ან თურქთან, ან ლეკთან, ახლანდელის გარემოებით, რადგანც დაიხსნა, დადგა ახლა. ამის გამო უმეტეს ყოვლითურთ რისაც შემძლებელნი არიან ჩვენდა მომართ მტერობას მოქმედებენ. წარსრულსა წელიწადსა მ. იმპ. დიდ. არმიისა და თურქთ სულთანის ჯარს საშუალ რომ ბრძოლა დაეყენა დროდმდე შერიგებისა და შეურიგებლობისა გარდაწვევტისა, მაშინ კიდევ ახალციხის მკრიდამ და ყარსის მკრიდამ, თანშეერთებითა დაღისტნელთ ლეკთათა, დაუცხრომელი მტერობა გვაჩვენეს, და არ დაიცვეს პირობები დრომდი, რომელიც ზემოთკე მოგვიხსენებია.

გვალადცა მოიხსენოს თქუჩნმან მ. დ. ბ. პირველად სპარსთაგან და შემდგომად თურქთაგან ვითარ დახარჯულ არის საქართველო, ეგრეთვე მახლობელს დროებში დაღისტნელთა ლეკთაგან ძალდატანებული და შეწუხებული ფართ; მაგრამ რადგან ახლა მომატებული მტერობა აქუსთ თურქთა და ლეკთა, როგორცათაც

ზემოთხსენებულ წერილში გაგვიცხადებია, აწ ამასევე და ამისთვის, რადგანც მაღლის და უმაღლესის მონარქისაგან საფარფლისა და წყალობის ნიშანი გუბოძებია, და ეგრეთვე თქვენგან მრავალჯერ იმედი აღგუთქმია, და თქვენის მეოხების სასოებითა უიჭველად ვსასოებთ, და წყალობითაც არს ხედვამ თქვენი ჩემდამო, და უმეტესის ვედრებითა გვეედრებით, რომ არ დაგვაგდოთ და თქვენი ჩემდამი კეთილ მოქმედებითისა სასოებისაგან არ მოგვაკლოთ, და რომელიც მ. ი. დ. წინაშე სას ვედრებულნი და სათხოველნი ჩემს ძმას და ჩემს ძეს ლეონს გამოვაცანე, და ეგრეთვე თქვენის მ. დ. ბ. მიმართაც მეოხებისა ვედრებანი მოგახსენე, — ესენი ყოფილად უგანათლებულ. დიდის მონარქისაგან მოწყალებით უფროს ამისა აღარ დაგვიგვიანდეს, წყალობით სავსე რეზოლუციას გვებოძოს, და უდ მოწყალის დიდ. კელმწ. მოწყალებითა და შესამდგომელობითა თქვენითა ჩვენის მწუხარებისაგან განვთავისუფლდეთ. სხუანი აქაურნი საქმენი და ჭამბავნი ძმისა ჩემისა და ძისა ჩემისა პირით წყალობით მოისმინეთ.

შე დამ წიგნების დაწერისა უგანათლებულესს იმერეთის მეფეს სოლომონს და მე შეუწრს მოგვიგდა და ერთობის წერილი [დავსწერეთ], რომელიც დაგბეჭდეთ ორთავე და მოგართვით. მე მაშინვე დადიანის და გურიელის შემოერთება ვურჩიე ბრძანებისაებრ მ. ი. დ., მაგრამ არ მოაკდინეს, და მე, რომელიც შეერთების წიგნი დამიბეჭდავს მეფე სოლომონთან საზოგადოდ მტერზე, ჩემის შეძლებით, ყოველთვის დავიცავ იმის ძიობას, და რაოდენ შემიძლია ვიქმნევი აღმასრულებელი, და ეგრეთვე თვით მეფე სოლომონს მოვალე არის საზოგადოსა მტერზედა, და ესენი ყოველი შეიძლება სასოებითა ყოფილად უგანათლებულესობისა ყოფილად მოწყალისა კელმწიფისა ჩვენისა დედობრივისა მოწყალებისა სასოებითა; და თუ უნდა მეფე სოლომონს ჩემთან სწორეთაც არ დადგეს, მე კიდევ ჩემის შეძლებით, როგორც პირობა მომხრთმეფია, მტერზე არ დავშალო მტერობა. და შემდგომად მდაბლის მოხსენებითა კიდევ ვითხოვ ჩემის მოხსენებულის რეზოლუციას, ნებისაებრ მ. ი. დ. წინაშე, რომელიც ჩემს ძმას და ჩემს შვილს ლევანს გამოვაცანე.

წელს ჩლოვ, ივნისის კვ.

72. Д. Х. 27 Июля 1773 г. Союзный договор, заключенный между царями Ираклиемъ и Соломономъ, и присланный ими къ гр. Н. И. Панину для представленія имп. Екатеринѣ II. Пер. т. I. № 170.

ვითარცა გვაქვს უმეტესი მორჩილება და უგულსმოდგინესი სდ ყმაობისა მოცემულობა სრულიად უგანათლებულესის დიდის კელმწიფისა ჩვენის იმპერ. კატარინა ალექსის ასულის და თვითმპყრობელის სრულიად რუსეთისას, ჩვენ, სა

ქართველთა და კახეთის მეფე ირაკლი და სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ, სდ უგანათლებულესის მათის იმპ. დიდებ. დედობრივის ბძანებით ამ ვალდებულთა ბისა ჩვენის გელწერილობით ურთიერთა შორის მეგობრობისა პირდაუფერებლობით დადგინებულთას ვაწესებთ: საერთოსა შურის მეძიებელის ქრისტიანეთა მტერთა ზედა მოქმედებად და ვალდებულებისა მეზრ. ურთიერთა შორის გულის მოდგინებით შესაწევნელად, როგორც ამ ქვემოთ პუნქტებში ვრცელად აცხადებს:

ა) ყოველნი, რომელნი ამას წინათ ურთიერთა შორის გულხაკლულებას ერთმანეთში გვქონდა, — საუკუნოდ დაუტევებთ.

ბ) პირდაპირ შურის მეძიებელის სრულიად რუსეთის იმპერიის და სდ ქრისტიანეთა მტერთა ზედა, რომელ არს ურუმისა და ყოველთა, რომელნიც იმათა ნი შემწენი არიან, რაც უნდა ხალხი იყოს, რომელსაც ჩვენ მოვსწუდებოდეთ და შეიძლებოდეს ყოვლისფრით ჩვენის შეძლებით და ძალით სწორესა ჩვენის სიმატლით, — იმათზედ მტერობით ვიმოქმედოთ.

გ) ვინიცობა არის რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ და ყოვლისფრით რაცკი შეიძლებოდეს გავისარჯნეთ.

დ) როდესაც ჯარი ვისმე ჩვენში ერთმანეთს სჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწევნელად ერთმანეთს სთხოვოს, იმ დროს ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარს სურსათი მისცეს და გააძლებინოს; და ვინიცობა არის ჩვენ ორნივე მეპატრონენი ჯარებით მტრის ქვეყანაში შევიდეთ, იმ ჟამს ყოველმან მეპატრონემან თავთავის ჯარს სურსათით, თუ სხვით რითმე, თვითონ ჩვენ ჩვენის შეძლებით გააძლებინოთ.

ე) დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედა, რაც უნდა რიგი კაცი იყოს ჩვენნი ყმანი თავადნი, თუ აზნაურნი ერთი ერთმანეთს, თვინიერ ნებით გარდასახლებულნი ორსავ მკრიდამ, გლეხი, თუ სხვა, დაუყოვნებლივ მივსცეთ.

ვ) ვინიცობა არის, რომლისაგან მარადის დმერთიან დაგვიცვას სწორედ, ჩვენსავე ქვეყანაში ერთი ერთმანეთისაგან შფოთი აღიძრას, ვისგანც უნდა იყოს, მასინვე ერთმანეთს მივეშველნეთ; და რითაცკი შეიძლებოდეს ისე დავაწყნაროთ, თუ გინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლო იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოვეპურათ, ამისთვის, რომ ის უბედურებობა იმ ქვეყნისაგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდეს.

ზ) დასასრულს ამისისა, გინათგან ყოველივე საქმენი დროსა და სწორესა ჟამსა წინაშე საერთოსა მტრის ვალდებულობისამებრ შემწეობით უნდა წინა უძღვეთ, ამისთვის რომ იმ დროს რიცხვით ჯარის განწესება ჯერ არ შეგვიძლიან, და ამას ყოველსა დაუტევებთ მომავალსა მშვიდობისა და კეთილის დრომდის; და უნდა ვეცადნეთ, რათა ჟამითი ჟამად ერთი ერთმანეთს სიყვარულობით და ერთობით, სწორისა და პირდაუფერებლობისა, კასი რიგით აღვასრულოთ, და მივსცეთ კეთილი რიგი; და სრულიად ესე შემოხსენებულნი პუნქტები სწორესა ჩვენის

ქვეყნის მშვიდობისათვის, ანათუ ჩვენს ამ ქვეყნის მოვლისა და მეპატრონებისა ჟამსა შინა იმოქმედოს, ანამედ ვამტკიცებთ, რათა ჩამომავლობამანცა ჩვენმან უთუოდ და უცვალებელად ეს ჰუნგტები კეთილად აღასრულოს, და არც უნდა ერთმანერთს ასე საქმე გაუჭიროთ, რომ იმის მიხედვით ის ჰუნგტები დაირღვას, რამელსა შინა შეგვეწვიოს ჩვენ ღმერთი უფალიც, და რათა ძალნი ესე მოქმედებანი, რომელნი დაგვიდგინებინ ურთიერთთა მეგობრობის და სიყვარულობისა შესაწვევლნი ჰუნგტები, ჩვენ ყოველმან და ჩამომავლობამანცა ჩვენმან უნდა უკეთესისა და სწორის საქმიითა ყოველს შინა დაურღვეველად დაიტვან, და ან განწყესუბულობისა რიგითა გულისმოდგინებით იქცეოდენ და ირჯებოდენ.

უდ უმდაბლესად ვითხოვთ ჩვენ თქვენის მაღლის ღრათობის ბრწყინ., რომ ეს ჰუნგტები მის დროს მათს იმპ. დ. და ჩვენს დიდებულს მოვარველს სრულიად უმაღლესის გასასინჯავად უმდაბლესის მირთმევით ღირს გვეყოთ, რომელი ჩვენ ეს ჟამსა აქ ჩვენთან ვექილი მათის იმპ. დ. საქმესა შინა ლეიბ ღვარდიის უფლის კაპიტანის ლგოვის ყოფნასა შინა ჩვენის ბეჭდით დაგბეჭდეთ და სწორედ ჩვენი კელი მოვარვერეთ, და წარმოასგზავნელად თქვენის მაღლის ღრათობის ბრწყინებად ვაღებთ წინაშე ამას მივართვით. ივლისის დღესა კზ, ჩლოგ წელსა. სანგარსა შინა, სინალოკსა სოფლისა მაგდარსა.

მეფე ქართლისა და კახეთისა
 ერეკლე
 (ბეჭედი)

სრულიად იმერეთის
 მეფე სოლომონ.
 (ბეჭედი)

ვცხვრებ პეტრებურდს და ჟამიც განსხვავებულს მდგომარეობასა მთხვრს.

ნოემბრის 6, წელსა ჩღუე.

**97. Д. XXIII. 23 Ноября 1795 г. Записка кн. Г. Чавчавадзе
въ Иностр. Коллегию.**

თუმცა თბილისიდან გასულა აღამაჭმადხანს, მაგრამ შორს არ არის, და მეს-
მის, რომ დადისტანსაც ელაპარაკება და იწვევს კახეთზედ მრავლის თეთრის დაპო-
რებით, თითონაც დიას საფიქრებელი არის, რომ არ დაუბრუნდეს, ამისათვის რომ
აქაური ჭაერი არ დაეყენებს იმ დროს დაშქრობას, და ამ სამთრობითვე იმათ
ასეთს ძვირს შეამთხვევს, რომ გაზაფხულზე თქვენგან მიშველება იმათთვის უსარ-
გებლო იქმსება, და ან სრულიად თავის ნებასა და მოწინაღობაზედ მიიყვანს,—მე
ჩემს თანამდებელ ვიცი, რომ ეს თქვენს ბრწყინვალებას განუტყდა და მოგახსენო-
თუ ამ სამთრობით ასეთს ძალას არ ისტუმრებდეთ, რომ მეიყოს იმათზედ მისვლა
შეძლო, მაშინ საჭირო არის და უმდაბლესად ვთხოვ ამ სამთრობისათვის, თუ უმე-
ტესი არა, ორი პოლეი მაინც წარგიზავნოს თავისის პრავიანტით, რომ ეს ახლან-
დელი შეწევნა ყოფლის იჭვიდამ გამოიყვანს აქაურს ხალხსა, და ამით განმხრო-
ბილნი გაზაფხულამდინ თავიანთ თავს მშვიდობით დაიტყვენ მანამდინ აქედამ
სრული შეწევნა გარდავა.

და თუ მთის მიხეზით ვინმე აბრკოლებდეს და გარწმუნებდეთ, რომ გარდა-
სვლა და ან პრავიანტის გარდატანა შეუძლებელი იუოს, მე, როგორც პატიოსანი
კაცი და ერთგული ძე მამულისა, ისე მივიღებ ამ კამისიას, რომ მთას აქეთ ჩვენს
გრანიტამდინ, რომელ არს პირველი შენობა სტეფან-წმიდა, იქ მომხარდეს ჟა-
რიცა და რაც გარდასატანი არის—ისიც, იმას იქით ჩემი თანამდებობა იუოს იმათი
მთას მშვიდობით გარდაყვანა.

თქვენის ბრწყინვალების ჩემგან მოხსენებით დამძიმების მიხეზი პირველი
ეს არის: რომელიც აბიდა აღამაჭმადხანსა დიდს რუსეთს უყო საქართველოს

წახდენით, იმაში უმაღლესს კაცსაც ვახვეწო ჩემი მოსურთი საშისხური და ჩემს
მშობელს ქვეყანასაც, და მეორე, რომ ამ თანამდებობაში ვარ შეკრული, სიტყვა
აბტერთის მხრიდან არა მომადგეს რა, და ნება თქვენის ბრწყინვალეობისა არის,
რომელმაც განსომა საქმეთა უმჯობესად იცით.

პოლნომოჩნი მინისტრი თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ნოემბრის 23, წელს 1795.

**98. Д. XXIV. 31 Декабря 1795 г. Письмо царя Ираклія
къ гр. А. А. Безбородко.**

პატისაცემელი წიგნი ბრწყინვალეობისა თქვენისა, და სეკდემბერს დაწერილი,
კის ოკდომბერს სელითა კაპიტნის ოფიციუსითა მივიღე მადლობით, რომლითა
სიმრავლე კეთილმოქმედებისა თქვენისა ჩემდა მომართ ყოველთა დროთა შინა
კეთილმწადნელობით მიღებისათვის ვედრების ჩემისა ვაღდებულ მეორეს მე მად
ლობად ღთისმსახურისა მაგის ბრწყინვალეობისა თქვენისა, რომლისათვისცა ამ
მდგომარეს უამში მოწვენილისა ჩვენსედა განსაცდელისათვის დიდად დამჭირნენი
გვედრებით, რათაცა წინაშე მათის იმპ—ის დიდ—სა ინებოთ გუაღად შეწვენა
ჩვენი უმდაბლესად თხოვითა ახრთა ჩვენთა სედა, რომელიცა მინისტრისა ჩვე
ნისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისა მიერ განეცხადების ბრწყინვალეობასა თქვენსა.

დეკემბერს 31, წელს 1795.

**99. Д. XXIV. Январь 1796 г. Письмо царицы Даріи къ имп.
Екатеринѣ II.**

ნუგეშინისმცემელი უკაზი ედ უმოწყალესობისა თქვენისა, თვით სელითა
თვითმპყრობელითა უმოწყალესობით დაწერილი, მივიღე უმდაბლესად თაყვანის
ცემით, რომელიცა წარმოგზავნა ჩვენდამომართ კნიაზ გარსევან რევაზოვის
სელითა კაპიტნის ოფიციუსითა, რომლისათვის მოხებრ უმდაბლესად ვმადლობ
უმაღლესსა მფარველობასა უდიდებ. თქვენისასა; და განსაცდელისა ამის ჩვენსედა
მოწვენილისათვის, ესოდენტა ტყვედ მიცემულთა ერთათვის, უზომოსა მწუხს
რებსა შინა მეოფი, წინაშე დიდებ. თქვენისა უხილავად მუხლთა სედა მდგომარე;
ედ უმდაბლესად გვედრებით: ტყვეთათვის, ჩხვილთა, მოხუცებულთა და ჭაბუკთა;
რომელთა ტანჯვითა უწყალთა და დაწვითა ეკკლესიებისათა განმწარებული გული
ჩემი შეიწყალეთ, ედ უმოწყალესო ხელმწიფევე, რათა მრვიდოთ უმოწყალესი რე
სალუცია თხოვისა მის, რომელიცა მეფისა ჩვენისაგან მოხსენებების იმპ. თქვენის

სსს, და თუ ამავე წამითარს უკუაღი ღენარაღ ღუღოფიჩი არ მოგვეშველა, ვითარცა გიბრძანებოესთ უმაღლესითა უკასრებითა, უთუოთ კიდევე წავსდებით, და იყავ სება უოველსა შინა მოწყალებისა თქვენისა ჩვენდამო.

იანვარს, წელსა 1796.

100. Д. XXIV. Январь 1796 г. Представление отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

მივიღე უკასრი უფლურტესისა მფარველობისა ედ უმოწყალებობისა თქვენისაგან, რომელიცა წარმოეგნა ჩვენდამომართ კნიაზ გარსევან რევასოვიჩს სულითა კაპიტნის თილიშესითა, რომლითა ნუგეშისცემულნი ვიქმნენით, რომ, თსოვისა ჩვენისაებრ, უმაღლესი ბრძანება მოეცა უფალს ღენერალს ან-შეფს ღუღოვიჩს შეწევნად ჩვენდა უძლეველითა მხედრობითა და არტილერიითა პირისპირ აღმავტანდხანისა. უღირსისა ამის ჩვენდამომართ მოწყალებითისა უკასრისათვის ერთობით საქართველო, ედ უმდაბლესად მმადლობენი უდიდებ. თქვენისანი, გვეუდრებით, ედ უმოწყალებო ხელმწიფევე, კვალადცა შეიწყალებთ ქვეყანა ესე, მონღოლბილი მფარველობასა უდიდებ. თქვენისასა, რათა მივიღოთ უმდაბლესად თსოვისა ჩვენისა ედ უმოწყალები რეზოლუცია.

იანვარს, წელსა 1796.

101. Д. XXIV. 8 Января 1796 г. Представление отъ царя Ираклія имп. Екатеринѣ II.

თქვენის დიდებ. ტრახტატის ბძანებით გვაქვნიდა იმედი თქვენის უძლეველის მხედრობის მალე მოშველებისა, ვეღარ მოგვასწრო და წავგახდინეს, როგორცა დაც გარსევან ჭავჭავაძისაგან მოგხსენებათ; და აქამდინ რომ ვერ მოვასხენეთ დიდებ. თქვენსა, ბევრის სხვასა და სხვას მიწეუბისაგან მოხდა. უმოწყალებო ხელმწიფევე, აღმავტანდხან, თუმცა მალე და სსჩქაროთ დაბრუნდა ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრამ შორს არ წასულა. მუღანის სსშვალს ადგილსა დგას, რომელიც ჩვენიდამ იქამდინ სსმასმდინ ვერსი იქმნება, და იქიდან კიდევე სსთუოთ არ არის ჩვენსედ იმისი მოსვლა, თუ კიდევე თქვენი უძლეველი მხედრობა ღინიიდან მსწრაფლად არ მოგვეშველა და შიშმა არ დააყენა, იმას სსხვა სსქმე არ აქვსრა, თუ არ ჩვენ და შუშის იბრეიმხან. ამ დეკემბრის თთვეში თქვენის დიდებ. უძლეველი მხედრობა გვებოძა, — ამასუდ ვმადლობთ ედ ძლიერსა ღთსა და თქვენსა დედობრივისა ჩვენსედ მსრუნველობასა, და დაგვიცს თავი ჩვენი თქვენის დიდებ. ერთგულობასა სკდა ესრეთ

ვიდრე წვეთამდე სისხლისა. ხელმწიფეო ჩვენო, ღთოს ქვეშეთ ჩვენი სასოება თქვენს ზედ არის დადებული და ჩვენი ცხოვრებაც თქვენს ზედ არის დამოკიდებული, თუ აღგვადგენ ამაგ სამთარს და მოგვცემ ხელსა წყალობისასა, ყოფლითურთ წარმადს თებულ იქმნება ჩვენი საქმე, და თუ ამაგ სამთარ თქვენი უძლეველი და იმის მოაპირდაპირე კმასყოფელი მსედრობა არ გვებოძება, უიჭოთ წავგავსდენს, და ჩვენს, საქართველოს ხალხნი, დიდს განსაცდელში ვიქმნებით და ფართ; და სხვანი, რომელნიც ქვეყნები ჯერ არ დაუზურია, ზოგთ შიშით და ზოგთ ძალით დამოტრიალებს; იქმნება სხვანიც, რომელნიც დიდნი და ერთსარწმუნოებისანი არიან, ისინიც შეიძინეს, და მასუკან უფრო დასამძიმებელი საქმეები გამოჩნდეს; ახლა კიდევ რაი თავისი საზღარი სულები მასხან და მუსტაფასხან, და ნუხის სელიმსხან თასვის ქვეყნის ხალხით აყრილნი არიან და სიმაგრეში დგანან და ხიზნულნი, რომელნიც დროს მსუურებელნი არიან, და თუ აღამაჭმადხანს, ან თქვენის რისხვით, და ან სხვა განსაცდელი არა მიადგა რა, შირვანსაც სრულად დაიჭერს; და იმ ჯარისგანაც ჩვენს ქვეყანას ნიადაგდღე შიში აქვს, რომელნიც ახლა ნუხას არიან, და ნუხის გრანიტიდამ ჩვენის ქვეყნის, კასეთის, გრანიტამდინ ოცი, ანუ ოცდა ათი ვერსი იქმნება, აწ, თქვენად სადღეგრძელოდ, აღდეგ და გვალად ხელი წყალობისა აღგვიზურ, და გვიბოძე ამ სამუდამოს ჯარს გარდა ამაგ სამთარს, ვითარცა თქვენს დიდებუბანებებს, იმის მოპირდაპირე ჯარი, რომ ჩვენს მტერთ ღთოსა და თქვენი რისხვას მივაგოთ, და იმდენი სული ტუფე რომ ჰყავთ წაყვანილნი, ღთით გამოვიხსნათ თქვენად სადღეგრძელოდ, და როდესაც თქვენს იმპ. დიდებ. სებადეს, ის ჯარი ისევ ბრძანებით წაიყვანეთ ამ რაი ათასს ჯარს გარდა, და ესენი კი ხელთან იყვნენ.

წელსა 1796, იანვრის 8.

102. Д. XXIV. 8 Января 1796 г. Письмо царя Ираклия къ гр. Остерману.

აზრი ვედრებისა ჩემისა ეს არის თქვენს ბრწეინვალებასთან, რომ უმაღლესის კარისათვის კვლავაც მოგვიხსენებია: ორმოცდახუთი წელიწადი არის ერევანი ჩვენი იყო, და იმას უწინაც ბევრჯერ სჭერია ჩვენს ოჯახს ერევანი, და იმისის დიდებუბანებთან და მთარველობას ქვეშ განჯითა და ერევანით შემოკედით; აღამაჭმადხანსა ორივე წავგვართვა, და ახლა კიდევ ჩვენი სამთარობელო თამბაკი, ყაზახი და ბორჩალო ფარმანით ერევნის ხანისათვის მიუტრია, რომ თვით ერევნელებისაგან ყაზახთათვის მოწერილი წიგნი კნიაზ გარსევან რევასოფისათვის გამოგვიგზავნია, იმისგან მოხსენსდება თქვენს ბრწეინვალებას. თუმცა ეს ჩვენი სამთარობელო თამბაკი, ყაზახნი და ბორჩალო შორს არიან აღამაჭმადხანის მოტრიალებისაგან, და არც უნდათ იმისი მოსებას ქვეშ შესვლა, მაგრამ, თუ ამაგ სამთარს უძლეველის მსედრობით კმასყოფელი შეწევნა ვერ მივიღეთ, ესენიცა და სხვა ჩვენთან შემოერთებულნი მუ-

ზობლებიც, უილაჯობით, იმისნი შეიქმნებიან, რომლისათვისცა ვედრებით ვითხოვთ კეთილმწადნელობისა თქვენისაგან, რომ წინაშე მათის იმპ. დიდებ. ინკუბოთ შეწევნა ჩვენი, რომ ამავე წამათარს რვა ათასი რიცხვი მხედრობისა ედუმოწყალესობით გვებოძოს, რომლითაც აღამაჭმადხანისაგან მიტაცებული შემოსხსენებული ადგილები ისევ დაფიჭურათ და იმოდენი რიცხვი ქრისტიანეატევენნი, რომელნიცა განჯასა, ერევანსა და ნუხას იმეოფებიან, ისინი გამოვიხსნათ.

იანვარს 8, წელსა 1796.

103. Д. XXIII. 7 Марта 1796 г. Представление отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Екатеринѣ II.

მის სიმაღლემან მეფემან ირაკლი, ხელმწიფემან ჩემმან, მომივლინა მე წერილობითი ბრძანება თვისი, რათა თქვენის იმპ. დიდებ., ყოფლად უმოწყალესსა ხელმწიფესა, მფარველსა და შემწეს ქართლისა და კახეთისა და სხვათა ქვეყანათსა, რომელთაცა არს იგი მბრძანებელ, ყოფლად უყებრივისად მოვანსენო, რომელნიცა არიან შემდგომნი:

პირველი, შემდგომად უმაღლესისა თქვენის იმპ. დიდ. ბრძანებისა, რომელიცა მივლინილ არს უფლისა ღენერალსანშეფ დუდოვიჩისადმი შესაწვენელად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, მხედრობითა, არტილერიითა და სხვებითა პირისპირ მტრისა ჩვენისა აღამაჭმადხანისა, — ბრძანებითა მისის სიმაღლისათა, დაუკარგავად ჟამისა, დაწეებულა კეთება გზათა თბილისით ვიდრე ჩვენს საზღვრამდე, ვა მათს აქეთ, ეგრეთა იქით გამართულ და გაკეთებულ არიან, არა თუ ოდენ განსატარებულად მხედრობათა, ან, საიმედოთ, მხედრობათათვის, არტილერიისა, ბარგთა და ყოველთა სიმძიმეთა, რომელთაცა აწ გარდატანა ძალუცთ თვინიერ მტრისა შრომისა.

მეორე, მომზადებასა ძლევაშემოსილთა თქვენის იმპ. დიდ. მხედრობათათვის სურსათისათა, მეფე, ხელმწიფე ჩემი, წმიდად არწმუნებს, რომელ იგი მიღებისამებრ ზომისა დამზადებულ იქმნება არა თუ ოდენ გამსაყოფელი ათისა, ანუ თოთხმეტის ათასის მხედრობათათვის, არამედ, უკეთუ სახმარ იქნება, უმეტესიცა, მაშინ არა ექნება მათ ნაკლულებანება და მხედრობა არა მოიჭირვებს სურსათისათვის.

მესამე, უფალს ღენერალსანშეფს დუდოვიჩს მიეწერა მეფისათვის, რომელ იგი ნებითა თქვენის იმპ. დიდებ. უფლებებს ორი ათასსა მხედრობასა, რომელიცა უკვე მისულა, რომლისათვისცა მისი სიმაღლე, მომღები თქვენის დიდებულებისადმი საწმუნო ყებრივისა მადლობისა, ედ უმწვერვალესად სთხოვს თქვენს იმპ. დიდებ., რათა უჩვენოთ მას აწინდელსა უბედურებითა მდგომარეობასა შინა მისისა ედ-უმოწყალესი შემწეობა მივლინებითა მისდამი

განგრძობებისაკუ წამთრისსა კდ რვა ათასისა ძლევაშემოსილისა მხედრობისა თქვენისათა უზრუნველობისათვის თვისისა და სსმფლობელოსა მისისა მტრისა გან მისისა აღმამაღსანისა, და მოსაბრუნებელად მისგან მიტაცებულთა ტყვეთა ქრისტიანეთა, რომელნიცა იმყოფებიან აწ განჯასა შინა და სხვათა მეზობელთა ალაგთა.

ადრბეყანის ხანები ვა ვლ, ეგრეთცა აწ საუბართა შა თვისთა აცხადებენ, რლ, უკეთუ გამსაყოფელი რიცხვი რუსეთის მხედრობათა შესაწევნელად საქართვლოისა არა იქმნება მოვლენილ, მაშა მათ, სუსტადლობისამებრ თვისისა, არ ძალუძთ ვირისაპირ დგომა აღმამაღსანისა, რომელითაცა ჩვენ დავითებით დათრუგვნილ, ად, უკეთუ მიიფლენება გამსაყოფი შეწევნა, მაშინ იგინი თანხმაცბენ უაფად მოაჩილებასა მეფისასა და აღსრულებასა ნებისა მისისას.

ოდესცა შეუდგების ედ უმადლესი ბრძანება მისაფლენად მეფისადმი მხედრობათა ამასვე წამთარსა, მაშინ შესაძლებელ არს დამოაჩილება უაფელთა მათ ადგილთა, რომელნიცა მდებარებენ აქეთ კერძო არეისისა; დადესტნის თავადებიცა, რომელთაცა ჯერეთ არ მიუღიათ რუსეთის ყმობა, იწყებენ ძიებასა შემთხვევისასა შესასულელად მას შინა. თანასწორითავე ხატითა ეწინიცა იგი ხაღხნი, რომელნიცა აკრფან დარბანდს, შეერთდებიან ზოგად ჩვენთანა და აღელდებიან ვირისაპირ აღმამაღსანისა. ად, უკეთუ მოლოდება ესე არა შეუდგეს, მაშინ აწ ჩვენთან თასა ხმანი ხანნი და დადესტნის ხაღხნი, სუსტადლისაებრ თვისისა, იძულებულ იქმნებიან აღსრულებად ბრძანებათა აღმამაღსანისათა. და ოდესცა დაასწრობს იგი დამოაჩილებასა ხანთა ამათ და დადესტნელთასა, მაშინ უკვე ადვილ ჰპოვებს მეგობრობასა ოთამანის ვოლტისათანაცა; და ამით საქმენი ჩვენნი მიიღებენ ავსა სახესა, ვიდრეცა ვითარსაცა შა აწ იმყოფება, და საქართველო შთავარდება თვით უბედურებითსა მდგომარეობასა შინა.

მეოთხე, შემთხვევისამებრ ვინადაცა იტვირთა საქართველომან აღმამაღსანისაგან უკიდურესი დაქტევა, უცილოდ საჭირო არს გამტკიცება და განმართვა მისი მოყვანად მისსა უმჯობესსა მდგომარეობასა შინა ვირისაპირ მტრისა მისისა, იმის სიმაღლე მეფე ედ-უემესად სთხოვს თქვენს იმპერატორების დიდებულებს, რათა უბოძათ მას სესხად ერთი მილიონი რუბლისა, ყავლითა, ვითარსაცა ინებებთ დანიშვნად, თანასწორვე გარდახდაცა კერძოკერძად; და რათა უაფელი იგი აღსრულებულ იყოს სამდვილათ, მეფე წინადად ზემოხსენებულისა ჯამისა წარადგენს სსმფლობელოსა თვისისა, და შდ მისსა შემკვიდრეთა მისთასა.

მეხუთე, ყვანებისამებრ მოხსენებისა ჩემისა მეფისადმი, რლ თქვენის დიდებულებისაგან ნაბოძებისა მის სიმაღლისადმი არტილლერიისა დანაშთომისა ნახევარსა, შედგომითა უმადლესისა ბრძანებისა თქვენისათა, მიუტანეს მას, გარნა მეფეს იგი არა მისფლია, და უწყებაცა მისთვის რუსეთის მხედართმთავრისაგან არა აქვს, მაშა არა სათნო იჩენთა აბრძანებად, რათა სსესებულე არტილლერიისა მეფეს მიუტანონ?

შეეჭვსე, წადილითა მეფისათა უმაღლესი თქვენის იმზე—ის დიდ. შეუდგანება, რათა თავიამთავარი ღენერალი გუდოვიჩი შეეყაროს მის უმაღლესობას სასტრონომიის საქმეთა პირისპირ; გარსა უამმან და გარემოებათა დაბრკოლას მისდაში; აწ მეფე ითხოვს, რა შიდა გაზაფხულისა ნება ეცეს მას, ანუ ვისადა წმუნებულ ექმნება სამხედრო საქმე კერძოთა მათ, რათა შეეყაროს მის სიმაღლეს სალაზარაკოთა.

ყოველთაშებრ დანიშნულთა პუნქტთა შეიკუმან, ხელმწიფეთა ჩემთა, სასტრონომიის თვისითა მარწმუნა მე, ვა საწმუნოსა ქესა მამულისსა, რათა დაგსდგას ყოველი ქალაქისა ზედა და წარუდგინო თქვენს იმზე. დიდ—ს, რა ამით აღმასრულები, დაგამხრო თავსა თვისსა უღუსამღვდელოესადში თქვენთა თქვენისა იმზე. დიდებ., და, სიმოკლისაშებრ უამისა, მივიღებ კადნიერებასა უღუმეს თხოვად თქვენისა დიდ—გან უმაღლესისა მასზედა ბრძანებისა, რაღიცა აცხვენებს ვა მეფესა, ხელმწიფესა ჩემსა, ეგრეთცა უღთა ერთგულთა ერთა, უბედურებითა მდგომარეობასა შინა მეოფთა.

მარტის 8, წელსა ჩლუვ.

104. Д. XXIII. 5 Апрель 1796 г. Записка кн. Г. Чавчавадзе въ Иностр. Коллегию.

რუსეთის საიმპერატოროს მინისტრებისა ამ წლის კო მარტის ჩემდა ზიარყოფილისა წერილისა ძლით, ჩემად სათანადოდ ვრაცხ მისდა უმდაბლესად მოხსენებად.

განცხადებისათვის ჩემდა რუსეთის საიმპერატოროს მინისტრებისათაგან სსენებულსა წერილსა შა მ. იმზე. დიდ. უმაღლესისა ნებობისა შედგომისა შეეყენებითა ქმნულებასა შა ჩემით წარდგინებულსა ნებისაშებრ მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, სხვათა და სხვათა აწმეოთა გარემოებითა მოერთმეულთა თხოვილთათვის, და ვამხრო მე უღ უმოწყალებისა ხელმწიფისად ქვეშემგდომებისა ერთგულებითა მადლობასა. შედგომასაგათანა უმაღლესისა ნებისა, მე, არა მცირედ დამეონებელი, საგანგებოთა კურირითა მოვასხენებ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა; ვითარცა უმაღლესობა მისი, ესრეთვე ყოველნი ქვეშემგდომნი მისნი იქმნებიან გამოუთქმულად მხარულნი დაუგდებლობისათვის მათისა უღ უმოწყალებისათა შემწეობითა და ძლიერითა საფარველითა თვისითა, რა რომლისათვისცა არიან უგვე მინიჭებული მისისა დიდებულებისმიერ სათანადოთა მიწერილობითა და მოძღვრებითა შემთავრენი რუსეთის საიმპერატოროს მხედრობათა საქართველოსა და მისდაში მდებარეთა ადგილთა შა, უფალნი ღენერალანშეფ დუდოვიჩი და ღენერალპოროჰინიკი დრათვი ზუბოვი; მაშინ ვგანებისაშებრ ამისა ვიკადნიერებ რუსეთის

საიმპერატორის მინისტრიათად ედ უმდაბლესად თხოვად მონიჭებისათვის ჩემდა უწყებისა შედგომილთა დანიშნულთა მოწყალებათა მ. იმპ. დიდ. მიწერილბათათვის, რაჟამცა უძლო მე გარემოებათა მათთა მოხსენებად მისისა უმაღლესობისად და უფროს მისსა მით მსიარულმყოფად.

უკეთუ კეთილსათნო იქმნეს მ. იმპ. დიდ. წარგზავნა ჩემი აქათ სამსახურისა ჩვენებისათვის რუსეთის საიმპერატორის კარისა და მამულისა ჩემისა აწინა დელთა გარემოებითა ჟამთაძიერ დახმარებად საქმესა შა, მაშინ ვითხოვ მოამანდვით მე უმაღლესითა ნებობითთა უწყება აღსარულებელად ერთმთავრინისა ჩემისა, რაჟამცა თვით მეფე, ჩი ხელმწიფე, შეუდგებისცა.

თუმცა არა მქონან მე არცამცირედნი კანონნი თხოვად მონიჭებისა წარსვლისათვის ჩემისა და შენახვისათვის თავისა ჩემისა დროსა მათ ადგილთა შა ყოფნისასა, გარნა უბედურებითისა შემთხვევისა თბილისის ქალაქისა და მოკლებული მყოფი ელისა თვისისა ქონებისა ძლით, ვიკადნიერებ შემგრძობებად თავისა მადლისა ერთმთავრინისა მოწყალებასა და კეთილნებობასა შა, და ვინაიდგან შეუდლე ჩემი შთებისა აქა, მაშინ არა კეთილსათნო იჩენსა აწ ჩემდა წარმოებულისა ერთმთავრინისა სიუხვისაძიერ რაჭიკისა მდგომარესა სტოლისა თეთრთა შა, ეტლთა, შებმათა და ორთა მსახურთასა მოქცევად სარგებელსა შა მისის მის, და თვით თეთრთა მიცემითა, რაჟამცა ძალელება მას ჰყოფა თავისა შეუწყობებად.

კურთხედად წარმოგზავნილსა ჩემდა ხელმწიფისაგან ჩემისა კაპიტანს ფილიპ იაგოროვს უკუგაქცევ მე მისისა უმაღლესობისადმი სსინხარულთა მოხსენებითა, რაჟამცა თვისისცა ვითხოვ მინიჭებულყოთ კურთხეობითა ზოდოროვნითა თბილისისადმდე.

აპრილის ე, წელსა ჩღჟჟ.

105. Д. ХХІІІ. 6 Февраля 1797 г. Письмо Иранлія къ гр. Безбородко.

თქვენს ბრწყინვალეობას რომელიც ჩვენის დესპანის კნაჲ ჭავჭავაძისაგან ჩვენი საქმეები მოხსენდება, გთხოვ, ვითარცა სარწმუნოსა მეგობარსა, რათა აჩვენოთ ამ საჭიროებითს დროს კეთილისმოქმედობა თქვენი ჩვენსე და სამეფოსა ჩვენსა ზედა, რომელსაც უსაკუთრესად მოვანდობ თქვენს ბრწყინვალეობასა ყოველსა სასარგებლოსა ჩვენსა, და დავშთები უსრულესითა იმედოვნებითა.

ფებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისი.

106. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Письмо царя Ираклія къ гр. Остерману.

თუმცა მტირქესან შეგვხდა ერთათ ყოფნა, მაგრამ თვისის კეთილმოქმედობით და ჰატოისანის ყოფაქცევით მოვალედ შემქმნა უფალმა დენერალ ალექსანდრე მიხაილის რომისკოცრსაკოფმა, რომ თქვენს ბრწ—ას გამოუცხადო, და მსურს, თუ თქვენი ბრწ—ება აქავ ჩვენის მხრის თვისდამი რწმუნებული კომისია გვალად ხსენებულს ამას დენერალსა ერწმუნოს, რომლისათვისცა მე ვალდებულ შეყოფ, და სხვებრ ყოველსა მოვანდობ თქვენის ბრწ—ს ჩვენდამო კეთილმსრუნველობასა.

ფებერვალს 3, 1797 წელს. თბილისი.

107. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Письмо царя Ираклія къ гр. Остерману.

მე, მიმღებელმან ყდ უმაღლესისა შემაწუნებელისა ხმისა და მასთანავე ნუგეშინისცემულმან, თანამდებობად ვრაცხე თქვენის ბრწ—დამი განცხადება მხიარულებისა ჩემისა აღსვლისათვის სანიშნურტოროსა ყოფლისა რუსეთისა სამეგვიდროსა საყდასსკედა ხელმწიფისა ჩვენისა ჰავლე პირველისა, და წარმოგვჩვენეთ წინაშე მათის იმპ. დიდ. პოლნომოხნი მინისტრი ჩვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, რომლისგანაც მიიღებთ წერილსა ამას, და ამისმიერვე სტნობტა ყოველსა ჩემ მიერსა საჭიროებითსა თხოვას, რომლისათვისცა ვითხოვ და ვსასოებ, რომელ ყლსა შინა აჩუბნებთ შემწეობასა, ვითარცა მაქვს იმედოვნება თქვენის ბრწ—გან. ბრწყინვალეო დრაფო, თქვენგან ჩვენთვის სასარგებლოდ მოწერილი წერილი ზემორქესენებულის თავადის გარსევან ჭავჭავაძისგან მივიღე, რომლისათვისცა, უმდაბლესად უმეტესისა მადლობისა მომრთმევი, დაუდებ თავსა ჩემსა თქვენ კერძო თანამდებად, ვინადგან ვართ თქვენ მიერ მარადის საქმესა შინა დაუფიწებულ და ჩვენის სასარგებლობისათვის იღწვით მარადის.

ფებერვალს 3, 1797 წელს. თბილისით.

108. Д. XXII. 3 Февраля 1798 г. Письмо царя Ираклія къ С. Л. Лашкареву.

თქვენის მსვლელობისგან ჩვენს საქმესედ გარჯა და თქვენმიერ ნიადაგ ჩვენთვის კეთილისმწადნელობა განცხადებული გვაქვს, და სარწმუნო ვართ, რად

განც ამ ქვეყნის შვილი ხართ, ამას იქითაც ამ ქვეყნის ბედნიერობისათვის მოღვაწეობა გექმნებათ და გარჯას არ დააკლებთ, ამისთვის მადლობელი ვართ თქვენის მსგეულობისა.

ამჟამად პოლნომოხნი მინისტრი, ჩვენი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, უმაღლესს გარსედ გამოგვისტუმრეთ: ჩუზნს ანბავს და ამ ქვეყნის ვითარებას ყოველსავე ამის განსტნობთ, და მოლოდება გვაქვს, რომ თქვენი მსგეულობა ჩვენის სარგებლობისათვის ჩვეულებრივ კეთილმოქმედებას არ დააკლებთ, და ჩვენ ვეგებით სრულითა პატივისცემითა.

თებერვალს 3, 1797 წელსა. თბილისი.

109. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Представление отъ царя Ираклія имп. Павлу.

თქვენის იმპ. დიდ—ის მიერ სამეგიდროსა ყოვლისა რუსეთის სიმპერატორს საუდარსაზედა აღსვლისათვის მოხარულ ქმნილთა, თანამდებობად ჩემდა ფრანცხე წინაშე თქვენის დიდებულებისა ჩემგან სრულ-ძალაქონებელის დესპანის თავადის გარსევან ჭავჭავაძის ცხადყოფა, რომლისათვის, ედ უმდაბლესად მომლოცველი თქვენის იმპერატორების დიდებულებისადმი, შევავრდომებ უმაღლესსა სიპარველსა თქვენსა თვით თავსა, სახლსა და სამეფოსა ჩემსა, და ესრეთვე ყოვლისა რუსეთის უძლეველის მსედრობისმიერ განჯის დაპყრობისა, და მისით. შე მოხდუდვისათვის ჩვენისა, უმდაბლესისა მადლობისა მომღები, დაჴმთები უერთგულესისა გრძნობითა. ედ უმოწყალესო ხელმწიფევე, თქვენის იმპ. დიდ. წინაშე ჩემგან ყოველსა შინა რწმუნებულს დესპანს და ამის მიერ ჩვენის მოხსენების რესოლუციის ბოძებას მოვანდობ ედ უმოწყალესსა ჩებასა.

თებერვლის 3, 1797 წელს. თფილისი.

110. Д. XXIII. 3 Февраля 1797 г. Представление отъ царя Ираклія имп. Павлу.

ვინათგან ყოვლისა შემძლებელისა და ედ უმაღლესისა ნებისა მეზრ ფრიად საყვარელსა მშობელსა თქვენსა და ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატრიცა დიდსა ეკატერინას მეორესა შეეცვალა ცხოვრება თვისი საუკუნოსა ცხოვრებისადმი, ამისათვის ჩვენცა, ქვეშევრდომებრსა თანამდებობასა შინა მყოფ უკიდურესითა შეჭირვებითა ჩვენიოთა, გვაგო ყოვლით სახლეუდით და სამეფოთ

ჩემითურთ საგლოგელსა შწუნარებსსა შინა, რომლისცა უმდაბლესად ცნადმოფსა ნუგეშმცემს აღსვლა ყოფლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსა ზედა უდიდ. თქვენისა, რომლისა მიერ დაფშთები მსსოკ ყოვლად უმოწყალებისა ნებისა.

ფებერვლის 3, 1797 წელს. თბილისი.

111. Д. XXIII. 4 Февраля 1797 г. Письмо царицы Дарии къ имп. Марии Феодоровнѣ.

ვინადგან ელისა შემძლებელმან დთმან ედ უმოწყალესი ხელმწიფე ჩვენი ჰაველ პეტროვიჩი თქვენის იმპ. დიდ — თურთ აღიფანა სამკვიდროსა ელისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსაზედა, ამისთვის, ედ უდიდებულესო იმპერატრიცაჲ, სთანადოთ ვრაცხე მოხარულის გულით ქვეშემგრდომებრივი ერთოულაბითი მოლოცვა თქვენისა იმპერატორებისადმი, რომლისა შემდგომადცა ედ კრძალულებით ვითხოვ, რომ შემწე ექმნათ მათისა იმპ. დიდა — დმი მეფისა ჩვენისა თხოვილსა, რომლიცა ედ უმდაბლესად მოხსენდება მათს დიდებულებას მეფისა მიერ წარმოგზავნილის დესპანისაგან.

ფებერვლის 4, 1797 წელს. თელავი.

112. Д. XXIII. 4 Февраля 1797 г. Письмо царицы Дарии къ имп. Павлу.

ვინადგან ნებისმებრ ედ შემძლებელისა დთისა ფედ საყვარელსა მშობელსა თქვენსა და ედ უმოწყალესსა ხელმწიფასა ჩვენსა იმპერატრიცა დიდსა კატირინა მეორესა შეეცვალა ცხოვრება თვისი საუკონოსა ცხოვრებისადმი, ამისათვის მეცა, თანამდებობასა შა მეოფი, უმწვერვალესითა შეჭირვებითა მაგო საგლოგელსა შწუნარებსსა შა, რომლისამიერ გაგებდე ედ უმდაბლესი მოხსენება ესე, და ამასთანავე განცხადება მხარულებისა ჩვენისა აღსვლისათვის ყოფლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდარსა ზედა უდიდებულესობისა თქვენისა, და ამისათვის, უმდაბლესად მომლოცველი და მთხოვნელი დთისდა მიმართ განძლიერებისათვის თქვენისა, გვედრები, ედ უმოწყალესო ხელმწიფეჲ, რათა მეფისა ჩვენისა მოხსენებულსა საჭიროებითსა თხოვასა და წარმოგზავნილსა დესპანს მისცეთ მოხსენებულისა ვედრებისა მოწყალებით აღსრულებისა რესოლუცია, რომელსაცა გვამედოფნებს ედ განმდიდრებული კეთილნებობა თქვენი.

ფებერვლის 4, 1797 წელს. თელავი.

113. Д. XXIII. 16 Апрель 1797 г. Письмо царя Ираклия къ А. А. Безбородно.

ვითარცა მე, ეგრეთვე წინაპართა ჩემთა ჭქონდათ სურვილი და აღრითვანვე ვართ შემოგედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატორის ტახტისა, რომელიცა განუენილ და განცხადებულ არს უოგელსა ქვეყანასა ზედა, რომლისათვის ჩვენცა სარწმუნოდ მოიქედენი ვართ, რომ მათი იმპერატორობის დიდებულება ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს, მაშამ ახლა მესმა, რომ ჩადგანაც რუსეთის ძლევას შემოასილის მსედრობით სპარსეთში ამჟამად დაშქრობა დაუენებულა, რაც ჩვენს მოფარველად რუსეთის ჯარი იმყოფება—ამათაც წასვლა ეტულებათ, რომელმაც დიდსა შერეევასი და მწუხარებაში შეკვიფრანა.

მოქსენება თქვენს ბრწეინვალებას თუ ვითარი დაქტევა შესათხვია აღმამად ხანმა თბილისსა და მრავალი სული ქრისტიანე დაატევევა, ამისათვის რომელ იცოდა ქტის ერთგულობითი ყოფა საქართველოსი მათის იმპერატორობის დიდებულების საფარველსა ქვეშე, და ჩვენ, ჩადგანაც რუსეთის დიდებულის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გვქონდა, დის მადლობის შირთხევით, ეველა მოგიომინეთ.

ბრწეინვალო გრაფო, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეოდ მოქადულ და განძინებულ იქმნა აღმამადხანს, რომლისაცა მოწერილი შექარის წიგნი აწ უმაღლესს კარს მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა რუსეთის უმაღლესი საფარველი ახდელი ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მესობლებში მოგებულნი კაცნი შევანდნეს, ისინიც მტერ მექნებიან, და უეჭველია, რომ საქართა ველო წასდება. ეკკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატევევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ შეიწყალე უმაღლესის ტახტისა მაგის საფარველ ქვეშ მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი მტერთა წარწყმედისაგან, და შეგვეწიენით მათის იმპერატორობის დიდებულების წინაშე, რომ მოწყალების მოიქედენი უნუგემოდ არ დავრჩეთ, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შდ დისა, უსაკუთრესად მონდობილი არის ედ მოწყალის ჩვენის ხელმწიფის მოწყალება ზედ. და ახლა ჩვენი თხოვა ეს არის: მათმა უდიდებულესობამ ინებოს მოფარველად ჩვენდა ორს, ანუ სამს წლამდე ოთხი ათასი კაცი, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა ნება მათის იმპერატორობის დიდებულებისა აღსრულდეს—რა ერთიც ინებოს, იმდონი დაუენოს; და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს უმაღლესის კარისაგან სამსახური გამოგვეცხადოს, და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოვახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარული იქმნება და მოწყალება მივიღებთ. და სხვანიცა ჩვენი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესსა კარსა ჰოლანდოზისი შინისტრის ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიცა უწინარეს ამისა, აგებურდის 5, წარმოგხანსილ არს ჩემშიერ უმდაბლესისა მოხსენებითა.

აშრილის 16, 1797 წელსა თბილისი.

114. Д. XXIII. 16 Апрель 1797 г. Представленіе отъ царя Ираклія имп. Павлу.

ვითარცა შე, ეგრეთცა წინაპართაცა ჩემთა ჭქონდათ სურვილი და ადრით განვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა თქვენისა, რომელიც განუენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა წა, რომლისათვის ჩვენს სარწმუნოდ მომიქედნი ვართ, რომ თქვენი უდიდებულესობა ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს, მარამ ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევას შემოსილის მსედრობით სპარსეთში დაშქრობა ამჟამად დაუენებულა; რაც ჩვენს მფარველად თქვენის იმპ. დიდ. ჯარი აქ იმყოფება, ამათაც წასვლა ეგულეებით, რომელმაც დიდსა შერყევასა და მწუსარებაში შეგვიყვანა. მოეხსენება თქვენს იმპ. დიდ. თუ ვითარი დაქტევა შეამთხვია აღამაჰმადხანმა თბილისსა, და მრავალი სული ქრისტიანე დაატყვევა, ამისათვის, რომელ იცოდა საქართველოსი ჭკუშმარტის ერთგულობითი ყოფა თქვენის იმპ. დიდ. საფარველ ქვეშე, და ჩვენ, რადგანც თქვენის უმაღლესის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გვქონდა, დის მადლობის მიერთებით, ყველა მოვითმინეთ. ედ უადვისტესო ხელა მწიფევე, უმეტეს ჰირველისა ჩვენს სამტეოდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდიდებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენსედ ახდილად ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოსგებული კაცნი მუფანდენ, ისინიც მტერ მექმნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკვლესიები ახრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმოხებრიესად მუხლდადგომით გვეედრები, ედ უმოს წყალესო ხელმწიფევე, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა და შეიწყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწემენდისაგან, და ინებეთ მფარველად ჩვენდა ბოძება ეგოდენისა ძლევას შემოსილისა მსედრობისაგან ოთხი ათასი კაცი ორსა, ან სამს წლამდე, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა თქვენის იმპერატორობის დიდებულეების ნება აღსრულდეს, — რაერთიც ინებოს, იმდენი დაარჩინოს, და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს თქვენგანაც სამსახური გამოგვეცხადოს; და ან ჩვენ გვებძანოს, რომ მოგახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარულ იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. სუ დაგვატდებ თქვენის ედ მოწყალეობის მომიქედთა, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შემდგომად დისა, უსაკუთრესად მოხდობილ არის თქვენს მოწყალებასედ. სხვანიცა ჩვენნი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესს კარსა დესპანისა ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიც უწინარეს ამისსა, ოქტობრის 5, წარმოგზავნილ არს.

აპრილის 16, 1797 წელსა. თფილისით.

115. Д. XXIII. 16 Апрель 1797 г. Письмо царицы Даріи къ имп. Маріи Ѳеодоровнѣ.

აწინდელსა დროსა შინა შეიწირებულნი მეოფობა ჩვენი კადნიერ მეოფს მე, რათა თვით თავით ჩემით მოვართო თქვენს დიდებულებას უმდაბლესი მოხსენება ესე, რომლისათვისცა ქვე-შევრდომით გაგებდავთ თქვენდა მიმართ უქვენაესსა ვედრებასა, რათა ყოფილადსაყვარელისა ძეგბითურთ თქვენით გვექნათ შემწე და შეამდგომელი წინაშე მათის იმჴ — ის დიდ — სს თქვენს საფარველ ქვეშე მეოფით ქრისტიანეთა ერსა ამას, რომელნიცა, მონდობილნი მხოლოდ თქვენის საფარველისა აწ უკუნქცევითა საქართულადთ რუსეთის უძლეველის მხედრობისათა, მოსუთმენელსა მწუხარებასა შა-მეოფნი, მოველით მტერთაგან წარწყმედასა, რომლისათვისცა, უმდაბლესად მოსოველნი, ვსასოებთ განახლებად დამტკიცებისა უმაღლესისა საფარველისასა, და მოვანდობ ვედრებასა ამას ჩემსა ედ უმოწყალებსა განმშინჯველობასა თქვენსა, რათა გვამეოფოთ მათის იმჴ. დიდ. შეფარველობასა ქვეშე სისრულის სსსოებასა შინა რწმუნებულნი.

აპრილის 16, 1797 წელსა. თბილისით.

116. Д. XXIII. 28 Апрель 1797 г. Отношеніе отъ кн. Г. Р. Чавчавадзе къ кн. А. А. Безбородко.

ვინადგან ვხედავ, რომ აშუამს მრავლის საქმისაგან ჰერობილ ხარ და წარსსვლელები ხარ, ამისათვის აწ რომელიცა მეფისა ჩემის ხელმწიფისაგან თქვენთან გამოსაცხადებელნი საქმენი მქონან დავიდუებ და ჰეტრებურხს მივიღებ გამოცხადების პატიუსა, და ახლა მხოლოდ ამას ვსთხოვ თქვენსა უგანათლებულესობას: თუ საქართველოში რუსეთის მხედრობის დარჩომის ბრძანება არ წასულ იყოს, ებძანოს ღინიაზე მეოფს მთავარს, რომ იქილამა ჯარის გარდმოყვანა არ დასმუროს მანამდის ჩემგან ჩემის მეფის დაბარებულობა მოგხსენდებათ, და შედროს გორც ინებებთ, ნება თქვენისა უგანათლებულესობისა არის.

აპრილის 28, წელსა 1797. მოსკოვი.

117. XXIII. 9 Юня 1797 г. Грузинскій переводъ фирмана, полученнаго въ Тифлисѣ отъ Аги-Магомедъ-хана Персидскаго на имя царя Ираклія.

ჩვენის დიდებულების ბრძანება არის: უმაღლესო საქართველოს ვალი ერკუკლე-ხან.

ღის წყალობის შდ ჩვენის ხელმწიფობის წყალობით შენი თავი ამაღლდეს! ასე იტყვად, რომ რუსეთის საქმე და ცხოვრება უოველს ჟამს ალებშიცემა, ვაჭრობა ბაგჩასტისა და მაუდის სყიდვა არის, არას დროს იმათგან ხრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის დასტკრილის ქვეყნების სამსჯავარში შემოვიდნენ, — ამათი გარდახდევინება და ამოწყვეტა ჩვენს მაღალს გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოემართა. იმ რუსებმა რომ ჩვენის ბედნიერის დროშების ამ მხარეს წარმომაჩთვა გაიგონეს, თავიანთის საძაგელის ადგილებისაკენვე დაბრუნდნენ. და ახლა ჩვენის ხელმწიფობის თვალნი ამას მჭურჭეტელობენ, რომ რომელინიც (?) გარდავანდევინოთ და ამოვსწყვიტოთ, ამისათვის ჩვენის ხელმწიფობის დიდებულების ნათელი ამ ადგილებს მოეფინა და ამ მხარის ადგილებს მოეფინა, და ამ მხარის ადგილების მინდრეყები ჩვენის ბედნიერის კარგების დასადგმელი ადგილი შეიქმნა. რადგან შენი სიმაღლე ერანის ქვეყნებში დიდის გვარისა და ჭსტიბრისა ჰატრონი არის, შენის ჰატვიის სიმიძმე ჩვენის მწყალობელის თავადთა წე დამტკიცებული არის, ამისათვის ამ წყალობის კალმით იწერება, რომ პირველს ჟიმიდამ აქამომდე წყალობა და სიკეთე შენს სიმაღლესედ ნიადგ ჩუწნის ხელმწიფობის გულში დამტკიცებულ იყო, და წყალობისა და სიკეთის გარდა ჩვენს გულში შენთვის არა იყო რა. ის საქმე, რომ მამინ მოხდა, (თბილისის აოხრება) — ის შენგან დაიბადა. რადგან ჩვენი წყალობა უოველგან მიფენილი არის, ჩვენის სსამართლიანის გონების საშვალ ეს არის დამტკიცებული, რომ შენმა სიმაღლემ და შენმა შეილებმა ჩუწნის დიდებულების სიმიდრისაგან წყალობის წილი მიიღოთ და დიდს ადგილს მიწეფნის წყალობა მოიპოოთ, ამიტომ ეს ჩუწნი ფარმანი შენ მოგეფლინება, რომ ჩუწნის ხელმწიფობის კარები შენს საწადელს პირსედ ღია გეგონოს, და როგორც ერთგულების რიგი და ჩვენის ხელმწიფობის წადილი არის, ამისმსგავსად სამსახურის გზასედ უნდა დასდგე. — ან შენ და ან ერთი შენი შეილებიდამ, დიად იმედინად და ხათრიჯამობით, ჩვენის ხელმწიფობის კარსედ მოხვიდეთ, და ჩვენგან ფერადი წყალობა მიიღოთ, და თუ რაც გვიბრძანებია იმას გარდახდი, და რომელიც გვიბრძანებია ასე არა ჰქმენ, — შენ იცი.

118. Д. XXIII. 10 Июня 1797 г. Письмо царя Ираклия къ кн. А. А. Безбородко.

ძღვევაშემოსილისა სამსჯავარსათანა მათის იმჰ. დიდ. თანამოგზაურნი ამათი მაღალ შდ სამღვდელეობა იოსებ, არხიეპისკოპოზი რუსეთში მეოფთი ჭაოსიანთა, კნიას დოღგოტრუკიასარღუთოფი მოვიდა აქა, საქართველქსა შინა, ნუგკეშინისმცემელად ქრისტიანეთა ერთა, და გამომატხადი თვისისა ერთგულობისა მათის იმჰ. დიდ. უმაღლესის ტახტისადმი, და შექმნა მეტა ამას მწუნხარქსა ჟამსა

შინა ნუგეშინისმცემელ სამეფოთურთ ჩემით, რომელსაცა აღრე მოსწრაფვის თაყუანისსაცემელად მათის დიდ — ბის სიმშ. ტახტისსა ექმნა მიზეზი დამაყენებელი, ვინათგან აქყოფა ამისი იყო სახმარი. აწ სურვილით მომავალი, ოდესცა ღირს იქმნება თაყუანისცემასა წმიდისა და უმაღლესისა ტახტისსა, უკეთუ ინებებს მათი იმშ. დიდ. მოწყალეობით კითხვასა შეწუხებულისა ვითარებისა ჩემისა და ქვეყანისა ჩემისსა, მაღალ უდ საღმრდელოსა ამას, თვით თვადითა თვისითა მხილველსა, ძალურს უმდაბლესად მოხსენება და ეგრეთვე ჩემისა მხურვალე ერთგულობისა ჭეშმარიტად ცხადყოფა. ჩვენს ამჟამად მათის იმშ. დიდ. პირისპირ მოხსენება ამისათვის ვერ მოვართვი, ვინადგან ზოლსომოხინი შინისტრის ჩემის განაზგანსყუანს ჭავჭავაძისა მიერ ჩემის მოხსენებისა ვერ ვასუხი არ მიმიღია, და ახლა კიდევ მოხსენება ვეღარ ვიკადრე, და თქვენს უგან. მოვართვი წერილი ესე.

ივნისის 10, 1797 წელსა. თბილისით.

119. Д. XXIII. 11 Юня 1797 г. Письмо Ираклия къ кн. Г. Р. Чавчавадзе.

ბრწყინვალეო თავადო გარსევანს ჭავჭავაძე! თუმცა მსურდა მათის იმშ. დიდ. ამჟამად წერილი მომერთმევიანა, და რადგანც შენგან მათის დიდებულების წინაშე უმდაბლესად მირთმეულის ჩემის სათხოვრის ვასუხი არ მიგიღია, ამისათვის ვეღარ ვიკადნიერე, და როგორც შენს შენის მამულისათვის მხრუნველობას შეგროდეს, ისე მხურვალის გულთ ეცადე ჩვენის საქმის წარმართებას და ჩვენის ვითარების უმაღლესს კარსედ ცხადყოფასა. მართალია ახლა დიდად შესწუხებელი მდგომარეობა გვაქვს, რომ მტერი ჩვენს წასახდენად არის წამოსული, მაგრამ ჩვენ უდ მოწყალის ხელმწიფის მოწყალეობისა და სთვარველის მსასოებელნი ვართ, რომ დიდებულის ხელმწიფისაგან დაუგდებელნი ვართ; აქ მყოფის რუსეთის უძლეულის მხედრობით და ჩვენის ჯარით მომავალს მტერს დაჭვდებით, და ღვთის მოწყალეობით მოიმედენი ვართ, რომ ვასუხი გავსცეთ. აქ თუმცა ჰური თბილისში ჰუდი ორმილანთულ სუთ შაურათ გაიყიდა რამდენსამე ხანს და ახლა კი ორმილანთულად ისუიდება, მაგრამ რუსეთის მხედრობანი კი ჰუდს ისევ ცხრა შაურათი უიდულობდნეს და უიდულობენ, ორის თვისაც ნასუიდი აქვსო, და სხვაც მრავალი მოსდით სასუიდელი ჰური, რ ღითაც კმანი არიან.

ერევნიდამ ალიუულიხანს ჯარი გამოეგზავნა ჩვენის ელების წასახდენათ, რ ღთაც საქონელი მოიტაცეს, და ჩვენი შვილი ალექსანდრე მოსწეოდ რაოდენიასამე კაცით, საქონელიც წაერთმევისა, კიდევ დაემარცხებინა და ორასამდინ კაციც მოკლათ.

დღეს რომ ამ თვის ცხრა იყო და ეს წიგნი დავსწერეთ, ჩვენი კაცი საფარა მოვიდა განჯიდან და ეს ანბავი მოგვიტანა: აღამაჭმადხანის ჯარი არეზის პირ-

ზედ რომ მოვიდაო, იბრეიმისან მასშინვე შუშის ცინიდაჲ აიყარა, ცოლშვილით და ნათესავებით შირვანისაკენ წავიდა, და დადისტანში მივაო, თუჲცა ზოგიერთა თაჲვის ჭამილია უწინვე გაესტუმრებინა, მაგრამ მანამდის აღმამაჲდხანის ჯარი არეჲსის შირსედ არ მოსულა, თითონ შუშის ცინიდაჲ არ აყრილა, შდ ისიც ღამით გაქცეულა. იბრეიმისანის გაქცევის სავსე დღეს უკან აღმამაჲდხანს შუშის ცინეში შემოსულა, და არეჲსის გამოწვლასიაც რაიათასი კაცი დარჩობია, და კიდევ განჯის ჯავახოსანიც აღმამაჲდხანის დახარებული ყოფილა, და წასულა. და უკანასკნელ წერილისა ამის აღმამაჲდხანის სიკვდილის ამბავიც მოგვივიდა, რომ ცინეში შემოსული მესოთეს დღეს, ხუთს ივნისს, თავის მოსამსახურეთ მოუკლავო, — სარწმუნო არის, რომელსედაც ეჭვის მიღება არა გმართებსო.

მართალია აქ მეოფს რუსეთის მხედრობას ბძანება მოუვიდა აქავ მოცდისა, მაგრამ მოქმედების ბძანება აქვსო, თუ არა, — არ ვიცი; ეტადე, რომ აქ მეოფს ჯარს ებძანოს საფარში ჩვენთან გამოყოლა, რომ ჩვენ ჩვენს სასიღვრებში და ჩვენს შინაგანს ულოფის მამოფოთებელს ჭარკითვე ვილაშქრებო, და ესენიც თან გამოგაგვენენ, და აგრეთვე ჩვენი ახლანდელი დაკარგული მამულები, რლითაც რუსეთის უმაღლესს საფარველს ქვეშ შემოვიდით, ესე იგი განჯა ერევნითურთ, ჩვენიანვე უძლეველის საჭურველის ჩრდილის ქვეშ დაცვიო მოვიბრუნოთ, და გარე სასიღვრისა, თუ არა მათის იმჲ. დიდ. უმაღლესის ბრძანებით, არიად მივსტე სასე წასავლისა, და არც ასეთს კერძოს შევეხო, რომ ან ხვანთქრის აშლა იყოს, და ან ჩვენის უდ უმწყალესის ხელმწიფის ნების წინააღმდეგად დასანახველი იყოს; და სხვებრ ჩვენი თხოვა ისევ არის, რლიც შენთვის ან წერილით, და ან სიტყვიო გვირწმუნებია, და როგორც შეგეძლოს, ვისთანაც მართებული იყოს ჩვენს საქმეში მეოფს გვამებთან, — ეტადე, რომ მათის შუამავლობით დიდებულმა ხელმწიფემ, მტრის ხელით გამომხსნელმა, ჩვენზედ თვისი უმაღლესი მოწყალება დაამჩნობლოს, და ჩვენი ზემოხსენებულნი სათხოვრები დაზურობით დაგვიმტკიცოს. რაოდენ შენგან შეიძლებაოდეს ულის ჩვენის მოხსენებულის ჰასრუნი ჟამზედ გვაცოდინე, რადგანაც დიდად მარჯვე დრო გვაქვს, რომ ეს სასარგებლო და მარჯვე დრო არ დაგვარკოთ.

ივნისის ია, წელსა ჩფუს. თბილისიდაჲ.

120. Д. XXIII. 11 Июня 1797 г. Представление отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Павлу.

მათს იმპერატორების დიდებულებას საქართველოს მეფისაგან სრულადქმნილის დესპანის თავადის ჭავჭავაძისა მიერ უდ ქვეშემფრდომებრი მოხსენება.

მათმა უმაღლესობამ მეოფე ირაკლიმ თეიმურაზოვიჩისან, ხელმწიფემან ჩემამან, წარმომგსავნა მე დასავრდამელად უსამღროთესისა თქვენის იმჲ. დიდებ.

კრწანთის მიმართ და მოსალოცავად უაფლესტესის აღსვლისათვის თქვენისა
სსქესოსა სამეგვიდროსა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა საყდასსა ზედა;
სრულდალმქონებულ მუც მუ, რათა წარუდგინო თქვენს იმპ. დიდებ. რომელნივე
სათნავარნი კერძოსა მისისანი, ვითარცა წერილსა შინა მისსა, ჩემ მიერ მდაბლად
მოერთმეულსა, მოხსენებულ არს მისთვის, რომლისათვისცა უდ ქვეშემგზდომებრი-
ვითა და თანამდებობითთა კეთილგონადლულებითა დიდისა იმპერატორისა მი-
მართ ცხადგვყოფ შემდგომთა:

ა. სათნო იყო ყოვლისა შემძლებელისა და უდ მისა სსსტრეალად სსსოვან-
რისა მშობლისა თქვენისა დიდებულებისა ხელმწიფა იმპერატორიცა დიდისა ეკატო-
რინასი მიღება საქართველოს და კახეთის მეფისა, ჩემისა ხელმწიფისა, ყოვლითა
მისითა თავადებითა, აზნაურებითა და ერითა უდ მოწყალებითსა სავარჯელსა და
ქვეშემგზდომობასა შა, დამტკიცება მისთანა მას ტრაკტატსა წა სეპარატის არ-
ტიკულისსა ჩ დ პ წელსა, ივლისის კ დ დღესა, რლისა იმედოვნებისა ძლით მეფე,
ჩემი ხელმწიფე, და ყოველი ერი მისი არა თუ რდენ საქმომდე იყო მოსვენებულ,
ად აწ უმეტესიცა მიიღო სსსოვანად აღსვლითა თქვენის იმპ—ბის დიდებ. ყოვლისა
რუსეთის საიმპერატოროსა საყდასსა ზედა სსხილველად მისა და ერისა მისისა
შესაძლებელთა ნიშანთა და თქვენის იმპ. უდ ძლიერის ხელისგან მფარველობათა
და უმადლესთა მოწყალებათა, ვინაიდგან უფროს აწინდელი შესაბრალებელი
და შეიწკბული, და დაქტეული მდგომარეობა მისი განცხადებულ საქვს თქვენს დი-
დებულებას.

ბ. მეფემან, ხელმწიფემან ჩემმან, და ერმან მისმან არა უწყიან და არცა სსჭირ-
არს ცნობა თუ ვითართა მიზეზთათვის რუსეთის იმპერატორის მხედრობას
მიეტა ბრძანება, რათამცა გამოვიდნენ სპარსეთით და დაუტეონ სსზღვარნი მისნი,
მაგრამ მხოლოდ უმადლესობა მისი და ყოველი ერი მისი უდ ქვეშემგზდომებრი-
ვითსოვენ, რა მისცეთ უმადლესი ბრძანება აწ საქართველოსა შინა მყოფსა რუსე-
თის მხედრობის დასსა, რლ დაშთენ მუნ ვდის აწინდელი აღრეული გარემო-
ებანი განვლიდნენ, და უდ მისსა, ძალისა მეტ სეპარატის არტიკულისა, შესაძლე-
ბულ არს დაშთენ მუნ რდენ რიცხვნი იგი, ვა ინებებს თქვენი იმპ. დიდებ. მსგა-
ვსად დანიშნულისა ტრაკტატისა უდ მოწყალებით მუნ დაშთომის ბძანებას. ხ
მეფეცა, ჩემი ხელმწიფე, არ იკანდიერებს მასთან მყოფის რუსეთის მხედრობისას,
თუ არ უსაკუთრესის უმადლესის ბძანებით, საქართველოს სსზღვარს გარე ხმარე-
ბას, და მეზობლებთა თვისთადმიცა იქმნების მქტეველ თვით უმეგობრესითა სს-
ხითა მას უამადმდე ვდის იქმნების იგი სათნო თქვენის იმპ. დიდებ. და ებრძანე-
ბის მას განგრობა მისი, და თვითცა თავით თვისით არა რაღსათვის და არა ვის-
თან არა ვითარსამე საქმესა ზედა იწყებს შებუღვასა, თუ არ თქვენის მადლმო-
ნარხობითის მას ზედა ნებობით, და ყოველით იქმნების მეძიებელი ღონისა მე-
ზობლებთა მისთადმი მშვიდად, სიყვარულით, მეგობრად და თანხმობით ცხოვრები-
სათვის. მუნ ყოფნა მხედრობისა ამის აძლევს მეფესა და ერსა ვა რლსამე სავარ-

ველსა და დიდსა სიმხნესა განსვენებითისა და უშიშროებითისა ცხოვრებისათვის მათისა, და გარდა ამისა იხურება ყოველსა თანამდებობასა შინა თვისსა; და უკეთუ ვინმე ქვეშევრდომთა მისთაგანმან ვითარმე ბოროტგანსწავითა მონადომოს დარღვევა ყდ სისოგადოსა მშვიდობისა და განსვენებისა, მაშინ ესე ვითარისა ჟამისათვის შემძლებელ იფენ იგინი ბრძანების ქონებით მოსახმარებულად დამშვიდებისათვის მათისა. მხედრობასა მას ყოფნასა მუნ თვისა თავისათვის სისრდოდ სახმარებელსა სურსათსა და სხვათაგა სათადარიგოთა ხორაგთა შინა დღემდე არა ვინმე დამჭიკნეობანი არა აქვს და შდცა არა ექმნებათ, ვინადაცნ მეფე, ხემი ხელმწიფე, ვლითა თვისითა მსრუნველობითა გადასატებით შეჭკრებს, რე ყოველივე იყოს კეთილ დრომსათვის მისა, რომელიცა ახლას არს თვით მცირეს იფასად, რომლისათვისცა მუნ შეიფასდეს და ყოველთა მთავრებთა პოლიტიკათა ძალუტთ მოწმობა. ესრეთუწ საქართუელისა შინა ჭყერი არს ყოველთათვის მრთელ და არა როგორმე მწყენელ საქურისა მხედრობისა, და პირისპირ მისა არს ყოველთათვის ვა მშობელი ქვეყანა.

ბ. მეფე, მხილველი თვისისა მორუტებულებითსა წელსა, რომ სისურსტენი მძლე ექმნებიან მას და დღენიცა ცხოვრებისა მისისანი ჭშეთებიან მცირენი, და აღმოსრევი და შდ თვისისა სჯულიერისა შემკვიდრის საშეფოსათვის ძისა თვისისა გიორგისა, ყდ უმდაბლესად სთხოვს თქვენს დიდებ., რათა გაგზავნოთ თქვენის უმაღლესის კარიდამ ერთი საქური უფალი, რომლისაგა ნება იქმნეს უმაღლესს და სამტვიტებულად და ანუ განსამაგრებულად შემკვიდრისა ამის, და საცნობულად მისა ხალხისათვის მისისა, და წარსაგზავნელითა ამით მისცეთ მეფესა და ერსა მას ჭსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართველობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რომცა მის ძლით აღმოიფხვრან რომელიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსა მართლუბითნი სამართლისა წარმოებანი, რელიცა მისაურებს საწყენად და წინა აღმდეგად მართლსა დიდებულსა ქრისტიანებრსა აღსარებასა.

დ. ქართლსა და კახეთსა, რელიცა არს სიმაგრენი დღემდე უკეთესსა მდგომარეობასა შინა,—მათი უმაღლესობა და ერი მისი ითხოვენ მდაბლად, რათა მიიღოთ თქვენის იმპ. ცნობასა შინა შესაბამად, რომლისათვისცა კერძოთ თვისით იგი და ერისად ერთი (ერთხელ და) მარადის მიუთხრობს, რე იგინი მდგომარეებს ჩრდილსა და ხელმწიფობასა ქვეშე თქვენის იმპ. დიდებ.—სათა;—დაწყებისათვის მათ სიმაგრეთა შინა მთავრათა, ანუ კომენდანტთა სდებს უმაღლესსა ნებასა ზედა თქვენის იმპ. დიდებ.—სასა.

ე. ქართლსა და კახეთს სხვათა და სხვათა ადგილთა შა არიან სხვა და სხვანი მადანნი, მომცენი უხვად რქროსსა, ვეცხლისა და სხვათაგა ნივთთა, ყოვლითურთ სახმარნი და სასარგებლონი, და რადგანაც მეფესა, ხემსა ხელმწიფეს, არა აქვს შეძლება, რომ ისარგებლოს მათით და არცა ჭყვანან მცოდნენი ვაცნი, და ვერცა მისა ცემულად მათთა სხვის საწმუნეობის მექონთა ერწმუნების, ვინათგან იმიშვის მის ძლით არა გამდიდრდენ ურწმუნონი და არა განმრავლდენ საშეფოსა შა თვისისა

მასმადიანსი, ედ ქვეშემწვდომებრივ წინა უღებს თქვენს იმპ. დიდებ. და ჭსთხოვს; რა გაგზავნათ ერთი, ანუ ორი მეცნიერი კაცი გასასწავლად მათდა, და მასვე დროსა მოწმობისათვის, რომელ მოხსენება მისი ამისთვის არის მართალ. ოდესცა უმაღლესი ნება შეუდგების სწავრობებლად მისა, მოქმედებასა შა მისსა, მამის არიან ოდენ საჭირო მცოდნენი მთავარნი, და (ხოლო) მუშაგნი მცირესა სახელმწიფოსა შა მისსა იპობიან ზომიერის სასუიდეით, რ ღისათვის არ არს საჭიროება, რა გამოგზავნოს იგინი უშორების ადგილით; და ოდესცა უმაღლესი კაცი იხილავს სატკებელსა მოხსენებულთა მადნებთაგან, მამინ მეფე, ჩემი ხელმწიფე, სსსოებს, რომ ებრძანების მას უმაღლესის მოწმობითის მოწყალებისაგან. ისარტებლას, რ ლითამე მათ შემოსავლთა მიერ.

გ. ვინადგან საქართველოსა შა მარადის კეთდების ყოველი მოხეთი ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა ფრიად მცირე რაოდენობა, ამისთვის მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს, რა ედ უმოწყალებით ღირს ჭყოთ იგი და ქვეშემწვდომნი მისნი ბრძანებითა მით, რომ ერთ კერძოს გამოსახულ იყოს პორტრეტი თქვენის იმპ. დიდებ.—სა, ანუ ასონი დამნიშვნელნი საღმთოსა თქვენის იმპ. სახელისა, და მეორეს კერძოსა უყდა ნიშანნი მეფისა და საქართველოდსა, შოლოდ მისთვის, რათამცა ამის ძლით შესაძლებელ იყოს ცნობა, რომ მოხეთი იგი მოჭრილ არს საქართველოსა შინა: ოქრო და ვერცხლი საქართველოსი არს გამოცდილებით უპირველესი, ვითარცა დასაბამიდგან მარადის იყო.

დ. მეფე, ჩემი ხელმწიფე, ედ ქვეშემწვდომებრივ სთხოვს თქვენს იმპ. დიდებ.—სა, უკეთუ ვინმე მეფის ძამილიისა მის ძეთა და შვილის შვილთაგანი სთხოვს მშობელსა, თვისსა ხელმწიფესა, რუსეთში შემოსვლას თქვენის იმპ. სამსახურსა შინა შესვლისათვის და იგი იქმნების მეფისა მისგან ქმნილ სამიშკერატორსა კარის მდაბალს სასარტებლოდ, რომ მიიღონ იგინი თქვენის იმპ. დიდებ. სამსახურსა შინა, და მიეცეს მესამხდგრეს უპირველს მთავარს ესე ვარი ბრძანება, რომ თავისუფლად აქეთ გამოუშვას, გამოცხადებითა მით თუ სადით ჯერ უხსნთ მათ წარსვლა.

ე. განსჯასა შინა წარსულთა დაგარგვათა და განსაცდლებათა, რომელნიცა დაითმინა მან მეფემ და ერმან მისმან მოსვლითა აღმაჰმადნანისათა და წარტაცებისა ძლით ელთა მისთა საზინათა და სხვათცა ქონებათა, ედ ქვეშემწვდომებრივ ითხოვს მეფე იგი ბოძებისათვის მისსა სესხის სახედ ჯამთა რაერთსაცა ინებებთ, ვა ყოფლისათვის მცირეთა რიცხვთა საქართველოს მხედრობათსა, ესრეთვე განა მართვისათვის საქმეთა თვისთა აწინდელთა გარემობათა შა, რომელსაცა ჯამისა იქმნების იგი მომქცეველ დანიშნულთა დროთა, ანუ ჰამანთა ზედა, და რ ღისაცა ძალუცს ალება მისგან მუნ საყოფელს აქაურს მინისტრს იქაურის შემოსავლიდამ.

ესე ვარის მათის უმაღლესობის ჩემის ხელმწიფის სათხოვრით მოსკოვს მოსვლასა ჩემსა ვერ ვიგადნიერე მე დამძიმება თქვენის იმპ. დიდებ., ვინათგან არცა დრონი და არცა ჯამნი ედ მხიარულებითნი დაგვირგვინებანი თქვენის დიდუ

ბულებიანი მამინ ქმნასა მისსა არა მიბრძანებდნენ მე, და აწ, დამრგდომი თავისა თავისისა უსაღმრთოესისა თქვენის იმჰ. დიდებ. გვარცხლებეკისა მიმართ, უდ ქვეუ შემვრდომებრივ ვითხავ ღირს ჰყოთ სათხრვარნი იგი ჩემისა ხელმწიფისანი მას დალ მონარხობითსა სქენასა თქვენსა, და მამანიჰეთ მე უდ უმოწყალესობითნი რესოლუციას, რამცა ვიძალა მე, რომ მათს უმაღლესობას, ხელმწიფესა ჩემსა, დღემდე უსაბოთ დაშთომილს და თვის შს მიფიქრებელს აწმყოთა შემჭიდროს ებუღთა და უღონოქმნილთა მდგომარეობათა მისთა ზიარ ყოფითა თქვენის დიდებ. უმაღლესის რესოლუციისათა განმწერტელსა მწუხარებასა შინა მისსა ნუ-გაქმესტე და მოხარულ ვჭყო, ანუ მდგომარეობამან მისმან გამომსახველმან სწო-რედ მისსავე მოუწოდოს მას და ერსა მისსა კდ სასელისათვის თქვენისა ცხო-ვრებისა მიმართ.

თქვენის იმჰ. დიდებ. უდ ქვეშემვრდომი, საქართულოს მეფის ჩემის სრულქალქონებელი დესპანი თავადი გარსევენ ჭავჭავაძე.

ივნიის ია დღესა, წელსა ჩღუს.

121. Д. XXIII. 23 Июня 1797 г. Письмо царя Ираклія къ кн. А. А. Безбородко.

რომელიც მათის დიდებ. უდ მოწყალის ხელმწიფისათვის ჩვენი თხრავა მო-გვისხენებია, რათგანაც ჟერეთ ზასუნი არა გვბრძანებია, ამისათვის თქვენს უგას-ნათლებულესობას სხვა საქმისათვის თავი არ უნდა ვაწყინოთ, მაგრამ ქრისტიან-ნებრი მოვალეობა არ გვიტეგებს, რომ ამ წინამდებარე აზრისათვის ჩვენი თანას-მდებობა არ აღვასრულოთ და თქვენს უგან. არ მოვასხენოთ: ყარაბაჰში მყოფნი სომხის მელიქები, რომელნიც წარმართთაგან დიდს შეიწროებასა და მწუხარებაში არიან მიტეპულნი, ამათ აღრით ჟამითგანვე ჰქონდათ სურვილი, რომ იმათის ხუ-ღითგან გამოსხნილიყვნენ და ქრისტიანობაში ღირსებოდათ ყოფა და ცხოვრება, და აწ ამ დროს შეხვდა ჟამი კნიაზ მელიქ შაჰნაზარისშვილს, მელიქ ჯიმიშიტს და კნიაზ მელიქ ბეგლარისშვილს, მელიქ ფრიდონს, რომელნიც ყარაბაღიდან გამოქცეულნი აქ ჩვენთან თავიანთის ამაღლით მოვიდნენ, და აქვსთ ამისი წადილი და-ნდობა, რათა ყარაბაჰში მცხოვრებნი სომეხნი ქრისტიანობაში მოიყვანონ და დაემკვიდრნენ, რომელთაც მოინდომეს უმაღლესს კარს წამოსვლა, და ვინათგან ამათი უდ უსამღვდელოესობა ჰაოსიანთ გვართ არქიეპისკოპოსი იოსებ მხარ-გ რძილარდუთოვი უმაღლესის ბრძანებით რუსეთის უძლეველს მხედრობას თან-მოჰყვა და აქ ჩვენთან იმყოფებოდა, და აწ რუსეთადვე წამოვიდა, ხსენებული კნიაზ მელიქები ამათს უდ უსამღვდელოებასთან გამოვატანეთ, რომელთაც რეკუმენდუ-ციას მოვასხენებ თქვენს უგანათ—ს, რათა კნიაზ მელიქ ჯიმიშიტ და კნიაზ მელიქ

ფრიდონ დაუგდებელნი იყვნენ თქვენის მოწყალეობისაგან, და უკეთუ ღიძს იქმნებინ და მანდ მოაწვევენ, თავეთის საქმის ვითარებას თვით ესენი მოახსენებენ თქვენს უგანათ—ს. მდაბლად ვითხოვ, რადგანაც ქრისტიანენი არიან და მათი შრომა და ღვაწლი ქრისტიანეთა გამოსწისათვის არის, ამათ თხოვას მათს დიდებ. უდ მოაწაღეს ხელმწიფეთსან შეწევნა მისცეთ.

წელსა 1797, ივნისის 23.

122. Д. XXIII. 23 Июня 1797 г. Сообщение кн. Г. Р. Чавчавадзе въ Иностр. Коллегию.

თუმცა ჩვენსაჲ იქ უოფნაშინაც გვექონდა ეს გაგონილი, რომ აღამაჰმადხან გასაიგბულსედ ჩვენის სასდღვრისაკენ აპირებდა წამოსვლას, და ახლაც მესმის გარეშე მცნობთაგან, რომ სსენებულნი კაცი თავის ადგილიდამ დაძრულა და ჩვენს სასდღვრებს დაახლოების, მაგრამ ჩემის მეფისაგან კი ამ უამად წერილი არ მომსვლია, რომ მელსაც, ვგონებ, ეგების გზებზედ რჩებოდეს სადმე ჩემის უბედურობით, და ახლა უოვლად უმდაბლესად ვითხოვ, რომ რაც პასუხი ჩემგან მოერთმეულს წერილს ებოძებოდეს, მებრძანოს, რომ ჩემს მეფეს, ჩემგან ულთვის თვისის პასუხის მომლოდნეს, მსწრაფლად მოვასხენო, რომელმაც თავისი აწინდელი მდგომარეობის ქცევა ჩემგან გაგსაფილის ამბვით სცნას, რა ეს უგანასკნელი საცთური უძვირეს პირველისა არ მოუხდესთ.

ივნისის 23, წელსა ჩღუზ.

123. Д. XXIII. 18 Сентября 1797 г. Сообщение кн. Г. Чавчавадзе кн. А. А. Безбородно.

თუმცა უმაღლესობა მისი მეფე, ჩემი ხელმწიფე, წერილითა ამით თვისითა ითხოვს ურუმელთ მცხოვრებელთ საქართველოში მოუფანისათვის შეწევნასა, მაგრამ ახლა რადგანაც სამთარი არის წამომდგარი, ამისათვის გასაფხულადმდე დაშობის აღუსრულებლად. უკეთუ ნება იქმნების მოხედვად უოვლად უმოწყალესითა კეთილმეოფობითა მეფესა ზედა ჩემსა და ერსა ზედა მისსა, ფიცით თქვენდამი ქვეშემდგომსა, მაშინ მე უმდაბლესად მოვანსენებ: ახლა უპირველესი სარგებელი მეფისა ჩემისა და უოვლისა სამეოფოჲსა მისისა მდგომარეობს მას შა, რომ დაფამდაბლათ ახლონი მტერნი, მეზობელნი მისნი, ჭარს მცხოვრებელნი, რომლისათვისცა საჭირო არის, რომ ებძანოსთ საქართველოში მეოფს რუსეთის იმპერატორის მხედრობას დაშონენ დასაფარველად მეფისა ჩემისა და ერისა მისისა, და ამაჲ ზამ

თარქეთთა საქართველოს მსედრობასთან ილაშქროს ჭარელთა ზედა, ვინათგან ჭარელნი იგი გუშორვეს ჩვენ ოცდაათის ვერსით, სადაც ზამთარი არ არის ცივი და არცა ძალუძს დაბრკალება ჯარისა საქმესა შინა, და დროსა ზაფხულისსა არა ესრეთ შეიძლების; ამისთვის სჯობს, რომ საზოგადოსა სატყებლობისთვის ვი-
მოქმედოთ მათზედ სამთრით.

სეკდენბრის იჭ, წელსა ჩლუხ. ს. პეტერბურსს.

124. Д. XXIII. 30 Сентября 1797 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе кн. А. А. Безбородко.

რამთენივე წერილი მოგართვი თქვენს უგანათლ. მათის მსვლელობის სერ-
გეი ლასარიჩის ლაშქაროვის ხელით, რომლისაც ვასუხი ჯერეთცა თქვენგან არ
მბრძანებია რა და ვერცა რა მე მიმიწერია მეუვის ჩემის ხელმწიფისათვის. ჩემგან
ამდენს ხანს წიგნის მიუერთეველობისა და თვისის საქმის მოუხსენებლობისათვის
მიწერების მეფე ჩემი და მომდის წერილი, რომ გარემონი მტერნი ჩვენნი არიან
წარმომდგარნი მისზედა, და ითმენსცა, ჩემგან უზასუხო, მეზობელთაგან თვისთა
უზირველესთა განსაცდელთა, ვიდრეცა წარსრულთა; და აწ მე, რადგანაც აქამომდე
თქვენს უგანათლ. საქმესა ზედა, ხილვით, ვერ მივიღე პატრივი, ზემოხსენებულს
ლაშქაროვს ვსთხოვ სშირად, რომ თქვენს მხრით მაცნობოს რამე, და ის მარა
დის მეუბნვის, რომ თქვენ თვით ინებებთ და მიბძანებთ თქვენთან ხლებას, და
ვასუხის თქმას პირისპირ ღირსმყოფთ, და, რადგანაც საგანსაცდელი მდგომარ-
ეობა ჩვენი ვერ ითმენს დაგვიანებასა, ამისათვის უმდაბლესად ვსთხოვ თქვენს
უგანათლ., ვითარცა კეთილმზრუნველს ჩვენსა, რადენცა შეიძლებოდეს ჩემის
მოხსენებულის საქმეებისა, მიბრძანოთ რამე, რათა მეფემან, ჩემმან ხელმწიფემან, და
სამეფომან მისმან, განსაცდელსა შა მეოფთა, სცნას ძალი თვისისა უგანსკნელისა
მდგომარეობისა, რლისათვის ული საზოგადოება დაუშობით უმდაბლესითა მად-
ლობითა.

სეკდემბრის ლ, წელსა ქლუხ. ს. პეტერბურდს.

125. Д. XXIII. 8 Декабря 1797 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе кн. А. А. Безбородко.

ს:ხელითა ყოფლისა საქართველოს ერისათა ვიკადნიერებ სთხოვრითა ამით
დამძიმებასა თქვენისა უგანათლ—სა:

დროსა წამოხვლისა ჩემისა საქართველოთ ყოველთა მუნებურთა მცხოვ-
რებთა დამდვეს მე ყოფლად უმდაბლესად გთხოვო თქვენ, უგანათლებულესო თაყა

დო, მოწყალეობისანი შესამაგლობა მათი მათს იმჴ. დიდებ. დაუგდებელობისათვის მათისა შდგთა შა.

წელსა ტიბ (312) შდ ქრისტეს შობისა, დროსა მეფის მიწიან ხოსროიან ხოსროიანისსა, წმიდა ნინას მიერ მოტანილი ჯვარი მაცხოვრისა ჩვენისა საქართველსა შა, რომლითაცა მოაქცივა ყოველი მამული ჩვენი კერძთ-მისაჩურობოგა მო მართლმადიდებელობასა შა, — ჯვარი იგი, შდ საქართველოით წამოსვლისა რუსეთსა შა ნეტარად სასენებელის საქართველოს მეფის ვახტანგისა, საქართველოს არქიელის რომანოზისაგან საიდუმლოდ წამოღებული აქეთ და მიტყუელი დის მისანსა იეგოროზისას ბაქარ ცარევისის მეუღლისადმი, დღემდე არის სახლსა შა სასენებელის კნიხას შვილისშვილის, საქართველოს თავადის გიორგისასა, რომლისათვისცა ყოველნი მუნებურნი მცხოვრებნი, დამდებნი სასოებისა თვისისა თქვენს უგანათლებულესობასა და მართლ-მსაჯულეობასა წა მათს იმჴ. დიდებ — სსსა, ჩემ მიერისა ამით ედ უმდაბლესად გთხოვენ მიქცევისათვის ჯვარისა მის უფლისა საქართველოს ერისადმი, ვა წმიდისა მფარველისა მისისა, და რომელიცა ყოველსა სინართლესა შა ესათანადობის მას სამარადისით სამეგიდროდ მისა. მიღებთა მისითა გული ერისა განმხნდების, მიიღებს სახლსა გრძნობასა და მზოფსელნი თავისა თვისისათვის სასინარულოდსა გამყოფისა, მით უმეტეს დაშობიან მინადალობელ თქვენისადმი უგანათლ — სს.

დკემბერს 6, წელსა ჩღჴ. ს. ჰეტერბურდს.

126. Д. XXIII. 31 Декабря 1797 г. Представление отъ кн. Г. Чавчавадзе имп. Павлу.

დღესასწაულებითისა დაარსებულისა შემაკავშირებელის დაწავების ძლისა მებრ თქვენის იმჴ. დიდებ. იმპერიისა და საქართველოსა საშეუოისა შს მათმა უმაღლესობამ, მეფემან საქართველოსამან, უუმოწყალესმან ხელმწიფემან ჩემმან, და ჩემგან სრულ-შემძლებელობითა განმამხნობელმან წარმომგზავნა უმაღლესსა კარისადმი თქვენისა, ვა თქვენის იმჴ. დიდებ. სამეგიდროსა წინაპართა საუდრისა, კეთილმიღებით მიღების მოლოცვისათვის, რომლისცა მაქვნდა უკვე ჰატივი სრულყოფად.

ესრეოვე მოსახსენებულადცა თქვენის იმჴ. დიდებ., ძლისა მებრ მის ტრახტატისა, ედ უმდაბლესთა სათხოვართა მეფისა მის და ერისა მისისა, რომლთათვისცა არა დაუტყვე მე წერილით ცხადყოფა უფალს კანცელარს უგანათლ. თავადს ბეზბოროდკას მოსართმეველად თქვენის იმჴ. დიდებ., ვა, შდ დისა, მხოლოდ მფარველისა და მფლობელისა მეფეთა საქართველოსათა, — დ დღემდე ულთა სათხოვართა მეფისა ჩემისათა სათანადოითა ჰასუხითა ედ არა ვარ დიჩქმნილ, ნ მთქმიეს უკვე მე ლიტონის სიტყვით უფლის დეისტვ. სტ. სოგ. დაშქაროვი-

საგან, ვიდრე სათხოვარნი მეფისა ჩემისანი არ ხელსაწიფებულ არიან დღეს კმაყოფილად, რომლისათვისცა, უკეთუ ესრეთ სათნო იქმნებოდა უმაღლესისა კარისა, ჯერ რიუმცა გვბრძანებოდა უწინარეს წლისა, მაშინ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, შეკძლო მიღება სხვათა საზომთა დასაცველად სამეფოაღსა თვისისა; და მეცა არა ხელმეწიფეების უბრძანო თავსა თვისსა ფიქრვად, ვიდრე თქვენა იმჴ. დიდებ., კეთილ მსახურთ, ელის რუსეთის საყდრის შემკვიდრევე, რა საღმრთოთა მადლათა წინაპართა თქვენთა შეკრულებათა ხელიწიფებდით ელსა რუსეთისადმი საუკუნოდ ქვეშემგრდომად მოსულის მეფის სქესტომითა და ერთთა თვისითა ესე ვითარითა პასუხთა მიცემასა, და დაყრდნობილი სიწმიდეთა მათ რრისაჲ კერძოთ დღესასწაულებით შეკრულებათა მეფისა ჩემისა და სამეფოსა მისისა დაურღვეველად დასცულთა ზა, ოდესცა არცა მან და არცა ერმან მისმან არა დაზოგეს სისხლი თვისი სხვერვლებად მათთვის, — მივიღებ ვიდრე დამდაბლებულსა კადნიერებასა ელთა მათ ხსენებულთა სათხოვართა მეფისა ჩემისათა უსაშვალეთა ამით მოვარგონ თქვენს დიდებულებას და ეიდ ქვეშემგრდომებრივ გთხოვო: ინებება შენ, დიდო და თვით მპყრობელ ხელმწიფევე, პყრობასა ტრახტატისსა მის წლისა მებრ ძალისა შა თვისსა და ინებებთა, მიცემასა მეფისა ჩემისა, ტრახტატისა მის შეკრულებათა გამო, შემჭიდროებულსა მდგომობასა შა მიუვანებულისა, აღთქმისა მისებრ, შეწევნასა? ანუ დროდმდე, რომელთაჲ მიზეზთა მიერ, ქმნა მისი შეუძლებელ არს?

დიდო ხელმწიფევე, დირს ჰყავ გამოყვანა ჩემი უცნობელობისა გამო, და მოლოდებ ელისა საქართველოაღსა უმოწყალებისათა ამას ზა პასუხითა, რათამცა მათი უმაღლესობა მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ერი მისი, დაშთომილნი მას უცნობელობასა შა, ვითარცა მე ვარ ამა დროდმდე დაშთომილი, აღთქმითა მით საღმრთოსა ტრახტატისათა და თქვენის დიდ — დმი ერთგულებითისა ფიცისა ქმნითა — არა იყვნენ მიუვანილნი სრულსა წარწყმედასა შინა, და რათამცა მან, უფლებისა მქონემან საქმნელად ვისთანაჲ მხობლებთა თვისთა ადერბეჟანისა მესაზღვრეთ, სპარსეთისა ხსენებთა და მთიურთა დაღისტისა მიჯობებლებთადმი საჭირთა დასაცველად სამეფოსა მისისა მეგობრულისა მიწერ-მოწერისა დასაკვირველისა, — ძალიდვან წარდგომა. მყოფმან საუკუნოდ სულით თვისით შენდამი ერთგულებითა და თანამგრდომობითა.

მეორესა სეპარატის არტიკულსა ზემოდანიშნულსა შემაკავშირებელსა ტრახტატისა შა დაწესებულ არს მათის სიმაღლის მეფის, ჩემის ხელმწიფის, წინაჲ პყრობა რრის სრულის ბატალიონის რუსეთის ქვეითის მხედრობისა ოთხითა ზარბაზნითა, რენიცა აძლევადა ქართველთა დიდთა სიმხნეთა და იმედოვნებათა, რე მუსობლებთაცა დირსწმუნებულ ჰყოფდა მას შა, ვიდრე ელი სამეფო იგი მდგომარებს საფარველსა ქვეშე ელის რუსეთის უმაღლესისა კარისსა, და აყენებდაცა მათ უმოქმედობასა შა; და რადგანაც ბატალიონნი იგი არიან აქედამ გამოყვანილნი, მაშინ ეიდ უმაღლესად გთხოვ უბრძანოთ მათ მიბრუნება მუნვე, მარწმუნებელი, ვიდრე მეფე, ჩემი ხელმწიფე, თვინიერ უმაღლესისა თქვენის დიდებ. ნებისა, არასადმე

იკადნიერებს ხმარებას მათსა, და დააყენებს ქალაქს შინ თბილისს, მხოლოდ შინ შინათვის მტკრთა საქართველოსათა დასარწმუნებლად, ვიდრე მადლი თქვენის იმპ. დიდ. საფარველი არს სამეფოსა შინ მისისა აწცა, ვინა ვლ.

და უკეთუ ჯერაარს, ვიდრე უამადმდე სამეფო საქართველოდ და უსენაესისა ბრძანებულისა თვისისა და მოვლობელისა გამო შთებოდეს შეუწევნელად, და უკეთუ ჯერაარს, ვიდრე იგი საკუთარიითა, არა დიადითა, ძალითა თვისითა ქსტვიდეს თავისა თვისისა მტკრთა გამო,—უბრძანე მესახლურეთა მთავართა შენთა არა დაბრკოლონ ჩეკქესნი, ვინაველისა მებრ, ხარჯთა ჩვენთა ზედა ჩვენთვის აღელვებულნი, ვინა რისპირ მტკრთა მსახურებად ჩვენდა,—ჩვენ, ნუ უკვე ვიდრე ძლიერისა შეწევნასთანა, ვიპოებით, ვიდრე მდგომარეობას შინ მისაქტეველად შინთა მამულთაგან და წართმევად. მტკრთა ჩნ შინ დასხმისა ხალისთა დამცველნი მდის ერთსარწმუნობისა ძლით საყდრისადმი შენისა, საყდრისა მართლსადადებულისა, უტყუველისა, ქრისტიანუ ბრძვისა თანამგრძობებისა.

ვიდრე უმეოწყ. ხელმწიფევე, შემგომად მათსა ბრძანე მიქტევა მამულსა შინ ჩემსა ჯვარისა უფლისა წინა ნინას მიერ მუნ მოტანილისა და წად საქართველოს სამეფოს კრძთმსახურებით გამო მართლსადადებულისა ქრისტიანობისა აღმსარებლობასა შინ მომქტევისა. ჯვარი იგი უფლისა დროსა საქართველოდამ სანატრელად სახსენებელის მეფის ვახტანგის გამოსვლისა რლისამე მუნებურის არქიერისაგან საიდუმლოდ წამოღებულ იქმნა მუნით მონასტრით გამო, და შად რუსეთსა შინა მოტანისა მიეტა საქართველოს ბაქარ მეფის შვილის ცოლს, ცარვენას ანასა იეგოროვანს, და დღეს მეოფობს შვილის შვილის ძის, საქართველოს თავადის გიორგისას; აწმუთა მდგომარეობათაგამო უბედურნი ქართველნი, ვიდრე ნიჭად თვისად მიმღებნი ჯვარისა მის, სიწმიდიითა მისითა განმხნდებიან, დამამტკიცებელნი თავისა თვისისანი სასარბიელსა იმედოვნებასა შინ, და შად ესოდნეთა სასჯელთა და ვნებათა მტკრთაგამო მათთა, შთამოვალს ვიდრე მათ შინ სადმერთო მადლი, და შადცა მისის სტნობენ, ვიდრე შენ, დიდო ხელმწიფევე და იმპერატორო უფლისა როსისისა, და მოვლობელო სამეფოთა მათ, არა უტყუებ მათ საფარველითა თვისითა.

ბრძანე ესრეთვე გაშვება საქართველოსა შინ ზარბაზნებთა და უმბარებთა მათცა, მუნებურის ღებრით შთამოსხმულთა უმადლესითა ბრძანებითა სანატრელისა და საუკუნოდ ხსოვნის დროის საყვარელის თქვენის დიდებულების მშობლისათა, რლისიცა უბოძა მან მეფისა, ჩემს ხელმწიფესა, და რომელნიცა დღემდე მუნით არ არიან გაშვებულნი, და არიან ღინიას ზედა იეგოროვის ციხესა შინ. სა საქართველო, მხილველი მათისა თვისთანა, შერაცხს მასცა არა მტრედ ნუგეშად თვისად და მიიღებს ვინა წინდსა მადლმონარობისა თქვენისა მისდამი კეთილნებობისას.

განსადადებულადვე მათის უმადლესობის მეფის ჩემის უსაყვარელის ხელმწიფის მოხუცებისა, რლი რადენცა სიღრმეთაგამო წველთა თვისთანა და უფროს მამულისათვის გულისა მისისა განმწერტელისა ჭირისაგან ნუ უკვე მღებთა

რებდეს დღეს სსსიკუდინესა ცხედარსა ზა, ანუ უკვე სავლად ველისა სსსიკუ
 ფოსა, მიცვალებულ არს, ღირს ჭყავ წარგსავსა უმოწყალებისა შენის იმპერატორ
 რების მანუგეშებელისა წერილისა მისდავი, სსსიკუფოსა, მეშვიდრისა და ერისადმი
 მისისა წაღენცა წინდად მადლამონარხობისა შენისა მათდავი კეთილნებობისა,
 ეგოდენცა უფროს განმამხნობელად, ვიდ მათ დაიცვან თავნი და სსსიკუფო თავისი
 ძალისამებრ ზემორე დანიშნულისა მეოფის ტრახტატისა უზენაესსა ხელმწიფე
 ბასა და მფარველობასა შა შენსა, და ვიდ უმოწყალებითაცა ბრძანე დღეს მუნით
 წარსვლა ჩემი, ვა დამოწმებისათვის მის მეფის ჩემის უსყვარლესის ხელმწიფის,
 შენისა მისდავი კეთილმდგომობისა, უკეთუ დავახელებ მას ცოცხლად, ანუ ვიქმნე
 მგლოველ სხვათა თანა სავლდობისა გვამისა მისისა, ესრეთცა მეშვიდრისა მის
 და ერისა მისათხრობელად შენთა მათდავი მადლამონარხობითა, და ვიდ ესრეთვე
 დავესწრა სსსიკუფოსა ზა დამტკიცებასა თანა მისსა; და ამასთანაცა ვიდ ქვეშევრდო
 მებრივ გთხოვ რაჟიკსა ზა დასაშთომელთა აქა სსსიკუფობათა ჩემთა, ვა წარს
 რულსაცა ჩღუე წელსა, დროსა წასვლისა ჩემისა საქართველთა შინა ჩვენებულ
 იყო უმადლესი მოწყალება, — განაგრძოთ წარმოება თვით რაჟიკსა მისვე, ვითა
 რითაცა აქამომდე მადლამონარხობის უხვებით გამო მსქვს ბედნიერობა სარგებ
 ლობად.

შეხებასვე მისსა ოდეს მამულსა შინა ჩემსა მივიქცევი მე უკუნ— ვითარნი
 მხილებანი მივცნე მე მუნ მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, დიდშემძლეთა მისთა და
 ერსა, და ვინი მივცნე მათ რწმუნებანი, ვიდ მდგომობდსენ მტკიცედ ფიცთა
 შა თვისთა, მათ მიერ ვლის რუსეთის სსსიკურიოს სსსიკურის და მფლობელისა და
 მადლთა მოსყდრეთადმი მისთა მიცემულთა? ამისათვის მინისტრია თვისი ღირს
 ჭყავ ესრეთვე ბრძანებად: განმამხნონ მე წერილობითთა მოძღვრებითა, ვიდ შემ
 ძლებელი მე მამულისა ჩემისა სსსიკურისა, არა განვეშოროცა მადლამონარხობითსა
 ნებასა შენსა, ვა მხოლოს ტრახტატისა ძლით საქართველთა შა უზენაესისა
 ხელმწიფებისა მპყრობელსა, და არა ვსცოდოთ არცა ვიდ ძლიერსა წე ღთისა და
 არცა წე შენის იმპ. დიდებ—სა. ვიდ უუგანათლებულესო მონარხო, ვა ერთგული
 ქვეშევრდომი, დამვრდომი თქვენის იმპ. დიდებ. უსამღრთოესთა კვარცხლბეკ
 თადმი, გთხოვ განმამხნოთ მე წერილისა ამის ძლით ადრეთვე მოლოდებულისა
 სსსიკურით, რათამცა კეთილდროთ უძლო მე მუნ მიტანა მისი.

დეკემბრის ლა დღეს, წელსა ჩღუე.

127. Д. XXVI. 5 Января 1798 г. Письмо царицы Дарий къ имп. Павлу.

უმადლესი უკასი თქვენის იმპ. დიდებ. გაქცეულის სავლდობისათვის, მოწე
 რილი მეფისა მიმართ ჩემისა, მივიღე თავჯანსიციებითა, და უმდაბლესად მოვასესე

ნებ თქვენს იმჟ. დიდებ., რომ შეეყმან ჩემსან ვერ შეიძლო წაკითხვა თქვენის ბძანებისა, ეგრეთვე ჰასრუხის მოხსენება, რადგანც არის თვე ექვსი, რომ სწეულია, და ჟამის ამას უმეტესად შეწუხებული არის დიდათ, ამ მიზეზით გავბედავ და მე მოგახსენებ, რომ არც ერთი სალდათი არ მიღებულ იყოს ჩემის შეთვისგან. რადესაც მხედრობა თქვენის იმჟ. დიდებ. საქართველდამ გამომგზავრდა, შეეე ჩემი მასინაც სწეული იყო, და ეგრეთვე იმჟამად ომარხსანც. დაღისტნის ჯარით ამ ქვეყანასე ექვს ალაჯზე დადგა სამტეროდ, და იქმნება მოხსენებულები გქონდესთ, ესეთში ექვსი დიდი სოფელი დაატყვევა და სრულებით დასწვა, სხვა სოფლებიც აურილნი და სიმაგრეებში იფხენ დახიზნულნი; და ამისთანას დროს რომ მოხდა აურა და წამოხვლა თქვენის დიდებულების უძლეველის მხედრობისა, მოცალება აღარა გვქონდა, რომ გაპარული სალდათები დაჭერილ იფხენ; და უფრო მრავალნი სხვას საბძანებელ ქვეყნებში გასულ იფხენ. და ესეც გავიგონეთ, რომ იმათს უფროსსაც ურიგო ყოფაქცევა ესმარებინოს, რომ თუ ვისმე გზასე შესვდრია და გაქცეული სალდათი მიუყვანია, მიუყვანს ავად მოჰყრობია და დაუშინებია. შეუძლეუბელიყო ჩვენგან და ჩვენს ერთგულთაგან, რომ თქვენის სალდათის მობიკება მომხდარ იყო, რადგანაც გვსურს, რომ თვით ჩვენი შვილებიც თქვენს სამსახურში იმყოფებოდნენ და ყოველთვის ჩვენს დაფარვასაც თქვენის იმჟ. დიდებ. მოწყალებით მოყვლით, ამისათვის გევედრები, რომ ჩვენი შეწუხებული მდგომარეობა შეიწყალეთ, და თქვენი უდ მოწყალე გული ჩვენზე არ შესცვალეთ. რომელნიც დამალულნი ამ სამეფოს სოფლებში იქმნებიან—იმათ ბეჯითად ვაძებნიებ, რომოდენიც კიდევ მომიყვანინებია დაჭერილნი, რომ ახლა თქვენს ღენკალს გრავ გუდოვის მიებალება, და ამის გარდა რამდენისაც პოვსას შევიძლებთ, უკლებრად იმასაც საჩქაროდ გამოვგზავნით. ამასეც თქვენს უდიდებ. ვარწმუნებ, რომ აქ არც ერთს სალდათს არ დავაუენებ, და ამასეც კი ვსასოებ, რომ რომელნიც ჩვენს ქვეყანაში არ არიან და არც ჩვენი ძალი იმათსეც იმოქმედებს—იმათთვის არ გავგვიწყრებით. უგან. კნისს ბეზბოროდკასა ჩვენგან წერილით ერთი განცხადება მოერთმევა, და გევედრები ისიც მოწყალებით მოინსენათ. უდ ღის თქვენს საფარველს მოვბაარებ ძეთა ჩვენთა და საზოგადოსა ამას შეწუხებულთა ქრისტიანეთა.

იანვარს 5, წელსა 1798. თელავით.

128. Д. XXIV. 5 Января 1798 г. Письмо царицы Дарии къ имп. Маріи Ѳеодоровнѣ.

მათის იმჟ. დიდ. ჩვენს უდ მოწყალეს ხელმწიფეს უკასი ებოძებინა ჩემის შეთვისათვის, რომელიც გაქცეული სალდათებისათვის იყო მოწყრილი, მაგრამ, რადგანაც შეეე ჩემი ექვსი თვე არის, რომ სწეულია და უმეტესად ამჟამად შეწუხებული იყო, ვერც წაკითხვა შეიძლო და ვერც ჰასრუხის მოხსენება, ამისთვის მე,

მოვალეობით დიდად შეწუხებულმა, გავბედე და ჰასუსი მოვასხენე, და ყოველი მი-
სუსი თვით მათის იმჰ. დიდებ. წიგნით განმიცხადებია, რადგანაც უწინარეს ამი-
საც თქვენის დიდებულების შემოგედრებულნი ვართ, გულისმოდგინედ ვითხოვ
და გვედრები, რომ ჩვენი შეწუხებული მდგომარეობა შეიწყალეთ და ჩვენს ყოფ-
ლად მოწყალეს ხელმწიფესთან შეგვეწიფეთ, რომ მაგათის იმჰ. დიდ. უმაღლესი
შთაბრუნება და სუგეში არ მოგვაკლდეს; უმეტესად ვაწმუნებ თქვენს დიდებუ-
ლებსა, რომ ჩვენი სსსოება მხოლოდ მათის იმჰ. დიდებ. უდ მოწყალების მონ-
დობლია, — თქვენს შემწეობას შეგვედრებთ ძეთა ჩვენთა და სასოგადობასა ამს
შეწუხებულთა ქრისტიანეთა.

იანვარს 5, წელსა 1798. თელავით.

**12. Д. XXIV. 5 Января 1798 г. Письмо царицы Дарии къ
кн. А. А. Безбородко.**

გაქცეულის სალდათებისათვის მოწერილი მათის იმჰ. დიდებ. უქაზი გამოგუ-
რანა გრად ღენერალ ივან ვასილიჩსა. თუმცა ჩვენს მეფესთან იყო მოწერილი,
მაგრამ ვერც წაკითხვა შეიძლო და ვერც ჰასუსის მოხსენება, რადგანაც ექვსი თვე
არის, რომ სნეულია, და უმეტესად ამჟამად იყო შეწუხებული, ამისათვის მე, მო-
ვალეობით დიდად შეწუხებულმა, გავბედე და მათს იმჰ. დიდებ. მოვასხენე ჰასუსი,
და რაც მომიხსენებია, ვიცი თქვენი უგ — ბა იუწყებს: ჩვენი თხოვა და ვედრება ეს
არის, რომ თქვენის ჩვეულებრივის კეთილმოქმედებით ჩვენი შემწე ბძანდებო-
დეთ, რომ მათის იმჰ. დიდებ. უმაღლესი შთაბრუნება და სუგეში არ მოგვაკლდეს,
რომ მხოლოდ ჩვენის უდ მოწყალის ხელმწიფის სათაბრუნებისა და მოწყალების
მონდობილნი ვართ.

იანვრის 5, წელსა 1798. თელავით.

**130. Д. XXIV. 10 Марта 1798 г. Письмо царицы Дарии къ
имп. Павлу.**

უაღუსტესო ერთმთავარო,

უდ უმოწყალესო ხელმწიფეგ!

კეთილნაწილობით მონაწილეობისა მიღებითა სნეულებსა ზედა მეფისა
ჩვენისა უმეტესად განეცხადა თქვენის იმჰ. დიდებ. ჩვენდამო აურაცხელი მოწ-
ყალება და სიბრალული, ვინაღან უდ უმოწყალესობით ინებეთ ბოძება გამოცდი-
ლისა მეურნალისა საწამლებულად მეფისა ჩვენისა, ეგრეთვე მსახურისაცა თქვენისა,
ძისა ჩვენისა მიწიანისა, ათათხმეტ წელ ჩვენგან უნახავისა, სახილველად მისა დას-

ტუჩის ბოძება, რომელსაც აქვნიდა წმუნებულ, რათა უმაღლესითა თქვენის იმპ. დიდებ. სახელითა ეწადა მისთვის მსწრაფლ განკურნება, გარნა სვემან ესრედ უბედური ჭყო სახლი მისი, რომელ მეფე ჩვენი, ვიდრე ზეციერისა მოწყალებისა ამის თქვენისა მისდამო მოწყვამდე, იანვრის 11 მიიცვალა, რომელსაც დაგვაგდო მე და შვილი ჩემი დაობლებული და არა გვიფის ჩვენ სხვა ნუგეშინისმცემელი და შემწე, შემდგომ მდგომისა, გარდა თქვენის იმპერატორების დიდებულისა; და ვინაღან განსვენებულმანცა მეფემან ჩვენმან, დღეს აღსასრულისა თვისისა განმიმეორა მე ჩვეულებრივი ბრძანება თვისი, რათა თავი ჩემი შვილებითურთ თვისით მარადის ვამყოფოა უმაღლესსა საფარველსა ქვეშე და ერთგულობითსა სმისხურისა შინა თქვენის იმპ. დიდებულისა, ამისათვის დაფარვს წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა თავსა და დაობლებულთა შვილთა ჩემთა, დიდებულთა ხელმწიფეთა, გარდმოხედელთა და მრავალთა თვალთა უბედურებასა ჩვენსა და ინებე, რათა უმაღლესი საფარველი თქვენი გვაქვნიდეს ჩვენ ნუგეშად და მაცხოვრებად, და დიდებად უმაღლესისა თქვენის დიდებულების სახელისა, რამეთუ მასწავდა დამოკიდებულ არს ყოველი სსსრება ჩვენი. თქვენის იმპ. დიდებ. უნდ უმოწყალებლობით ბოძებულისა მკურნალისა დეიტრისისა ესდენ მუნ დაგვიანებისათვის უნდ უმდაბლესად ვითხოვ, რათა არა განმიჩინებდეთ, ვინაღან აწ სწამლობს იგი რომელთავე ძნელთა სნეულთა სახლისა ჩვენისათა, გარნა მომავალს აზრელს უთუოთ გამოვისტუმრებ ჩემის ძის მიჩინითურთ; და მოხსნაცა ამას თქვენსა, ქესა ჩემსა მიჩინს, შევედრებ თქვენს იმპ. დიდ. და ვითხოვ ფრიად უმდაბლესად, რათა ჩვეულებრივი უმაღლესი მოწყალება თქვენი ამას არა მოაკლდეს, ვინაღან ბედნიერობა ამისი დამოკიდებულ არს თქვენის იმპ. დიდებ. სათნოყოფაზედა, რომლითაცა არა მცირედ მიიღებს სუგემსა განმწარებული მწუხარებითა გული ჩემი; და აწინდელი აქაური მდგომარეობა ამისივე წერილით მოხსენდება თქვენს იმპ. დიდ—ს.

მარტის 10, წელსა 1798. თელავით.

მეფისა გიორგისა, შვილისა ჩემისათვის აღარ დაუმძიმე თქვენს დიდებულებას, რადგან თითონ ამსადებს კაცს დამტკიცებისათვის და ვედრებისა არზის მოწამივეთ, რომელითაც უმდაბლესად გთხოვ მოწყალებით მიიღოთ ეს საბრძლო ქვეყანა, დითისგან თქვენდა მიზარებული.

131. Д. XXVI. 10 Марта 1798 г. Письмо царицы Дарии къ имп. Марии Ѳеодоровнѣ.

უნდ უაფდურესო ერთმთავრინავ,

უნდ უმოწყალებო ხელმწიფავ!

თვით თავით თვისით ვერ გავბედავდი, რომელ აწინდელისა მდგომარეობის ჩემისა მოხსენებითა დაუმძიმებინა თქვენი იმპ. დიდებ., უკეთუ ყოველთა შეწუხე-

ბულთა მოწყალე და შემხრალე გული თქვენი, სოფელსა შინა განცხადებული, მიხუ-
სად კადნიერებისა ამის არა მქონოდა, რომელმანცა აღმინადა მე კრეტსაბმელი
კრძალვისა მოხსენებად დიდებულებისა თქვენისა.

თქვენს იმჟ. დიდებ. მოეხსენება, რომელ დიდის რუსეთის სავიშეკრატორო
ტახტისა მაღალი მთარგელობა მარადის ჭქონია ოჯახსა ჩვენსა და უმეტესად აწინ-
დელთა დროთა შინა, და ვინადგან სვემან ესრეთი მოიღო უწყალაობა, რომელ მან
გაგვაუბედურა და დაგვაობლა მე და შვილნი ჩემნი მეფისა ჩვენისა გარდაცვალებითა,
რომელთაცა არ გვაქვს სხვა გზა მაცხოვარებისადმი, შემდგომ ღმრთისა, გარდა დი-
დისა იმპერატორისა ჩვენისა; ამისათვის მუხლდადგმით შევმდრომი გვედრებო
შუამდგომელობასა, ვინადგან მცირეცა სიტუვა დიდებულებისა თქვენისა დიდად
შემწე შექმნება წინაშე მისა, რათა ღვთიებრ მოწყალითა თვალითა მოხედოს
მდგომარეობასა ჩვენსა და მაღალი საფარველი თვისი მე და ნაშობთა ჩემთა არ
მოგვაკლოს, ვითარცა იმის იმჟ. დიდ. ერთგულთა მოსამსახურეთ.

მარტის 10, წელსა 1798. თელავით.

**132. Д. XXIV. Апрель 1798 г. Сообщение въ Иностр. Кол-
легію отъ Груз. посланника кн. Г. Чавчавадзе.**

აპრილის 14 შტაფეტით წიგნები მივიღე მათის უმაღლესობის დედოფლისა-
გან, რომელიც მათს მსვლელობას უფალს სერგეი ლაზარინისთვის მიმირთმევია, რომ
თავთაფის აღაგს მიაჩთვას და მხოლოდ ამას მწერენ: შედ გარდაცვალებისა ნეტა-
რად სახსოვარის მეფის ჩემის ირაკლისა მიუღია უაღრეს სკუდიერს შემკვიდრეს
მისსა გიორგის, რომელიც თვითან ამზადებს უმაღლესს კარზე გამოსაგზავნს კაცს
ყოფლის თვისის საქმეების ვედრებით, და ამჟამად თითონ ამისთვის აღარას იწერება,
რადგან მრავლის გარემოების საქმის გამო არა ჭქონია მოცალეობა, რაგორც თქვენც
მოგეხსენებათ, არის ჩვეულება ამისთანა უბედურ შემთხვეულების დროსთვის.

აპრილს, წელს 1798.

**133. Д. XXIV. 14 Мая 1798 г. Письмо царицы Даріи къ
имп. Павлу.**

შედ უმაღლესსა მოხსენებასა ჩემსა ზედა განმეტხადა მე წერილით უფლისა
დენერალ-ლეიტენანტისა გრაფ მარკოვისაგან თქვენის იმჟ. დიდ. საქართვეუ-
ლოს მეფის სახლისადმი კეთილმოახრეობა და ტაგანროცის პოლკის პოლ-
პოლკოვნიკის სპეშნევისაგან პირისპირ უმაღლესთა მოხსენებულთა ჩემგან
მუხლთა პასუხისა მოთხოვა, და, შემდგომად პოვისა მისისა, დასამსაველ მიცემად

იგი სამხედროის მსჯავრისა ქვეშე, ხოლო მე მსმენელი ზემოხსენებულისა დ'თებერ
მოწყალებისა თქვენისა, რომლისადაცა ნაცვლად არა ძალმისცა სხვისა რისისაჲ მოლუ-
ბად წინაშე უმაღლესისა ტახტისა, — მისა ვარ უვილებითურთ ჩემით მარადის თქვენის
იმჴ. დიდებ. სამსახურად ვიდრე სისხლთა ჩვენთა უკანასკნელ წვეთამდე. მსახურისა
თქვენსა, ძესა ჩემსა შირიანს, თუმცა ვისტუმრებდი მე სამსახურად, გარნა მოუვიდა
მას უეცრათ ბრძანება თქვენის იმჴ. დიდებ. სამხედროს კოლედიდამ, რომლითაცა
განეცხადა ნებითა თქვენის დიდებ. სამსახურიდამ განთავისუფლება, რომლისათა
ვისცა ჯერეთ დავაყოფნეთ გამოსტუმრება, და ელის მწუხარე უმაღლესსა კეთილ-
ნებობასა.

1798 წელსა, 14 მაისს. ქალაქსა თელავს.

134. Д. XXIV. 18 Мая 1798 г. Письмо царицы Дарии къ имп. Павлу.

უმაღლესითა კეთილნებობითა დიდებ. თქვენისათა გამოგზავნილი საწამლე-
ბულად განსვენებულისა მეფისა ჩვენისა დოქტორი ლერციუს, რომელიცა უკვე
გამოგვისტუმრებია ადგილსა თვისსა მაისის 13, დიდად შეგვეწია გამოცდილე-
ბითა სამკურნალოსა ხელოვნებისათა და კეთილ-მცდელობითა თვისითა სასტიკისა
მწუხარებისაგამო შემთხვეულთა სენთა შინა ჩვენ და სახლისა ჩვენისათა, ეგრეთვე
მოცემულმან მისგან რჩევამან ქალაქსა ჩვენსა ტფილისს მომსვრელი სენი
მსწრაფელ აღუმსუბუქა, რომლისათვისცა უმწვერვალესსა მადლობასა უდ უმდა-
ბლესად მოვიღებ წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა; ხოლო ვინადაცა კე-
თილმწრუნველ მამად ქვეყნისა ამის ჩვენისა ვესავთ დიდებ. თქვენსა, ამისგამო
გაჴკადნიერდები მოხსენებად, რომელ საქართველო ფრიად ნაკლულევან არს მკურ-
ნალობისა ხელოვნობითა, და მიზეზითა ამით არა მცირედი გჴკადლება უდროოდ
ერი, რომლისათვისცა უდ უმდაბლესად ვეჴედრები, რათა ზემოხსენებული დოქ-
ტორი ლერციუს სათნაოინათ რაოდენსაჲ ხასს ბოძებად განხელოვნებად მკურ-
ნალოთა ჩვენთა, რომლისამიერცა ფრიადსა სასყიდელსა ჴყოფთ ერისადმი ჩვენისა.

1798 წელსა, 18 მაისს. ქალაქსა თელავს.

135. Д. XXIV. 30 Июня 1798 г. Представление отъ царя Георгія имп. Павлу.

ყოველი სოფელი ამისა თანახმა არს, ვითარმედ დიდებსა და ჩინებულებსა
თანასწორი აქვს ბრწეინვალება კეთილ-მოქმედისა გულისა თქვენისათანა. თუმ-
ცადა სიერებით ჩემითგან მატუნდა ნიდაგ წარმატება სურვილისა უფროს წინა-

ჰართა ჩემთა შემოსავრდომელად სამეფოთურთ ჩემით კალთისა ქვეშე ჰორფი-
რისა თქვენისთა ტემპარიტითა ერთგულებითა, მაგრად დღესაქამდითი მდგომობა
ჩემი მაქუნდა შუასკედლად, რომელსაცა არ ძალმეფვა სურვილისა ჩემისა შესრუ-
ლებით აღმოჩენა, და ვინადგან ფარდა ესე აძრცვილ-იქმნა, ამაღ, აღმხილული
თვალისა, ადგიარებ ჩემად უაღუსტეს მონარხად და ჩემად სელმწიფედ, დავსსოკებ,
რათამცა თქვენის იმპ. დიდ—დმი განჰყრობილი სელი ჩემი თქვენი დიდებულეზი-
საგან არ უგულებელ-იქმნას და ჩემს ვედრებას ნიადაგ აქუნდეს ადგილი თქვენს
წინაშე, რომელ ესე, რათამცა თქვენის დიდებულეზისაგან არ აღგვეძარცოს ის
მოწყალება, რომელიცა რათიფიკაციაში სელმწიფურის სიტყვით აღგვეთქვა მე
და კურთხეულს მამა ჩემს, და რაგვარადცა თქვენგან მე ვიყო დაუტევებელ, ეგრეთ-
ვე შემეგვიდრე ჩემი დავით; და უკეთუ დიდებულეზისა თქვენისა საფარველი მე და
ჩემს სამეფოს აღხდილი გვექნება, მაშინ მეცა და სამეფოცა ჩემი ესე ვითარითა
უბედურებითა განსაზღვრულ ვიქნებით, რომელ ყოველთვის თათართა მფლობე-
ლობისა შემაყურებელ უნდა ვიყუნეთ ყოველითურთ უღონო-იქმნილი.—და შემდგომ-
ად, ოდესცა სჯულიერისა შემეგვიდრებითა მივიღე ტახტი ჩემი და ვიქმენ შეფედ,
ის თავისავე უამში თქვენს დიდებულეზს გრად გუდლოვისის სულით მოვასსენე,
რომელმანც წიგნმან შემოხსენებულს გრადს ვერ მოუსწრა ღინიასედ, და არ
ვიცი თუ რა იქნა.

1798 წელსა, იუნისის 30. თელავს.

136. Д. XXIV. 28 Июля 1798 г. Письмо изъ Тифлиса къ арм. архіеп. Іосифу (Аргутинскому) отъ царевича Давида Георгіевича.

აქაურს ამბავს იკითხავ, — ბახახანი ურუმიას მოვიდა და აქ ჩვენს ბატონთან
იმისგან გამოგზავნილი უაჯარი ნასახნიბაში მამადხან ვინმე მოვიდა და შვილსა
სთხროვს, და ფარმანიც მოეწერა; მე ფარმანი ვსთარგუნე და ღრადს მარკოვს გამო-
უგზავნე: «თუ შვილს არ მოგვცემ, რაც ბიძა ჩემმა გიყო — სამს იმოდენს მოელოდე
ჩვენგანაო». და ახლა ამისმა უმაღლესობამ შეფემ გიბრძანა, რომ კნიაზ ბესობო-
როტკოვსთან და კნიაზ კურაკინთან გამოაცხადო, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომ-
მარეობა დიდად საწუხარო არის ჩვენთვის: თუ მაგათზედ სელი ავიღოთ, გვრცხვე-
ნიან ჩვენის პირისა და ნამუსისა, რომ მაგათზედ სელი როგორ უნდა ავიღოთ, და
ჩვენ შორის მყოფისა ფიცისაც გვეშინიან, და თუ სელს ვერ ავიღებთ, როგორც
შეფის ირაკლის დროს ოხრება მოუხდა საქართველოს, უმეტესი მოსდის ესლად, და
ამისათვის დიდს იტვი ვართ მიტყმულნი. ეცადე, წყალობას ვითხოვოთ, რომ, თუ
ქართლი გინდათ და სახმარად რაცხთ ამ საქმეს, საქართველ ერთი წამალი დაადგათ
რამე. და უფრო მეტი ჩემი სამწუხარო ეს არის, რომ, თუ ეს ქვეყანა მაგათის სა-

ფარგელიდამ გავიდა, მე ჩემი პირშოება მაგათ უნდა შევსწირო, ამისათვის, რომ ჩემის ხელმწიფის მუხანათი ვერ შევიქნები და მაგათს სამსახურში აღრიცხისათვის მეც არაფერს დამინდობს. ჩვენ ხელმწიფესთან და ღრთთან რომ წიგნები დავსწერეთ ხუთს დღეს უკან, მოხდა ეს ამბავი. ვითხვებ, რომ ეცადო და ამისი პასუხი სასქაროთ გამომიტანო. სერგეი ლასარისის რაც მოგეწერა—ისიც გავარჩიე.

უსაკუთრესი მეფის ძე დავით.

ივან ლასარისი და ეკატერინა ივანოვნა აგრათინათი და საინცოგები მოა მიკითხე.

ივლისის 28, 1798 წელს. თელავს.

137. Д. XXIV. 30 Августа 1798 г. Письмо неизвестнаго (С. Л. Лашкарева?) изъ С.Петербурга къ царю Георгію.

თქვენის სიმაღლის ბოძებული ღრამოტა მაღლობით მივიღე და მაღლობელი ვარ თქვენი წყალობისა, და ჩემის მხრიდან თქვენს სიმაღლეს ვარწმუნებ, რაც შემძლებლობა მაქვს თქვენი სამეფო სახლისა და სამეფოს ერთგული და შემატების მცდეელი ვარ, და ღთ საქმეს აქამდინაც მოვასწავინეთ, რომელსაც თქვენის სიმაღლის დესპანი უფალი კნიაზ ჭავჭავაძეც მიმომწმებს, და თუ კნიაზ გიორგი ავალოფი გამოგებრუნებინათ, ახლა საქმე სრულებით როგორც თქვენი სამეფო სახლის შესამატი იყო, ისე შესრულებული იქნებოდა. კიდევ ბრძანება არის ჩვენის უფალის მოწოდების მისის იმპ. დიდ., რომა უი აღსრულდეს. სხვას არას მოგვლით, ყველათ მზათა ვართ, მარტო ავალოფის მოსვლას თქვენის სათხოვარის წიგნებითა.

წელსა 1798, ავგისტოს ღ. სტ პეტერბურლით.

138. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Грамота царя Георгія князю Г. Чавчавадзе.

ჩვენს დესპანს თავადს გარსევანს ჭავჭავაძეს! სანატრელის მეფის მამის ჩვენისაგან რუსეთის უმაღლეს კარზედ სრულისსების-მქონებელ მიწისტრად თქვენ იყავით გამოჩენილი. ახლაც თქვენთვისვე გვიბრძანებია, და როგორცა ნება გქონდათ, ისივე გქონდესთ, და მანდ იმყოფებოდეთ მეორეს ბრძანებამდე. სადაც ჯერ იყოს ამ ჩვენის ბრძანებით იქ გამოცხადდით, ჩვენს წიგნებს შესაფერი აუდენცია უთხოვეთ და თქვენი თავი ჩვენს ელჩად გამოაცხადეთ. სხვებზე ჩვენ მარადის თქვენსად კეთილის-მყოფელად ვეგებით.

ოკტომბერს ია, წელსა ჩღუტ. თელავი.

13. Д. XXII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгия къ С. Л. Лашнареву.

თქვენი მაღალმსუფელობის წიგნი მოგვივიდა, დიდის ჰატივით მივიღე და რაც მოგეწერათ ყველა ვსცანით, და გმაღლობთ ესეოდენ კეთილმსრუნველობისათვის. რომელიც ჩვენი სათხოველი მაგათის იმჰ. დიდებ. წინაშე არის ყოველივე ჩვენი სრული თხოვა რამდენისაჲმე ჰუნგტებით მოგვისხენებისა და იმ ჩვენის სათხოვრის ჰუნგტების ჰირი თქვენთვისაც გამოგვიგზავნის, და გთხოვთ თქვენი მაღალმსუფელობა ყოველს ალაგს დიდის გულმოადგინებით გაისარჯჯოს ამ ჩვენს საქმესედა და სრულება სცეთ თხოვისამებრ ჩვენისა, რომელითაცა უმეტეს ვაღდეუბულ გვეყოფთ.

ოკდომბრის ია, წელს ჩღუჭ. თელავს.

140. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгия къ кн. А. А. Бебородно.

ჩემგან წარმოვლენილს თავადს გიორგი იოანეს ძეს ავალღვს ყოველითურთ შემოვავედრებთ თქვენს უგანათლებულესობას, რომლისათვისცა მე ვეგები უღრმესსა სამსახურისა წადილსა შინა.

ოკდომბრის ია, წელს ჩღუჭ. თელავს.

141. Д. XXIII. 11 Октября 1798 г. Письмо царя Георгия къ кн. А. А. Безбородно.

ჰატივსაცემელმან თქვენმან წიგნმან თქვენი ჩვენსედა კეთილი განზრახვა და შეწევნის წადილი გვარწმუნა, რომლისათვის უმდაბლესად მრავალს მაღლობს მოგახსენებთ. თქვენმა უგანათლებულესობამ იცის, როგორის მეზობლებითა ვართ გარეშეცული, ან იმათ ჩვენსედა რადენის ხარისხით მეტი აქჲსთ ძალი. ერთს მეზობლად ის სპარსნი არიან, რომელთაც წარსრულს წელიწადს ასე მოგვაოხრეს, რომ დღესაც ჩვენ და ჩვენს დაგლახავებულს ხადხს ერთმანერთი ვეღარ გვიზოვნის, მეორედ ოსმაღნი, რომელთაც წარსულს თვეს ლეკის ჯარი აიუვანეს და მრავალს ტყვესთან ჩვენი დისწული თავადი ციციანოვი დაიჭირეს და დღესაც ახალციხეს ტყვეთა ჭყავთ. მესამედ ლეკნი. მეორე საუკუნო არის, რომ ჩვენად სსოებად რუსეთის უმაღლესი კარი გჲაქჲს და ხსენებულს მეზობლებთან შერიგებასა და დაგებას ვეჭიდებით: ჰირველად, ქრისტეს სარწმუნოების გამო, და მეორეთ, უმაღლესს ტახტთან ფიცით შეკრულობის გამო. ჩვენ, ამისთანა მდგომარეობა

ბაში მეოთხთ, აწას დროს მაგ კარზედ შემწე და ჩვენთვის მზრუნველი აწა გვეყოლია. სანატრელს მამა ჩვენს ჭკონდა სსსოება დადებული კინაზ ჰატემკინზედ, მაგრამ ის ჩვენ გვატუუგებდა, ის მხოლოდ თავის სსსელის განდიდებას ეძებდა და აწავის სხვისთვის ზრუნევდა. დიდისნია მე თქვენი კაცთმოყვარება და მამულისა მოყვარება ვიცი, და ამისათვის ჩვენს თავსა და ჩვენს სამეფოს თქვენს უგანათლეს ბუღესობას შემოგავედრებ: თქვენ უნდა იყოთ დღეისიქით ყდ მოწყალე ხელმწიფესთან ჩვენი შუამდგომელი და შემწე. ახლა რამდენიმე ჰუნკტები დიდებულს ხელმწიფეს მოვარტვით, რომლისაც ვიჩი აქა ძევს; თქვენის მამებრივის ქველის გულისაგან ამას ვითხოვ, რომ იფორმალნის აწასა და ჰუნკტებს სხვის სათხოვრისა ჩვენი მინისტრი მოაწთმევს,—ამას თქვენის წინამძღომლობით უთხოოთ აუდენცია.

ოკდომბერს ია, წელსა ჩლუჭ. თელავი.

142. Д. XXIII. 16 Октября 1798 г. Представление отъ царицы Маріи, супруги царя Георгія, имп. Маріи Θεодоровнѣ.

დედობრივი თქვენის იმზ. დიდებ. სიმდაბლით გარდამოხდომა ყოველთადმი ჩრდილსა ქვეშე ჰორფიროსა თქვენისა შემოვრდომილთა აწა უსასო ჭყოფს მათ წარმოადგომად წინაშე უმაღლესისა ტახტისა თქვენისა მოსაოხებულად უმაღლესისა საფარველისა, რომელთაგანი მეცა ვიკადრებ უმონებრიესითა ვედრებითა თხოვასა, რათა თქვენმა დიდებულებამ დიქს მეოს აღრიცხვად რიცხვსა შინა ერთა გულთა თქვენთასა და სიმადლითგან ტახტისა თქვენისა მომმადლოთ ნება ყოველთა შორის სადღესასწაულოდ სიქადულისა, ვითარმედ ვგვი.

ოკდომბერის ივ, წელსა ჩლუჭ. თელავი.

143. Д. XXIII. Октябрь 1798 г. Представление отъ царя Георгія имп. Павлу.

ითხრეს აღსრული ჭსჯულიერსა თვისისა სამეფოსა ტახტსა ზედა, შემდგომად აღსასრულისა მამისა თვისისა მეფისა იჩაკლი მეორისა, მეფე ქართლისა და კახეთისა გიორგი მეათსამეტე, რომელსაცა შეუდგებიან:

ჰუნკტი

ა.

წელსა ჩლუჭ გუჩქენდა ჩვენ აღთქმა, რომ საქართველოსა ტახტსა ზედა აღსრულმან მოვასხენოთ იმზ. თქვენისა დიდებ—სა ჩვენი სამგვიდროსა და ჭსჯულიერსა ტახტსა ზედა აღსლვა და თქვენის იმზ. დიდ—გან ვითხოვოთ ამის დამტკიცება.

ამ სათხოველს

ბ.

აწ, აღსრული ჰსჯულიერსა და სამკვიდროსა ჩემსა საქართველოსა და კახეთისა ტახტისა ზედა, უმდაბლესად ვითხოვ თქვენის იმპ. დიდ—გან ამისსა დამტკიცებასა და ჩემთანა პირმშოსა ჩემისა შვილისა, იმპ. თქვენის დიდებ. მადლსასსეულადანსა სამსახურსა შინა მყოფისა ლენკრალ-მაიორად, და ვითის ჩემად შემკვიდრედ მიღებასა და დამტკიცებასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი მეათსამეფე

ყოვლად მოწყალევე ხელმწიფევე, უმონებრიესად ვითხოვ თქვენის იმპ. დიდ—საგან ამ ჩემს სათხოვარს სისრულე უბოძოთ. ოკდომბერს, წელსა ჩღუჭ.

ხელს ვაწერ.

144. Д. XXIII. Октябрь 1798 г. Представление отъ царя Георгія имп. Павлу.

მონარხულისა მოწყალეებითა აღსილი თქვენის იმპ. დიდებ. ღრამოტა გრათის მარგოვის ხელით გვებოძა, რომელმაცა აღმამალა უმეტეს თავისა ჩემისა და განადიდა ჩემ შორის გრძნობა ერთგულობისა უმადლესისადმი ტახტისა თქვენისა, რომლისადმი წინაპართა ჩემთა მარადის აქუნდათ. მსურის წარმატება ერთგულობისა მათგან და ღიცა შემეწოდეს ამა აზრსა შინა; გარნა მაქვს სავედრებელი თქვენისადმი დიდებულებისა, რომლისათვის უმონებრიესად ვითხოვ, რათა განაპრყობილი ხელი ჩემი თქვენდამი არა უგულებელსჭყოთ და ყოვლად მოწყალეებით სიმადლიდგან ტახტისა მოხედოთ.

სანატრელსა მეფესა, მამსა ჩემსა, აქუნდა ჩვეულებად მოწერა დამჭირნეობისა თვისისა მოსამზღურის მთავრისა მიმართ, და ამით ესოდენ გრძელდებოდა და გვიანდებოდა საქმე—რადენ აგრძნა თფილისმან ხელითა მტაცებელისა აღმამაჭმადსანისათა, ამისათვის ვითხოვ, რათა მაქუნდეს ნება მოწერად პირისპირ თქვენდა და მოგერთმეოდესთ ხელითა თქვენისა მინისტრისათა, რომელსა მოსართმევს ჩვენი მინისტრი.

მიუტილებელი ჩემი დამჭირნეობა ითხოვს, რომ ვითხოვო უმეტეს ყოვლისა ესე, რათა საფარველი თქვენისა დიდებულებისა საუკუნოდ გვედგას, რომ აღარ ვიყო დამჭირნე სხვისა რომლისამე კარისა შევრდომასა, ანუ შევედრებასა.

მსგავსად უმადლესისა თქვენისა გრამოტისა და დამტკიცეთ ჩემი მეფობა და შემკვიდრეთ ჩემად შვილი ჩემი და ვით, და ნუგინ შემომისდება სამეფოსა ჩემსა შინა განმგებასა შინა, და ნუგინ უპატივო ჭყოფს თავადთა, აზნაურთა და გლეხთა ჩემთა თვინიერ ნებისა ლემისა.

განმამხნევეთ ამა ხელმწიფურის განმხრობითა, რათა შემკვიდრესა და მოა
ნაცვალეთა ჩვენთა აქუნდეს საუკუნოდ და შეურყეველად.

დასამტკიცებლად თქვენის ჩემსედ უხვის მოწყალებისა შებოძოს საში ათა
სი სალდათი თავისის წარბასნებით და ხარჯით უკვდავად და საუკუნოდ ვიდრე
აღსასრულამდე სოფლისა.

როდისაც საქართველოში ძლევაშემოსილი რუსეთის ჯარი ყოფილა ყო
ველთვის ავს კაცებს იმ ჯარის გამანდირებთან ჩვენი ენა უტარებიათ, ამის გამო
ყოველთვის შოროთი და უთანახმოება გვექონია, — უმონებრესად ვითხოვ თქვენის იმპ.
დიდ — გან, რომ ჩემთან მეოფის ჯარის გამანდირს ებრძანოს, რომ მხოლოდ
ჩემთან ჰქონდეს საქმე და არა სხვას გუჯამთან, რომელსაც ჩემგან არა ჰქონდეს
ჭკწმუნებუელი, რათა მონარჩულისა მოწყალებისაგან არ დაფშორდეთ.

თუ ოდესმე საქმემ დაგვხატოყოს და ჩვენ აქ მეოფის ჯარის გამანდირი
რომელსამე ჩვენს სამზღვარზედ მისაყოლად მივიწვიოთ, ნუ დაგვეურჩება, მოგ
ვეუბოდეს ჯარითა, და თუ საზღვარს გარეთ დაგვეჭირდება, მაშინ თქვენს დიდუ
ბულებას მოვასხენებთ.

ვინადგან ქრისტიანებრითა ვართ შევრდომილ ჩრდილსა ქვეშე პორფირისა
თქვენისათა, მისთვის უმონებრესად ვითხოვ, თუ ოდესმე სხარსთა, ან სხვის
მძღაფრს ჯარს ჩვენსედ მოსვლა ეგულებოდეს, ამისათვის ღინაზედ მეოფს
დენერალს ჰქონდეს ბრძანება მოუხსენებლად შვიდი ათასი სალდათი მოგვასვე
ლოს და არა უმეტეს ამისა, ჩვენის პურით. უაგვისტოესო მონარჩო, თქვენის
იმპ. დიდ — გან უმონებრესად ვითხოვ აქ მოხსენებუელი აზრები კადნიერებად არ
შემეჩადნოს და თქვენი მონარჩული ყოვლადამოწყალება ჩემსედ მიიღოთ, და
ამით დასამტკიცოთ თქვენი ჩემსედ სიუხვე, რომ მესობლებთან შევიძლო სად
დესასწაულოდ და კადნიერად დაქადება.

ოკდომბერს, წელსა ჩლყს. თელავი.

**145. Д. XXIV. 1798 г. Списокъ инвеституръ и подарковъ, полу
ченныхъ царемъ Георгіемъ отъ имп. Павла.**

სია მათის იმპ. დიდებ. ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფისა სრულიად რუ
სეთისა, რომელნიც წყალობა-ინვესტიტურნი, სამეფონნი ნიშანნი და სხვა ნივთი
გვებოძა ჩვენ, მეფეს სრულიად ქართლისა და კახეთისასა, და ფამილიასა ჩვენსა უფ
ლის მინისტრის სტ. სოვ. პეტრე ივანიჩის კოვალენსკის მიერ.

სამეფო გვირგვინი ოქროსი, ჩაწყობილი ქვათა არასშირათა, სკიპტრა —
კბრეთვე არასშირათა მოჭედილი.

ხმალი მოჭედილი ოქროთი, მდინარითა თვლითა.

პოეტური სამეფო ხასყიჩმიზის ხავერდისა, ქვეშისადაც უარყუმი გუდებანი, რომელსა ზედა ნაკერი აქვს ღერბი რუსეთისა და საქართველოსი, ორის ფუნჯებით.

თეთრი ღრეშა ორთავის აწივით შუასედა, რომელშიც ღერბია საქართველოსი, ორის ოქროს დიდრეანის ფუნჯებით.

ტანტი ხასყიჩმიზის ხავერდისა გარეშემოვლილი პოდზოროთა და მოკერებული განიერის ოქროს ბუზმენტითა.

აგრეთვე სამი ბალიში, შიგნით ტანტში — ღერბი საქართველოსი, გარეშემო — ღერბი რუსეთისა.

ტანტსედა ორი სტოლი დაბურკილია აგრეთვე ხავერდითა, ბუზმენტითა.

სტოლისათვის თითო ბალიში.

სამი ორდენი აღმასებით შემეგული წმიდისა პირველ წოდებულისა მოციქულისა ანდრეასი, წმიდისა დიდისა ეკატერინასი და წმიდისა ანასი პირველი კლასისა.

მათს უმაღლესობას დედოფალს მარიაშს გიორგის ასულს კონა ოქროსი, რომ ეწოდების «ბუკეთ», ბრილიანტითა და რუსული მდიდარი ტანსაცმელი გარე მოდებულის განიერის უარყუმი თავის გუდებით.

ჩვენს შვიდს შვილებს — ბუკედი, და მეგრესა — საათი ოქროსი მარგალიტითა.

ჩვენს ორს ასულთ, გაიანეს ოქროს საათი ბრილიანტითა და ოქროს ჯაჭვითა, თამარს — ბუკედი ბრილიანტისა.

ახშიმანდრიტს ეფთვიმეს — ჯვარი ოქროსი აქვამარინათი და ოქროს ჯაჭვითა.

ჩვენს სიძეს კნიაზ ბაგრატიონს — ოქროს კოლოფი ემალით და დახატული სურათით, და ბრილიანტით ნაპირდებულთა.

ჩვენს სიმამრს კნიაზ ციციონს — ბუკედი დიდის ღრანატომ-ბროწყულის ფერისა, მოჭედილი ბრილიანტითა.

გიორგი.

146. Д. XXIV. 12 Ноября 1798 г. Письмо царицы Дарии къ имп. Павлу.

შემდგომად გარდაცვალების მეფისა ჩვენისათა, გაუბედურებისა ჩემისა, ვაახელ არზი დიდებულებსა თქვენსა წაჩსრულსა მარტის 14., რომელბათაცა შევევდრეთავი ჩემი შვილებითურთ თვისით უმაღლესსა კეთილნებობასა, რომელსაცა ვუდან უმოწყალესობითისა ჰასრუხის მიღებას ვერ ვუღიარებთ. აწ ვცან სხვათაგან, რომელ უმაღლესი ბრძანება დიდებულებისა თქვენისა, მოსვლია აწინდელსა მეფესა საქართველოსსა, რომელიცა მე არავისგან გამამცხადებია.

დიდებულებსა თქვენსა კმად მოესხენება, რომელ განსვენებულსა მეფესა ჩვენსა აქვდა მისამართად თვისდა მხოლოდ უმაღლესი ტანტი დიდებულებისა

თქვენისა, და სსსმენელნიცა ჩვენნი არა ჩვეულ არიან სხვათა ხელმწიფეთა ბრძანებისა სმენასა, ამისთვის, მუხლდადგებით განსეირებელი თხოვისა ჩემისა, გვეუდრები, უკეთილმსახურესო ხელმწიფევე, მოგვჩედე მამობრივ მოწყალითა თვალთა შე და შეიღთა ჩემთა, ობლობით განმწარებულთა, და განგვამტკიცე უმაღლესითა საფარველითა თქვენითა, რათა ვერ ძალ ჰყონ შტურთა ჩვენთა დანაგვრა ჩვენი, და დავარსოულთ სიტოცხლე ჩვენი უმაღლესსა სამსახურსა შინა დიდებულებისა თქვენისასა, რომელსაცა ზედ დამოკიდებულ არს მაცხოვრება ჩვენი.

1798 წელსა, ნოემბერს 12. ანანურის ქალაქით.

147. Д. XXIV. 12 Ноября 1798 г. Письмо царицы Дарии къ кн. А. А. Безбородно.

თუმცა თქვენისა ჩემდამო ესდენ კეთილისმოფლობის წილ ჩვენ ჯერეთ არა რადთ გვიმსახურია განათლებულებისა თქვენისთვის, რომლისცა დამაბრკოლებელ მიზეზად შეგვეწიქნ სხვა და სხვა სახედ ცვლილებანი მდგომარეობათა ჩვენთანა, რომელნიცა თქვენდა კმად საცნაურ არიან.

აწ მათს იმჟ. დიდ. მოვართვი მეორედ უმაღლესი წერილი ჩემი, რომლითაცა შევეუდრე უბედური თავი ჩემი შეილებითურთ თვისით და ერთი უმაღლესსა საფარველსა ქვეშე და მამობრივსა მოწყალებასა იმის იმჟ. დიდ., ამისთვის ვითხოვ განათლებულებისა თვენისგან, რათა პირველი კეთილი გული თქვენი არ დაივიწყოთ და შეგვაბრალთ მოწყალესა ხელმწიფესა, რომლითაცა ვაღდებულ მყოფთ შე მარადის შესაბამითა ჭეშმარიტითა პატივისცემითა პატივისცემასა თქვენსა.

1798 წელსა, ნოემბერს 12. ანანურის ქალაქს.

148. Д. XXIII. 16 Декабря 1798 г. Сообщение кн. Г. И. Авалова въ Ин. Коллегію.

ოდესცა მიველ შე როსიით სსქართველსა შა და ვიუწყებდა, ვიდ სამეცხო მდლსა შინა მისსა მოფობს ერთის ლეკის მთავრისას ტყვედ მოსამსახურე მათის იმჟ. დიდ. უსტერაფიტური ანდრია ალექსევი, წაყვანილი მათგან ტყვედ დროსა სპარსეთით როსიისადმი ყოფლისა როსიის ძლევაშობილის მსედრობის უკუქცევისასა, მაშინ განმადიდებან ქვეშემგრომებრივისა დამოკიდულებისა შეფისა ჩემისა და ერდგულებრივისა მისის თანამგრომობისა მათის დიდებულების ტანტისადმი, და ესრეთეცა ერდგულებითისა გვაჯიობისა ძლით ჩემისა — არა დავჭყოფნე შე გამოყიდვა მისი, და, მომქცევი ქართლით აქათადმი, უკუნმოყვანაცა მისი

თვისთანა, რელიცა წარუყენე მე გიორგის კრეპოსტსა შინა მის ბრწყინვალეებს
ღრთუ ირაკლი ივანის მოწოდოს, რელიცა, არა სთნო მეოფელმან აქ მოყვანის
მისისა, დაუტყვა იგი კრეპოსტსა მას შინა მძლეველმან ჩემდა მისთვის ხმარებუ-
ლისა ჩემ მიერ მისად სასუიდელად თეთრისა, ხოლო ოდესცა ყოფელივე ჭაზრი
ჩემი მდგომარობდა მხოლოდ მის შორის, მით რელ დავემოწმო შემოუსაღვრელსა
ელთგულეებსა ჩემსა მათის იმჰ. ტასტისადმი, და მოხარულმან სუელითა, ვიდ მაქვ-
ნდა მე ბედნიერობა ჩვენებად ესდენ მტრისა სამსახურისა ჩემისა, ამისათვის არა
მივიღე მე მის მიერ თეთრი იგი, რლისათვისცა ყოფლად ქვეშემვრდომებრივი
გამომაცხადებელი და მომხსენებელი მით, რამეთუ ჩემ მიერ მოსყიდულსა მას
მიმღებელსა თვისისა თავისუფლებისა აქვს გვაჯიური სურვილი განგძობად მას
თის დიდებულების სამსახურისა, ვიდრე უკანასკნელად მისუტადმდე ცხოვრებისა
თვისისა, უმდაბლესად ვსთხოვ მათის იმჰ. დიდ. განმადიდებელი ტყვეობასა შა
დათმენილისა ალექსევის მის მიერ არა დაგდოს იგი გადმოუთხეველად მას წა
თვისისა უმადლესისა მოწყალებისა.

თავადი გიორგი ავალოვი.

149. Д. XXIV. 2 Января 1799 г. Сообщение въ Ин. Коллегию
отъ Груз. посл. кн. Г. Чавчавадзе.

ჩემ მაგიერ მიცემულითა მაღალ დიდებულისა მინისტრისადმი წერილებითა
და სხვათა და სხვათა დროთა შინა სიტყვიერითა ცხადყოფითა არა ერთგვის
მაქვნდა პატივი მინისტრისა მოხსენებად, ვითარმედ, ოსმალის პორტის ნებისა
ქვეშე მეოფი ახალციხის ოფისა, მტერ ქმნილი საქართველოსა წა, რათა ყოფლის
გზით ამისეზოს მას ვნება, ინახავს მამულსა შინა თვისისა წარმტაცთა ლეკის ერთა
და უშუებს მათ სადავკას, რელ მარადის ეგვეთებოდნენ საქართველოსა, რელიცა
ითმენს მისგამო უმწვერვალესსა დაქვევასა და აკლდების მრავალთა სახლეულობა
თაცა, რელიცა ლეკთა მათ ყოფელსა მომრბეველობასა თანამიჭყავთ ტყვედ, ვითა
რითაცა სახითა წარიყვანეს მათ თავადი ციციანოვი და მიატოვეს მას, რომლისა
თვისცა ითხოვს მისთვის ნათესავთაგან მისთა გამოსახსნელად მისა სამას თუმანს
და დღემდე ლეკისა ერნი იგი, მარადის შეტყვევნი მისნი, არ აძლევენ არცა მტო-
რესა მოსვენებასა. დღეს ვუწვიით ჩვენ ვითარიცა კავშირი არსებობს ორთა დიდთა
იმპერიითა ჩვენის მთარველის ყოფლის რუსეთის და ოსმალთა შორის, და ჩვენ-
თვის წარმოდგომილის რუსეთის იმპერიასა არ ძალუტს არცა მტრისა მიზეზისა
მიცემა დასარღვეველად ორისა იმპერიისა ამას შორის დატყულის თანხმობისა,
მასა ედ უმდაბლესად ვითხოვ, მაღალ-დიდებულ მინისტრისაგ, მიიღოთ განსადი-
დებულად ესე ვითარი მდგომარობა ქვეშემვრდომისა თქვენისა საქართველსა, — მის-
წერთ კონსტანტინოპოლში მეოფს აქაურს უფალს, რათამცა მან ხმარებულ ჭყოს

პოეტის თანადგომილება თვისი ფიტსელად მიწერისათვის ხალხის ფაშა
 სდმი, ვიდ მან ზემოხსენებულნი ლეკნი მამულსა შა თვისსა არა მიიღოს, და
 ამიერიდგან სრულიად არ იყოლიოს იგინი; სოლო ქართველნი იგი ლეკთა მიერ
 დღემდე ტყვედ წარყვანილნი იყვნენცა მოქცეულ ხვენდა; და უკეთეს ესე ფაშის მის
 მიერ არა იქმნების ქმნილ, შაშინ მისა და საქართველოსა შორის არა ოდეს იქა
 მნებისმ შვიდობა, და ესე ვითარსა ჟამსა მომავალსა დროსა შა არა გვრაცხდენ
 ხვენ მიზეზად, რომლისათვისცა მაქვს ვატივი მალაღდიდებულისა მინისტერისა
 მისთვის მოხსენებად.

პოლნომოხნი მინისტრი თავადი გაჩსევისა ჭავჭავაძე.
 იანვრის 8, წელსა ჩდუთ.

**150. Д. XXIV. 8 Января 1799 г. Письмо къ кн. Безбо-
 родно отъ кн. Г. Чавчавадзе.**

დღეს ხალხის ფაშა ვიდ იურის ჯარსა ლეკისასა და ინახავს მათ თვისთანა,
 რომლისა ძალითა საქართველოს, მამულსა ხვენსა, ჭმარებებს ქქონდეს დიდი განუ-
 სვენებლობაი, რომლის მიხედვასცა შინა უმდაბლესად ვსთხოვ თქვენს უგანათლუ-
 პულესობას ბრძანებისათვის შუამავალობისა, რათამცა აწ რუსეთის კარდამ ცარი-
 გრადს შა წარსაგზავნელმან დესპანმან, ძალისა მებრ აწმყოსა ოთამანის პორთის
 მშვიდობისა და მეგობრობისა დაზავებისათანა, წინადაუგოს მუნ ხალხისესე შე-
 უკრებულობა ლეკის ჯარისა და გაუფანცა მათი, რომლისცა აწ მოსხნადიკებულად და
 შესამჭიდროებულად სამეფო-მისა ხვენისა ჭყავთ შეუერილი. ესრეთვე ვიდ უმდაბლესად
 გთხოვ, უგანათლებულესო თავადო, არა ერთგვის მრავალთა ხემმიერ მოართ-
 მეულთა საქმეთა ზა წერილნი თქვენისა უგან—მი არ მისცეთ დავიწყებასა, ვინა-
 გან მე, არა მექონი მათთვის რეზოლუციისა, ვითები წინაშე მეფისა ხემისა დღემ-
 დე უზასუხებებსა შა.

უფროს ვიკადნიერებ მოხსენებასა მდგომარეობისათვის ხვენისა თქვენისა
 უგან—დმი, რომელ დღეს ადგილსა ზედა აღამაჭმადხანისასა არს მეორე, რომე-
 ლიცა ეცდება, ვიდ ხვენკერძოთ აღვიაროთ ხვენ იგი დიდებულს ხელმწიფედ, ამისა-
 თვის საჭირო არს, რათა გვამცნოთ ხვენ რაიმე—თუ ამის წა ვითარისა ვასუხისა
 მიცემად შემძლებელ ვიქმნეთ, რომლითაცა არა იწარმოოს პირისპირ თქვენსა
 საწყენი და ხვენთვის შემარევეელი სახე.

**151. Д. XXIII. 18 Января 1799 г. Записка отъ кн. Г. Чав-
 чавадзе въ Ин. Коллегію.**

რადგანც ინება მათმან იმპ. დიდ. და ვიდ უმრწყაღესმან მეფისა
 და ყოფლისა სამეფო-მისა მისისამან დირსუოთა მალაღდიდობისა განდიდებითა

თვისითა ედ ქვეშემვრდომებრთა თხროვითა მისთა, მაშინ მე, მქონებელსა მეოფისა მის ჩემისა წოდებისა და ჩემ წა მის მიერ დადებულისა საკუთარისა ბრძანებისა, მაქვს ჰიტოვი მოხსენებად შემდგომთა სათხოვართა მალღისა მინისტრისა:

ა. და, ედ მისი უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი, მიძღები სათანადოა დადგინებლობითა მალღმონარხიულისა მისის იმჰ. დიდებ. მიერ განდიდებისა თხროვითადმი მისთა ჰირველადვე მისაქტველად ეთა უწესობათა ვითარნიცა იშობებისა, ედ ქვეშემვრდომებრივ ითხოვს, რომ ამჟამად საქართველოსა შა მისის დიდებულების უმაღლესის ნებით რუსეთის გასაგზავნელს ჯარში არაფინ იყვნენ ქართველთაგანნი მიმსვლელნი მუნ ძალთათანა, ხოლო უფროს ჰოლგოვნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანიოვი, რომელიცა, უკეთუ აქაურთა ჯართა თანა იქმნების მუნ გაგზავნილ, შეუძლებელი არის, რომ ჩემის მეფის ხელმწიფის საეჭვო და საწყენი არ იყოს.

ბ. ვა სამეფო საქართველოდსა მოცულ არს ერთკერძოთ კავკასიის მთობითა და ჭარელთა ერთთა, ესრეთვე მეორე ადირბეჯანის მხარეს თვით არეზით, მაშინ ამისთვის ითხოვს ედ ქვეშემვრდომებრივ მეფე, ჩემი ხელმწიფე, დროზედ, უკეთუ საჭიროება და აუცილებლობა მოითხოვს თვით მხედრობით წარსვლასა მისსა, ანუ რომელისამე მხედრობითაფრისა თვისისა გაგზავნასა დამშვიდებისათვის სემოხსენებულთა, ოდესმე შემაწუხებელთა მისთა, მეზობლებთა წა, რომ მხედრობითაფრს რუსეთის მხედრობისსა საქართველოსა შა დღეს და ერთგვის ჰქონდეს აქედამ მიცემული უმაღლესი ბრძანება წარვიდეს მშვიდობით თვისთა ერთად საქართველოდსა მხედრობისათანა ოდესცა მას ებრძანების მეფისა კერძოთ თვისით აღმთქმელისა და ფიცით მარწმუნებელისაგან, რომ თუ არ გაჭირვებულის საქმით, რუსეთის მხედრობათა მათ არა იზმარებს არაოდეს, ხოლო ოდეს ჰსურს ჰევანდეს იგინი მხედრობათა თანა თვისთა შესაშინებლად მტერთა და განსაფენელად ხმისა, რომ რუსეთის მისის იმჰ. დიდებ. მხედრობას საქართველოსა შა მეოფს აქვს ბძანება ერთად ქართლის ჯართათანა იმოქმედონ პირისპირ მტერთა შინაგან საზღვრებისა ამის, რომ თვით ამ საქმით შეიპყრობს ელთა მეზობლებთა ერთა მათ მეფე, ხელმწიფე ჩემი, სფეროთა შორის თვისთა, და გარეგან საზღვართა ამათ არა იკადრებს, თვინიერ უმაღლესისა მისის დიდებულების ჯარის მოხსენებისა, დასმეროს ძლევაშორილი მხედრობა ელთისა რუსეთისა, რომლისათვისცა, თანამდებობისამებრ ჩემისა გამომაცხადებელი, უმდაბლესად ვითხოვ სემოცხადქმნილთა ნიშნებთათვის შდ არდა უმეტეს დამაშვროთ და მიხლოთ უმაღლესი მისის იმჰ. დიდებ. ბძანება.

152. Д. XXIII. 29 Января 1799 г. Письмо кн. Г. Чавчавадзе кн. Георгию Александровичу Багратиону.

ბრძანებითა მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, და უოველთა სამეფოსა შა მისსა

ქვეშემდგომთა მისთა თხოვითა, ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, რომ განუხლოთ მშობელსა ქვეყანასა თქვენსა წინაპართა თქვენთა სიუფარული და დასდვით საუკუნო ნობ ვალი ვითარცა მეფესა, ესრეთვე მუნებურთა მცხოვრებთა და ეკკლესიათა, მუნით წარმოდებულის წმიდის ნინას ჯვარის მუნვე წარგზავნითა, რომელიცა გაქვსთ დღეს თქვენ, და რომლისცა ძალი არს შემძლებელ, კეთილ სასოებისამებრ თქვენისა, მუნითცა გფარვიდეს თქვენ და საუფარელთა სახლეულებათა თქვენთა.

ხოლო მე კერძოთ ჩემით დირსწმუნებულ ვჭეოფ თქვენს ბრწყინვალებას, რომ აღადგენთ მათ შორის დიდსა თქვენდა მომართსა განდიდებასა და შეჭკრავთცა სამმადლობელისა ნაცვლისა საყოფელად, რომელთაგანი ერთი მეცა ვეგები დღემდე ცხოვრებისა ჩემისა.

ს. ჰეტერბურდით.

153. Д. XXIII. 15 Февраля 1799 г. Письмо кн. Чавчавадзе въ Ин. Коллегію.

მე, მიმღებელი ადრითვე მოლოდებულისა ჩემ მიერ სასიხარულოდსა ამის ნოტისა მათის იმჟ. დიდებ. მაღლისა მინისტრისაგან და მცნობელი მის ძლით მადლობანარხულისა მოწყალებისა მისისა სამეფოსა ზედა მეფისა ჩემისა ხელმწიფისასა, მოვიღებ თქვენ მაღლისა მინისტრისადმი ერთხულობითსა მადლობასა კეთილმზრუნველობით მოპოვნებისათვის ჩვენდა უსუნაესის მის კეთილნებობისა, და ვითხოვცა კვლად უმდაბლესად განახლებასა მისსა თავსაცა ზედა ჩემსა, რათა მიიხლოთ ვითარცა მამამან შვილსა და გამოითხოვოთ მათის იმჟ — ის დიდ. დიდის ხელმწიფისგან უმაღლესი ნება წარვლინებისათვის ჩემისა ხელმწიფისადმი სათანადოდსა სახითა ქაშილიითურთ ჩემით, ვითარცა მოწმად დასწრებისა მუნ მათდა ჩემისა, ვინადაცან დამიუფიეს აქა რაოდენიმე უამი და მიმიღიესცა მცირედი ცნობა შესახამად მიღებისათვის მის მოწყალებისა, რომელიცა შეუდგების უმაღლესითა მით მოხარხულისა კეთილნებობითა, ესრეთვე ესე ვითართა განმაცხოვრებელთა მაღლისა საფარველისა და სიუხვისა მიმღებლებთა ქეთათანა საჭართველოდსათა დღესასწაულებად და პირისპირ მოხსენებად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, ზოგად მათისა ამის სასიხარულოდსა მოწყალებისა და თქვენისცა ეგე ვითარისა მისდამი კეთილმიდრეკილებისა, რომელი ვითარცა ვჭეონებ მე, დაუგარგავად დროდსა სა უმაღლესითა ჯერჩინებითა თვისითა ცხადჭეოფს თქვენდაცა უზაკველსა მზგავსსა უმაღლესისა მოწყალებისა ამის მადლობასა; ხოლო მე კერძოთ თვისით დამაყუნებთ მაქადის მოვალედ განსადიდებელისა მის სახისა თქვენისა, რომლისადმიცა დღემდე უღრმესითა პატივისცემლობითა ვჭეებ.

154. Д. XXIII. 22 Марта 1799 г. Выдержки из письма царевича Давида Георгиевича, представленныя княземъ Г. Чавчавадзе въ Ин. Коллегію.

გადმოწერილი ჩღუთ წელსა, ოგებრფლის გ რიცხუსა, მათის უგანათლებულესობის საქართველოს შემკვიდრის მეფის ძის დავითის მოწერილის წერილით ბრძანებითა მშობლისა მისისა, მათისა უმაღლესობის მეფის გიორგისათა, სრულს შემძლებელ დესპანს თავადს ჭავჭავაძესთან.

ა. «არი თქვენი წერილი მივიღეთ, რომელშიაც იწერებით, რომ ედ უმო წყალესა ხელმწიფემ გვიწყალობა ჯარი და ღინაზედ დარჩომილი არტილეგია. უწყით თქვენ არაკი ქართული: ჯერაჲს, რათა იყოს საქმე თვისსა დროსა შა ხმარებულ, ხოლო სხვას ჟამს არცაღათუ მსახურებს უურადმდებლობასა; და არცა მოუხდების სამეფოსა ჩვენსა საქმე უჭანებული ყოვნებით.

ბ. დღეს, გ რიცხვს ამ თვისსა, მოვიდა ერევნიდამ მოსაქმე ჩვენი ჯადათა შვილი: ერევნის ხანი გეწერს წერილითა თვისითა, ედ დღევანდელი სზარსეთის სარდარი ბაბახან ითხოვს მისგან ოცდაათი ათასს თუმანს და თორმეტს ჩინე ბულთა სახლთაგან მხევალთ, — თვითცა სხენებული ბაბახან ახლანდელს გაზაფხულზედ განიზრახავს მოსვლას გოგჩად წოდებულს ტბაზედ, რცა არის მდებარე ქართლისა და ერევნის სამფლობელოსა შორის.

გ. გარდა ამისა წერილებით გამოგზავნილი ელჩი მათს უმაღლეს—ბას მეფესთან მოვიდა სამეფოსა შა ჩვენსა, მაგრამ დღემდე არ უნახავს მეფე, რლსა თვისცა არა ძალმიცს თვითოეულად მოწერა თქვენდა სხენებულთა წერილთა შს მშკრობილთა ძალთა.

დ. ყარაბაღის იბრემ-ხანმან მისწერა ბაბახანს სარდალს, ედ «მეფე საქართველომსა და სდ საქართველო ითხოვენ უმაღლესისა ყოფლისა რუსეთის ტახტისაგან საფარველსა შენგან განსარჩიებულად თავისა და სამეფოსა თვისისა», რომლითაცა მისცა მიზეზი საქართველოსა ზედა დასხლოვებისა დასამოწმებულად მისა; ჩვენცა, უმაღლესისა დიდისა ხელმწიფისა კეთილნებობისა მოლოდებსა შა მეოფნი, ვაკლდებით ყოველთა შესაძლებელთა ღონეთა.

ე. აუცილებელი მოსვლა სზარსეთის ხანისა ამის საქართველოსა შა გვანთულებს ჩვენ ვითხოვთ შენგან ვითარემე ამას შა სასარგებლოი რჩევა, — ვითარ ჭკონებ შენ, რაი თანაგვაცს ჩვენ ყოფად მიღებადმდე ჩვენგან მისივე ხვედრისა, ვითარნიცა მივიღენით ჩვენ დასხმისა ძლითა ღამაჭმად ხანისა? მეწმუნე მე, უკეთუ ძალი შემძლებელი ყოფლისა რუსეთის მხედრობისა წინაბრძოლად განზრახვისა მისისა მსწრაფლს დროსა არა განცხადების საქართველოსა შა, საეჭველია, რომ ჭარბი მისი არა დაგვირგვინდეს მისგამო მოლოდებულთა წარმართებითა.

ვ. მათმა უმაღლესობამ მეფემ, მშობელმან ხელმწიფემან ჩემმან, მიბრძანა

მე გაუწყო შენ ამისთვისცა: რაიცა შეუდგეს ცხადსაყოფელსა ამას— ისწრაფე ყოფლითა შემძლებელობითა მოხსენებად ჩვენდა თვინიერ ყოფლისა ბრკობობისა».

დასასრულებად, უკეთუ ესრეთნი წინამოსწრათებითნი დებულებანი დამტკიცებულ იქმნებიან, საჭირო არს, რათა ბერძენი ანასტასი და მოენე, რომელიც იყო სემთან უამსა მგზავრობისა ჩემისასა, წარმოგზავნილ იყვნენ ჩემთანა აქა, დიორდი ევსკს; უმაღლესობამან თქვენმან კეთილი ნებეიეროს, რათა მუხლთა მათსედა ღირსმეოს ჰასუსსა ვითარ მსწრათულ შეიძლებოდეს და ჩასაბაროთ დიტენქელვარტელს ეიხტელდს, რომელ ძალმედვას მე უმსწრათულესად მოხსენება იმისის იმპერატორებრივის დიდებულებისადმი. ხალა უმდაბლესად ვითხოვ, რათა ჰასუსისათანა თქვენისა და დამტკიცებისა, ანუ რომლისამე

რაც იმისის იმპერატორების დიდებულების ნება იქმნება—მეც თანხმავარ და ვაძლეე ამ ჩემის ქვეყნის საუნაჟეს, რომელიცა არის მადნები, ჩემდა დასაცველად, და თუ ჩემთვის მოწყალება ენება თავისის ხაზინიდანაც მიბოძებს, და ნება იმისის დიდებულებისა იუოს — რასაც განმიწესებს. თავადისა და ახნაურისა მამულში რაც მადნები გამოხნდეს—იმისიც კელმეწიფის ნება არის—რასაც უბოძებს.

ამას წინათაც ჩემი ყოველი საქმი იმისის დიდებულებისათვის მიმიერთს მეგია ჩემის მინისტრის ჭავჭავაძის კელით და ახლაც ეს არის თქვენის კელით მიგვიერთმეგია: იმისის დიდებულების ნება არის, როგორც ენებებოდეს, ისე ბძანოს. ჩემი მოხსენება გარდასწვეტილი ეს არის: იმისი დიდებულების ნება არის, როგორც არის იმასედა დაფიცებულნიცა ვართ და კელმეწერილნიცა, — როგორც იმისის დიდებულების ნება არის, რასაკურგელია, ყოველივე ისე უნდა აღსრულდეს.

უარისყოფასა წინამართლებითა
მუხლებთა ჩემგნით წინადადებულთ-
სედა, იყოს თარგმანითა რუსულად,
რომლისა სიმართლესა და წარმარ-
თულობასა სედა ძალმედვას მე სრუ-
ლიად იმედულოფად.

დესტვიტელნი გამეჩლერი დრაჟ აპოლონი მუსინჰუჰინი.

ეს დრაჟისაგან მოწერილიდამ გარდმოვსწერე. შვიდის მუხლის პასუხებიც
მათთან უმაღლესობამ მეუფემან გიორგიმ მე, მათს მონას თუმანიშვილს მდი-
ვანს ეგნატის, დამაწერინა წელსა ჩუ, დეკემბერს.

177. 28 Декабря 1800 г. Циркуляръ ген.-м. Лазарева къ жителямъ Кахетіи. Переводъ съ Русскаго.

ერთობით კახეთის სარდალთ, თავადთ, აზნაურთ და გლეხთ, ქიზიყელთ და
ერთობით სხვათ.

უშინაგანესისა მწუხარებითა ჩემითა მმართველს მე გამოცხადებად წინაშე
თქვენისა მათის უმაღლესობისა მეფისა თქვენისა მიცვალება, და ამასთანვე ვრაცხ
მე ვაღადა გამოცხადებასა მისის იმპერატორების დიდებულების უმაღლესის ნებო-
სასა: მანამდისინ იმისი ბძანება არ მოვიდეს, საქართველოს მეფობის მიმღები
არავინ იყოს, და მანამდისინ უფელანი უნდა დაშთებოდნენ პატრივისტემასა შინა
მეფის გვარისასა, რომელიც უნდა იმყოფებოდეს ამავე მდგომარეობასა შინა, და
ხალხნი მოჩილებასა შინა, და ყოველი ბძანებაები დაიბეჭდებიან ბატონის შვი-
ლის ირანეს ბეჭდით და მდივნის ეგნატის ბეჭდით, და ჩემის ბეჭდით.

დეკემბერს კჭ, წელსა ჩუ. ტფილისსა.

178. 3 Января 1801 г. Письмо ген.-м. Лазарева къ царевичу Давиду Георгіевичу. Переводъ съ Русскаго.

უგანათლებულესო მეფის ძევ,
მოწყალევ გელმწიფევ!

მე მესმის, რომ კახეთს სხვა და სხვა ხმანი მოქმედებენ მითომ ჩემი წიგნი
მისვლოდესთ მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დაფითის მეფედ დამგვიდ-
რებისა, ხოლო მე ვაღადა ვრაცხ უწყებად თქვენდა, რომ წიგნსა შინა ჩემსა იყო-
ესე სიტყვანი: «მათის იმპერატორების დიდებულებისა; ჩემის მოწყალის გელმ-
წიფის ნება არს — მანამ მისი ბძანება არ მოვიდეს, საქართველოს მეფედ არავინ
ადირჩიოს, და მანამდის ყოველნი დაშთნენ მეფეთ გვარის პატრივისტემასა შინა, და

ხალხნიც განგების მოწილებას შინა», — და ამ მისკნით ეგ ხმები იმ წიგნის დიად წინააღმდეგია, რომელიც შე თქვენს უგანათლებულესობას და კახეთის ხალხს მოგ-
წერეთ, და ამისთვის ვთხოვ თქვენს უგანათლ — ბას მაგისტრანს ხმები დაახუმოთ.

იანვრის 3, წელსა 1801.

179. 3 Января 1801 г. Циркуляръ Грузинскихъ дворянъ къ жителямъ Ахмета и Тіанети.

ქ. შათს ბრწყინვალებას ერთობით აღმეტანნი და თიანეთში შეყოფთ თა-
ვადთა და კეთილშობილთა, და მოხელეთა, და ერთობით ხალხსა!

თანამძნანი — ენის სრულიად ქარილისანი, — თავადნი, კეთილშობილნი და
სხვანი მრავალს სიუვარულით აღვსილს მოკითხვას მოგასხენებთ.

შემდგომად ესრეთ მოგხსენდესთ: ყველამ იცით დიღმა და მცირემა სანატ-
რელს შეფეს ერეკლეს მოლად საქართველოზედ როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს,
აგრეთვე თვითონ და თვითონ ოჯახზედ, და აგრეთვე თვითონ და თვითონ კაცზედ;
მრავალჯერ თავიდაუდგია ჩვენის გულისათვის, ვინც ვართ — მისგან აღზრდილნი და
კაცათ გამოყენებულნი ვართ, აგრევე რამდენი ტყვეობილნი არიან დახსნილნი. ესეც
კარგათ იცით: ამრიგათ ღვაწლდადებულმან შეფემ ჩვენის ქვეყნის აურევლობის
სათვის «ანდერძი» დაჭესწერა, — ამასევე ყველას კელი მოგვიწერია და ბეჭ-
დით დაგვიმტკიცებია. ესეც ხომ კარგათ მოგხსენებათ და გახსოვსთ —
თვითონ შეფემ გიორგიმ ამის დასამტკიცებელი წერილი თავის ძმებს
მოსცა, — დღეს კელში უჭირავსთ. გვგონია ესეც ყველამ იცოდეთ: ჩვენის
უბედურებით ახლა შეფე გიორგი რომ გარდაიცვალა, — ნეტავი ეს არ მოგვსუ-
ლოდა და იმის ჭირისსანაცვლოთ შევქმნილიყავით, მაგრამ რადგან მოხდა,
ღვთის ნება არის, — ესე გვმართებს, ჩვენ ამასევე ვდგევართ: რაც შეფეს ერეკ-
ლეს განუწესებია — სასიკვდილოთ თავი უნდა მივცეთ, ჩვენგან «ანდერძის» გარ-
დასვლა არ იქნება. ჩვენ ერთად შევიყარებით, ბატონისშვილს იულონს და ფარ-
ნაოზს (მეორე სხელი სხვა ხელით არის ჩართული) ვინახელით შეფის ერეკლეს
დადებულის «ანდერძით» და თითვან გიორგი შეფის მიცემულის წერილით, —
შეფობა ახლა ამისი (იულონისა) არის, კიდევ შევჭფიცეთ, შეფეთაც აღვიარეთ. ჩვენ-
ზედ ამის გარდა სხვისა არცავის შეფობა იქნება და ვერც შეფეს ერეკლეს «ანდერძს»
გარდავალოთ. მუჟალამა გაგვიკეთებია, კელმწიფისათვისაც მიგვირთმეგია, ისპენტო-
რისათვისაც და ქალაქში (თბილისში) მეოფის იარსნალისათვისაც; — არც ამასევე კელის-
ადება იქნება, ვერც ავიღებთ. თქვენ ხომ ჩვენი ძმანი ხართ, და არც ეთმანეთის მო-
შორება იქნება. შეფის ერეკლეს ღვაწლი და ამაგი მოგიგონეთ, თქვენც იმის «ან-
დერძის» გაუტეხლობას შეუდგეთ; კიდევ გირჩევთ თქვენ და კიდევ გვეუდრებით,
და უეჭველი იმედით ხომ ასე გვაქვს, თქვენში სხვა არცა არამ იმუშაოს რა, ჩვენთან

უნდა შემოგვერთდეთ, თქვენიდამ უფროს უფროსი კაცნი რომელნიც არიან აქ იახელით, მეფის ერეკლის დადებული «ანდეძი» აღასრულეთ. დღევანდლამდის სისხლი ერთათ და ერთმანერთისათვის დაგვიქცევია, ხლაც ისე უნდა ვქმნათ: მეფეს ერეკლეს ჩვენსედ ღვაწლი და ამაგი იმისი «ანდეძის» მტკიცედ აღსრულებითა და გარდაუსვლელობით უნდა გარდავისადოთ. ჩვენ თვითონ ამგვარი წიგნი ქალაქში შეოფთ და იმ მხრის ხალხთა და მთლად კახეთისათვის ყველგან მოგვიწერია; თქვენც ამ საქმის დამტკიცებისათვის მუჟალამა უნდა გააკეთოთ კელმწიფესთან მისართმევი, ისპეტორთანაც მისწეროთ და ქალაქში შეოფთ იარანახლაც ამ საქმის შედგომა გამოუცხადოთ; აგრევე ქალაქის ხალხს და იმ მხრის თავადთა, იოანე სარდალს და სხვათ თავადთა და აზნაურთ მოსწერეთ ამ ჩვენის წიგნის მოგავსი წიგნი—რომ ჩვენ ძმანი ვართ, მეფის ერეკლეს სისხლით შეერთებულნი, ყველანი ერთხმა უნდა ვიქმნეთ, ამასედ ჩვენი თავი სისიკვდილოთ გადავდოთ და მეფის ერეკლეს დადებული «ანდეძი» არავის გაფატეხინოთ, ჩვენის ქვეყნის დამშვიდება და აურევლობაც ამით იქნება, და საღმთოსა და კაცობრივის სჯულის აღსრულებაც.

ჩვენ ეს წიგნი მოგვიწერია: რომელმაც პირველად ნახოთ, თუ დამალოთ, და ვისთანაც მოგვიწერია ყველას არ გამოუცხადოთ,—შეჩვენებულ იყავით და ყდ წმიდის სამებისგან სულით და ხორციით დაწვევულნი. იანვრის 6, ქკს უპო.

Слѣдуютъ 13 печатей и подписей, изъ которыхъ разбираются слѣдующія: ამილახვარი ოთარ, გიორგი, ნიკოლოზ; ამილახვარი ლუარსაბ, რევაზ; ერთობრივ ფალავანდიანი, ბეცია მახაბელი, ამილახვარიშვილი იოვანე, ხერხეულიძე ჯამასპი, ფავლენიშვილი რევაზ, თეიმურაზ; ავალიშვილი იესე, სოლომონ; ავალიშვილი ავალი და პეტრე, შალიკოვი იოსებ, ავალიშვილი ანტონ, ამილახვარიშვილი ავთანდილ, ციციშვილი ელიზბარ, აბაშიძე შავლე (?), ნათლისშვილი ფარემ-ბაში გორჯასპ (?), თუმანოვი იოსებ, თუმანოვი წასა (?), თუმანოვი იესე, ფრიდონ; თარხნისშვილი დიმიტრი, ფავლენისშვილი არჩილ, თაქთაქიშვილი იასე (?), სულხან მდივნის ძე როსტომ ბეკთაბეკოვ, ხერხეულიძე წასა, ერასტი სარდალი.

180. 3 Января 1801 г. Такой же циркуляръ къ жителямъ Кахетин.

ქ. მათს ბრწყინვალეხას ერთობით მადნარდამ მოკიდებული ნაფარეულამდინ ვინცა ვინ თავადნი, ანუ კეთილშობილნი, და ერთობით ერნი, სამღუდელონი და საერონი, დიდნი და მცირენი!

თანძმანი-ერნი სრულიად ქართლისანი. . . და სხვ. Совершенно сходенъ съ предшествующимъ документомъ по содержанию, датѣ, почерку (შხედრული) и по бумагѣ (სწრვათი, in folio); также точно скрепленъ печатями и подписями лицъ, подписавшихъ предшествующій циркуляръ.

181. Апрель, 1801 г. Нота, врученная министерству Грузинскими послами.

1.

პერსიის მთავრობის მხრიდან პირველის მის პუნქტის, რომელიც მოცუ-
მულ იქმნა ჩვენგან ვიდრე სიკვდილამდე მისისა სიმაღლისა მეფისა საქართვე-
ლოსა, ხელმწიფისა ჩვენისა, სახელთავე მისითა მაღლისა მინისტრისადმი, რომე-
ლიცა პრძანებისამებრ მისისა *) იმპერატორობისა დიდებულებისაგან წარგზავნილ
იქმნა საქართველოსა შინა წერილებითა. ამისთვის გვაქვს ჩვენ პატივად ქვეშე-
ვრდომით მოხსენება ამისი, რომელ დიდშემძლებელნი საქართველოსანი, სამე-
ფელნი და საერანი ერნი, ყოველივე მოსწრათე არიან და სურსთ ყოფად ერთს
ამითა მოქმედებითა სამარადისოსა შინა მონებსა მაღალ განდიდებულისა იმპე-
რიისა რუსეთისასა, და შეკრულყოფენ თავსა თვისსა ამით, რომელ წმინდათ
აღასრულონ ყოველივე იგი, რაივესაცა აღასრულებენ მონანი მისნი, და არა უარ-
ჯყონ არა რომელიმე სჯული და ბრძანება რაოდენსა სამეფოსა მისგან იქმნების
შესაძლო, და მტრობელცა იყვნენ ყოვლისა რუსეთისა იმპერატორისა თვისად
შთამომავლობითად ხელმწიფედ და თვითმპერობელად; და ესრეთ ვინადგან
ზემო დანიშნულნი ნოტანი იგი და სხვანიცა პუნქტნი ყოველნი მისის იმპერა-
ტორობისა დიდებულებისაგან პირველვე მაღალ-მნებებულობით განხილულ იქმნა,
და სამეფო იგი საუკუნო უამობით მონად ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა
ტახტისად მიღებულ-იქმნა, ამისთვის ამის შედგომილებისამებრ ყოვლად უმონო
ბრძევისად ვითხოვთ მისის დიდებულებისა ყოვლადმოწყალისა ხელმწიფისა ჩვე-
ნისაგან, რათა დამტკიცებულ-ჯყოს მიღება სამეფოსა მის დღესასწაულობითითა
დამტკიცებითა ორითავე მხრით საიმპერატოროსა აკტსა შინა, რომელსაცა
შინა უამსა იქმნენ იგინი იმედოვნანად ამისა, რომელ ვითარცა თვით, ეგრეთვე შემდ-
გომნი ამისნი შემკვიდრენი იპერობენ მათ მარადის მამობრივის კეთილშედეგ-
ლობასა შინა, და საკუთრად იქმნებიანცა მღვწელ კეთილ-დღეობათათვის მათ
ერთა, რომელთაცა ნებით თვისით მისცეს თავი თვისი საუკუნოსა მონებსა, და
ესრეთვე მიენიჭოსთ მათ ყოველივე წესი, საჩუქებლობა და ჩინებულება ესე ვითარ-
ჩი, რომლითაცა ძველნი უმანი მისის იმპერატორებისა დიდებულებისანი საჩუქებ-
ლობენ, და დაცულ იქმნას, ვითარცა სამეფო, ეგრეთვე სამზღვარნი მისნი ყოველთა
მეზობელთა მათ მტერთ თავ-დასხმისაგან, და ვნებისა, და ყოველთა მათთა წინა-
აღმდგომობათაგან, და განუწყესებს ყოველსა მას მსახურებსა ესე გვარსა, რომელ-
საცა შემძლებელ იქმნენ ახლისამებრ მონებისა თვისისა ტვირთვად, დაცვად და
აღასრულებად.

*) Примѣчанія П. Н. Юселиани: აქა თვით გარსევან ქავჭავაძეს დაურთავს ლექსი: «სანაცრელოსა».

2.

ზუნგტსა ამას შინა კვალადცა აწ დამტკიცებულ ვჭყოფთ, და ყოფლითურთ განვრცელებით მივიღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსს სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის-ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ *), და იხსენიებოდეს მეფეთ საქართველოსად, და მიეტეს მას თანაშემწედ მარადის მუნ მეფეად ერთი რომელიმე დიდის რუსეთის დიდშემძლეუ ბელთაგანი, რათა მან მმართველობასა შინა მისსა განუმარტოს მას მისდაში მიტეუ მული იმპერატორებითნი ჭსჯულნი, ბრძანებანი და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანახმობისა მისისა მან, იმპერატორის მოადგილემან და მუნ მეფედ წოდებულმან, არა რომელითამე სსხითა თვით თავით თვისით არა კადნიერ იქმნეს განწესებად რომელისამე ჭსჯულისა, ბრძანებისა და რიგთა, და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდაში განწესებულისა მის თანაშემწისა; ამისთვის ჯერაძეს, რათა თვითოეულთა მათ ბრძანებათა, ანუთუ განწესებასა ზედა სჯულიერისა ძალისა მექონთასა, ჰირველად მოაწეროს ხელი დიდის რუსეთის დიდშემძლეულმან მან, რომელმანვე დააგდოს ზემოთ ადგილი ხელმოწერისათვის მეფისა მის. და ამას მოხსენებას ვიკადნიერებთ ყოფლად უმოხ ნებრივეთითა სსხითა ამისთვის, რომელ ჰირველსა ამას შეხდომილებასა შინა მიუცილებელად საჭირო არს, რათა ამით განმსიარულებულ და განმსობილ იქმნენ ერთი იგი ვიდრე ჰირველ განჩევამდე. და ამას მეფესა აქვნიდეს მხოლოდ სახელი მეფობისა, და სხვებ ყოველსა ჩვენ, ვითარცა საწმუნონი მონანი, მივანდობთ უდიდებულესობისა კეთილ-მნებებელობასა, და ვითხოვთ, რათა მოგვეტეოს, უკეთუ ჭეფავთ მეტნი და უადგილონი წინადადებანი ვითარცა ახლად იმპერატორისა სრულიად რუსეთისა ტახტისა ქვეშევრდომილებისა ჩვენისათვის კადნიერ ქმნილთა.

ესე კვალადვე განხილვებასა შინა საჭიროდ იჩვენების, რათა სხვანიცა მუნებურნი თავადნი და აზნაურნი მნებებელობითა ყოფლად-უდიდებულესისათა განწესებულ იქმნეს სხვადასხვათა სსსამართლათა შინა ადგილთა და მათ შორის იგინი იყვნენ ჰირველნი, და მეორენი შემდგომნი მათნი რუსეთის მოხელეთაგანი თანამდებობითითა ამით შეკრულებითა; და ყოველსავე მას რაოდენ გზის სათანადოდ იქმნების მათ სსსამართლათა ადგილთაგან მოხსენებად,—არა ჯერაძეს, რათა მხოლოდ ერთისა იმპერატორისა მოადგილესა მას და მეფესა მოხსენებდენ, არამედ ორთავე ზემოთქმულთა მათ გვამთა, რომელთადმიცა ჯერაძესვე, რათა ყოა

*) თანახმად ცრაქცაჯისა და წერილისადა მეფისა გიორგისა, დესპანთადში მიწერილისა: «რათა სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფობა» ე. ი. რათა არა გაუქმდეს მეფობა, ანუ მოადგილეობა ხელმოწიფე იმპერატორისა მეფეთა გვარშია. ესე უნებლა ამა წესითა, ვითარცა ძველადცა იწოდებოდა საქართველო «ვალისცანად სპარსთა ყაენებისა», და თვით მეფესა საქართველოსსა უწოდებდენ ყაენნი «ვალი გურჯისცანისა».

ველსავე მოახსენებდენ უმცირესნი ადგილნი უპირველესთა, და ყოველნი თანამდებ არიან მოხსენებად სრულიადმი შეკრულებისა.

ხოლო სიმცირისათვის ადგილთა საქართველოსა დავსდებთ ესრეთ, რომელ საკმაო იქმნების სუთნი სასამართლონი ადგილნი, რომელთაგანიცა პირველი იწოდებოდეს ესრეთ, ვითარცა კეთილმნებელ იქმნების, — სოვეტად, ანუ დეპარტამენტად სენატისა, სადაც ჯერ-აჩს, რათა იმყოფებოდეს ზემოხსენებული იგი მოადგილე, ანუ მეფე, და შემდგომად მიტეპული მისდა თანაშემწე დიდის რუსეთისა დიდ-შემძლებელთაგანი, და სამნი მუნებულთა თავადთა და აზნაურთაგანი. მუნვე სათანადო არს, რათა იმყოფებოდეს უპირველესი მეფე რუსეთის მუნ მეფეთაგანისა მხედრობისა, რომელიცა შეკრულ არს უფრორე მათთა კერძოთა ღვწისადმი, და სხვანიცა მოხელენი ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე დიდისა რუსეთისაგანნი წყაროთ მცოდნენი განწესებულ იქმნენ ეკოდენი, როდენიცა განხილვისაებრ საჭირო იქმნების.

მეორე ადგილი, რომელიც სათანადო არს, რათა იყოს ბრძანებასა ქვეშე პირველისა, ჯერ-აჩს, რათა იწოდებოდეს სამეფოსა მართველობად, რომლისაგანცა სხვანი იგი სავითა მათ პროვინციათა შინა მეფონი განიყოფებიან თვითოეულად, და მათ ყოველთავე ეწოდებოდეს უიეზდნი, ანუთუ ვითარცა კეთილმნებელ იყვნეს, ვინაიდაც სიმცირისათვის სამზერობელსა სამეფოსა მას საქართველოსა, ესენი ყოველითურთა საკმაო იქმნებიან, ამაღ რომელ, უკეთუ რომლისაღ მიცა მცხოვრებელსა გარეგან სატახტოსა მის ქალაქისა მოუნდეს დამჭირებობა მიუტეილებელად და წარმოვიდეს რომელთავე სახიფრითა სატახტოსა მას ქალაქს შინა თფილისსა, — ამისთვის არააჩს ადგილი ესე ვითარი, რომელიცა განშორებით მდებარე იყოს უფროს ოთხისა დღისა სავალისა.

3.

ქალაქს შინა თფილისს ჯერ-აჩს, რათა განწესდეს წესი პოლიციისა, და განიწესოს ერთი მუნებულთაგანი ობერ-პოლიცმანისტრად, და მას მიეტეს თანაშემწედ ერთი დიდის რუსეთისა ხარისხისა მქონებელი ვინმე, ამაღ რომელ მუნებულთა მათ ერთათვის დიდად საჭირო არს ესე, რათა მით ღარიბნი მუნ მოსახლენი შემძლებელ იყვნენ ქალაქსა მას შინა განსვენებით ცხოვრებად, და რათა გლეხთა მათ მანქუნდესთ სახმარნი ნიფთნი ქალაქთათვის თვინიერ ყოვლისა სხვათაგან შევიწროებისა, და რათავე იმოქმედონ თვითოეულმან თავისუფლებით ხელაფნება თვისი, და არა ესრეთ ვითარცა არს აზიის ჩვეულება, რომელ რომელიცა არს ძლიერ, მას აქვს სავაჭროსა მას შინა ყოველივე მძღვრება და მოსახლეთადმი ჭყოფს შეიწროებასა.

თვით მასვე ქალაქსა შინა თფილისსა სათანადო არს, რათა განწესდეს კვალადცა ერთი სასამართლო, და იწოდებოდეს სლოვესნად, სადაც ჯერ-აჩს, რათა

იუოს პირველად მსაჯულად ერთი ქართველთა აზნაურთაგანი და მეორე მუნე-
ბურთა ვაჭართაგანი, და მესამე აზნაურთაგანი ვინმე, რათა მათ ოდესაც შეხვდეთ
საქმე სიტყვით საჩივარი, მაშინ განაჩიონ, განსამართლონ და გარდასწყვიტონ
თვით მასვე დღესა, რომელსაცა შინა მოჩივარი მივაღს საჩივრითა თვისითა, და
უკეთუ არ ექმნების მათ ძალი, რათა განისამართლონ და სიყვარულითა შეაჩივონ,
მაშინ წარიგზავნონ ორივე იგი სამეფოსა მმართველობასა, ანუთუ პოლიციასა
შინა განხილვისამებრ საქმეთასა.

4.

მქონებელთა საქართველოსა შინა ვაჭრობისათა მქობელთა მათ ერთადმი
განწესოს სახელმწიფოსა შემოსავლათა სარგებლობისათვის ბაჟნი, რომელთაცა
შინა პირველ დელექტორად ჯერაჩს, რათა იუოს შთამომავლობით საქართველოსა
თავადთაგანი, და ორნი შემდგომნი მისნი იყვნენ ერთი მუნებურთა აზნაურთაგანი
და ერთი დიდის რუსეთისაგანი, და ესე საბაჟო იუოს თბილისსა შინა; და მათთა-
გან სამზღვართა ზედა მთის ერთა, სპარსთა და თურქთასა დაინიშნოდეს სამეფ-
ოვად თვითოეული ქართველთა მოხელეთაგანი, და თვითოეული რუსთაგანი, და თუ
რომელთა სამზღვართა ზედა ჯერაჩს დადგენა მათი, და აგრეთვე იმერეთის
მხრით. ვიდრემდისცა არ იქმნების უკანასკნელისა დესპანისა წარგზავნა პორტი-
სადმი და სახელობით განწესება ფორპოსტთა, მანდამდის ჩვენ აწ თქმად არა ძალ-
გვიძს მათ განწესებათათვის. და ესრეთ ოდესცა მივიწვევით ჩვენ მუნ, სათანადო-
აჩს, რათა ესრეთგზის დამტკიცებით იქმნეს საუკუნოდ თანხმობით განწესება ად-
გილთა მათ, სადაცა ჯერაჩს დაყენება, რათა არა ვლონ მუნ ვაჭართა საქონლითა
თვისითა, და სადაცა ჯერაჩს, რათა მუნ აქვნიდეს თავისუფლებითი სვლა, რომელ
ამით სახით მიეცნენ ერთგვის სამზღვართა ზედა ბაჟნი, და მიიღონ ბილეთი, და
მიიტანოს იგი თბილისსა, ანუთუ რომელსამე უიეზდის სასამართლოსა შინა, რომელ
მეორეთ აღარ გარდაიხადონ ბაჟნი იგი. ხოლო, უკეთუ რომელმე მოულო-
დნელად და უმეტრებით გამოატარებს რომელსამე საქონელსა მათ ადგილთა ზედა
და სამზღვართა ზედა, სადაცა დაყენებულ იქმნების სლვა ვაჭართა, მაშინ ვიდრემ-
დისცა დაეხეოდნენ, თუ რომელთა ადგილთა ჯერაჩს სვლა საქონლითა ამის
პირველისა შესდომისამებრ, — არა მიადგეს მათ არა რომელიმე დასჯა და გამო-
ერთვას ბაჟნი იგი თბილისსა შინა. ხოლო ვინაიდგან სამეფო საქართველოსი აწ
შეერთებულ იქმნა იმპერიისათანა ყოვლისა რუსეთისა და მუნებრივნი მცხოვრებნი
იქმნენ ემათა ყოვლად უადუსტესისა მონაჩისად, მაშინსადამე ამის შედგომისა-
მებრ უბრძანოს ვისდამიცა ჯერაჩს, რათა მომტანელთა საქონლისათა მოზღოკსა
შინა ქართველთა და სხვათაცა ვაჭართა საქართველოზე მოსულთა, და მუნ საქარ-
თველოსა შინა გარდახდელთა განწესებულისა ბაჟისათა, მეორედ მოზღოკსა შინა
არდა გამოერთვას, და ეგრეთვე მოზღოკით საქართველოსა შინა მისრულთა; ვი-

ნადგან თანამდებ არიან განსრულნი თბილისით, და ეგრეთვე მრავალნი ვაჭარნი მისის დიდებულებისა და აწ ჩვენის ყოფლად მოწყალის ხელმწიფისა მოხანი რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვანი, რომელნიცა გამოვლიან რა ყიზლარსა, მოსადოკსა და სხვათაცა ადგილთა, და მოიწვიან რა ორთა შორის, მაშინ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემელთა საქონელთა ზედა, არამედ ესეცა ფრიად ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომწყურნობითა ნივთ-მოყვარებისათა მოაკლებენ მათ ყოველსავე ნაქონებსა თვისსა; და ამისთვის ვრაცხთ თანამდებად ჩვენდა მოხსენებას ამას, რომელ პირველსა ამასწინა მოსვლასა რომელსამე დიდ-შემძლებელობისასა, რომელიცა რაოდენსამე უამსა დანიშნვის სამყოფად საქართველოსა შინა მუნებურთა განწესებულებათათვის, მისდამი სახმარარს, რათა მუნ განვლასა შინა ჭქმნას მათდამი, ესე იგი თვისთადმი, მტკიცე განწესებულება ამა საქმეთათვის, და შემდგომად ამის მტირესა შინა უამსა შესაძლო არს, რათა იგი მტირედ სარაცხნი ერნი, ძველთაგან დამონებულნი საქართველოთა მეფეთაგან, ფრიად სუბუქად მოყვანილ იქმნენ გვალადცა თანამდებობითთა მოძრისა და მონებასა შინა; და რათავე საშვალ მოსადოკისა და საქართველოსა, სადაცა არს საჭირო, განწესდეს რაოდენიმე ფორპოსტნი და დაიყენოს სამეფოანი კამანდნი.

არა მტირედრე ვრაცხთ თანამდებობადვე ჩვენდა ყოფლად ქვეშევრდომობითისა ამის მოხსენებისა: რომელ თვითოეულნი მეფის-ძეთაგანნი, თავადნი, ახანაურნი და სამღვდელონი ართმევენ გამოსაღებთა განმვლელთა მათ, რომელნიცა ვაჭარნი გაივლიან სამოვლბელთათა მათ ზედა, ანუ ადგილის ფასთა მსგავსად ბაჟთა, და ესე სათანადო არს, რათა იქმნეს დაყენებული, ამაღ რომელ ვაჭარი გარდასხდელი ერთგვის ბაჟისა საქართველოსა შინა, შემდგომად სადაცა განვრცელბულ არს სამზურბელო ჩვენის ყოფლად უაღუსტესისა ხელმწიფისა სათანადო არს, რათა მუნ იყვნენ თავისუფლად მეორედ გამოსაღებთაგან ბაჟთასა. გვალად მათ სრულ-ჭყოფისათვის კადნიერ ვიქმნებით შეერთებად მოხსენებისა ამის, რომელ საზოგადოდ მობირებისათვის ვითარცა ქართველთა, ეგრეთვე მესობელთა მათთა ვაჭართაცა, განვრცელბებისადმი ბაჟთასა და განმხნობისათვის მათისა—არა კეთილნებულ იქმნებისა განწესება ამისა, რათა, დებულებათაებრ ათამანის პორტისათა, აღიღებოდეს სამი ასსა ზედა დაფასებისაებრ საქონლისა. და უკეთუ რომელიმე ვაჭართაგანი დაფარვისა სახითა იქმნების მომტანელ რომლისამე ნივთისა საქართველოსა შინა, რომლისამე ნივთისა დამფარველთა, მაშინ გადახდესთ ესრეთ, რომელ გამოერთვას მას ორი წილი ნაცვლად ერთისა, რათა ამით სუბუქითა დასჯითა უმეტეს ადრე მოიქცეს ერი, ახლად შემოსრული მადლისა მის იმპერატორბითისა დიდებულებისა მონებასა შინა; და თვით ესევე ჭყოს ამას შინა, რომელ მოიქცნენ მამულსავე შინა მოსახლეთადმი, და შესაძლო იქმნებისცა, რათა გამგონებლობითა თვისითა განავრცონ ვაჭრობა თვისი ბასრას, ბადდადს და უშორეს ინდიასა შინა.

5.

აწ ჩვენ სუსტიან ჩვენიან განსწავლეთა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმოა-
ნებრივესად წინწარმოადგინებად ამისა, რომელ ადგილნი, ანუ სამზერობილქნი
საკუთარნი მეფის ძეთა, თავადთა და აწნაურთანი ყოველივე იგი შემდგომადცა
მათდაში იქმნენ დაშთომილ ვითარცა ჭსჯულიერნი მათი საკუთარი. ხოლო უკეთუ
რომელსამე მათგანსა ძალითა, ანუთუ სხვათა რომელთამე უჯეროთა სხნით, ად-
გილნი მიმძღვრებისაებრ [ეჭიროს], მაშინ იგი სამართლით სათანადო არს, რათა
განჩიულ იქმნეს და მიეცეს იგინი პატრონთა თვისთა, რომელთადმიცა ეშესაბა-
შების სწორედრე მიცემა. და ესრედ მრავალნი ადგილნი, მდებარენი სამზღვართა
ზედა შთის ერთასა, სპარსეთისა, თურქთა და სხვათასა, რომელიცა არიან მზეროა
ბელობასა ქვეშე მეფის ძეთა, თავადთა და აწნაურთა, და სამღვდელთა ერთასა,
გვერდების ჩვენ, დაცვისათვის სახელმწიფოსათა უშიშრობასა შინა, უმჯობესად,
რათა ესე ვითარნი ადგილნი მათგან გამოერთმეულ იქმნენ და ნაცვლად მათსა მიე-
ცესთ მათ სხვა შინაგან საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და იგი ადგილნი და-
შთეს სახელმწიფოდ სადაცა კეთილ განსილულებით იქმნეს აღშენებულ სიმაგრენი
გაბრთნილებისათვის მეზობელთასა, და ამითიცა განეკებინ მრავალნი ტყუილსა
ცილისწამებსა და შესმენასა ვითამცაღა მათ აქვნიდესთ დაფარული შეერთებუ-
ლება ორგულთათანა. ხოლო რომელნიმე თქმულთა მათ ადგილთა მქონებულთა
განი შესაძლო არს, რათა დაშთეს მასვე ადგილსა თვისსა ჩინებულისა მოქმედ-
ებისა მათისა, და შესაბამად დაფიცებისათვის, და დამორჩილებისათვის თვისისა
ჭსჯულიერისა ხელმწიფისადმი, და განეწესოსცა წელიწადობით ჯამაგირი, რათა
ამით მყოფნი მუნ, ვითარცა მცოდნენი ძალისა და მდგომარეობისა თვისთა მე-
ზობელთასა, შემძლებელ იყვნენ, რათა აჩვენონ სარკებლობა.

6.

ქვრივთა დედოფალთა, ეგრეთვე ქვრივთაცა მეფის რძალთაცა და მეფის
ასულთა, რომელნიცა არ არიან გათხოვილ და წელთა თვისთა შემგზავსებით არა
ძალუძსთ განქორწინებად, ყოვლად მოწყალებით ებოძოსთ შესაბამი გვარისა
თვისისა უფლება რუსეთს, ანუ ქვეყანასა შინა თვისსა, და მათნი საკუთარნი ად-
გილნი, ჩვეულებისად აქაურთა წესთასა, სოფელნი და სხვანიცა შემოსავალნი მი-
ღებულ იქმნეს სასარკებლოდ უდიდებულესისა კარისადმი; ხოლო მამაკაცთა მათ
მეფისძეთა, ძმისწულთა და ძმისძეთა მეფისა სახლისათა, ყოველთა მათ, რომელ-
თაცა სურთ რა, თვისის სიმრთელის ძალით, ანუ მოხუცებულებისა გამო, დაშთე-
ბიან ქვეყანასა შინა თვისსა, ისარკებლონ საკუთართთა თვისითა ადგილითა.
ხოლო იგინი, რომელნიცა თვინიერ იჭვისა მიიღებენ სურვილსა და მოიწვიან, და
და შეუფრდებიან ფერსთა ესე ვითარისა თვისისა ყოვლადმოწყალისა ხელმწიფო-
სათა, მიღებულ იყვნენ მსახურებასა შინა, და ნაცვლად მუნებურთა მათ ნაქონებთა

თვისთა მიენიჭოსთ რაივეცა კეთილ-ნებებულ იქმნეს, და თქმულნი აღიწაცხოს სსხემწიფოდ.

7.

სამღვდელოთათვის: ვითარცა არს უზირველესი აწ საქართველოს შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მიევისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვს ძველისა იქაურთა განწყობისაებრ ტიტულად კათალიკოსობა, კურთხებულ არს ხელმწიფობასა შინა ნეტარსენებულისა იმპერატრიცასა ჰატივისა შინა არსი ეპისკოპოსისა ცარსკისელოს, და მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნეა ბურთა სამღვდელოთა წესთასა, — ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანამდებობასა, და სახელსა შინა; თანასწორადვე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მეოფნი მიტროპოლიტნი, არსი ეპისკოპოსნი და იღუმენნი, პროტოპოპნი, მღვდელნი და დიაკონნი, და სხვანიცა ეკკლესიისა მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისაებრ თვისისა და ადგილთა მათთა სხელდობით. თუ ვითარნი და რადენი არიან იგინი, მიუცდილებლად მუნ მიწვევისა ხვევისაებრ — ყოვლად მონებრივითა სსხითა ჭყყოფთ მოხსენებასა.

და ვინაიდგან განსვენებული იგი უგანათლებულესი მეფე და სამეფო მისი ითხოვდენ, რათა მიეღოთ სსემოქალაქონი და პოლიტიკებრნი ჭსჯულნი, ამისთვის ხვეიცა მივიღებთ კადნიერებასა, და ამისთვისვე ვითხოვთ დიდისა ხვეინის ხელმწიფისაგან, რათა მიეტყოს ბრძანება უდიდებულესსა უწმინდესსა სინოდსა, რომელ წარმოგზავნოს ხვეინასა, ანუ შემდგომად ხვენსა ერთი სამღვდელო ვინმე რუსეთისა საიმპერატორობისგან მცირეს ჟამობით არსი მანდრიტი, ანუ იღუმენი, კაცი მდაბალი და მუედრო, რათა ახვენოს მათ განწყობებულებანი აქაურნი საკუთარნი დღესასწაულაბათათვის საუქმითა და სხვათაცა სსხელმწიფოთა დღესასწაულაბითთა დღეთა.

ხოლო მიტროპოლიტნი, არსი ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, არა მქონებულნი ეპარხიისანი, უკეთუ გამონდეს ადგილი მათთვის, არამედ დაშთომილად და უქმად, მასშინ მოხსენებისაებრ მუნებულთა მათ სამღვდელოთა და ხვენგან, — კეთილნებებულ იქმნების, რათა იგი დაიდგინოს მუნ, ეგრეთვე არსი მანდრიტი და იღუმენი, ოდესაცა მათგან თხოვილ იქმნების; ეგრეთვე მიტროპოლიტთა, არსი ეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა, რომელნიც ეგებიან უადგილოდ, ყოვლად მოწყალეობით ებოძოსთ მცირედი ულუფა სსრდო განსადიდებლად ყოვლად უავღუსტესისა სახელისა. და ვითხოვთ, რომელ ყოველნივე იგი სამღვდელოთა წესნი იუვენენ შეწყენარებულ, ჰატივტემულ დირსებისაებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მქონთა რუსეთისათა, ვინათგან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა.

8.

და მათთანავე წინასწარმოვადგენი ძველთა ჩვეულებათა საქართველოსათა, რა-

მელიცა მუნ ჭგიეს თვით დაწყებთგან მათით: ესე რომელ უფროსდა თვითოეულთა მეფის ძეთა და თავადთა, ყოვლადსამღვდელოთა საქართველოსათა ჭყავს აზნაურნი საკუთრად, რომელთაგანთაც მათ აქვსთ მიწა მიცემული, რომელსაცა ზედა არიან გლეხნი დასახლებულნი და მუნ ჭცხოფრებენ იგინი, და არა რომელსამე შეიწროებასა მიმღებლობენ მათთა ვადათაგან; სოლო ჟამისა ბრძოლისასა წინააღდგომად მტერთა ყოველივე სრულებით თვითოეულად მასთან წარწევენ ბრძოლასა შინა, და ესრეთვე ჟამისა ნადირობისასა, და იუ ჟამისა მასპინძლობისასა მათთანავე იმყოფებთან სრულებით, და სახლთა შინა მათთა, ვითარცა აზნაურნი, ერთბაშად მათთანა ერთსა ზედა ტრანპეზისა განსცხრებიან, და ოდეს რომელიმე მათგანი არა ინებებს უმეტეს ყოფად უფალთა მათთანა, მაშინ ვითარცა აზნაური დაუტყვევებს მიწასა მათსა და სოფელსა, და წარწავს თვისით სახლეულობით სხვისადმი, რომელიცა თვინიერ ყოვლისა ნაკლულებანებისა თვისადმი მიიღებს და მისცემს მასვე უპირა ტესობასა, ვითარცადა აქვნდა პირველ მისა ჟამადმდე, — და ამისთვის ყოვლად უმონებრივესად წინწარმოდგომილ ვჭყოფთ მათ აზნაურთა, რომელიცა ყოვლისავე შინა საზოგადოდ გამოსადეგნი არიან და უფროსად სამხედროსა შინა სამსახურსა, რომელსაცა შინა არიან დაწვეულ, და ესე არა კეთილ ნებებულ იქმნებისა, რათა ყოველივე იგი ჩამოერთვათ ყოველთა მათ მებატონეთა და აღიარცხენ იგინი საერთოთა აზნაურთა წესთა შინა, ნაცვლად ჩამოერთმეულთა მათ მიეტესთ თანასწორივე სამკვიდრებელი, იგინი ხმარებულ იქმნენ ღვწასა შინა უდიდებულესისა მსახურებისასა.

9.

სოლო რაივეცა შეეხების თქმად მაღანთათვის, საქართველოსა შინა ყოფთა რომელიცა არს, რომელ წინა-წარუდგენთ ნებასა ქვეშე მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რათა გამოცხადებით მუშაკობისათვის მათისა ებრძანათ წარმოსვლა განსწავლულთა კაცთა; და მუშასი გამოცდილნი იპოებიან სამეფოსა მას შინა საკმაო რიცხვნი, რომელიცა შესაძლო არს, რათა მოიხმარებოდენ სამუდამოდ თეთრის მიცემითა.

10.

ვითარცა მეოთხესა ზუნეტსა შინა მართმეულსა ჩვენგან სახელსა ზედა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა სამეფოსა უმაღლესის მისის იმპერატორობის მინისტრისადმი ნოტი იყო — ესე, რომელ ვითხოვეთ ჩვენ სამეფოდ საქართველოსა შინა ექვსი ათასი კაცი მაღალდიდებულის რუსეთის იმპერატორის მხედრობა, ესრეთვე აწცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლადუმონებრივესად მოხსენებად, რომელ აწინდელისა ამის მდგომარეობისამებრ პირველსა ამას შეხდომილებასა შინა რიცხვი მხედრობისა საჭირო არს*) ვითარცა საზოგადოსა განსვენებისა:

*) იგივე, იუ უმეტესი, მიუწერია თვით გარსევან ჭავჭავაძეს.

თვის, ეგრეთვე დამყუდროებისათვის აღშფოთებულებათა ჩვენთა მეზობელთასა. ხოლო შემდგომად ოდესცა განწყობულ იქმნების მუნ შესაბამი მყუდროება, და ყოველივე მოიყვანების შესაბამობასა შინა, მაშინ თუ რაოდენიცა რიცხვი მხედრობათა ჯერაძს, ამას მივანდობთ სრულებით განსილულობასა მისის იმპერატორების დიდებულებისასა, რომელიცა შესაძლო იქმნებისცა, რათა სახელდებით საიმპერატოროსა აქტსა შინა დანიშნოს, და უკეთუ კეთილსებებულ იქმნების, რათა ზემოხსენებულისა ამის მდგომარეობისათვის აწ მოეფსა მას საქართველოსა შინა მხედრობასა მოემატოს, მაშინ ყოვლად ქვემდგომობით ვითხოვთ, რათა, უკუნქცევისათვის სიძვირეთასა მოსყიდვასა შინა პრავიანტისასა, ებრძანოს მუნ მოეფსა რუსეთისა მხედრობითა ვაჩსა განმსადაება მათი კეთილსამიერად მუნ მოეფსა ბასრის ფასისაებრ.

11.

რაოდენიცა შეეხების დაწყებასა განსწავლულისა მხედრობისასა საქართველოს ერთასა, რომელნიცა შეკრებად შესაძლო არს, ესე არს, რომელ ჩვენ მოხსენებად არა რა ძალგვიძს, და ოდესცა წარვიგზავნების უდიდებულისისა მისის იმპერატორების უმაღლესის კარისაგან რომელიმე გვამი საქართველოსა შინა, და იგი ჰყოფს მუნებურისა ერისა სამხედროსა აღწერასა, მაშინ დროსა მას წოდებული მეფედ ითხოვს რაოდენიცა სახმარ არს მოხმარებასა შინა მსახურებისასა ერთბამად რუსეთისა ძლევა შემოსილისა მხედრობისათა, და სადაცა იგინი თანამდებ იქმნებიან წარსვლად და მსახურებად მისის იმპერატორების დიდებულებისა, თვისისა ყოვლადმოწყვალისა, და შთამამავლობით ხელმწიფისადმი უმწვერვალესითა ძალითა მსახურებისა თვისისათა; ეგრეთვე განწყობულისა ჯარისაგა შესაძლო არს ოდესმე აღმსუბუქებისათვის რუსეთის საიმპერატოროსა მხედრობისა მოხმარება მარტოდ; განსილულ იქმნების საკმაოდ აღსრულებისათვის საქმისა, და ეგრეთვე სამსდვართა ზედა მოსახლეთა არა ძვირად შეხვდების თავდასხმა და რჩება მტერთაგან სხვა და სხვათა, და ამის დაყენებისათვის არა კეთილსებებულ იქმნებისა, რათა მუნ უფროსად მოეფად დანიშნულსა ებრძანოს, რომელ ყოველთა მათ, რომელთაცა ძალუძს მსახურება საჭურველითა, აძულდოს მათ, რათა იქონიონ იგინი, და ამით საკუთრად თვისთა თავისა დაცვათა იყვნენ შემძლებელ მარადის მოსაყოფად.

აწ ჩვენ ჩვენითა სუსტითა განზრახვითა კადნიერ ვიქმნებით ყოვლად უმოსებრივესად წინწარდგინებად ამისა, რომელ მოეფნი გლეხნი სხვა და სხვა სამოლობელოსა, ტყვედ წარყვანილნი, ასუ განსენებულნი სხვა და სხვა მიზეზით სპარსეთს, ასუ თუ თურქს, თვისსავე მამულსა მოქცეულ—არა სათნო იქმნებისა, რათა საკუთრითა მადლის მონარჩობითისა მოწყვალებისათა ებრძანოსთ სახალსოდ გამოცხადება ამისი საქართველოსა, რომელ ყოველნი, რომელნიცა მოიქცევიან პირველსავე თვისსა სამგვიდრებულსა, აქამდე განმორებულნი, იგინი დაითენ თავისუფლად და აღიწიონ წადილისებრ თვისისა საცხოვრებელი ადგილი, რომლისადა მიცა ესებოს აღრიცხვა თავისა თვისისა სახელსა ზედა სახელმწიფოსა, ასუ სხვისა

უფლებების ქვეშე, და რომელიცა მსგავსიერთა სურვილითა თვისითა, სადაცა იქმნების აღწერილი საცხოვრებელად იგინი, მუნ სამარადისოდ დაშთებინ; თვინიერ უცხოს ქვეყნის კაცთა, რომელთადმიცა თავისუფლად შეყოფაბა ესე არა შეესებათ, რომელნიცა დაშთებინ პირველთამებრ თავისუფლად, მას უამადის ყოველივე აღიწერებოდნენ, და ესე არა მიეხედებისთ ესე ვითარისა მოწყალეებისათა, რომელ არცა ერთი მათგანი არ დაშთებინ, და ყოველივე კვალადცა მოსურნე იქმნებინ, რათა მოიწიფეს სამკვიდრებელსა შინა თვისსა, და მისგან ექმნების სამეფოსა მას არა მცირე სარგებლობა.

ესრედვე ყოვლად ქვეშევრდომობითა წინადადებულ ვეფოთ გლეხთათვის საქართველთათა, რომელნიცა იმყოფებიან სამეფობელთსა შინა თვისსა მეხატონეთასა, რომელთადმიცა გლეხნი იგი ძველადვე მუნებურითა სჯულითა ვერ განპირადებიან ესრეთ, რათა იგინი აიყარნენ მისგან და მივიდნენ მეორისადმი. და ეგრეთვე მეხატონენი იგი ვერ მიიღებენ მათ, და ვჭკონებთ ესე იქმნების შემსგავსებული წესთადმი მალაღდიდებულისა ყოვლისა რუსეთისა სამშვიკატორთათა, რათა ვითარცა აწ სამეფო საქართველთსა შეერთებულ იქმნება ამის იმპერატორთასა, და ამისთვისცა კადნიერ ვიქმნებით ყოვლადუმდაბლესად თხოვნად ამისა, რომელ მიეტოვებოდნენ უდიდებულესობისა ვითარცა წაღადემდე, ეგრეთვე შემდგომადცა იგი გლეხნი და ვაჭარნი, რომელნიცა იხვეწებიან მიწერილად რომლისადმი მეხატონისად, ან თუ ქალაქისად, მუნვე სამეფოსა შინა დაჩხეს, და დააყენოს, რათა მუნიდგან არა წარსულ იქმნას თვისისა სურვილისამებრ სხვისადმი, და რათა არცა გადმოსასლებულად შემძლებელ იყვნენ რუსეთსა შინა; ესრეთვე მსგავსად ამისა დაყენებულ იქმნეს, რათა გლეხნი რუსეთისანიცა არა ვიდოდნენ, და ესე დაეშალათ მათ აღთქმითა საშინელისა და თვისისა დაჭრისათა.

ესრეთვე ვიდრე ამ დრომდე იყო საქართველთსა შინა ჩვეულება, რომელ მუნებურნი მეხატონენი გლეხთათვის ჭყიდდნენ ვინ, როგორ, რადენსაცა ისე ბებდა, და ამისთვის არაკეთილ-ნებებულ იქმნებისა, რომ ესე ვითარი მსუიდეველობა აწ დაყენებულ იქმნეს, და ებრძანათ, რათა განვიდონ არა სხვა გვარ, არამედ ერთბამად სახლეულობით, და უძრავით მამულით თვისითა, უკეთუ აქვსთ მათ; და ეგრეთვე არა მიჭყიდოს, თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მეხატონეთა, და ეგრეთვე ტყვენი, რომელთაცა თურქთა, სპარსთა და სხვათაგან ერთსა საჭურველითა სახელმწიფოსათა ბრძოლასა შინა გამოხსნილ იქმნებიან, მათდაში მოიქცნენ ესრეთ, ვითარცა ეს გვარსა შემთხვევასა შინა იტყვიან რუსეთისა ტყვეთადმი; და რომელნიცა ესე გვართაგან გამოხსნილ იქმნების ვისგანმე და პირველი იგი მეხატონეს მისი ინებებს მისა თვისადმი კვალად მიღებასა, მაშინ იგი თანამდებ იქმნების, რათა უკუნზდოს დასაჩუქი იგი თეთრი გამოხსნასა ზედა, და ამის წინააღმდეგომსა შემთხვევასა შინა სათანადო არს, რათა დაშთეს უფლებასა ქვეშე მისსა, რომელმანცა გამოიხსნა, და ექმნეს ნება მისუიდევად ამისა სხვათადმი შინაგან სამეფოსა შინა, და არა მცნობელთა უცხო ქვეყნისა კაცთადმი.

13 (12?).

გითარცა მეფის ქეთა და ძის-ძეთა მეფის ფაშილიისათა, რომელნიცა მდგომარეობასა შინა თვისსა ჰირველისა მეზრ დაშობიან, ეგრეთვე თავაფადნი და აზნაურნი, ექმნესთ სარგებლობა ყოვლითა ამით ჰატვიითა და ჩინებულობითა, რომელთაცა სარგებლობენ აზნაურნი რუსეთისა იმპერიისანი, და მიიღონ ეკეთივე სახელსა ზედა თვისსა დრამატა და ღირსებისათვის დიპლომი, და იმპერატორისა მსახურებასა შინა მიღებულსა ჩინისათვის ჰატენტი; ეგრეთვე სამღვდელთა წესთა მექონთა ეპარხიისა და მონასტერთა აქვნიდეს იგივე ჰატვი, გითარცადა სარგებლობენ რუსეთისა სამღვდელნი ერნი.

14.

ვაჭართა, მეღუქნეთა და ხელისანთა ერთა აქვნიდეს იგივე სარგებლობა კომერცისა შინა, ესე იგი სრულსა ვაჭრობასა შინა, და შემატება მოძრავითა და უძრავითა საქონლითა თვისითა თვით, რაიცადა აქვსთ სარგებლობა მისი სხვათა ამით იმპერიითა შინა მეფითა; ხალხი ძველთაგან მოყვანილნი შეიწროებისაგან მტერთა მათ მეზობელთასა სიღარიბესა შინა, რომელთაცა არა მტირედი მიუღიეს შეიწრება მათგან მათ ჰირველსა შესდომილებასა შორის, ამსუბუქოს რომელსავე განწყობულებასა ჰირის-ჰირი ზემოხსენებულისა მის რუსეთის მეშვედრეთა.

15.

ყოველივე სახელმწიფონი სათხოვარნი აწინდელნი, ანთუ შემდგომნი, და ეგრეთვე სხვათა მეზატონეთა გლეხთა გაპოსალები სხვა და სხვანი სახელმწიფოდ, თვინიერ რომელისავე საჭიროსა სახმარისა მხედრობათასა, წარუდგენთ დიდსა მონარხობასა განსილულობასა და ყოვლადმოწყალებისა მნებებელობისა ჩვენისა ხელმწიფის იმპერატორებისსა, რათა მიეტესთ თავისუფლება, რადენცა დროსა კეთილნებებულ იქმნების, და ესრეთვე ებრძანოსთ მეზატონეთა. უნებისაებრ ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა ჰსჯულთა ზედა განიწყების რიცხვი მათ მხედრობათა, რომელთაგანიცა შესაძლო არს, რათა განსწავლულთა აფიცართაგან და რიადოვი-საგანთა ისწავლონ სამხედრო ეგზერციცა, და დისციპლინი; გარნა ჩვენ კადნიერ ვიქმნებით თხოვნად მისის იმპერატორების დიდებულებისაგან სახელსა ზედა ყოვლისა საქართველოსა ერთსა, რომელთაცა თვისისა ნებით შთავრდომილ ჰქვეს თავი თვისი მონებასა მას, რათა ყოვლადმოწყალებით თავისუფლად ეგნენ იგინი, მსუბუქ გონებობისაებრ მათისა, რეკრუტისა მოკრებისაგან, და ეგრეთვე არა იხმარებოდენ იგინი მსახურებასა შინა ამას-მხარესა აქეთ კავკასიისა მთისსა, ესე იგი შვეციასა, პრუსიასა სამსლვართა ზედა, სადაცა დაუჩვეველის ერის (ჰაერის?) ძლით თვინიერ დიდისა შრომისა იგინი მსახურებისა განგრძობად არა შემძლებელ არიან, და იხმარ-

რებოდეს იგი მხედრობანი შეერთებით მათთანა, რომელნიცა იყოფებოდეს სა-
ქართველთა შინა რუსეთის ჰოლგათა თანა უდიდებულესისა მსახურებსა შინა მსა-
რესა მას წინააღმდეგოდ ყოველთა მეზობელთა მათ მტერთა თათართა, სპარსთა
და შიის ერთა, და ეგრეთვე გამოხრდათათვის შინაგან სამეფოსა პიკეტთა და ყა-
რაულთა; და ეგრეთვე ყოვლად უმონებრივესად კადნიერ ვიქმნებია თხოვად ამისა,
რომელ შემოსრულნი ამას ახლად მოკრებულსა მხედრობასა შინა თაყადათა და აზ-
ნაურთა ძენი ყოვლად მოწყალებით მიღებულ იქმნენ ობერ და უნტერ ოფიცრობ-
ის ჩინით, და უკეთუ რომელიმე მეფის ფაშისაგანი მამაკაცისა, ანუ დედათაა
განისა ძენი მასვე რიცხვსა შინა მსახურებისა მოსურნე იქმნებინ შემოსვლად
და უიჭოცა ჰყოფენ ამას, მაშინ იგინი, ყოვლადმოწყალებით ჰატივის-ცემისა-
თვის გვართა მათთანა, მიღებულ იქმნენ შტაბ-ოფიცრობისა ჩინითა; და მიღები-
სებრ შტაბ-ობერ-უნტერ-ოფიცარნი ქართველთაგანი, რომელნიცა მხედრობასა
შინა იქმნებინ მსახურად, მათ მოემატებოდეს ჩინი განწყისებისებრ იმპერიისა
ამისა. ხოლო ჯარის კაცთა ყოვლად მაღლისა მოხარობითისა მოწყალებისაგან
დაენიშნოს რაოდენიმე დრო მსახურებისა, რათა მათ კეთილ-ყამიერად იცოდნენ,
რომელ ჰმსახურონ რა 10, ანუ 15 წელსა მისის იმპერატორების დიდებულებსა
წინააღმდეგოდ მტერთა რუსეთისა და ქრისტიანობისა სახელისათა, ესე იგი, ჰი-
რის-პირ სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვათა ესე ვითართა, შემდგომ შემდე-
ბელ იქმნებინ, რათა მოიქცნენ სახლად თვისად, და წინაშე ერთქვეყნიერთა ერთა
თვისთა თანა განადიდონ ქება მისის უმაღლესის დიდებულების მსახურებითა ერთ-
გულებისათა, და აღავსებს მათ მონებრივისა ქვეშევრდომობითა ტახტისადმი
ყოვლისა რუსეთისა; და ამით არა თუ მხოლოდ შემდეგულ იქმნებინ ყამისებრ,
რათა განამრავლონ რიცხვი კაცთა სამხედროთა, არამედ ესე დაადგინებს მათ მხი-
არულებითა წარსვლად, უკეთუ ებრძანების, თვით ვიდრე სამსჯღვრამდე ინდიისა.
ხოლო უკეთუ მდგომარეობა საქმისა მოითხოვს, რომელ შემდგომად მოკრებისა
საქართველთა რეგულისა ჯარისა, ანუ გვალადვე თუ შემდგომად დამჭირებობასა
გვალადცა შემოკრებისა რაოდენთავე ქართველთა განუსწავლელთა ჯართასა, მაშინ
შესაძლო არს, რათა მუნ ყოფიან მეფემან აუწყოს ესე ხელმწიფისა მოადგილესა
და სამფედლოთა, რათა ემსგავსონ ამას შინა დიდისა მოხარისასა სიმდაბლით
მოქცევასა და სამსჯღვრ უღონ მოკრებსა მას თვისთაგან გამოსადებთასა, და მუ-
შაკობასა მსახურებისა მათისასა, რათა ამით მოწყალებითა მოყვანებულ იქმნენ
იგინი სრულსა გლეხკაცობის მდგომარეობასა შინა.

16.

ყოველთა სასამართლოთა პირველთა და უკანასკნელთა ადგილთა შინა განმ-
გეთა და მოხელეთა, ქართველთა და რუსთა, დირსებისა და თანამდებობისა მათისა-
ებრ განეწყოსთ შესაბამი უღუფა მუნ მოკრეფილისა სახელმწიფოსა შემოსავლი-

საგან, ხოლო ესრეთვე უმცირესთა მოხელეთადაცა მიეტყოს უღუთვა მისვე შემოსავლია საგან, განწესებულისა სამეფოსა მისგან და განსრულთა სახელისა მისგან, და ნუა ბით თვისით მუნ დაშთომილთა.

17.

ვითარცა მრავალ გვარნი კინაზნი და აზნაურთაგანი საქართველოსათა იმეოფებოდენ საქმდე მსახურებასა შინა კართა ზედა მეფისათა და სხვათადაცა ადგილსა შინა სამეფოთასა, და აქენდათ სხვა და სხვანი ადგილნი სამოხელონი, რომელითადაცა სარგებლობენ თანამდებობითა პატივითა, და მსახურებდენ მეფესა და ქვეყანასა თვისსა გულსმოდგინებით და ერთგულობით, ამისთვის, უკეთუ მათგანთა რომელიმე მელთა აწ მოხუცებისა გამო წელოსა, და ანუ სხვათარე მიზეზითა, კვალადცა მსახურებასა შინა არა ინებონ შესვლა, არა კეთილნებებულ იქმნებისა, რათა პატივუცტესთ პირველთა მათთა მსახურებათა და მოხუცებულებასა, და რათა დაშთენ პირველსავე მას პატივსა შინა, და მიეტყოს მათ პატივი თანადსწორად მათ თავადთა და აზნაურთადმი, რომელნიცა დიდებულებისა მისის იმპერატორების მსახურებასა შინა იმეოფებიან.

18.

მოყვანებისათვის მეოფთა მუნ უშიშოებისა მდგომარეობასა შინა პირველ საქმედ ვრაცხავთ ამას, რათა მივიღოთ სახმარე გაბთხილება მესობელთა მათ ჭარკელთაგან, რომელნიცა შთამამავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი, და ადგილი იგი, რომელთადაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა, გარნა მათ შეუარაგნებულნი ჰქნულნი ქრისტიანობისა, და ემორჩილებიან მახმადის ჰქსჳულსა, და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა. ესე ერთი არცადა მტირედ არიან საშინი და არც რიცხვითა არიან უმეტეს საში ათასიდან ვიდრე ოთხი ათას სადმდე, გარნა ვნება მათგან არს ესე, პირველისაშებრ, რომელ კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრებენ პირისპირ თვით კახეთისა სამეფლობელთა ქალაქისა ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსადაცა შინა გამოდიან ცხენიანნი და ქვევითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მეორისაგან ქვევითისაგან ერთის დღის სავალსა, და ადგილსა მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა არა რომელიმე მთა და ბოცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სვლა. ესე ჭარკელნი არიან ესრეთანი რა, იუან (?) საშინელ საქართველოსათვის, არამედ წარმოადგომილ არიან შესავედრებულად და სადგურად ყოველთა ლეკთა ვასააკთა, და თვით ომარჩხან ჰვარჩისასაცა ესრეთ, რომელ ოდესცა იგინი განიზრახნავენ მორბევასა საქართველოსა მიწათსა, მათინ მოიწვიან ჭარკელთადმი და მიიღებენ თვისადმი მოსყიდვით მათგან საგაძალთა, და ყოველივე სახმარითა ნივითა, და თვით მათცა თვისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯარითა თვისთა, და წარიყვანენ მათგან გზის-მცოდნეთა,

და ყველა უსდესთა, რომელთაცა, მახლობლად მოსახლეობითა უწყინან, სიდა, ანუ
თუ რომელსაცა ადგილსა სცხოვრობენ ქართველნი, გაუფრთხილებულად და მოუ-
ლოდებულად თავდასხმისა მის მტერთასა; და ესე არა უცნაურ არს, რომელ უკა-
ნასკნელი იგი შემოსულა ომარხანისა საქართველოსა შინა იყო იმათსედ გამოფა-
ლით, და მხედრობაცა მათი იყო მასთან. ესე თვით მტირე სამყოფი ჭარკელთა
მოქმედებს უმეტეს ამასცა, რომელ შემწყინარებლობს ორგულთა ქართველთა, სა-
მართლით სასიკვდილოდ დასასჯელთა და სხვათაცა; და ეგრეთვე ყოველნი იგი
ლეკნი, რომელნიცა წარმოვიდენ საქართველოსა შინა მორბევისა და ახრებისა-
თვის ოსმალს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწვევიან ჭარკელთადმი და მუ-
ნითგან სწორედ მივიდენ ახალციხეს.

19.

სსინისათვის ამის სუსტისა და უპატიოსა ერისგან ვითხოვთ ყოვლადმოწყა-
ლისგან, რათა მოგვეტეს ნება ჩვენ, რომელ წარვიდეთ სამკვიდროსა შინა მათთა
და აყვაროთ იგინი, და დაგჭყოთ სხვათა და სხვათა შინა ადგილთა საქართველოსა
მოსახლეთა შორის; და რწმუნებულგჭყოფოთ, რომელ შეერთებით ერთად უძლეუ-
ველთა იმისის იმპერატორების მხედრობათა თანა ამას ადვასრულებთ მსუბუქად,
დროსა წამთრისასა, და ადგილთა მათთა დავასახლებთ ქრისტიანებთა, ნებით
თვისით მოსურნეთა, რომელთაგანიცა თვინიერ იტვისა მოიპოვების მრავალნი
მოსურნენი, ამის მიზეზისათვის, რომელ ადგილი იგი არს ნაყოფიერ, სიდაცა
მოდის ზური მრავალ გვარი და უმჯობესი სხვათაგან, და ბრინჯი, და ესრეთვე
ხილი, და აბრეშუმის ხე, რომელისაგანაც ხელოსანი საკმაონი რიცხვით აკეთებენ
აბრეშუმსა; და ესეცა შესაძლო არს, რათა თვით მათ ჭარკელთა აღვირ-ესხათ და
დაწყინარებულ იქმნენ, გარნა ვინაიდგან დიდი სნიდგან შთაცვიდენ მახმადის ჭი-
ჯულსა შინა, ამისთვის ვრაცხთ უმჯობეს, ვითარცა ზემო ვსთქვიით, რათა განიყუ-
ნენ სხვა და სხვათა შინა ადგილთა, რომელ ვნება რაიმე მათგან ყოფად შესაძლო
არა იყოს. არა არს იტვი ამას შინა, რომელ ოდესცა მიიწვევის მათადმი სამთარისა
დროსა შინა რუსეთისა და საქართველოსა მხედრობა, რადენიც წარვიდინების
კეთილ-განსჯისამებრ, მაშინ იგი ყოველივე და თვით უპირატესნიცა მათნი არა
დაუტევებენ ამას, რომელ არა ჭყონ ადოქმა თვისისა, ამისთვის რომელ იქმნენ
იგინი მონად ქართველთა, უკეთუ მხოლოდ მიეცესთ მათ ნება, რათა დაშთენ
იგინი ადგილთა შინა თვისთა; გარნა ესე პირობა, რომელიცა არა ერთგვის მათ-
გან ქმნილ-არს, არამედ დიან მტირედ აღუსრულებიათ, და უფროსდა ყოველთათვის
გარდახდომილან, რჩევისამებრ ზემოთქმულთა მესობელთასა თურქთასა, და ამის-
თვის, ვითარცა არა მისანდობელთა, არს საჭირო, რათა გამოყვანილ იქმნენ და
დაესახლენ სხვა და სხვასა შინა ადგილსა; ხოლო რომელნიმე უმეტესნი მათ ერთს
კეთილ-სებებულ იქმნეს წარმოგზავნად უმადლესისა კარისადმი, ესრეთ რომელ
გამოვიდონ მათ მოხდოკსა და ყიზლარსა ზედა, და განიხილდნ მდებარენი იგი

ადგილნი, და, უკეთუ მოეწონოსთ მათ იგი, ერთი თვისით დასახდენ მუნ; და ამას ზედა, უკეთუ თანახმა იქმნებიან იგინი, ჩვენ, ვითარცა მონანი იმისის იმპერატორების დიდებულებისანი, ნოტსა ამას ვჭყოფთ მოხსენებასა, რომელ შემძლებელ იქმნებიან ფრიად მტირესა უამსა, რათა ჭქმნან კეთილი ზაოდი აბრეშუმისა, ვინაიდგან ერი ესე ამის საქმისადმი უფროსლა გამოსადეგი არიან, ვიდრელა სხვანი.

20.

ხოლო ჩვენ, ვითარცა ახლად შემოსრულნი დიდისა იმისის იმპერატორებითის დიდებულებისა მონებასა შინა, შესაძლო არს, რომელ უცნობელობითა რუსეთისა განწესებულებისა და ჩვეულებისათა, საკუთრად ქვეშევრდომობითა ჩვენითა ფსიქვითა რაიმე ნამეტნავი და უშესაბამო, ამას ყოფლად უმონებრივესად ვითხოვთ შთამომავლობათა (?) ჩვენის დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისაგან, რათა მოგვეტუოს ჩვენ, მისთა სარწმუნოთა მონათა, რომელნიც შემოსრულნი აღსრულებასა შინა ყოფლადმოწუალებით აღთქმულისა მმართველობისა უდიდებულისისა ჭსჯულთა ყოფლითურთ ვრაცნთ საქმედ, რათა ვაჩვენოთ მოსწრაფება ჩვენი თვით საქმიითა. ხოლო პირველსა ამას შესდომილებსა შინა არაფისგან არს შესაძლო ყოველივე განჩევითა გამოცხადებად, და უფროსლა ჩვენგან თქმად, თუ ვითარ არს სარგებლობა სახელმწიფოდასა, და ესე გვარჩევ ყოველთათვის სახმარათა სამეფოსა საქართველოსათა აწ ქვეშე კურთხეულისა იმისის იმპერატორების დიდებულების მპყრობელობისა შეერთებული იმპერიასთან ყოფლისა რუსეთისა. ხოლო ოდეს მივიწვევით ადგილთა მათ მისის დიდებულების კარისაგან წარმოგზავნილითურთ, მაშინ უცილებელად ნაკლულებანებას ჩვენგან მოხსენებულთასა შევასრულებთ, დაშორებითისა მუნ ნამესნიკისა, ანუ მეფისათა რუსეთისა უფროსად მეფისადმი არა დაუტყვებთ ყოველთა მათ ნაკლულებანებათა, ვინაიდგან, მეოფნი ადგილთა მათ შინა, უფროს სუბუქად შესაძლო არს დანიშვნად მისიტა, რაივეცა იქმნების ნაკლულებანება, და სხვებ ვითხოვთ, რათა ყოველივე ესე ღირს იქმნეს მაღლისა მონარხოებისა მისის იმპერატორობითის დიდებულებისაგან კეთილგანხილვისა.



